გაზეთი დაარსებულია 1918 წლის 25 ივლისს, აღდგენილია 1990 წელს.

საქართველოს რესპუბლიკა

„დილა ამ გაზეთის გადაშლით დაიწყეთ...“

კვირა, 20 მაისი, 2001 წელი.

საკვირაო გამოშვება

№120-121

(3862)

ფასი 50 თეთრი.

ჩვენი გაზეთი ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/sakartvelos-respublika

ხუთ დღეში გაზეთს ინტერნეტით გაეცნო 11955 მკითხველი.

გუშინ

უმაღლესი სასამართლო ბჭობს

19 მაისს საქართველოს უზენაეს სასამართლოში გაიმართა მოსამართლეთა კონფერენციის საკოორდინაციო საბჭოს ყოველწლიური სხდომა.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ ლადო ჭანტურიამ ილაპარაკა 2000 წლის 22 ივლისის საკოორდინაციო საბჭოს სხდომაზე განხილულ საკითხებთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულების შესახებ.

საერთო სასამართლოების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტის თავმჯდომარემ მერაბ ახობაძემ დამსწრეთ წარუდგინა საერთო სასამართლოების 2001 წლის ხარჯების ანგარიში. როგორც მან თქვა, ხშირ შემთხვევაში მოსამართლეთა ხელფასების გადახდა სპეცსახსრებით უხდებათ და იქვე აღნიშნა, რომ დავალიანების მხრივ ყველაზე რთული მდგომარეობა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაშია, სადაც 10 თვეა მოსამართლეებს ხელფასი არ მიუღიათ. ახობაძემ განაცხადა, რომ ამ დავალიანებას 15 ივნისამდე დაფარავენ.

იხ. მე-2 გვ.



ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომა

გუშინ საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის თავმჯდომარეობით გაიმართა ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომა. საბჭოს წევრებმა იმსჯელეს საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის მეგობრობის, კეთილმეზობლობისა და თანამშრომლობის შესახებ ახალი ხელშეკრულების პროექტის თაობაზე.

მოისმინეს ინფორმაციები გაეროს რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტში საქართველოს პირველადი მოხსენებისა და გაეროს წამების საწინააღმდეგო კომიტეტში საქართველოს მეორე პერიოდული მოხსენების განხილვის, აგრეთვე, ნატოს პროგრამის „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ გათვალისწინებული მრავალეროვნული სამშვიდობო წვრთნის „კოოპერატივ პარტნერ 2001 “ მზადების შესახებ.

უშიშროების საბჭოს წევრებმა მოისმინეს იუსტიციის მინისტრის მიხეილ სააკაშვილისა და გენერალური პროკურორის გია მეფარიშვილის ინფორმაცია ქსნის კოლონიაში დატრიალებული ტრაგედიის შესახებ. საქართველოს პრეზიდენტმა შეშფოთება გამოთქვა მომხდარი ფაქტის გამო. იუსტიციის მინისტრს დაევალა მკაცრი ზომები მიიღოს იმ თანამშრომელთა მიმართ, რომელთა დაუდევრობა გახდა ქსნის კოლონიაში მომხდარი ინციდენტის ხელშემწყობი მიზეზი. თუ რა ზომები იქნა მიღებული, უნდა მოხსენდეს უშიშროების საბჭოს უახლოეს სხდომას.

სხდომა დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობდა.

საქინფორმი.

გამარჯობათ!

სისხლიანი საზღაური

ევროსაბჭოს ფინანსური მხარდაჭერით ჩვენი რამდენიმე თანამემამულე წინა კვირას დანიაში გაემგზავრა და პენიტენციური სისტემის ობიექტები მოინახულა. ამ სისტემით ერთ-ერთი პარლამენტარი ისე აღფრთოვანდა, რომ ლამის უცხო ქვეყანაში დანაშაულის ჩადენა და იქაურ ციხეში კომფორტული დაბინავება გადაწყვიტა.

დანიური საკნებით, რომლებიც თურმე საშუალო დონის სასტუმროს ნომრებსა ჰგავს, არანაკლებ აღფრთოვანდა სასჯელთა აღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე ზურაბ მსხვილიძეც. დაბრუნებისთანავე ჩაიფიქრა დანიური ვარიანტის განხორციელება, პატიმართა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება, საკნების განტვირთვა, საამქროების გახსნა, ხალხის დასაქმება...

არ დააცალეს. 18 მაისს ქსნის ტუბკოლონიაში ტრაგედია დატრიალდა. ჩვეულებრივ „რაზბორკაში“ პისტოლეტი და ხელყუმბარა ჩაერია, – 6 კაცი დაიღუპა, 5 დაიჭრა.

იხ. მე-2 გვ.

პროფესიონალი

ნოტარიუსთან

რატომ გვსიამოვნებს, –

როცა დაწესებულებაში საქმეზე მისულს თბილად შეგვხვდებიან და გულწრფელად დაინტერესდებიან ჩვენი პრობლემებით?

როცა გამყიდველი გაზეთს მოგვაწვდის და თავაზიანად დაუმატებს, სხვას ხომ არაფერს ინებებთ?

როცა პაწია კაფეში ჭიქა ყავას დალევთ, ფულს გადაიხდით, კაფეს მეპატრონე კი კარებამდე გამოგაცილებთ და გაგიღიმებთ: მოხარული ვიქნები, თუ სხვა დროსაც გვესტუმრებითო.

მოკლედ, არაფერი ღირს უფრო იაფი და არაფერი ფასობს ისე ძვირად, როგორც თავაზი და ღიმილი.

იხ. მე-2 გვ.

თინათინ კობერიძე.

სიტუაცია

ამ საკითხის განსჯა თქვენთვის მოგვინდია

სად წაიღო ან რაზე დახარჯა „ალსო ტრანსმა“ „აზოტის“ პროდუქციიდან მიღებული თანხა?

პრესაში და ტელევიზიაში გრძელდება სს „აზოტის“ მიმართ პროვოკაციული და მიზანმიმართული ბრძოლა, რასაც შეუძლებელია არ ვუპასუხოთ.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 8 მაისის ნომერში გამოქვეყნდა ჩვენი მიმოხილვა სს „აზოტსა“ და „ალსო ტრანს ინტერნეიშნლ ლტდ“-ს შორის წარმოქმნილი კონფლიქტის შესახებ. მაშინ ისიც განვაცხადეთ, რომ „ალსო ტრანსი“ გააგრძელებდა თავის გამოხდომებს, რაც დადასტურდა კიდეც გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკასა“ და „ალიაში“ მყვირალა სათაურებით გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში – „აზოტი“ იძარცვება“; „32 კგ პლატინა უკვალოდ გაქრა“.

მართალია ის ფაქტი, რომ საქართველოს მრეწველობა, სხვას რომ თავი დავანებოთ, იძარცვება. ჯერი რუსთავის სს „აზოტზე“ მიდგა, რომლის დასაკუთრება მოინდომეს გარკვეულმა კლანებმა. გაკოტრებული ე. წ. „ინვესტორის“ ნიღბით მოვლენილი „ალსო ტრანსის“ სახით, რომელიც წლების განმავლობაში ყველა საშუალებით ცდილობდა სს „აზოტის“ ხელში ჩაგდებას, რომლის ძირითადი „კოზირი“ კომპანია „იტერას“ მეშვეობით ქარხნის გაზით მომარაგება იყო.

იხ. მე-5 გვ.

ინფორმაცია

დროის გამოცდას გაუძლო

საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ მიილო ბელარუსის რესპუბლიკის პრეზიდენტის ალექსანდრე ლუკაშენკოს დეპეშა, რომელშიც იგი ულოცავს დიდ სამამულო ომში გამარჯვების 56-ე წლისთავს.

„დარწმუნებული ვარ, საქართველოსა და ბელარუსის ხალხები, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს ფაშიზმის დამარცხებაში, მომავალშიც განამტკიცებენ იმ გულწრფელ მეგობრობას, ღირსეულად რომ გაუძლო დროის გამოცდას“, – ნათქვამია დეპეშაში.

ემზადებიან სამიტისათვის

კიევში დასრულდა სუუამის ქვეყნების ეროვნული კოორდინატორების მე-6 სხდომა, რომლის მიზანი იყო ამ ორგანიზაციის 5-7 ივნისს იალტაში დაგეგმილი სამიტისათვის პრეზიდენტების მიერ ხელმოსაწერი დოკუმენტების საბოლოო ჩამოყალიბება.

შეკრებაზე განიხილეს ორგანიზაციის ქარტიასთან და დასკვნით კომუნიკესთან დაკავშირებული საკითხები, ასევე, დიდი ყურადღება დაეთმო სუუამის ფარგლებში თავისუფალი სავაჭრო ზონის ფორმირების შესახებ შეთანხმების პროექტზე მსჯელობას.

სათხილამურო ბაზა მესტიაში

ზღვის დონიდან 1500 მეტრ სიმაღლეზე, მესტიიდან მერვე კილომეტრზე, გამოიყო ნაკვეთი საერთაშორისო მნიშვნელობის კიდევ ერთი სამთო-სათხილამურო ბაზის „აწვალოს“ მშენებლობისათვის.

სააქციო საზოგადოება „საქქალაქმშენპროექტის“ არქიტექტორთა მიერ შემუშავებული ბაზის პროექტს ხორცი უნდა შეესხას 12 თვეში. საორიენტაციო ღირებულება 1800 ათასი დოლარია.

პედაგოგები ხელფასს დროზე მიიღებენ

მცხეთა-მთიანეთში ტრანსფერტები უკვე მიიღეს. 136 ათასი ლარი გადაირიცხა სახელმწიფო ბიუჯეტიდან მცხეთა-მთიანეთის სოციალური საჭიროებებისათვის 15 მაისის მდგომარეობით. დუშეთის რაიონი პედაგოგებს გადაუხდის 42 ათას ლარს, ხოლო ახალგორის რაიონი – 41 ათასს. 38 ათასი ლარი უნდა გადაუხადონ მასწავლებლებს თიანეთის რაიონში, ხოლო ყაზბეგისაში – 15 ათასი, მცხეთის რაიონის ბიუჯეტი საკუთარი სახსრებით პედაგოგთა დაკმაყოფილების შესაძლებლობას იძლევა.

ინფორმაციები მოგვაწოდა საქინფორმმა.

დღის ანეკდოტი

მებაჟე გემზე ავიდა შესამოწმებლად და კაპიტანს ეკითხება:

– ნარკოტიკები არის?

– არის, – აწვდის ჩემოდანს, ხსნის, – აი, ჰეროინი, აი – კოკაინი, ყველაფერი დაფასოებულია, აგერ, გამზადებული შპრიციც.

მებაჟეს თვალები გაუფართოვდა:

– იქნებ, იარაღიც გაქვთ?

– გვაქვს, – აწვდის მეორე ჩემოდანს, – აი – „მაკაროვი“, აი – „კალაშნიკოვი“, მჭიდები, ვაზნები.

მებაჟე ირონიული ღიმილით:

– ალბათ, ვალუტაც გაქვთ?

– აი, მილიონი დოლარი, ინებეთ...

მებაჟე – თავგზააბნეული:

– და ყველაფერი ეს თქვენია?

– არა – თქვენია, ჩემი ტრიუმში მაქვს შენახული.

ამინდი დღეს

დასავლეთ საქართველოში

დაბლობში: ღამით +9+14;
დღისით +19+23.
მთაში: ღამით +5+10;
დღისით +14+19.

აღმოსავლეთ საქართველოში

ბარში: ღამით +8+13;
დღისით +16+21.
მთაში: ღამით +4+9;
დღისით +12+17.

თბილისში

ცვალებადი მოღრუბლულობა, ხანმოკლე წვიმა ელჭექით.
ღამით +11+13;
დღისით +19+21.

საქართველოს ჰიდრომეტდეპარტამენტი.

ინტერპანორამა

ისრაელის ბომბდამშენებმა გუშინ კვლავ დაბომბეს პალესტინელთა ქალაქი. ეს იყო საპასუხო რეაქცია ისრაელთა წინააღმდეგ განხორციელებულ ტერაქტებზე.

იასირ არაფატმა განაცხადა, რომ პალესტინელები კვლავ გააგრძელებენ თავისუფლებისათვის ბრძოლას.

ჩეჩნეთში, ვედენსკის რაიონში ფედერალური ძალების სპეციალური დანიშნულების რაზმების მეოხებით განხორციელდა ფართომასშტაბიანი საგანგებო ოპერაცია. დაკავებულია 1 ჩეჩენი სნაიპერი, რამდენიმე არაბი მოთარეშე. მსხვერპლის შესახებ არ იტყობინებიან.

რუსეთის მხარემ 3 მეომარი დაკარგა.

უკანასკნელ საათს

ჩვენი პლანეტა კატაკლიზმებით „გადაირია“. ერთ-ერთი ანომალია არნახული წყალდიდობებია. ერთი კვირის განმავლობაში ადიდებულმა მდინარე ლენამ მთლიანად დატბორა იაკუტიის ქალაქი ლენსკი და იმდენად დააზარალა, რომ ხელისუფლებამ გუშინ მისი სხვა ადგილზე გადატანა გადაწყვიტა.





გუშინ რუსეთის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება რუსეთის ელექტროენერგეტიკული ბაზრის ლიბერალიზაციის მიზნით 2004 წლის მარტიდან გააუქმოს ენერგეტიკის სახელმწიფო სისტემა.

გუშინ

უმაღლესი სასამართლო ბჭობს

(პირველი გვერდიდან)

მან აგრეთვე წაიკითხა მოხსენება მართლმსაჯულების შეუფერხებელი განხორციელებისა და საერთო სასამართლოების ორგანიზაციული მუშაობის ხელშეწყობისათვის აუცილებელი ღონისძიებების თაობაზე.

საერთო სასამართლოების 2001 წლის პირველი კვარტლის სტატისტიკური ანგარიშგების ანალიზითა და სისხლის სამართლის საქმეთა აღრიცხვის საბარათო სისტემის დანერგვასთან დაკავშირებულ პრობლემურ საკითხებზე ილაპარაკა უზენაესი სასამართლოს სამართლებრივი ინფორმატიკის განყოფილების გამგემ თემურ გოგბერაშვილმა.

მსოფლიო ბანკის სასამართლო რეფორმის პროექტის განმახორციელებელი ფირმის „ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლოების მართვის ასოციაციის“ დირექტორმა რობერტ ლიფშერმა წაიკითხა მოხსენება პროექტის ერთ-ერთი კომპონენტის, „სასამართლოების ადმინისტრირება, საქმეთა მართვის, გადაწყვეტილებათა აღსრულების“ – მნიშვნელობის შესახებ და საქართველოში საერთოდ ამ პროექტის განხორციელების თაობაზე.

დამტკიცდა საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის დღის წესრიგი, რომელიც 23 ივნისს გაიმართება.

საქინფორმი.

სტრატეგიული ინტერესები

აშშ და ჩვენი „დერეფანი“

პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის მოხსენებაში, რომელშიც ჩამოყალიბებულია ამერიკის შეერთებული შტატების ენერგეტიკაში კრიზისულ მოვლენებთან ბრძოლის შესახებ ადმინისტრაციის სტრატეგია, აღნიშნულია, რომ აუცილებელია ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მოახდინოს ნავთობისა და გაზის იმპორტის წყაროების „დივერსიფიცირება“ და ამასთან ყურადღება მიაპყროს „ნავთობის წამყვან მწარმოებლებთან დიალოგის გაღრმავებას“. აგრეთვე, აღნიშნულია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ნახშირწყლების მოპოვების გადიდებას ისეთ რეგიონებში, როგორიც დასავლეთის ნახევარსფერო, აფრიკა და კასპიის აუზია.

„კასპიის ზღვაც შეიძლება გახდეს (ნავთობის) მიწოდების სწრაფად მზარდი ახალი რაიონი“, აღნიშნულია დოკუმენტში, სადაც ნათქვამია, რომ კასპიის ნავთობის მარაგი 20 მილიარდ ბარელად არის შეფასებული. ამჟამად ამ რეგიონიდან მოწოდება შეადგენს 800 ათას ბარელს, მაგრამ 2005 წლისათვის შეიძლება 1,8 მილიარდ ბარელამდე გაიზარდოს ორი მილსადენის – ბაქო-თბილისი-ჯეიჰანისა და კასპიის მილსადენის კონსორციუმის პროექტების განხორციელების კვალობაზე. ამასთანავე მოხსენებაში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს ეძლევა რეკომენდაცია, დაავალოს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანსა და ვაჭრობისა და ენერგეტიკის მინისტრებს, „მხარი დაუჭირონ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენს“, აგრეთვე, შექმნან „კომერციული პირობები“ იმისათვის, რომ ყაზახეთში მოქმედმა ნავთობმომპოვებელმა კომპანიებმა შეძლონ თავიანთი პროდუქციის ექსპორტირება სახელდობრ ამ ნავთობსადენით.

საქინფორმი.

საზღვაო ასპირანტურა საქართველოში

საქართველოს საზღვაო ადმინისტრაცია აპირებს 2002-2003 წლებში საქართველოში გახსნას საზღვაო ასპირანტურა.

საზღვაო ასპირანტურამ ხელი უნდა შეუწყოს საზღვაო დარგის მნიშვნელობის ამაღლებას, მისი მეცნიერული საფუძვლის განმტკიცებას.

ტურისტული შოუ

23-27 მაისს სტამბოლში გაიმართება თურქეთის მთავარი ტურისტული შოუ „აღმოსავლეთი – ხმელთაშუა ზღვა“. გამოფენაში მონაწილეობისათვის საქართველოსთან ერთად მიწვეული არიან მსოფლიოს 30 ქვეყნის წარმომადგენლები. საორიენტაციოდ, სტამბოლში შეიკრიბება ტურისტული ბიზნესის 13 ათასი მუშაკი.

უკმაყოფილონიც არიან

18 მაისს აჭარის წარმომადგენლობაში „ჟურნალისტთა ტრიბუნის“ მიერ გამართული დისკუსიის მონაწილეებმა უკმაყოფილება გამოთქვეს საქართველოს ირანის საელჩოსათვის მიწის ნაკვეთის ვაკის პარკის ტერიტორიაზე გამოყოფის შესახებ.

მინისტრთა კაბინეტის შექმნა აუცილებელია

ზუგდიდში ჩავიდა საერთაშორისო საქმეთა ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტის დირექტორი მარკ მალანი, რომელიც შეხვდა ადგილობრივ ჟურნალისტებს. მან ილაპარაკა ამ ბოლო დროს საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებზე, კერძოდ სამართლიან და დემოკრატიულ არჩევნებზე, მინისტრთა კაბინეტის შექმნის აუცილებლობაზე. იგი შეეხო ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევითობას, მან ხაზი გაუსვა ჩვენი კანონმდებლობის მიხედვით გამგებლების და გუბერნატორების დანიშვნის თავისებურებას, თუმცა, როგორც იქვე დასძინა, საქართველო არ არის იმისათვის მზად, რომ გამგებლები და გუბერნატორები ხალხმა აირჩიოს. მიუხედავად იმისა, რომ საკრებულოები მოსახლეობის მიერ არის არჩეული, მათ უფლებამოსილებები მაინც შეზღუდული აქვთ...

ეს იხსნის საქართველოს ენერგეტიკას

საქართველოს ენერგეტიკის გაჯანსაღების, უფრო მეტიც, სრული რეანიმაციისათვის ერთ-ერთი გადამწყვეტი ნაბიჯია მისი ობიექტებიდან მოგების გადასახადის დროებით მოხსნა. ეს საქინფორმის კორესპონდენტს უთხრა ქვეყნის პარლამენტის დარგობრივი კომიტეტის ენერგეტიკის ქვეკომიტეტის თავმჯდომარემ რევაზ არველაძემ.

– ეს მანამდე უნდა გაგრძელდეს,– თქვა ბატონმა რ. არველაძემ,– სანამ ქვეყნის ენერგოსისტემაში არ დაიწყება რეალური სტაბილიზაციის პროცესი. ლოდინი კი დიდხანს არ მოგვიწევს. გაიზრდება ქვეყნის ენერგეტიკაში ინვესტირების პროცესი.

ინფორმაციები მოგვაწოდა საქინფორმმა.

გამარჯობათ!

სისხლიანი საზღაური

(პირველი გვერდიდან)

თვით პატიმართა უფლებების დამცველთა ვერსიით, კონფლიქტის მიზეზად ის სავაჭრო ჯიხური იქცა, რომელიც ბოლო ხანს, აბანოებისა თუ საპარიკმახეროების მსგავსად, საპატიმრო ადგილებში დამკვიდრდა და მაქინაციების ბუდედ იქცა.

ბოლო დროს, ევროპისა თუ ამერიკის წამხედურობით, ლამის გარეთ მყოფი ხალხი დავივიწყოთ და პატიმართა უფლებებისა და ინტერესების დაცვა ყველაზე უპირველეს ფუნქციად ვაქციოთ. საკუთარი ხელით დავიწყეთ საპარიკმახეროების შეღებვა თუ ჭების გათხრა. კი ბატონო, ამას რა სჯობია, მაგრამ რა შედეგია მეორე მხრიდან? ერთი ჭის გათხრას ცხრა გვირაბის გათხრა და გაქცევა მოჰყვა. ბოლოს კი, სისხლიანი ტრაგედია...

იმავე დანიაში წელიწადში თურმე 250 მილიონი დოლარი იხარჯება 3400 პატიმარზე. ჩვენ კი მას გვსურს გავეჯიბროთ. უფრო მეტიც, ვეჯიბრებით ამერიკას, რომელმაც პენიტენციური სისტემის მოწესრიგებას მოანდომა 15 წელიწადი და საამისოდ დახარჯა 800 მილიარდი, დიახ, 800 მილიარდი დოლარი. დავეწევით?

პრაქტიკოსები აცხადებენ, რომ ჩვენსავით გაჭირვებული სახელმწიფოები მსგავს პრობლემას წყვეტენ არა ახალი ციხეების, საგამოძიებო იზოლატორებისა თუ კოლონიების აშენებით, მათი გადაადგილება-გადმოადგილებით თუ კოსმეტიკური შეთხუპნა-შემოთხუპნით, ყოველდღიურად ფულზე წუწუნით, არამედ დასჯითი პოლიტიკის არსებითი კორექტირებით. კანონმა აუცილებლად უნდა შეამციროს იმ ადამიანთა სადამსჯელო ვადა, რომელთაც ჩაიდინეს საშუალო ან მცირე ხარისხის დანაშაული. შეიძლება, რომ 14 წლის ნოდარ სვანიძეს ორი ცალი სპილენძის ქვაბის ქურდობისათვის (ოჰ, ეს ჯართომანია), რომელიც შეფასდა 10 ლარად, 10-წლიანი მუხლი მივუყენოთ? იგი ობოლია, შინ მცირეწლოვანი ძმა და მოხუცი ბებია ჰყავს. რა გამოდის? 10 ლარის საქონლის მომპარავს 10 წელიწადი უნდა ვაჭამოთ, ვასვათ, ვუყარაულოთ და ათასჯერ მეტი თანხა დავახარჯოთ, მისი ოჯახი კი უპატრონოდ დავტოვოთ. განა ეს სამართლიანი გადაწყვეტაა?

როცა პატიმარი ცოტა გვეყოლება, მას უკეთესადაც მოვუვლით და უკეთესადაც გავაკონტროლებთ!

მორიგე რედაქტორი.

პროფესიონალი



ნოტარიუსთან

(პირველი გვერდიდან)

– ჩემი მეგობარი დარწმუნებულია, რომ ერთიც და მეორეც სოციალური კატეგორიაა, თქვენ როგორ ფიქრობთ, ასეა? – ვკითხე მცხეთის სანოტარო ბიუროს ნოტარიუსს თინათინ კობერიძეს.

სანოტარო ბიუროში მეგობარს მივყევი და ვიდრე იგი თავის პრობლემას მოაგვარებდა, ნოტარიუსის საქმიანობას ვადევნებდი თვალს.

ხალხი ირეოდა ბიუროში. ვის უძრავი ქონების ყიდვა ან გაყიდვა სურდა, ვის ხელმოწერის დადასტურების ნამდვილობა აეჭვებდა, ვის დოკუმენტის ერთი ენიდან მეორეზე თარგმნის სისწორე სურდა დაემოწმებინა. ცხოვრებაში ათასი წვრილმანია, ვიდრე ნოტარიუსი მას დაკვირვებული თვალით შეხედავს. მერე კი აღმოჩნდება, რომ ზოგიერთი წვრილმანი წვრილმანი სულაც არ ყოფილა. თურმე მას შეუძლია ერთი ადამიანის კი არა, ადამიანების მთელი ჯგუფის ცხოვრება მკვეთრად შეცვალოს, სხვა კალაპოტში გადააგდოს, აღაზევოს ან სულაც, ძირს დაანარცხოს.

მოკლედ, სანოტარო ბიურო ფუტკრის სკასა ჰგავდა. მომსვლელები თინათინ კობერიძეს შესჩიოდნენ, ეკითხებოდნენ, ედავებოდნენ, თავიანთ სიმართლეს უმტკიცებდნენ. ნოტარიუსი ყურადღებით უსმენდა, მოთმინებით განუმარტავდა, ზოგიერთის აგრესიულ შემოტევას ხაზგასმული ტაქტითა და თავაზით იგერიებდა, „აგრესორს“ გაუღიმებდა კიდეც: არ არის საჭირო ამდენი ტემპერამენტის ფრქვევაო.

მოკლედ ის, რაც იქ ხდებოდა, ჩემი მეგობრის ფილოსოფიური ახირების ნამდვილი დემონსტრაცია იყო.

– როცა საზოგადოება ჰარმონიულად ვითარდება და ხალხი მხოლოდ კანონის მორჩილია, ზნეობა, მორალი და სხვა სოციალური ღირებულებები ძვირად ფასობს, – მიპასუხა თინათინმა ჩემს შეკითხვაზე, როცა მომსვლელების ხმაური ცოტათი მინელდა და ჩემი მეგობრის რიგმაც მოაღწია, – დღეს ჩვენი ქვეყანა გაჭირვებულ მდგომარეობაშია. ქუჩაში კუშტი, დაღვრემილი ადამიანები ჭარბობენ, ბევრს უიმედო და სასოწარკვეთილი სახე აქვს. აი, ეკონომიკა კრიზისს თავს რომ დააღწევს, რაშიც ყველანი დარწმუნებული ვართ, ეს, უპირველეს ყოვლისა, ისევ იმ ადამიანების სახეებს დაეტყობა. ამიტომ მეც მგონია, რომ ზრდილობის ნორმები, თუნდაც ღიმილი, სოციალური კატეგორიაა.

საუბარს კარგი „საგაზეთო პირი“ უჩანდა და უბის წიგნაკი მოვიმარჯვე. შორიახლო მდგომი სამხედრო პირი ჩემთან მოვიდა და გამეცნო:

– ვიცეპოლკოვნიკი თაჯირ მამედოვი, პოლიციის აკადემიის თანამშრომელი, აგერ, ციხისძირიდან ვარ, შორიდან გიცნობთ, ჩვენს მხარეში მინახიხართ, ვიცი, გაზეთიდან ბრძანდებით. თუ ქალბატონ თინათინ კობერიძეზე დაწერას აპირებთ, ჩვენი მოსახლეობის აზრს გაგიზიარებთ: მისნაირი ზნეკეთილი და სათნო ადამიანი, პროფესიონალიზმზე არაფერს ვამბობ, ამ ჩვენს მხარეში ბევრი არ მოიძებნება. გთხოვთ, თქვენს საგაზეთო წერილში ჩემი სიტყვებიც შეიტანოთ. აჰა, შემაქვს უცვლელად და სრულად, ისე, როგორც ჩავიწერე. ამასთან მადლობის გრძნობითაც.

გურამ ვაშაკიძე,
„სრ“ საკ. კორესპონდენტი.

სურათზე: ბებრისციხე.
ამირან ადამიშვილის ფოტო.

ყმაწვილების ენით

რუბრიკას უძღვება
ნათელა ფაილოძე

რა არის მეგობრობა?

ამ შეკითხვას უპასუხებენ თბილისის 24-ე სკოლის მოსწავლეები

გვანცა ხონელიძე:
– როცა ერთმანეთს ეხმარებიან...

მარიამ მოსეშვილი:
– როცა ვინმეს უჭირს და არ მოსცილდები...

თამუნა გვასალია:
– რომ გაგიჭირდება და მასთან გაიქცევი...

სალომე ქურდაძე:
– სულ შენს გვერდით რომ არის...

ნოდარ გიგაშვილი:
– ბავშვები რომ თამაშობენ და არ ჩხუბობენ...

ბალცეროვიჩის რეკომენდაციები

თუ ვიმუშავებთ, ყოველნაირი მხარდაჭერა გვექნება

ამ დღეებში მთავრობის სხდომაზე მოისმინეს ეკონომიკური რეფორმების საკითხებში პრეზიდენტის თანაშემწის თემურ ბასილიას ინფორმაცია ბალცეროვიჩის ჯგუფისა და საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციათა შესრულების მიმდინარეობის შესახებ. ამის თაობაზე პრესაში გამოქვეყნდა ძუნწი ინფორმაცია, რომელიც დაინტერესებულ მკითხველს ბევრს არაფერს აძლევს. ამ ხარვეზის შევსების მიზნით ვთხოვეთ ბატონ თემურ ბასილიას, ეპასუხნა საზოგადოებისათვის საინტერესო რამდენიმე კითხვაზე.

– [illegible] რვა თვე გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველოში მოვალეობის შესრულებას შეუდგა საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველი მაკროეკონომიკური და სტრუქტურული რეფორმების საკითხებში ლეშეკ ბალცეროვიჩი და მისი ჯგუფი. ეს საკმაო დროა იმისათვის, რომ გაწეული მუშაობის შედეგებზე ვილაპარაკოთ.

– ვიდრე უშუალოდ საკითხზე გადავიდოდე, მინდა აღვნიშნო, რომ გადაწყვეტილების მიღება ბალცეროვიჩის საქართველოში ჩამოყვანის თაობაზე ადვილი არ იყო, მაგრამ მსოფლიო სახელის მქონე ეკონომისტის ჩვენთან თანამშრომლობის მნიშვნელობიდან გამომდინარე, უშუალოდ პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ სთხოვა როგორც აშშ მთავრობას, ასევე მას ეთანამშრომლა საქართველოს მთავრობასთან. ჩვენთვის ძალიან სასარგებლოა პოლონეთის გამოცდილების გაზიარება, სადაც გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებიდან ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული გამოდგა ეკონომიკური რეფორმები.

– როგორც ცნობილია, ბალცეროვიჩი საქართველოში მუდმივად არ იმყოფება, იგი მხოლოდ სამ თვეში ერთხელ ჩამოდის. ეს გავლენას არ ახდენს ჩვენთან თანამშრომლობის ეფექტიანობაზე?

– მართალია, ლეშეკ ბალცეროვიჩი მუდმივად არ არის საქართველოში (სულ ცოტა ხნის წინათ ის დაინიშნა ცენტრალური ბანკის მმართველად), მაგრამ ჩვენთან სტაბილურად მუშაობს პოლონელი ეკონომისტების ე. წ. „ბალცეროვიჩის ჯგუფი“. ამდენად, ბალცეროვიჩი ყოველთვის საქმის კურსშია ქვეყანაში განვითარებული ეკონომიკური მოვლენების შესახებ. თავად ბალცეროვიჩი უკვე სამჯერ შეხვდა საქართველოს პრეზიდენტს, რომელსაც გადასცა რეკომენდაციები.

– რას გვეტყოდით ამ რეკომენდაციების თაობაზე?

– ბალცეროვიჩის რეკომენდაციები რამდენიმე ძირითად მიმართულებას მოიცავს. მათ შორის, უპირველესია ღონისძიებები ქვეყნის საფინანსო სისტემის სრულყოფისათვის. კერძოდ, ნათქვამია, რომ აუცილებელია ქვეყნის სახელმწიფო ფინანსების შემდგომი კონსოლიდაცია და საფინანსო დისციპლინის განმტკიცება, ამ მიზნით საბიუჯეტო სისტემებისა და უფლებამოსილებათა შესახებ კანონმდებლობის სრულყოფა, კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება, საგადასახადოსაბაჟო დეპარტამენტებში რეფორმის დასრულება; საგადასახადო კანონმდებლობის, მათ შორის, მარეგულირებელი ნორმატიული აქტების გამარტივება.

ბალცეროვიჩის გუნდის აზრით, არ არის გამორიცხული, რომ ცვლილებები შევიდეს საგადასახადო კოდექსში, განსაკუთრებით მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით. მაგრამ ეს უნდა გაკეთდეს ძალიან სწრაფად, რათა მომავალი წლის ბიუჯეტის პარამეტრები უკვე ახალ კანონმდებლობაზე იყოს გათვლილი. ბალცეროვიჩის ჯგუფის უკმაყოფილების მიზეზია ბიუჯეტის ქრონიკული შეუსრულებლობა. პრეზიდენტთან შეხვედრისას ამ ჯგუფის წარმომადგენელმა ერეი მილერმა შეშფოთება გამოთქვა იმის გამო, რომ აპრილის ბიუჯეტი შესრულდა იმაზე უფრო ცუდად, ვიდრე მარტის.

ბალცეროვიჩის ჯგუფის აზრით, აუცილებელია მოლაპარაკებები პარიზის კლუბის წევრ კრედიტორებთან (და არა მარტო მათთან), რათა ვალების მომსახურებისათვის გათვალისწინებული თანხებით შეიქმნას სპეციალური ფონდები, რომელიც მოხმარდება საქართველოში ცალკეული პროგრამების დაფინანსებას, მაგალითად დევნილების, განათლების, გარემოს დაცვის, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ღონისძიებებს და სხვა სფეროებს.

რეკომენდაციების მეორე მიმართულება მოიცავს სამეწარმეო გარემოს განვითარებას და კერძო სექტორის როლის გაზრდას ქვეყნის ეკონომიკაში, რათა შემცირდეს ჩრდილოვანი ეკონომიკის ხვედრითი წილი და შეიქმნას დამატებითი სამუშაო ადგილები ლეგალურ სექტორში. ამ მიზნით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერას.

– იქნებ გვითხრათ, რაში გამოიხატება ეს მხარდაჭერა?

– ეს გამოიხატება ბიზნესის მარეგულირებელი კანონმდებლობის, რეგისტრაციის, სხვადასხვა სანებართვო სისტემების, ტექნიკური ნორმების, საგადასახადო ადმინისტრირების პროცედურების გამარტივებაში სწორედ მცირე ბიზნესისათვის. თავის მხრივ, ასეთი ღონისძიებები ხელს შეუწყობს კორუფციის შემცირებას. ჯგუფს გარკვეული შენიშვნები აქვს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების იმ პროგრამის მიმართ, რომელიც საქართველოს მთავრობის სხდომაზე იყო განხილული რამდენიმე კვირის წინათ. მათი აზრით, პროგრამას სჭირდება ადრესულობა და განხორციელების ინსტრუმენტები.

სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ლიცენზირების რეფორმის სწორად წარმართვას და მის დასრულებას. ასევე უნდა გატარდეს ღონისძიებები ლეგალური ბიზნესის ხელშემწყობი საფინანსო ინსტიტუტებისა და მიკროკრედიტების განვითარებისათვის, რეალურად უნდა ამოქმედდეს გაკოტრების მექანიზმი. უნდა შეიქმნას საკანონმდებლო ბაზა, რომელიც ხელს შეუწყობს სამეურნეო სუბიექტებს შორის არგადახდების ჯაჭვის აღმოფხვრას. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სოფლის მეურნეობაში, კერძოდ წვრილფერმერულ მეურნეობაში წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის პრობლემებს, საბითუმო ბაზრის ელემენტების ჩამოყალიბებას.

კერძო სექტორის როლის გაზრდის მიზნით, უნდა დასრულდეს სახელმწიფო ქონების პრივატიზაცია. უნდა შედგეს საპრივატიზებო გეგმა კონკრეტული საწარმოების ჩამონათვალითა და პრივატიზების ვადების მითითებით. ამასთან, უნდა გადაისინჯოს ობიექტების პრივატიზების სტრატეგია, რაც უნდა ითვალისწინებდეს საწარმოთა მენეჯმენტის გაუმჯობესების, ინვესტიციების მოზიდვის, გასაღების ბაზრის არსებობის მოთხოვნებს. აქვე აღვნიშნავ, რომ მალე საქართველოში სამუშაო ვიზიტით ჩამოვლენ პოლონეთის სახელმწიფო-ქონების მართვის დეპარტამენტის დირექტორი ქალბატონი შეიდა და სახელმწიფო საწარმოთა რესტრუქტურიზაციის სააგენტოს დირექტორი ბატონი კრენველი.

რეკომენდაციების მესამე მიმართულება მოიცავს სოციალური უზრუნველყოფის, განათლებისა და ჯანდაცვის სისტემების რეორგანიზაციას. მეტნაკლებად დამაკმაყოფილებელი ტემპებით მიმდინარეობს რეფორმები ამ სისტემებში საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით, თუმცა აუცილებელია მათი დაჩქარება, ბალცეროვიჩის აზრით, არ უნდა განმეორდეს პოლონეთში დაშვებული შეცდომა, როცა აღნიშნული სისტემების რეფორმირებისას სახელმწიფომ აიღო ისეთი ვალდებულებები, რომლებიც არ იყო ფინანსურად უზრუნველყოფილი და რომელთა დაფინანსება დღესაც მძიმე ტვირთად აწვება პოლონეთის სახელმწიფო ბიუჯეტს.

რეკომენდაციების მეოთხე მიმართულება გულისხმობს სახელმწიფო ინსტიტუციონალური სტრუქტურების რეორგანიზაციას და სახელმწიფო მოხელეთა რიცხოვნობის შემცირებას. მათი აზრით, გაზრდილ სახელმწიფო აპარატსა და სტრუქტურებს შორის პარალელური ფუნქციების გამო ვერ ხერხდება სამინისტროებს, სახელმწიფო დეპარტამენტებსა და ცალკეულ უწყებებს შორის ეფექტური კოორდინაცია. ბალცეროვიჩს მიაჩნია, რომ საქართველოში შესაძლებელია მაქსიმალურად შეიზღუდოს სახელმწიფოს მიერ ეკონომიკაში ჩარევა, რადგან უფრო მეტის ადმინისტრირების და შესრულების ფინანსური რესურსები ქვეყანას არა აქვს.

წლეულს 17 აპრილს ლეშეკ ბალცეროვიჩის ზემოთ მოყვანილ რეკომენდაციებთან დაკავშირებით საქართველოს პრეზიდენტმა შესაბამის უწყებებს მისცა დავალება: „რაც შეიძლება ოპერატიულად დაამუშავეთ ამ რეკომენდაციათა სარეალიზაციო გეგმა, რომელსაც მე დავამტკიცებ“.

– საინტერესოა, როგორ შესრულდა პრეზიდენტის დავალება?

– დღემდე პასუხები წარმოდგენილია მხოლოდ საგადასახადო შემოსავლებისა და ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროებიდან. საგადასახადო შემოსავლების მინისტრმა წარმოადგინა საგადასახადო ადმინისტრირების ნაწილში სარეალიზაციო გეგმის 8-პუნქტიანი პროექტი, ხოლო ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრის წერილის მიხედვით, ლეშეკ ბალცეროვიჩის წინადადებები მეტნაკლებად გათვალისწინებულია ქვეყანაში შემუშავებულ ისეთ პროგრამებში, როგორიცაა: სოციალურ-ეკონომიკური გაჯანსაღებისა და ეკონომიკური ზრდის, სიღარიბის დაძლევის, ჩრდილოვანი ეკონომიკის ლეგალიზაციისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის, მცირე ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამა და სხვა. მაგრამ როგორ უნდა შესრულდეს ეს პროგრამები, წერილს თან არ ახლავს.

– როგორც ვიცი, ასეთმა უპასუხისმგებლობამ პრეზიდენტი აღაშფოთა.

– მართალია, ედუარდ შევარდნაძემ თქვა, რომ უკვე მეორე შემთხვევაა, როცა ლეშეკ ბალცეროვიჩი რეკომენდაციებს გვიტოვებს და მათ არავინ ასრულებს. მან დამსწრეთ შეახსენა, რომ ეს რეკომენდაციები ფაქტობრივად ემთხვევა საერთაშორისო სავალუტო ფონდის რჩევებს. საჭიროა გვახსოვდეს, რომ თუ მაისში ბიუჯეტი არ შესრულდა, გაწყდება ყოველნაირი კავშირი სავალუტო ფონდთან და მსოფლიო ბანკთან. პრეზიდენტმა გააფრთხილა ყველა მინისტრი, რომ რადიკალურ ზომებს მიიღებს იმათ მიმართ, ვინც არ ასრულებს თავის მოვალეობას.

აქვე მინდა ვთქვა, ბალცეროვიჩის მიერ ჯერ კიდევ 2000 წლის ნოემბერში წარმოდგენილი რეკომენდაციები ფაქტობრივად არ განსხვავდება ამჟამინდელი რეკომენდაციებისაგან, თუმცა ამ პერიოდის განმავლობაში მათ განხორციელებაში სერიოზული პროგრესი არ მომხდარა. ამიტომ, როგორც ჯგუფი აცხადებს, მათი შემდგომი რეკომენდაციები ისევ იგივე დარჩება, რადგან არ არსებობს სხვა გზა ქვეყნის ეკონომიკური კრიზისიდან გამოსაყვანად. ამ ჯგუფის მუდმივი წარმომადგენლის აზრით, რეკომენდაციები გადაუდებელ ხასიათს ატარებს და სწრაფი დადებითი შედეგების მისაღწევად მათი განხორციელება დაუყოვნებლივ უნდა დაწყებულიყო.

– ბალცეროვიჩის აზრით, გასატარებელ ღონისძიებათა ნაწილი, რომელიც საშუალოვადიან ან გრძელვადიან ხასიათს ატარებს, უნდა აისახოს სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური ზრდის პროგრამაში, რომელიც უნდა იქცეს მთავრობის ერთიან სამოქმედო სტრატეგიად.

– როგორ მიდის ამ პროგრამასთან დაკავშირებით მუშაობა?

– ამ მხრივაც არასახარბიელო მდგომარეობაა. პრეზიდენტის არაერთგზის დავალების მიუხედავად, სრულყოფილი მასალები წარმოდგენილი აქვთ საქართველოს ეროვნულ ბანკს, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და ტურიზმის სახელმწიფო დეპარტამენტს. იუსტიციის, ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროების მასალები არ შეესაბამება მოთხოვნებს. სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს ცნობით, მასალები შესათანხმებლად გადაგზავნილია ფინანსთა სამინისტროში, საიდანაც ჯერჯერობით არაფერი ისმის. ამასთან განსახორციელებელი ღონისძიებების შეფასებები საჭიროებს ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებას, მაგრამ თავად მას არ წარმოუდგენია წინადადებები ფისკალური პოლიტიკის თაობაზე.

– როცა არ სრულდება ბალცეროვიჩის რეკომენდაციები, ბუნებრივია, ეს გავლენას ახდენს ჩვენს ქვეყანასთან საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების დამოკიდებულებაზე.

– რა თქმა უნდა. ისინი დახმარებას უწევენ იმ ქვეყნებს, რომლებიც ცდილობენ თავი დააღწიონ მძიმე მდგომარეობას. ფაქტი სახეზეა, კრედიტის მეორე ტრანში საქართველოს უნდა მიეღო შარშან დეკემბერში, თუმცა ის ვერ მივიღეთ პირველ კვარტალშიც. დღევანდელი რეალობის გათვალისწინებით, მეორე ტრანში შეიძლება მივიღოთ ოქტომბერში, ხოლო მესამე ტრანში და სტრუქტურული გარდაქმნის მეოთხე კრედიტის პირველი ტრანში – 2002 წელს. არადა, ეს შემოსავლები წლევანდელ ბიუჯეტშია გათვალისწინებული.

ამ დღეებში საქართველოში მუშაობა დაასრულა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიამ, რომლის აზრით, გამოკვეთილი დადებითი ტენდენციების მიუხედავად, კვლავ პრობლემად რჩება შემოსავლების მობილიზების მაჩვენებლები. საბიუჯეტო გარღვევის გამოსწორების მიზნით მოლაპარაკების პროცესში საქართველოს მთავრობამ ძირითადი აქცენტი გააკეთა საგადასახადო ადმინისტრირების გაუმჯობესებაზე. ფონდის აზრით, შემოსავლების შეუსრულებლობის შემთხვევაში აუცილებელი გახდება ბიუჯეტის ხარჯების შემცირება, თუმცა ეს არ უნდა შეეხოს სოციალურ სფეროს.

– როგორ ფიქრობთ, საერთაშორისო სავალუტო ფონდის მხარდაჭერა მომავალშიც გაგრძელდება?

– საერთაშორისო სავალუტო ფონდი გააგრძელებს პროგრამით გათვალისწინებული ძირითად, მიზნობრივი პარამეტრების და წინაპირობების შესრულების ყოველთვიურ კონტროლს. თუ ვიმუშავებთ და ჩვენს წილ ვალდებულებებს შევასრულებთ, ყოველნაირი მხარდაჭერა გვექნება.

ესაუბრა
ოთარ ხუციშვილი.

გვიპასუხებენ

მრეწველების დანაპირები ნამდვილად მიაღწევს დანიშნულებისამებრ

ლაგოდეხის რაიონის გამგებლის წერილი 17 მაისის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ კიდევ ერთხელ თვალნათლივ ადასტურებს, რამდენად აუცილებელი და გადაუდებელი საქმეა ადგილობრივი თვითმმართველობის კანონში რეალური ცვლილებების შეტანა, ბოლოს და ბოლოს, მერებისა და გამგებლების არჩევითობის საკითხის დადებითად გადაწყვეტა.

წესით, ნებისმიერი გამგებელი, ალბათ, თვითონვე უნდა ცდილობდეს, რაც შეიძლება მეტი კონკრეტული პიროვნება თუ პოლიტიკური ორგანიზაცია დაინტერესდეს მის რაიონში არსებული პრობლემებით, თვითონვე უნდა ეძებდეს თანამოაზრეებსა და მხარდამჭერებს ამ პრობლემათა მოსაგვარებლად და მხოლოდ უნდა უხაროდეს, თუკი ასეთი ხალხი გამოჩნდება. არადა, ხსენებულ წერილს აშკარად ეტყობა იმ კაცის გაღიზიანება, რომელსაც მრეწველთა ფრაქციის ჩასვლა ლაგოდეხის რაიონში უცხო, დაუპატიჟებელ სტუმართა უხეშ შეჭრად აღუქვია და შეიძლება იმის საფრთხეც უგრძვნია, რომ ამ სტუმრობის შთაბეჭდილებების გახმიანება პირადად მას მაინცდამაინც სახარბიელო შედეგს არ მოუტანდა. ლაგოდეხის რაიონის მოსახლეობასთან შეხვედრამ კი, მართლაც, საკმაოდ მძიმე შთაბეჭდილება დატოვა ჩვენზე. ყველაზე ნიშანდობლივი და სავალალო ის გახლავთ, რომ ადამიანებს იმდენად სტიქიური უბედურებებით გამოწვეული ზარალი არ უჩენს უიმედობას და მომავლის შიშს, რამდენადაც ადგილობრივ და, აქედან გამომდინარე, ზოგადად ხელისუფლებასთან, გაუცხოების გრძნობა, საკუთარი დაუცველობისა და იგნორირების განცდა.

ბატონ გოზალიშვილის წერილის კითხვისას შეიძლება კაცს მოგეჩვენოს, რომ ის (და მისი სხვა არაერთი კოლეგაც) ქვეყანაში არსებულ მდგომარეობას მხოლოდ ოფიციალური არხებიდან იცნობს და სრულებით არ აინტერესებს ხალხის აზრი, ვის თვალშიც მისი ავტორიტეტი კრიტიკულ ზღვარზე საკმაოდ დაბლაა დაცემული და ნდობაც ზუსტად აქამდე გაწეული საქმიანობის პირდაპირ პროპორციულია.

ამ „ოპერატიული“ წერილის მთელი პათოსი საკუთარი მდგომარეობის შენარჩუნების, სწორედ რომ ქულების დაწერის და შავის თეთრად წარმოჩენის სურვილითაა ნაკარნახევი. მრეწველების დანაპირები 10 000 ლარი, ბევრია ეს, თუ ცოტა, ნამდვილად მიაღწევს დანიშნულებისამებრ და ნამდვილად მოხმარდება ლაგოდეხის რაიონის სოფლების საჭიროებას. რაც შეეხება წერილში მოხმობილი მარადსამომავლო და მარადპერსპექტიული დახმარებებისა და ღონისძიებების გრძელ ჩამონათვალს, მათი რეალურობის ალბათობა ძნელი გამოსაცნობი არ უნდა იყოს.

საერთოდ, იმ მიზეზებისა და მიზნების ძიებას, თუ ვინ და რატომ ჩადის ამა თუ იმ რაიონში, აჯობებდა გამგებლებს ის გამოერკვიათ, რის გამო აღარ დაედგომება ხალხს თავის მიწა-წყალზე, რატომ გახდა მათი ყოველდღიური ყოფა ასე გაუსაძლისი და რატომ დაკარგა ფასი ხელისუფალთა დაპირებამ.

რაც შეეხება სიმართლის თქმას, მრეწველთა ფრაქციას ჯერ სხვა არაფერი უკეთებია, სწორედ ეს არის როგორც მისი პოპულარობის, ასევე, კრიტიკისა და დისკრედიტაციის მცდელობების მიზეზი და თუკი ვინმეს ეს სიმართლე არ სიამოვნებს და მეტისმეტად მწარედ ეჩვენება, ალბათ, პირადად მისთვის და ქვეყნისთვისაც აჯობებდა, პრობლემათა გადაჭრის სხვა, უფრო რეალურ და ეფექტიან გზებზე ეფიქრა.

პოლიტიკური მოძრაობა „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ პრესსამსახური.

სასამართლო რეფორმა

მოსამართლე ასწავლის მოსამართლეს

რეფორმატორთა უპირველესი საზრუნავი საქართველოში სტაბილური იურიდიული სისტემისა და მისი ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბებაა, რომელიც დემოკრატიული სახელმწიფოს საიმედო საყრდენი და ეკონომიკური განვითარების მტკიცე საფუძველი უნდა გახდეს. სწორედ რეფორმის მხარდაჭერას ისახავს მიზნად ტასისის პროექტი „მოსამართლეთა კვალიფიკაციის ამაღლება საქართველოში“ (ხელმძღვანელი რალფ იულიხი), რომელსაც ევროკავშირი აფინანსებს, ხოლო პრაქტიკულად სამოსამართლო სწავლების ცენტრი (დირექტორი დავით სააკაშვილი) ახორციელებს.

მსოფლიო ბანკის მიერ გამოყოფილი გრანტების მიზნობრივ ხარჯვას ადასტურებს საერთაშორისო სტანდარტების დონეზე კეთილმოწყობილი, ერთ დროს ძველი შენობა (უსახური ინტერიერით), სადაც განთავსებული იყო საბურთალოს რაიონის სასამართლო. მალე ლამაზი, ნათელი აუდიტორიები, საკონფერენციო დარბაზები, ქართული, რუსული და გერმანული სამართლის ძირითადი მასალებით, იურიდიული ლიტერატურით მდიდარი ბიბლიოთეკა მოსამართლეების, მათი თანაშემწეების, სასამართლო სხდომის მდივნებისა და სასამართლო აპარატის სხვა მოხელეთა საწყისი სწავლების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სამსახურში ჩადგება. სამოსამართლო სწავლების ცენტრის დირექტორს დავით სააკაშვილს განახლებული ოფისის პრეზენტაციამდე ვეწვიე.

– საქართველოს იუსტიციის საბჭო (მდივანი გია ქავთარაძე) და სამოსამართლო სწავლების ცენტრი სასამართლო რეფორმის დღევანდელ პრიორიტეტთაგან განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მოსამართლეთა და სასამართლოს მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლება-გადამზადებას. სამოსამართლო სწავლების ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაც სამოსამართლო სწავლების პოლიტიკის წარმართვა, მოწინავე ქვეყნების ანალოგიური ცენტრების გამოცდილების გაზიარება და სასწავლო პროექტების დასაფინანსებლად დონორ ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობაა. უკვე მოვამზადეთ შვიდი საერთაშორისო პროექტი, რაც მოსამართლეებისა და სასამართლო პერსონალის ევროპული სტანდარტებით სწავლებას ითვალისწინებს, შეიქმნა ამ სწავლებისათვის საჭირო მასალა. მართალია, უზენაესმა სასამართლომ უსასყიდლოდ გადმოგვცა გარკვეული ფართობი, მაგრამ სემინარებისა და შეხვედრებისათვის ქალაქში მაინც გვიწევდა კეთილმოწყობილი დარბაზების დაქირავება (როგორც ხედავთ, ეს პრობლემა მალე გადაიჭრება).

არსებობის ხანმოკლე მანძილზე უამრავჯერ მოვაწყვეთ დისკუსია, ჩავატარეთ ლექციები, სასამართლო პრაქტიკაში წამოჭრილ პრობლემებზე – თემატური სემინარები, სადაც ქართველ წამყვან იურისტებთან ერთად ამერიკელმა თუ ევროპელმა იურისტ-ექსპერტებმა თავიანთი გამოცდილება გაუზიარეს სამოსამართლო სწავლების ცენტრის მსმენელებს. განსაკუთრებით აღსანიშნავი იყო სემინარები სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა წერის კულტურის შესახებ, რომელსაც წინ უძღოდა გერმანელ ექსპერტთა მიერ ჩვენი სასამართლოების გადაწყვეტილებათა ფორმის გაცნობა, ხოლო შედეგი გახლდათ ქართველ მოსამართლეებთან ერთად ამ ფორმის დახვეწა.

ცენტრი ორგანიზებას უწევს მოსამართლეთა ვიზიტებს ამერიკასა და ევროპული ქვეყნების სასამართლოებში თანამედროვე მართლმსაჯულების სისტემის გასაცნობად. 50 მოსამართლემ და 4 თანაშემწემ უკვე გაიარეს აღნიშნული ტიპის სტაჟირებები. ახლადდანიშნული მოსამართლეებისთვის ტარდება ხუთკვირიანი კურსები, რაც მიზნად ისახავს მართლმსაჯულების განხორციელებისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების, საქართველოს კანონების სისტემურად და მეთოდურად გამოყენების, დამოუკიდებელი, მხოლოდ კანონზე დაფუძნებული, კარგად დასაბუთებული და ლოგიკური დასკვნების წერის შესწავლას, პროფესიული ეთიკის ნორმების დამკვიდრებას.

ცენტრმა უკვე მოამზადა 20-მდე მოსამართლე-მასწავლებელი. ისინი უშუალოდ წარმართავენ სწავლების პროცესს და ახალბედა კოლეგებს თავიანთ გამოცდილებას უზიარებენ. ეს მეთოდი ეფუძნება მთელ მსოფლიოში დანერგილ ძირითად პრინციპს – მოსამართლე ასწავლის მოსამართლეს. გამიზნული გვაქვს მოქმედ მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს შექმნა, რომლებიც სემინარების დაგეგმაში თვითონ მიიღებენ მონაწილეობას.

ერთი სიტყვით, სამოსამართლო სწავლების ცენტრის მესვეურთა მიზანია გაამართლონ ცენტრის არსებობა – იუსტიციის საბჭოსთან ერთად მხარი დაუჭიროს სასამართლო რეფორმას და აქტიური მონაწილეობა მიიღოს მის განხორციელებაში.

ლეილა კოშკაძე.

პარტიებსა და ფრაქციებში

დაპირებები ბევრი გვსმენია

ძნელი წარმოსადგენია, რომ ირინა სარიშვილი-ჭანტურია მშობლიური პარტიის იუბილეს მთლად კარგ ხასიათზე შეხვედროდა. საქმე ის არის, რომ მისი პარტიიდან მხოლოდ რიგითი წევრები კი არა, უკვე საკმაოდ „წონიანებიც“ გარბიან (თუნდაც ბესო ჯუღელი გავიხსენოთ). ედპ-ს აღდგენიდან ოცი წელი შეუსრულდა. პარტია 1981 წელს გია ჭანტურიამ „გააცოცხლა“.

– დაარსების დღიდან პარტიას არჩეული სტრატეგიისთვის არ უღალატნია და მემარჯვენე ცენტრისტულ პარტიად რჩება, თუმცა, ცხოვრების ყოველდღიურობიდან და მოთხოვნებიდან გამომდინარე, ტაქტიკა შევიცვალეთ და ვცდილობთ, პოლიტიკურ ცხოვრებას ფეხდაფეხ მივყვეთ, – აცხადებს ირინა სარიშვილი-ჭანტურია.

როგორც ჩანს, ტაქტიკა მისი პარტიის წევრებმაც შეიცვალეს. ედპ, ფაქტობრივად, იშლება. პარტიიდან წავიდა სარიშვილის მოადგილე და საარჩევნო შტაბის უფროსი გელა კვაჭანტირაძე. მან თურმე ედპ კარგა ხანია დატოვა, მაგრამ თვითონაც და მისმა ყოფილმა პარტიელებმაც კონფიდენციალობა შეინარჩუნეს. გელა კვაჭანტირაძე ამჟამად „მოქკავშირის“ პოლიტიკურ დეპარტამენტს ხელმძღვანელობს. კვაჭანტირაძე პარტიიდან წასვლის მიზეზად შიდაპარტიულ საქმეს ასახელებს და ამ თემაზე დაწვრილებით საუბარი არ სურს. მოკლედ, განმარტავს: იყო საკითხები, რომლებშიც ვერ შევთანხმდით.

– რეფორმატორებს რეალურად სურთ ქვეყანაში რაღაცის შეცვლა. ჩავთვალე, რომ ჩემი პრინციპებიდან გამომდინარე, ჩემი მომავალი საქმიანობა ამ გუნდისათვის დამეკავშირებინა, – აცხადებს ყოფილი ედპელი. „ღალატით“ განაწყენებულ ირინა სარიშვილ-ჭანტურიას ამ საკითხზე კომენტარი არ სურს.

გიორგი შენგელაიას „საქართველოს ვაზის პარტია რუსეთთან ერთად“ მეორეჯერ დაფუძნდა. მეორეჯერ, აბა, როგორ დაფუძნდებოდა, მაგრამ პატარა პროცედურული გაუგებრობა მოხდა. ორი თვის წინათ რუსთაველის თეატრში გამართული დამფუძნებელი ყრილობა იუსტიციის სამინისტრომ უფლებამოსილად არ სცნო და, ბუნებრივია, არც რეგისტრაციაში გაატარა. გაუგებრობა გამოსწორდა, ყრილობა კიდევ ერთხელ გაიმართა, თავმჯდომარეც კიდევ ერთხელ აირჩიეს, ისაუბრეს, გეგმები დასახეს და დაიშალნენ. პარტიის დამფუძნებლებს სიტყვაკაზმული ეპითეტები არ ენანებათ საკუთარი პარტიისათვის. ამბობენ, რომ ეს არის მწვანე პარტია, არა ეკოლოგიური, არამედ ჭეშმარიტად მწვანე გლეხური პარტია, ტრადიციონალისტური მიმართულების და ამავე დროს ზნეობრივიც: მიაჩნიათ, რომ ჭეშმარიტი გლეხურობის აღდგენა ზნეობრიობის აღდგენაცაა.

გიორგი შენგელაია ფერმერულ ბიზნესზე საუბრობს, რომელიც მისი თქმით, ქართულ ეკონომიკას დღეს ყველაზე მეტად წაადგება. პარტიის დასახელებაში რუსეთის მინიშნებას კი ასე ხსნის: – რუსეთი ჩრდილოეთის ქვეყანაა და ჩვენ, სამხრეთელებს, სწორედაც რომ ეს ჩრდილოური ბაზარი გვჭირდება. ჩვენს გვერდით რომ ბელგია ან ჰოლანდია იყოს, ამ გეოგრაფიულ ნიშნულს მივუთითებდით. ჩვენი სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია, უპირველესად, რუსეთს სჭირდება. კარგად ორგანიზებული სამიწათმოქმედო კოოპერატივები, ფერმები, შეძლებული გლეხები ხელშემწყობ ვითარებაში სარეალიზაციო ორგანიზაციებს თვითონვე შექმნიან და იმ მენეჯმენტსაც იოლად აითვისებენ, რითაც თანამედროვე ეკონომიკის „მცოდნენი“ ასე გვაშინებენო. ქართულ გლეხურ ბიზნესს თავისი ტრადიციული კულტურა აქვს და მჯერა, რომ ქართველი კაცი ბრძნულად გაართმევს თავს ამ საქმესო, – იმედიანადაა პარტიის თავმჯდომარე.

გიორგი შენგელაია ამბობს, რომ ის და მისი პარტია ქვეყანაში სიდუხჭირის უსწრაფესად დაძლევაზე იფიქრებენ. ასევე, იფიქრებენ ერზე, მის მარადიულ ზნეობრივ თუ სტრატეგიულ პრიორიტეტებზე, ჭეშმარიტად დემოკრატიული ფასეულობების აღორძინებაზე, ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებაზე, სოფლის მასტიმულირებელი საკანონმდებლო ბაზის შექმნაზე და ა. შ.

მოკლედ, დაპირებების ნუსხა საკმაოდ მოზრდილია. „საქართველოს ვაზის პარტია რუსეთთან ერთად“ გვპირდება, რომ ხელს შეუწყობს მცირე და საშუალო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების შექმნას, ხალხური მხატვრული საოჯახო რეწვის განვითარებას, მესაქონლეობის განვითარებას, ქართველი კაცის სიკეთესთან სელექციას.

მეტად კეთილშობილური მიზნებია, ვერაფერს იტყვი, ოღონდ დასაჯერებლად არის ძნელი. დაპირებები ბევრი გვსმენია, შესრულება რომ არ ჭირდეს. მაგრამ რაკი ასე იმედიანად ყოფილან, მოდით, ჩვენც მოთმინება ვიქონიოთ. ენახოთ, რას იზამენ.

საქართველოს სახალხო-პატრიოტული მოძრაობის ლიდერი პანტელეიმონ გიორგაძე კი ამ ბოლო დროს ბევრს მოგზაურობს. სად არ მიემგზავრება, პარტიულ შეკრებებზე თუ კონფერენციებზე. აგერ, ახლახან კომუნისტების მსოფლიო სემინარზე ბელგიაში იმყოფებოდა და იქ დამსწრე კომუნისტებს სტალინის საყოველთაო რეაბილიტაცია სთხოვა.

მსოფლიოს კომუნისტებთან დამეგობრებულ პანტელეიმონ გიორგაძეს შინაურებში არა აქვს საქმე კარგად. სულ შეხლა-შემოხლაშია. ამას წინათ საქართველოს ოფიცერთა კავშირის თავმჯდომარემ იური ნებიერიძემ მას ცრუ კომუნისტობაში დასდო ბრალი: პანტელეიმონ გიორგაძე კომუნისტი არ არის, მან თავის დროზე პარტიული ბილეთი გადააგდოო. გიორგაძემ გაიკვირვა, იური ნებიერიძის ოფიცრობა მე არ გამიგონია, ოფიცერთა კავშირიდან ვიღაც უჩინომ გენერალ პანტელეიმონ გიორგაძის გარიცხვა როგორ გაბედაო.

„მრეწველებმა“ გაჩერებული საწარმოების მუშები და ახლახან სეტყვით დაზარალებული კახეთის რეგიონის მოსახლეობა შეკრიბეს და მიტინგი გამართეს. მათ ხელისუფლება მრეწველებსა და ადგილობრივი მეწარმეების ინტერესთა იგნორირებაში დაადანაშაულეს. „მრეწველების“ მიტინგს სახალხო პარტიის ლიდერიც დაესწრო. – დღესდღეობით ჩვენი შეხედულებანი ერთმანეთს ემთხვევა და გადავწყვიტეთ „მრეწველებს“ მხარი დავუჭიროთო, – განაცხადა გიორგაძემ.

საქართველოს პარლამენტში კიდევ ერთი, რიგით მეთერთმეტე ფრაქცია შეიქმნა, სახელწოდებით – „ახალი აფხაზეთი და ქრისტიან-დემოკრატები“. ამბობენ, რომ ასეთი ტიპის გაერთიანების შექმნა მოულოდნელი იყო, როგორც საპარლამენტო უმრავლესობისათვის, ისე სხვა პოლიტიკური ძალების, თუ პოლიტოლოგებისათვის. ამ ფრაქციაში, ძირითადად, გაერთიანდნენ აფხაზეთიდან დევნილი ის დეპუტატები, რომლებმაც ფრაქცია „აფხაზეთი“ შარშან ამ ფრაქციის ლიდერთან გივი ლომინაძესთან კონფლიქტის შემდეგ დატოვეს. თავდაპირველად ითქვა, რომ ახალ ფრაქციას „ახალი აფხაზეთი“ დაერქმეოდა. საუბრობდნენ, რომ აფხაზეთის ახალი ფრაქცია აპირებდა, ხელისუფლებისაგან კატეგორიულად მოეთხოვა ომის დროს დაკარგული ქონების კომპენსაცია, რაც მათი თქმით, საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით უნდა განხორციელებულიყო. ვარაუდობდნენ, რომ ახალი ფრაქციის ძირითადი ორიენტირი მმართველი პარტია იქნებოდა. და უცებ სავსებით მოულოდნელად ახალი ფრაქცია ორიგინალური სახელწოდებით „ახალი აფხაზეთი – ქრისტიან-დემოკრატები“ საპარლამენტო ოპოზიციის რიგებს შეუერთდა. აფხაზეთის დეპუტატების გარდა ამ ფრაქციაში „აღორძინებიდან“ და „მოქკავშირიდანაც“ არიან. ფრაქციის თავმჯდომარეა ანზორ წოწონავა. ფრაქციის წევრები აღნიშნავენ, რომ მათ აფხაზეთის პრობლემის მოგვარების განსხვავებული ხედვები ამოძრავებთ.

მოგეხსენებათ, საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით ოპოზიციურმა ძალებმა პარლამენტში პრეზიდენტის მიერ წარდგენილ კანონპროექტს მხარი არ დაუჭირეს და ათასგვარი ულტიმატუმი წამოაყენეს. საპარლამენტო უმცირესობის ასეთ დამოკიდებულებას მმართველი პარტიის ლიდერებმა პოლიტიკური ვაჭრობა უწოდეს. სადღეისოდ ოპოზიციურ ძალებს თავიანთი წაკიდებით არ სურთ სხვისი შანსების გაძლიერება და კონსოლიდაციაზე მიდიან.

მზია გელენავა.

გვწერენ

მადლობა მასწავლებლებისადმი გამოჩენილი - ყურადღებისათვის

ძვირფასო რედაქცია, როგორც თქვენი გაზეთის მკითხველს, მომწონს რუბრიკა „გვწერენ“. იგი არცთუ იშვიათია „საქართველოს რესპუბლიკის“ ფურცლებზე. ჩემი სკოლის პედაგოგიური კოლექტივის სურვილია, თქვენი გაზეთის მეშვეობით, მადლიერება გამოვხატოთ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და მიხეილ წინამძღვრიშვილის სახელობის კარდიოლოგიის ინსტიტუტის მისამართით.

მოგეხსენებათ, დღეს რაოდენ საყურადღებოა მასწავლებლებისადმი გამოჩენილი ოდნავი მზრუნველობა. ახლახან საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს თაოსნობით მასწავლებლებსა და ადმინისტრაციულ პერსონალს კარდიოლოგიის ინსტიტუტის პროფილაქტიკური კარდიოლოგიის განყოფილების სპეციალისტთა ბრიგადამ პროფილირებული სამედიცინო შემოწმება ჩაგვიტარა.

პედაგოგთა სამედიცინო შემოწმებისას მაღალი პროფესიონალიზმი, ადამიანური ყურადღება და გულისხმიერება გამოიჩინეს ექიმებმა მარინე ფერაშვილმა, ბელა ბიძინაშვილმა, მედდამ ლილი გოგიამ და განყოფილების ხელმძღვანელმა, პროფესორმა ნანა ბურკაძემ.

მადლობა მათ ასეთი გულისხმიერი დამოკიდებულებისათვის, იმისათვის, რაც მათ მომავალი თაობის სწავლა-აღზრდაში დასაქმებულ განათლების მუშაკთა ჯანმრთელობისათვის გააკეთეს.

რომან მოსეშვილი,
თბილისის მე-11 საშუალო
სკოლის დირექტორი.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

სიტუაცია

ამ საკითხის განსჯა თქვენთვის მოგვინდია

სად წაიღო ან რაზე დახარჯა „ალსო ტრანსმა" „აზოტის" პროდუქციიდან მიღებული თანხა?

(პირველი გვერდიდან)

ჩვენ გვინდა, გავაგრძელოთ ინფორმაციის მიწოდება საქართველოს მოსახლეობისთვის, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის მუშაკებისთვის, რომლებსაც სასუქების დეფიციტის გამო უკვე შეექმნათ პრობლემები.

პატივცემულო მკითხველო, არ გეგონოთ სს „აზოტი" „ჩავარდნილი" საწარმოა, პირიქით. ბოლო ორ წელიწადში ქარხანაში 1998 წელთან შედარებით 200 პროცენტით გაიზარდა სასაქონლო პროდუქციის მოცულობა, მკვეთრად შემცირდა ზარალიანობა, სასუქების წარმოება 1998 წელთან შედარებით 1999 წელს – 157 ათასი ტონიდან – 275 ათას ტონამდე გაიზარდა, 2000 წლის 10 თვეში დამზადდა 285 ათას ტონამდე პროდუქცია. ამავე პერიოდში დღევანდელ ხელმძღვანელობას წინა წლების ხელფასების და სხვა სახის დავალიანებების დაფარვა მოუხდა. მარტო 1999 წელს მიმდინარე ხელფასებთან ერთად თითქმის რვა თვის ხელფასების დავალიანება გაიცა. სისტემატურად ვიხდიდით და ვიხდით საბიუჯეტო და სხვა სახის გადასახადებს.

ცოტა ხანიც რომ დაგვცლოდა, ამუშავდებოდა კაპროლაქტამის წარმოებაც.

ამ საწარმოს ტენდერზე გატანის მიზეზი სწორედ ეს წარმატებები გახდა.

როგორც ცნობილია, ტენდერის ერთადერთი მონაწილე „ალსო ტრანსი" იყო, მაგრამ როცა საკონკურსო კომისია დარწმუნდა, რომ „ალსო ტრანსი" არ წარმოადგენს იმ ორგანიზაციას, რომელიც შეძლებდა სს „აზოტის" პერსპექტიული განვითარების პროგრამის შესრულებას და უარი უთხრა მას საწარმოს მართვის უფლებებით გადაცემაზე, დაიწყო კიდეც ამ კომპანიის ბრძოლა სს „აზოტის" წინააღმდეგ.

ჩვენ, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" 8 მაისს ვუპასუხეთ „ალსო ტრანსის" პრესის მეშვეობით ორგანიზებულ შემოტევას, რომელიც, რატომღაც, მხარს უჭერს ჩვენს მიერ „დაჩაგრულ" კომპანიას, რომელმაც სს „აზოტიდან" 1999-2000 წელს 500 ათას ტონამდე ამონიუმის გვარჯილა და ასობით ტონა ციანმარილები გაიტანა. არ იფიქროთ, პატივცემულო მკითხველო, რომ „ალსო ტრანსი" სს „აზოტის" ბედით არის შეწუხებული, რომ აქ მართლა მისი კუთვნილი ქონება იძარცვება. „ალსო ტრანსმა" 2 წელიწადში ქარხნიდან 36 მილიონამდე დოლარის ღირებულების პროდუქცია გაიტანა, მაგრამ, არავინ იცის, სად და რამდენად გაყიდა. ამის გასაიდუმლოება თურმე მისი „უფლებები" ყოფილა. იგი არ იხდიდა მოწოდებული გაზის ღირებულებას, ამიტომაც ბოლო 2 წელიწადში „იტერას" მიმართ 11 მილიონ აშშ დოლარზე მეტი ვალი დაუგროვდა. არ გადაგვიხადა ელენერგიის დავალიანება, რომლის ექსკლუზიური უფლება მხოლოდ მას ჰქონდა, ამის გამო 2000 წლის ნოემბერში წარმოებას გაზისა და ელექტროენერგიის მიწოდება შეუწყდა და იგი იძულებით ხანგრძლივი პერიოდით გაჩერდა.

„ალსო ტრანსმა" მოიპოვა კაპროლაქტამის წარმოების გაშვების ექსკლუზიური უფლებაც, მათ ჩვენგან გატანილი ქონებით შეიძინეს ამ წარმოებისათვის საჭირო მოწყობილობების და მასალების გარკვეული ნაწილი, მაგრამ ვერ შეძლეს ბოლომდე დაკომპლექტება, რის გამოც მათი მიზეზით ჩაიშალა კაპროლაქტამის გაშვება, რითაც უდიდესი ზარალი მიაყენა საწარმოს. ახლა ცდილობს ყველაფერი ჩვენ გადმოგვაბრალოს, რომ თურმე არ გვსურს კაპროლაქტამის გაშვება, ვიპარავთ იმ აუცილებელ კატალიზატორებს, რომელთა გარეშე წარმოების ამუშავება შეუძლებელია და ვძარცვავთ სხვის ქონებას, რამიც საზოგადოების და ხელმძღვანელობის ნაწილი დააჯერა. ეს ყოველივე აბსურდია და რეალობასაა მოკლებული.

მივყვეთ გაზეთების „საქართველოს რესპუბლიკის" და „ალიას" ფურცლებზე გამოქვეყნებულ ინფორმაციებს, რომელსაც ავრცელებს „ალსო ტრანსის" გაურკვეველი თანამდებობის პირი ბატონი ნ. ჩიხლაძე (რომელიც გაზეთ „რეზონანსში" გენერალური დირექტორის მოადგილეა, „ახალ თაობაში" „ალსო ტრანსის" გენერალური მდივნის მოადგილე, ხოლო „საქართველოს რესპუბლიკაში" იმავდროულად დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე და გენერალური დირექტორის მოადგილეა.

იგი მართლაც მუშაობს ამ კომპანიაში, რომელიც საქართველოში სამი სახელით მოქმედებს. (ე. წ. ლონდონის „ალსო ტრანს ინტერნეიშნლ ლტდ" გენერალური დირექტორი ბატონი ი. მამუკაშვილი, თბილისში რეგისტრირებული შპს „ალსო ტრანს ინტერნეიშნლად", დირექტორი ბატონი დ. ზისკინდი, მათი სატელიტი საბროკერო შპს „ექსი"-ად, დირექტორი ბატონი ო. ხუციშვილი). მოკლედ ეს დიდი ჯგუფია, რომელიც ყველა გზით ცდილობს ჩირქი მოსცხოს საწარმოსა და მის ხელმძღვანელობას, რომელთა „მოთვინიერება" ვერ შეძლო და ითხოვს მათ მოხსნას, რომლის შემდეგ ყველაფერი რიგზე დადგება, შეწყდება ქურდობა და მათი ხელმძღვანელობით აყვავდება საწარმო.



მივყვეთ სტატიაში გამოქვეყნებულ ფაქტებს:

სს „აზოტიდან" 7 მაისს გაიტაცეს ციანმარილების წარმოებისათვის საჭირო 8 ცალი, საშუალოდ 620,8 გრამიანი 600 მმ დიამეტრის ბადე, რომლის საერთო წონა 4966,3 გრამამდეა და არა 32 კილოგრამი, რის შესახებაც, ჩვენ მაშინვე შევატყობინეთ სამართალდამცავ ორგანოებს და უშიშროების სამსახურს. ამჟამად მიმდინარეობს გამოძიება. ალბათ, შეეშალა ბატონ ნ. ჩიხლაძეს, მათი კუთვნილი ამ რაოდენობის პლატინის ბადე (6 ცალი დიამეტრით 2,900 მმ), შარშან ოქტომბრიდან ჯერჯერობით საბაჟო ტერმინალშია, ფირმა „კარგო სერვისის" საწყობში. ეს ბადეები გათვალისწინებული იყო კაპროლაქტამის წარმოების გასაშვებად, რომელიც თავის დროზე არ შემოიტანა, რის გამოც ფერხდებოდა კაპროლაქტამის წარმოების გაშვება.

სს „აზოტს" მეტი საფუძველი აქვს იფიქროს, რომ საწარმოდან 8 ბადის გატაცების ორგანიზება წარმოების მუშაობის ხელის შესაშლელად შეიძლება თავად „ალსო ტრანსის" მესვეურების მიერ იყოს მოწყობილი, რომელიც წლევანდელი 23 მარტიდან საკუთარი ძალებით მუშაობს, უშვებს ამონიუმის გვარჯილას, ციანმარილებს, რაც მათ ხელს აშკარად არ აძლევთ, რადგან ყველას არწმუნებენ, რომ მათ გარეშე ქარხანას მუშაობა არ შეუძლია.

სს „აზოტში" არსებული თითქოსდა „ალსო ტრანსის" ქონების კუთვნილების საკითხი ჯერ კიდევ გასარკვევია, რადგან არ არის დამთავრებული 2000 წლის და 2001 წლის I კვარტალის შედარების აქტების შედგენა. არსებობს სს „აზოტის" სარჩელები „ალსო ტრანსის" მიმართ, რომელსაც სასამართლოს 2 მარტის განჩინებით აკრძალული აქვს სს „აზოტიდან" რაიმე ქონების გატანა, მიყენებული ზარალის ანაზღაურებაზე. ამავე ქონებაზე პრეტენზია აქვს კომპანია „იტერასაც", რომლის მიმართ „ალსო ტრანსს" 28 მილიონი დოლარის დავალიანება წარმოექმნა. საქმე იხილება რუსეთის ფედერაციის საარბიტრაჟო და სტოკჰოლმის სასამართლოებში, ამიტომ სს „აზოტი" ვერ მისცემს უფლებას „ალსო ტრანსს" გაიტანოს ქონება, რისი უფლებაც საოლქო სასამართლოს 2 მარტის განჩინებით არ აქვს, ამ საკითხების გადაწყვეტაში ვერც ქონების მართვის სამინისტრო ჩაერევა.

სს „აზოტში" ელექტროკაბელის მოპარვის მცდელობის დროს, მართლაც, დაიღუპა ადამიანი, რაც სამწუხარო ფაქტია, მაგრამ გასაკვირი არ არის, რადგან ეს პრობლემა მთელ ქვეყანაში არსებობს, ფერადი ლითონების ჯართის დამზადების და გატანის საკითხი თუ სახელმწიფომ არ დაარეგულირა, მალე საქართველოში აღარც ალუმინი დარჩება (სპილენძი უკვე გატანილია) აღარც სხვა ლითონი. ამჟამად უბედურ შემთხვევაზე მიმდინარეობს მოკვლევა და ფაქტს მიეცემა სამართლებრივი შეფასება.

რაც შეეხება პლატინის ბადეების მოპარვას. ნუთუ საინტერესო არ არის ის გარემოება, რომ ქარხნის ადმინისტრაციას ფაქტის შესახებ მოხსენდა დაახლოებით 14 საათსა 30 წუთზე, პოლიციას და უშიშროებას ინფორმაცია გაეგზავნათ 15 საათისათვის, ხოლო „რუსთავი-2"-ის საინფორმაციო გამოშვება (რომლის მომზადება-ჩაწერასაც გარკვეული დრო სჭირდება) ზუსტად იმავე დროს ავრცელებს ამ ინფორმაციას?!

იმედია, სამართალდამცავი სტრუქტურები უმოკლეს ვადაში შეძლებენ ამ ფაქტის გახსნას და ყველაფერს ფარდა აეხდება, თუ ვინ იყო ორგანიზატორი ან ვისი მითითებით მოხდა დატაცება.

ძვირფასი ლითონების შესყიდვის და გაყიდვის ბაზარს საკმაოდ კარგად იცნობს „ალსო ტრანსი", რომელსაც გერმანიის ფირმა „ჰერეუსთან" გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულება. იქ დაამზადეს კიდეც ასეთი სახის ბადეები, რომელიც შემოტანილია და საბაჟო ტერმინალში ინახება, რადგან ვერ შეძლეს განბაჟება.

არავითარი სისხლის სამართლის საქმე სს „აზოტის" ხელმძღვანელობის მიმართ არ არის აღძრული. გამოძიებები კი მიმდინარეობს მათი საჩივრების საფუძველზე. სს „აზოტს" 2000 წლის ნოემბრიდან ამოწმებს კახეთისა და ქვემო ქართლის კონტროლის პალატა, საგადასახადო ინსპექცია, ახლა მათ დაემატა პროკურატურაც.

ტყუილია ისიც, თითქოს ქვემო ქართლის პროკურატურას აქვს შემოწმებული ვერსია, რომ 32 კგ პლატინის ქურდობის ორგანიზაცია სს „აზოტის" ხელმძღვანელების მიერ არის ორგანიზებული, მიმდინარეობს გამოძიება 5 კილოგრამამდე პლატინის ბადეების გატაცებაზე, რომელიც არ დამთავრებულა. მათ შეიძლება ჰქონდეთ ვერსიები, რომელთა საფუძველზე ბრალდების წაყენება (ძიების დამთავრებამდე) კანონის უხეში დარღვევაა.

ასეთი ვერსია მათ მიაწოდეს ქვემო ქართლის მხარის ხელმძღვანელობას, რომელმაც განავრცო იგი იმ მოტივით, რომ თითქოსდა კონტროლის პალატა შევიდა შესამოწმებლად და დანაკლისის დაფარვის მიზნით მოეწყო გატაცების იმიტაცია.

კონტროლის პალატა ქარხანაში შემოვიდა 2000 წლის ნოემბერში. არსებობს ბრძანება ინვენტარიზაციის ჩატარების შესახებ, ამიტომ მაისამდე საკმაო დრო ჰქონდათ, შეემოწმებინათ ყველა სახის მატერიალური ფასეულობები, პირველ რიგში, ძვირფასი ლითონების მარაგები, რაც მათ დოკუმენტურად შეამოწმეს კიდეც.

არც ის ინფორმაციაა სწორი, რომ პლატინის ბადეები არ ინახებოდა სპეციალურად მოწყობილ და სიგნალიზაციით დაცულ საცავში (ე. წ. სარკოფაგში), რომელშიც შესვლა სპეციალური ტექნიკური საშუალებების გარეშე შეუძლებელია, აქ ათეული წლების განმავლობაში ინახება ძვირფასი ლითონების კატალიზატორები და არ დაკარგულა.

დიახ, მძარცველებმა იცოდნენ, სად ინახებოდა ეს ბადეები, იცოდნენ რა გზით შეიძლებოდა იქ შეღწევა. ჰყავდათ ხელშემწყობიც. ყოველივე ეს კი, გამოძიების დასადგენია.

გასაკვირია, იმ ფონზე რომ ქვეყანაში, მძიმე სოციალური ყოფიდან გამომდინარე, მრავალი წარმოება-დაწესებულება გაიძარცვა და დღესაც იძარცვება (კონკრეტიკისაგან თავს შევიკავებთ, რადგან ყველასათვის ყველაფერი ცნობილია), სს „აზოტში" ჯერ კიდევ შენარჩუნებულია ძირითადი ტექნიკური პოტენციალი და წარმოება მუშაობს.

კომპანია „ალსო ტრანსის" შეშფოთება მათი კუთვნილი ქონების დაცვაზე, მხოლოდ იმ მოტივით არის გამოწვეული, რომ უნდათ ხელმძღვანელობის წინასწარ დადანაშაულება, რომელმაც მხარი არ დაუჭირა მათ ქმედებებს, რომ თურმე „აზოტი", ხელმძღვანელობამ დანგრევის პირას მიიყვანა, მაშინ როცა 2 წლის განმავლობაში აღმავლობით მუშაობდა იმავე დირექციის ხელმძღვანელობით. სს „აზოტის" დანგრევის პირას მიყვანა „ალსო ტრანსის" მცდელობაა, რომელმაც ენერგორესურსების მომწოდებლებთან შეგნებულად დააგროვა ვალები, ნოემბერში გააჩერა ქარხანა და შემდეგ სატენდერო კომისიას ეფიცებოდა, რომ თუ მართვის უფლებას გადმოგვცემთ, ჩვენ ავაყვავებთ საწარმოსო. მათთვის ხელსაყრელი იყო კომისიათვის სს „აზოტი" გაკოტრებულად წარედგინათ. პირობასაც დებდნენ, რომ 500 ათასი დოლარის ნაცვლად გადაიხდიდნენ 1 მილიონ დოლარს, მაშინ როცა „აზოტის" რეალური ქონება 250 მილიონი დოლარია. ამას აპირებდნენ არა ინვესტიციის, არამედ რეინვესტიციის გზით, გატანილი პროდუქციის ხარჯზე. მაგალითისათვის ისიც კმარა, რომ სს „აზოტში", სწორედ ჩვენგან გატანილი პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული სახსრებით შემოიტანეს გარკვეული მასალები და ნედლეული, რომელთა უდიდესი ნაწილი განუბაჟებელია, რითაც დაარღვიეს არსებული ხელშეკრულებები, ვერ დაამთავრეს დაწყებული სამუშაოები ჯერ კიდევ კონფლიქტის დაწყებამდე (პირველ მარტამდე), რითაც უდიდესი ზარალი მიაყენეს საწარმოს.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ „ალსო ტრანსი" დღეს „იტერასაც" ებრძვის, არადა, იგი სწორედ „იტერას" გაზის ხარჯზე მუშაობდა ჩვენთან, რომლის მიმართაც 28 მილიონი დოლარის ვალი აქვს გადასახდელი. დღეს „იტერას" აღარ სურს ასეთი შუამავლი ფირმის არსებობა და უარს ეუბნება გაზის მიწოდებაზე და სს „აზოტი" ძირითადი ნედლეულის გარეშე დარჩა.

ამიტომაც დავიწყეთ ახალი ბუნებრივი გაზის მომწოდებლის ძიება. დღესდღეობით ასეთი ერთადერთი მომწოდებელი კვლავ „იტერაა". ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, „იტერა" 150000 კილომეტრი გაზსადენის მფლობელია, რომელსაც ემსახურება 350000 თანამშრომელი. ეს ის საკვანძო კომპანიაა, რომელიც გავლენას ახდენს მთელ ევროპაზე. იგი ამჟამად ფლობს 130 საწარმოს, მათ შორისაა მეტალურგიული, ქიმიური ქარხნები და კომბინატები.

მკითხველს რომ შთაბეჭდილება შეექმნას, თუ რა მძლავრ კომპანიასთან გვაქვს საქმე, მოვიყვანთ ერთ მაგალითს. დსთ-ს ქვეყნებს 1999 წელს „იტერამ" 40 მლრდ კუბურ მეტრამდე, ხოლო 2000 წელს 55 მლრდ კუბურ მეტრამდე გაზი მიაწოდა. სწორედ ამიტომ, ყოველგვარი შუამავალი ფირმის გარეშე დავაყენეთ საკითხი „იტერასთან" თანამშრომლობაზე.

არც ერთი ხელშეკრულება „ალსო ტრანსთან" (4 ძირითადი) არ გაუქმებულა, მხარეებს აქვთ ვალდებულებები, ამიტომ გაარკვიოს სასამართლომ, ვინ დაარღვია ისინი და მაშინ გამოჩნდება ბრალეული მხარე, გაირკვეს, სად წაიღო და რაზე დახარჯა „ალსო ტრანსმა" აზოტიდან გატანილი პროდუქციიდან მიღებული თანხა, იხდიდა თუ არა გადასახადებს ბიუჯეტში.

ამიტომ, ძვირფასო მკითხველო, ნუ დაუჯერებთ „ალსო ტრანსს", ნურც მათ მესვეურებს, რომ „აზოტის" ხელმძღვანელობა საკუთარ საწარმოს ძარცვავს.

სს „აზოტში", როგორც ყველა მოქმედ საწარმოში არსებული კანონმდებლობის, საერთო კრიმინოგენული სიტუაციის, კორუფციის პირობებში შეიძლება იყოს დარღვევები და ქურდობის ფაქტები, რისი გამოსწორებაც შეიძლება, მაგრამ ჩვენ ასეთ „ინვესტორს" სს „აზოტს" ხელში არ ჩავაგდებინებთ, რადგან ამ შემთხვევაში ისეთივე ბედი მოელის, როგორც მეტალურგიულ კომბინატს, რუსთავის „ქიმბოჭკოს", ათეულობით გაჩერებულ საწარმოს. ეს ქარხანაც რომ გაჩერდეს, რა მოელის ქალაქს? დაემატება 3500 უმუშევარი, მასთან დაკავშირებულ ინფრასტრუქტურაში მომუშავე სხვა პერსონალი.

ამიტომ, გირჩევთ ნუ შეუწყობთ ხელს მისი გაჩერებისა და გაძარცვის მცდელობას, რაც გარედან ხდება. სს „აზოტს" ისედაც მწვავე პრობლემები აქვს, გადასაწყვეტი გაზის და ელექტროენერგიის მოწოდების აღდგენის, წარმოების სრული ციკლით ამუშავებისა თუ მოდერნიზაციის მხრივ.

საკითხავი კი ის არის, რატომ არ შეასრულა „ალსო ტრანსმა" თავისი ვალდებულებები, არსებული ხელშეკრულებებით, რომლებიც ჯერ გაუქმებული არ არის. რატომ არის აუცილებელი მაინცდამაინც მათთვის საწარმოოს მართვის უფლებით გადაცემა, რატომ არ უშლიდა ხელს წარმოების ხელმძღვანელობა 1999 წელს და 2000 წლის 10 თვეში? და როცა მან ხმა აიმაღლა მათი ქმედებების წინააღმდეგ, რომელიც 2000 წლის ბოლოს გამოიკვეთა, მაშინღა გახდა „აზოტის" ხელმძღვანელობა მათთვის მიუღებელი?!

ამ საკითხების განსჯა თქვენთვის მოგვინდვია.

გიორგი გოგოლაძე,
სააქციო საზოგადოება „აზოტის" გენერალური დირექტორი.

ანანი გმობს ისრაელის მოქმედებას

გაეროს გენერალურმა მდივანმა კოფი ანანმა „დიდი შეშფოთება გამოთქვა ნეთანიანში მოწყობილ ტერორისტულ აქტზე ისრაელის არაპროპორციული პასუხის გამო“. გაერთიანებული ერების შტაბბინაში გამოსვლისას მან ერთხელ კიდევ განაცხადა, რომ გმობს ტერორიზმის ყოველგვარ გამოვლინებას.

ამავე დროს, ანანმა „მეტისმეტი და მცდარად მიმართული“ უწოდა ისრაელთა მოქმედებას. ყოველივე ის, რაც მოხდა, „მხოლოდ და მხოლოდ გარდაუვალად ზრდის პალესტინელთა განჯვა-ვებას“, დასძინა მან და მოუწოდა პალესტინელთა და ისრაელის ხელმძღვანელობას, გამოიჩინონ თავშეკავება და სახელმწიფოებრივი სიბრძნე. „დღეს თითოეულ ადამიანს უნდა ესმოდეს, რომ ახლანდელ კონფლიქტს ვერ ექნება სამხედრო გადაწყვეტა და ამ სიტუაციიდან ერთადერთი გამოსავალია ძალადობის შეწყვეტა და მოლაპარაკების განახლება გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივმოქმედი რეზოლუციების საფუძველზე ყოვლისმომცველი სამშვიდობო შეთანხმების დასადებად“, – ხაზი გაუსვა კოფი ანანმა.





ისრაელის ავიაციის მასირებული დაბომბვისა და რაკეტების დაშენის შედეგად, რაც სამხედრო კატარღებიდან მოეწყო ნაბლუსის, ტულკარამის, რამალაჰის და ღაზის სექტორის რაიონებზე, დაიღუპა სულ ცოტა 10 კაცი და დაიჭრა 100-ზე მეტი ადამიანი. ეს განაცხადა პალესტინელთა ღაზის ეროვნულ ადმინისტრაციაში აკრედიტებული დიპლომატიური მისიების წარმომადგენლებთან შეხვედრაზე იასირ არაფატმა.

ინტიფადის მანძილზე პირველად მოხდა, რომ ისრაელმა გამოიყენა **F-16** სამხედრო თვითმფრინავები, რათა დარტყმები მიეყენებინა პალესტინელთა საპრეზიდენტო გვარდიის, პოლიციის დისლოკაციის ადგილებზე, აგრეთვე ეროვნული ადმინისტრაციისა და უშიშროების სამსახურების შენობებზე.

საინფორმაციო მოზაიკა

BBC, CNN, საქინფორმი.

სამიტი 16 ივნისს გაიმართება

რუსეთის და ამერიკის მხარეები შეუდგნენ ჯორჯ ბუშისა და ვლადიმერ პუტინის პირველი შეხვედრის სამზადისს. სამიტის თარიღი, რომელიც 16 ივნისს გაიმართება სლოვენიაში, ლუბლიანაში, გამოცხადდა სახელმწიფო მდივნის კოლინ პაუელისა და მინისტრ იგორ ივანოვის სამი შეხვედრის შემდეგ. მოლაპარაკების ერთ-ერთი თემა იქნება ამერიკელთა რაკეტსაწინაღო სისტემის შექმნა და მისი შესაძლო შედეგები. კოლინ პაუელმა ხაზი გაუსვა, რომ თუ მოლაპარაკების შედეგად შეთანხმებას ვერ მიაღწევენ, შეერთებული შტატები, ბოლოს და ბოლოს, თავისი ინტერესების შესაბამისად იმოქმედებს.

მსჯავრი – მრავალცოლიანობისათვის

შეერთებულ შტატებში უკანასკნელი 50 წლის მანძილზე პირველად ცნეს მრავალცოლიანობაში ბრალეულად კაცი, რომელიც მორმონთა სექტას ეკუთვნის. ტომ გრინი, რომელსაც ხუთი ცოლი და 29 შვილი ჰყავდა, იუტას შტატში გაასამართლეს. სასამართლოში მან განაცხადა, რომ თავის თავს ცოლიანად თვლის სიტყვის სულიერი მნიშვნელობით. მაგრამ პროკურორმა განაცხადა, რომ განსასჯელი ტელევიზიით გამოდიოდა პოლიგამიური ურთიერთობის დასაცავად. ტომ გრინს 25 წლის პატიმრობა ემუქრება. იუტის შტატში გაჩენილი მორმონთა ეკლესია თავდაპირველად ქადაგებდა პოლიგამიურ ქორწინებებს, მაგრამ შემდეგ ისინი აიკრძალა.

სამარანჩი. შვილი სამარანჩისა

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის – სოკ-ის პრეზიდენტმა ხუან ანტონიო სამარანჩმა უარყო ნეპოტიზმის ბრალდება იმის გამო, რომ საკუთარი შვილის კანდიდატურა კომიტეტის წევრად წამოაყენა. ისე კი, სამარანჩის თქმით, მისი ვაჟი ღირსია სოკ-ის წევრობისა, ვინაიდან აქვს პროფესიული გამოცდილება, რომელიც თანამედროვე ხუთჭიდის ფედერაციაში 25 წლის წევრობის შედეგად შეიძინა. სოკ-ის პრეზიდენტმა დაასახელა აგრეთვე სხვა შემთხვევების მაგალითები, როდესაც შვილები მამის კვალს მიჰყვებოდნენ და იკავებდნენ თანამდებობებს კომიტეტში.

კოვიჩი კოსოვოს გაყოფის მომხრეა

სერბეთის პრემიერ-მინისტრის მოადგილემ ნებოისა კოვიჩმა წინადადება წამოაყენა, გაჰყონ კოსოვო სერბულ და ალბანურ ნაწილებად. საერთაშორისო კონფერენციაზე გამოსვლისას კოვიჩმა განაცხადა, რომ ასეთი გადაწყვეტილება შეარიგებდა სერბების ისტორიულ უფლებებსა და ალბანელი უმრავლესობის ეთნიკურ უფლებებს.

რომის პაპს პარკინსონი სჭირს

რომის პაპს იოანე პავლე II-ს, რომელსაც 81 წელი შეუსრულდა, ექიმებმა საბოლოოდ დაუდგინეს პარკინსონის დაავადება. მათ ურჩიეს პონტიფექსს, დაისვენოს, მაგრამ თავად პაპი თვლის, რომ ჯანმრთელობა წესრიგში აქვს.

იოანე პავლე II მძიმედ იტანჯება, მაგრამ მიუხედავად ამისა, სულ ცოტა ხნის წინათ მაინც მოიარა ის ადგილები, სადაც პავლე მოციქული ყოფილა, – ეწვია საბერძნეთს, სირიას და მალტას.

ახლა, როდესაც პაპმა 80-ს გადააბიჯა, კარდინალთა პალატის წევრებს არ გააჩნიათ არავითარი იურიდიული უფლება პონტიფექსის გადაყენებისა – მათ ეს შეეძლოთ გაეკეთებინათ იქამდე, სანამ რომის კათოლიკური ეკლესიის მეთაურს 75 წელი შეუსრულდებოდა.

მედიკოსთა განცხადებების მიუხედავად, ვატიკანმა უარყო ყველა ცნობა, რომლებიც პონტიფექსის ჯანმრთელობის მდგომარეობას შეეხება.

ჩილეში გაუქმდა ცენზურა

პარასკევს ჩილეს პრეზიდენტმა რიკარდო ლაგოსმა დაამტკიცა ცენზურის გაუქმების კანონპროექტი, რომელიც ასევე ითვალისწინებს ქვეყანაში ადამიანის ძირითად უფლება-თავისუფლებათა არსებობას.

„პრესის კანონი“ ჩილეს კონგრესში განსახილველად შეიტანეს ჯერ კიდევ 1993 წელს და მხოლოდ ახლა, ყველა დეტალის შეთანხმების შემდეგ, შევიდა იგი ძალაში.

ახალმა კანონმა გააუქმა სიტყვის, აზრისა და თვითგამოხატვის თავისუფლების ყველა აკრძალვა, რომლებიც ჩილეს სამხედრო დიქტატორის აუგუსტო პინოჩეტის რეჟიმის დროს არსებობდა.

აშშ ცეცხლის შეწყვეტას მოითხოვს

სახელმწიფო მდივანმა კოლინ პაუელმა ისრაელებსა და პალესტინელებს მოუწოდა, დაზავება გამოაცხადონ ყოველგვარი წინასწარი პირობის დაუთქმელად.

მან განაცხადა, რომ ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოების ლიდერებმა, უწინარეს ყოვლისა, უნდა დაგმონ ძალადობის გამოყენება. პაუელმა, აგრეთვე, მოუწოდა მათ „ყველაფერი იღონონ, რათა კონტროლს დაუქვემდებარონ თავიანთი ვნებები“.

სულ რამდენიმე საათში მას შემდეგ, რაც პალესტინელმა თვითმკვლელმა ბომბი ააფეთქა ქალაქ ნეთანიას სავაჭრო ცენტრში, ისრაელის არმიამ დარტყმები მიაყენა სამიზნეებს ავტონომიის ტერიტორიაზე.

ისრაელი არ მალავს, რომ ეს იყო პასუხი ნეთანიას აფეთქებაზე. მსხვერპლი გაცილებით მეტი იქნებოდა სავაჭრო ცენტრის მცველს ეჭვი რომ არ აეღო და არ გადაეღობა გზა პალესტინელი კამიკაძისათვის, რომელიც მალაზიაში შესვლას ლამობდა. ეს იყო „ჰამასის“ წევრი, 20 წლის აჰმუდ აჰმედი.

ჰამასი აცხადებს, რომ ნეთანიის აფეთქება პასუხია პალესტინელი პოლიციელების ამასწინანდელ მკვლელობაზე, რომელიც ისრაელის არმიის ხელმძღვანელობამ ტრაგიკულ შეცდომად აღიარა.

საბრძოლო თვითმფრინავების გამოყენების გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ისრაელის მთავრობის წევრთა საგანგებო სხდომაზე. საერთაშორისო მიმომხილველები და პოლიტიკოსები ავიაციის გამოყენებას მიიჩნევენ იმის აშკარა ნიშნად, რომ დაიწყო შეიარაღებული დაპირისპირების ახალი ეტაპი. პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა მომხდარს უწოდა ძალადობის გადასვლა თვისებრივად ახალ დონეზე.

გაეროს წარმომადგენელმა ახლო აღმოსავლეთში ტერე რედლარსენმა თქვა, რომ ეს არის „უფსკრულის პირას ბალანსირება“.

ისრაელს მკაცრად აკრიტიკებს საერთაშორისო საზოგადოებრიობა, როგორც ებრაელთა სახელმწიფოს მოწინააღმდეგენი, ისე მოკავშირენი – ძალის მეტისმეტი გამოყენებისათვის.

თელ-ავივი ამტკიცებს, რომ სიტუაცია მოითხოვს მკაცრი ღონისძიებების მიღებას და მთელ პასუხისმგებლობას, კერძოდ, ნეთანიის აფეთქების მსხვერპლთა გამო აკისრებს პალესტინელთა ავტონომიის მთავრობას და პირადად იასირ არაფატს.

ინდოეთი: იპოვეს ახალი მაუგლი

ინდოეთის ორისის შტატის ჯუნგლში გლეხებმა, რომლებიც თოხის ტარის მასალას ამზადებდნენ, ხის ქვეშ აღმოაჩინეს მაიმუნის მსგავსი არსება. ადამიანთა დანახვისას ჯუნგლის მკვიდრმა გაქცევა სცადა, მაგრამ დაიჭირეს. როგორც აღმოჩნდა, ეს იყო 23 წლის სუდამი, რომელიც 11 წლის წინათ დაიკარგა ტყეში ფიჩხის შეგროვებისას. ნათესავებს იგი დაღუპული ეგონათ. „მაუგლის“ პოვნის ამბავი მთელ არე-მარეს მოედო. ხალხი მეზობელი სოფლებიდან მოდიოდა „ველური კაცის“ სანახავად. ეს ამბავი მივიდა სუდამის მამის ყურამდეც, რომელმაც აღიარა შვილი და თავისთან წაიყვანა. მშობლიურ სოფელს რომ მიუახლოვდა, ახალგაზრდამ იცნო თავისი სახლი და მისკენ გაექანა. ახლობელ-ნათესავებისაგან მან ჯერჯერობით მხოლოდ ბებია იცნო. „მაუგლი“ აბანავეს, მოაჭრეს გრძელი თმა, გაპარსეს წვერი, დააჭრეს ფრჩხილები და ასწავლეს ჩაცმა.



ჯერჯერობით სუდამი ვერ ლაპარაკობს და მხოლოდ ღმუილისმაგვარ ბგერებს გამოსცემს. ფსიქიატრების აზრით, არის იმედი, რომ მას აღუდგება მეტყველების უნარი და ამის შემდეგ შეძლებენ, გაიგონ, რა გადახდა ჯუნგლში.

ჩინეთი: ბავშვების გამტაცებელს – სიკვდილი

რვა დამნაშავეს მიესაჯა სიკვდილი ბავშვების გატაცებისა და გაყიდვისათვის ჩინეთის სამხედრო-დასავლეთის გუიჯოუს პროვინციაში.

ეს დანაშაულებრივი ჯგუფი 23 კაცის შემადგენლობით ორ წელიწადს მოქმედებდა პროვინციაში და გასაყიდად გაიტაცა 42 ჩვილი და 41 შედარებით უფროსი ასაკის ბავშვი.

დამნაშავენი ბავშვებს გუიჯოუში იპარავდნენ და შემდეგ სამხრეთ ჩინეთის გუანდუნის პროვინციაში ჰყიდდნენ.

ბანდის მეთაურმა ჩენ ციფუმ, რომელსაც დახვრეტა მიესაჯა, პირადად გაჰყიდა 27 ბავშვი. ხოლო ორ ქალს, რომლებიც დანაშაულებრივ დაჯგუფებაში შედიოდნენ და 28 ბავშვი ჰყავთ გაყიდული, ასევე მიესაჯათ სიკვდილი.



განსასჯელის სკამზე აღმოჩნდა გუიჯოუს ბანდის ყველა წევრი. 8 მთავარი დამნაშავის გარდა, რომლებსაც სიკვდილით დასჯიან, კიდევ სამ კაცს დაედო მსჯავრი – მიესაჯათ სამუდამო პატიმრობა. დაჯგუფების დანარჩენ წევრებს შეუფარდეს 6-დან 10 წლამდე პატიმრობა. ამავე დროს, სასამართლომ ყველა ბრალდებულს დააკისრა სხვადასხვაგვარი ფულადი ჯარიმები, რომელთა თანხა 20 ათასიდან 2 ათას იუანამდე (2400-დან 240 აშშ დოლარამდე) მერყეობს.

სრულყოფილი ბავშვები



მეცნიერებმა დაადასტურეს ის ცნობა, რომ გაჩნდნენ პირველი ბავშვები, რომლებსაც ხელოვნურად შეცვლილი გენები აქვთ. იუწყებიან, რომ ისინი ყველანი ჯანმრთელად გრძნობენ თავს.

მსოფლიოში ამჟამად არის მოდიფიცირებული გენების მქონე 30 ბავშვი. 15 მათგანი დაიბადა ექსპერიმენტების პროგრამის შედეგად, რომელიც ერთ-ერთ ამერიკულ ლაბორატორიაში განხორციელდა. ორი თითო წლის ბავშვის გენეტიკურმა ტესტებმა დაადასტურა, რომ მათ აქვთ გენები, რომლებიც მემკვიდრეობით არ მიუღიათ მშობლებისაგან.

ეს დამატებითი გენები აღებულია ჯანმრთელი დონორებისაგან, რათა დაორსულებულიყვნენ ამ ბავშვების დედები, რომლებიც აქამდე უნაყოფობად ითვლებოდნენ. ამის შედეგად შეიცვალა ბავშვების, და მაშასადამე, მათი შესაძლო შთამომავლობის გენეტიკური კოდი.



მეცნიერთა უმრავლესობა აკრიტიკებს ასეთ სამედიცინო ტექნოლოგიებს, ვინაიდან კაცობრიობამ ჯერ არ იცის გენეტიკური კოდის ხელოვნური შეცვლის შესაძლო შედეგები.

ასეთი ცდები აკრძალულია ბევრ ქვეყანაში, ხოლო აშშ მთავრობა უარს ეუბნება დაფინანსებაზე ნებისმიერ პროექტს, რომლის შედეგადაც შეიძლება, შეიცვალოს მემკვიდრეობით მიღებული გენები.

გენებმოდიფიცირებული ბავშვები გაჩნდნენ მას შემდეგ, რაც დონორის მიტოქონდრიები გადანერგეს დედის კვერცხუჯრედის ციტოპლაზმაში. ნიუ-ჯერსის რეპროდუქციული მედიცინისა და მეცნიერების ინსტიტუტის მკვლევარები იყენებენ ამ მეთოდს, რათა იპოვონ ქალის უნაყოფობის პრობლემის გადაწყვეტა.

როდესაც ბავშვების დაბადების შემდეგ მათი გენეტიკური ტესტი განახორციელეს, მეცნიერებმა დაადასტურეს, რომ ბავშვთა უჯრედები შეიცავენ ორი დედის მიტოქონდრიებს, და, მაშასადამე, გენებს. „ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც გენეტიკური კოდის შეცვლის შემდეგ გაჩნდნენ ნორმალური საღსალამათი ბავშვები“, – ნათქვამია ანგარიშში, რომელიც მკვლევარებმა გამოაქვეყნეს ჟურნალში „ჰიუმენ რეპროდაქშნი“.

მაგრამ ბრიტანელი მეცნიერები ექსპერიმენტის მკაცრი კრიტიკით გამოვიდნენ. ლორდმა უინსტონმა, უნაყოფობის მკურნალობის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა, ბი-ბი-სისადმი ინტერვიუში განაცხადა, რომ დიდად აეჭვებს გენეტიკური მოდიფიკაციების ეთიკურობა და ეფექტიანობა.

„არ არის იმის დამამტკიცებელი საბუთები, რომ ასეთი მეთოდებით უნაყოფობა განიკურნება. მე საერთოდ, გაოცებული ვარ, რომ ამგვარი ექსპერიმენტი დააყენეს ახლანდელ ეტაპზე. ეს ნამდვილად შეუძლებელი იქნებოდა ბრიტანეთში, – განაცხადა ლორდმა უინსტონმა და ხაზი გაუსვა, რომ გადატანილი დონორის გენების რიცხვის მიუხედავად, თვით პრინციპი ეთიკურად არ არის კორექტული, წერს დასასრულ დოქტორი **დევიდ უაიტჰაუსი, ბი-ბი-სის** სამეცნიერო მიმომხილველი.

მოხდება „ტიტანიკის“ მსხვერპლთა ექსჰუმაცია

აღმოსავლეთ კანადის ქალაქ ჰალიფაქსში სასამართლო ექსპერტები ემზადებიან „ტიტანიკის“ კატასტროფის დროს დაღუპული სამი ადამიანის ნეშტის ექსჰუმაციისათვის.

ლაინერი 89 წლის წინათ ჩაიძირა ჩრდილოეთ ატლანტიკის ცივ წყლებში. ამასთან, დაიღუპა ათას ხუთასი კაცი.

დნმ-ანალიზები, რომლებსაც პათოლოგები მოაწყობენ, შესაძლებელს გახდის, დადგინდეს იმ სამი დაღუპულის ვინაობა, რომლებიც დღეს მხოლოდ ნომრებით არიან ცნობილი.

„ტიტანიკის“ კატასტროფის მსხვერპლთა უმრავლესობა ვერ იპოვეს. მაგრამ 150 დაღუპულის ცხედარი ფსკერიდან ამოიღეს და დაკრძალეს ჰალიფაქსის სასაფლაოზე. მათგან 43-ის პიროვნების დადგენა ვერ მოხერხდა. მეცნიერები ანალიზს ჩაუტარებენ ქალის ნეშტს, რომელიც დაახლოებით 30 წლისა იქნებოდა, აგრეთვე, ახალგაზრდა კაცისა და ბავშვის ცხედარს.

სხეულთა ექსჰუმაცია და ანალიზი ითხოვა უცნობთა ჯგუფმა ჩრდილოეთ ამერიკიდან და ევროპიდან, რომლებიც ეჭვობენ, რომ სხეულები მათს ნათესავებს ეკუთვნის.

„ტიტანიკის“ უცნობი ბავშვი

როდესაც მეზღვაურებს ოკეანის ფსკერიდან დაღუპულთა სხეულები ამოჰქონდათ და ორი წლის ბავშვის ნეშტი იპოვეს, ისე დასწყდათ გული, რომ გადაწყვიტეს საკუთარი სახსრებით დაედგათ ძეგლი მის საფლავზე. ეტყობა, ბავშვი „ტიტანიკის“ მესამე კლასით მოგზაურობდა დედასთან ერთად, რომლის ნეშტი, როგორც ვარაუდობენ, ასევე ჰალიფაქსის სასაფლაოზეა დაკრძალული.



ზოგიერთი ექსპერტი ამ სამი სხეულის ექსჰუმაციის წინააღმდეგია, ვინაიდან შიშობს, რომ ახლა შეიძლება, მოითხოვონ ჰალიფაქსში დაკრძალულთა ყველა ნეშტის ექსჰუმაცია.

დნმ-ანალიზების შედეგები ექვსი თვის შემდეგ გაირკვევა, წერს დასასრულ **ლი კარტერი, ბი-ბი-სის** ტორონტოელი კორესპონდენტი.

ერ-რიადი გამტაცებლებს ჯერჯერობით ვერ ელევა

საუდის არაბეთი ჯერჯერობით უარს ამბობს ოფიციალურად უპასუხოს რუსეთის მოთხოვნას, გადასცეს მას გასასამართლებლად ის ორი კაცი, ვინც გაიტაცა „ვნუკოვოს ავიახაზების“ **ტუ-154** თვითმფრინავი, რომელიც სტამბოლ-მოსკოვის მარშრუტით მიფრინავდა.



რუსეთი მოითხოვს 19 წლის დენის მაგომადზაევის და 16 წლის იდრიხ არსაევის გადაცემას. მესამე გამტაცებელი, 42 წლის სუკიან არასაევი საუდელმა სპეცნაზელებმა მოკლეს მედინას აეროპორტში 16 მარტს თვითმფრინავის იერიშის დროს.

როგორც ცნობილი გახდა, საუდის სასამართლოს, რომელიც შარიათის კანონებით მოქმედებს, განზრახული აქვს, მაგომედზაევს მიუსაჯოს სიკვდილით დასჯა, ხოლო მისი თანამზრახველი – შეიწყალოს. სამეფოს კანონების თანახმად, ქვეყნის ტერიტორიაზე ჩადენილი დანაშაულობანი უნდა განიხილოს საუდის სასამართლომ, ხოლო მთელი რიგი დანაშაულობებისათვის, როგორიც არის, კერძოდ, ტერორიზმი, ნარკოტიკის კონტრაბანდა, მკვლელობა, შეიარაღებული ძარცვა, – სიკვდილით ისჯება.

რუსი დიპლომატები ამბობენ, რომ უკვე გადასცეს საუდის არაბეთს გამტაცებელთა ექსტრადიციისთვის საჭირო ყველა დოკუმენტი.

მაგრამ საუდელი ოფიციალური პირნი არ იძლევიან ერთგვაროვან პასუხს კითხვაზე, გადასცემენ თუ არა საბოლოოდ გამტაცებლებს.

თუ გამტაცებლები რუსეთის სასამართლოს წინაშე წარსდგებიან, მაშინ მათ სიკვდილით დასჯა, ალბათ, არ ემუქრება – რუსეთში სასჯელის ეს ღონისძიება ბოლო დროს არ გამოიყენება. მაგრამ იმაში, რომ განაჩენი ძალზე მკაცრი იქნება, ეჭვი არავის ეპარება. რუსეთსა და სსრ კავშირში ყოველთვის უაღრესად მკაცრი განაჩენი გამოჰქონდათ თვითმფრინავის გამტაცებლებისათვის.

შეგახსენებთ, რომ საუდის სპეცრაზმის მიერ „ვნუკოვოს ავიახაზების“ თვითმფრინავის იერიშის დროს დაიღუპნენ ერთ-ერთი გამტაცებელი, ბორტგამცილებელი ქალი და ერთი მგზავრი.

პაკისტანი წინააღმდეგია...

პაკისტანი აშშ რაკეტსაწინაღო თავდაცვის ეროვნული სისტემის შექმნის გეგმების წინააღმდეგია. ეს განაცხადა ყარაჩის ტელევიზიისადმი მიცემულ ინტერვიუში პაკისტანის საგარეო საქმეთა მინისტრმა აბდულ სათარმა.

მინისტრის თქმით, ისლამაბადის ადმინისტრაცია პრინციპულად არ ეთანხმება აშშ განზრახვას, ვინაიდან მის რეალიზაციას შეიძლება მოჰყვეს გამალებული შეიარაღების ახალი ეტაპი. „ჩვენ ვხელმძღვანელობთ იმ მტკიცე რწმენით, რომ უკანასკნელი 29 წლის მანძილზე არსებული სტატუსკვო აუცილებელია შევინარჩუნოთ“, – ხაზი გაუსვა მინისტრმა.

აბდულ სათარი არ დაეთანხმა მტკიცებებს, ვითომდა ისლამაბადი ვაშინგტონის კარნახით მოქმედებდეს. „პაკისტანის მთავრობა ატარებს საკუთარი ერის ინტერესების შესაბამის საგარეო პოლიტიკას“, – თქვა მან.

აქამდე ამერიკის რაკეტსაწინაღო სისტემის განლაგების გეგმებს ნეგატიური შეფასება მისცა პაკისტანის აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურმა, გენერალმა ფერვეზ მუშარაფმა. ვაშინგტონის რაკეტსაწინაღო თავდაცვის გეგმებთან დაკავშირებული კონსულტაციები მოიცავს მოლაპარაკებას იაპონიასთან, სამხრეთ კორეასთან, ინდოეთთან, ჩინეთთან და პაკისტანთან. ამ ქვეყნებში აფრინეს ემისართა დელეგაცია, რომელსაც სათავეში უდგას აშშ სახელმწიფო მდივნის პირველი მოადგილე რიჩარდ არმიტიჯი.

საინფორმაციო მოზაიკა

BBC, CNN, საქინფორმი.

აფეთქება კოლუმბიაში

შვიდი კაცი დაიღუპა და 140 დაიჭრა კოლუმბიის ქალაქ მედელინის ერთ-ერთ მოედანზე მდგომ ავტომობილში ჩადებული მძლავრი ბომბის აფეთქების შედეგად. ხელისუფალნი აცხადებენ, რომ დანამდვილებით იციან ბრალეულთა ვინაობა. მედელინის მერი ამბობს, რომ შესაძლოა, ბომბი ჩადეს ადგილობრივმა დანაშაულებრივმა დაჯგუფებებმა მათ წინააღმდეგ პოლიციის ღონისძიებათა გამკაცრების პასუხად.



შვეულმფრენების ავარია

ფილიპინში ორი შვეულმფრენის ავარიის შედეგად დაიღუპა სულ ცოტა 13 კაცი. კერძო შვეულმფრენი ჩამოვარდა ფალავენის კუნძულზე. შემთხვევის ადგილისაკენ გაემგზავრა სამხედრო შვეულმფრენი, რომელიც ასევე დაიმსხვრა. საგამოძიებო ჯგუფი ცდილობს, დაადგინოს ორი ავარიის მიზეზი.

ტაივანი ამერიკულ Patriot-ებს გაუშვებს

ტაივანის თავდაცვის მინისტრმა გამოაცხადა, რომ მომავალი თვის დამდეგს ამერიკული **Patriot** რაკეტების საცდელ გაშვებას მოაწყობს.

როგორც საინფორმაციო სააგენტო „რია-ნოვოსტი“ იუწყება, ეს გადაწყვეტილება მიიღეს მას შემდეგ, რაც ვაშინგტონმა ტაივანს მიჰყიდა უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე სამხედრო ტექნიკისა და შეიარაღების ყველაზე დიდი პარტია.

მინისტრმა ხაზი გაუსვა, რომ გამოცდა სასწავლო-საწვრთნელ ხასიათს ატარებს. მან, აგრეთვე, აღნიშნა, რომ ეს გამოცდა არ უკავშირდება ჩინეთთან ურთიერთობის გამწვავებას.



ჯერ კიდევ აპრილის ბოლოს ტაივანის სრუტეში გაიმართა დიდი საჩვენებელი წვრთნა, რომელშიც 4 ათასზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი მონაწილეობდა. ისინი ხვეწდნენ „ჩინეთიდან შესაძლო შეიარაღებული თავდასხმის“ მოგერიების ტაქტიკას.

ყოველივე ეს ხდება ჩინეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობის გაუარესების ფონზე, რამდენადაც ვაშინგტონი ჰყიდის იარაღს ტაიბეის და აღუთქვამს მხარდაჭერას იმ შემთხვევაში, თუ ჩინეთი გადაწყვეტს, ძალის გამოყენებით გადაჭრას ტაივანის საკითხი, რომელიც ოფიციალურად ჩინეთის ტერიტორიაა, მაგრამ, ფაქტობრივად, სრული დამოუკიდებლობით სარგებლობს.

უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით გვერდს უძღვება

არჩილ მანჯგალაძე.

პრობლემა

თავგადაპარსულთა სისხლიანი რეიდი

დარბევები მოსკოვში რეგულარულად მოხდება. ნეონაცისტების მიზანია დღეში თითო კავკასიელის, ებრაელისა და ზანგის მოკვლა

ადოლფ ჰიტლერის დაბადების 125 წლისთავი მოსკოვში აღინიშნა სქინჰედების (ინგლისური **skinhead**-დან – ძირში თმაგადაპარსული, თავგადაპარსული) აქტიურობის მომძლავრებით. ნეონაცისტური აქციის შედეგი – ქალაქის ცენტრში მოკლული ზანგი და დედაქალაქის ბაზრის დარბევა იასენევოში, სადაც აზერბაიჯანელი მოვაჭრეები და რუსი მუშტრები დაშავდნენ, თავგადაპარსულებმა რუსეთში პირველად აშკარად წარმოაჩინეს თავი, როგორც რეალურმა და დარაზმულმა ძალამ, თუმცა ფიურერის დაბადების დღეზე „საჩუქრებს“ ისინი ადრეც გვძლევნიდნენ.

1995 წლის 20 აპრილს, დილით, აფეთქდა ებრაული კულტურის ცენტრი იაროსლავლში, სამი საათის შემდეგ კურსკში ებრაელთა სასაფლაოზე ათობით ძეგლი დაინგრა. 1996 წლის 19 აპრილს, დილის 4 საათზე იაროსლავლში სინაგოგასთან აფეთქდა ტროტილის (იგივე ტრინიტროტოლუოლის, ძლიერი ფეთქებადი ნივთიერების – **მთარგმ.**) ჭურვი. დაზიანდა ბიბლიოთეკა და საქველმოქმედო სამსახური, 1988 წლის 20 აპრილს მოსკოველმა თავგადაპარსულებმა განაცხადეს, რომ დღეში ერთ ზანგს მოკლავდნენ. და შემდეგ მთელი თვის განმავლობაში სქინჰედები რეგულარულად სცემდნენ ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტის შავკანიან სტუდენტებს.

* * *

ვიდრე წლევანდელ მოვლენებს აღვწერდეთ, რემარკა გავაკეთოთ. მოსკოვის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოსა და რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები აღიარებენ სქინჰედთა კაგად ბალანსირებული, განტოტებული ორგანიზაციის არსებობას. კერძოდ, მოსკოვში დარბევების შემდეგ 2001 წლის აპრილის მილიციის კრებსები თავგადაპარსულებს აკვალიფიცირებს როგორც „აგრესიულად განწყობილი 100-მდე მოზარდის ჯგუფს“.

სამართალდამცავ ორგანოთა ოფიცრებს შეგვიძლია გავუგოთ – როგორც კი რომელიმე მათგანი რუსეთელ თავგადაპარსულთა არსებობას აღიარებს, უფროსობას გაუჩნდება კითხვები: როგორ გაჩნდნენ ნეოფაშისტები რუსეთში? რატომ გაჩნდნენ? როგორ მოხდა, რომ მასზე აქამდე არაფერი ვიცოდით? და თუ ვიცოდით, ზომები რატომ არ მივიღეთ?

წელს სქინჰედთა პირველი მსხვერპლი 19 წლის მაირბეკ ელესაევი გახდა. 19 აპრილს, 19 საათსა და 20 წუთზე მილიციაში შემოვიდა ინფორმაცია მანეჟის მოედანზე სავაჭრო კომპლექს „ოხოტნი რიადის“ შესასვლელთან დანით მიყენებული ჭრილობის შედეგად გარდაცვლილ მამაკაცზე. შემთხვევის ადგილზე მოსულმა მილიციის თანამშრომლებმა იქ ნახეს წარმოშობით ჩეჩნელი ელესაევის გვამი. მისი მეგობრები ამბობდნენ, რომ თავგადაპარსული ბიჭების ჯგუფი პროვოცირების გზით ცდილობდა ჩვენ ჩხუბში აგვყოლოდით, და ამ დროს რუსულ ლანძღვაგინებებს კავკასიელთა დამამცირებელი გამოთქმულით კმაზავდნენო. მაირბეკი ის იყო ორ თავგადაპარსულს უნდა გამოკიდებოდა, რომ ერთმა მათგანმა მას მუცელში დანა გაუყარა... მალე დააკავეს მკვლელობაში ეჭვმიტანილი მოსკოვის ახლოს, ივანტეევკაში მცხოვრები 16 წლის დმიტრი სტეპახინი, გამოძიების მსვლელობაში გაირკვა, რომ ჩეჩენი მოკლა მისმა ნაცნობმა, რომელიც მიიმალა, სამართალდამცავი ორგანოები ძალღონის დაუზოგავად ეძებენ მკვლელს.

იმავე დღეს, მაგრამ რამდენიმე საათით ადრე პოლიციამ ალკვეთა მასობრივი ჩხუბი პოკლონნაია გორაზე, სადაც თავს იყრიდნენ ნეოფაშისტები.

შუადღის ხუთი საათის პირველ წუთებში მილიციის პატრულმა მეტრო „კუტუზოვის“ სადგურთან შეამჩნია თავგადაპარსულთა დაჯგუფებები და იქითკენ დაუყოვნებლივ გაიგზავნა დასავლეთის ადმინისტრაციული ოკრუგის შინაგან საქმეთა სამმართველოს რეზერვები და მილიციის განსაკუთრებული დანიშნულების ჯგუფების დამატებითი ძალები, ისინი დროზე მოვიდნენ – ორმოცდაათამდე მთვრალი მოზარდი, რომლებიც ნეონაცისტურ ლოზუნგებს გაჰყვიროდნენ და ჰიტლერული მისალმების ყაიდაზე მაღლა იშვერდნენ ხელებს, ცდილობდა ტრიუმფალური თაღის ახლოს კუტუზოვის პროსპექტის გადაკვეთას, მუხრუჭები ღრჭიალებენ, სამთავრობო ტრასაზე ერთბაშად, სწრაფად წყდება მოძრაობა, გამვლელები პანიკურად მიმორბიან ტროტუარებზე.

ავარიული სიტუაცია სიმბოლურად დამთავრდა – ერთ-ერთი ბიჭი გაიტანა უცხოური მარკის ავტომანქანამ, რომლის მძღოლსაც გალეშილი ნეონაცისტის „იდეოლოგიური გრძნობები“ ფეხებზე ეკიდა. ის ბიჭი „მარცხენა ფეხის დაშავების“ დიაგნოზით ჰოსპიტალში მოათავსეს. დანარჩენი სქინჰედები კი, რომლებმაც გაქცევა ან ტრანსპორტის ქვეშ მოყოლა ვერ მოასწრეს, „დოროგომილოვოს“ შინაგან საქმეთა განყოფილებაში მიაბრძანეს.

მოსკოვ-სორტიროვოჩნაია – კიევსკაიას სადგურში სოლნცევოდან მოსული თავგადაპარსულთა მეორე დაჯგუფების დაკავება შედარებით უფათერაკოდ მოხერხდა. ამგვარად, პოკლონნაია გორაზე ჰიტლერის ხსოვნისთვის პატივის მიგების მსურველი 50 მცირეწლოვანი ნეონაცისტი მიიყვანეს, მათ ფოტო გადაუღეს, შემდეგ კი შინაგან საქმეთა განყოფილებაში მოსულ მათ მშობლებს ჩააბარეს.

* * *

მაგრამ მთავარი ქმედება წინ იყო. შაბათს, 21 აპრილს, 17 საათსა და 45 წუთზე მეტრო „იასენევოს“ სადგურს მარშით მოადგა 150-ზე მეტი სქინჰედი. ჯგუფებად დაყოფილი თავგადაპარსულები რეზინის ხელკეტებით შეიარაღებულ დაცვას დაუსხლტდნენ და ბაზრის ტერიტორიაზე შეიჭრნენ. ისინი გაჰყვიროდნენ „რუსეთი რუსებისთვის!“, მოვაჭრე აზერბაიჯანელებს ხელ-ფეხში ავლებდნენ ხელებს, აქეთ, იქით იქნევდნენ და ვიტრინებში, ისროდნენ მათ ხელში მოხვედრილ რუს მუშტრებს კი მუშტების რტყმევა-რტყმევით გვერდზე სწევდნენ. უდროო დროს და უადგილო ადგილის გადაყრილ რუს ქალს, რომელსაც ეტლში მწოლარე თოთო ბავშვი მოჰყავდა, ორჯერ ყელიანი ფეხსაცმელი დურთეს, მთელი აქცია ხუთ წუთსლა გაგრძელდა, რის შედეგადაც კარვების მეოთხედი ნაწილი განადგურდა, ბევრი გამყიდველი და მუშტარი დაიბეჯა და დაიჭრა.

მილიციელთა განწესებმა ორმოცდაათი ბოევიკის დაკავება შესძლეს, ისინი ძირითადად მოსკოვისა და პოდმოსკოვიეს სხვადასხვა გარეუბანში მცხოვრები 13-17 წლის მოზარდები იყვნენ, თავგადაპარსულთა წინამძღოლებს საქმე მისალოცადა აქვთ – ისინი არ დაშავებულან, რაკი მათ მათთვის სასურველი აქციის ჩატარება მცირეწლოვანთ დააკისრეს. კართოტეკაში შეტანის შემდეგ, ოღონდ ჟურნალ „რუსკი ხოზიაინის“ მთავარი რედაქტორის მოადგილის ანდრეი სემილეტნიკოვისა და მისი 16 წლის თანამოაზრე ანდრეი პოკუჩაევის გარდა, ყველანი გაუშვეს.

ჟურნალ „რუსკი ხოზიაინის“ მთავარმა რედაქტორმა ალექსანდრ ჩერეიაკოვმა „მეგაპოლის-ექსპრესის“ მიმომხილველს განუცხადა, რომ ბაზარში ცემა-ტყეპა ფიურერის დაბადების დღესთან არ იყო დაკავშირებული და აქციაში სქინჰედები კი არა, „უბრალო რუსი ყმაწვილები“ მონაწილეობდნენ. დარბევის მიზეზი კი, ბ-ნ ჩერეიაკოვის თქმით, შეიძლებოდა ორი თვის წინანდელი შემთხვევა გამხდარიყო – მაშინ აზერბაიჯანელი, ბაზრის პატრონის შვილი, სცემეს, რის შემდეგაც მამამ შვილს უბრძანა გაკრეჭილი ყველა რუსი ბიჭი გაელახა.

– ასეთი ტერორით სასოწარკვეთილმა მოზარდებმა ჩაატარეს აქცია მოსკოვში ფეხმოკიდებული კავკასიური აქციის წინააღმდეგ. დიახ, ეს ბავშვთა აქცია იყო, – დააზუსტა ბ-ნმა ჩერეიაკოვმა, – მაპატიეთ, ეს რომ სრულასაკოვანთ გაეკეთებინათ, ყველაფერი სულ სხვაგვარად იქნებოდა – ბანდიტური დაჯგუფება ყველას ამოხოცავდა. ეს რომ ტერორისტული აქცია ყოფილიყო ათიოდე ასაფეთქებელი მოწყობილობას ჩანაღმავდა იქ და ბაზარს ააფეთქებდა.

ბ-ნ ჩერეიაკოვს „აქციის“ მონაწილეები შეეკამათნენ, ბევრმა იასენევოში დაკავებულმა დაუფარავად განაცხადა, რომ ადოლფ ჰიტლერის დაბადების დღეს ასე აღნიშნავდნენ. ყველაფერს ისიც კი ნათელყოფდა, რომ თავგადაპარსულ ბიჭებს სქინჰედური უნიფორმა – მოკლე შავი ან მუქ-ლურჯი კურტაკი; – „ბომბსირი“ შავი ან კამუფლირებული შარვალი, მძიმე არმიული ყელიანი ფეხსაცმელი ეცვათ.

1992-ში მოსკოვში ათიოდე სქინჰედი თუ იყო. ისინი ჩუმად იყვნენ და ძირითადად ქალაქის ცენტრში იპრანჭებოდნენ, – თავიანთი მომხიბლელი ვარცხნილობისა და უნიფორმის დემონსტრირებას ახდენდნენ. არც 1994-ში, როცა სქინჰედები ქვეყნის ცხოვრებაში შესამჩნევ მოვლენად იქცნენ, და არც 1997-ში, როცა მათი რიცხვი გაცილებით გაიზარდა, მათ რაიმე გარკვეული პოლიტიკური მიზანდასახულობა არ ჰქონიათ.

99-ის მიწურულს რუსეთში 200 000 სქინჰედი მაინც აღირიცხებოდა, მათ შორის – მოსკოვში ხუთი ათასი, პიტერში – სამი ათასი, იაროსლაველში, ნიჟნი ნოვგოროდში, ფსკოვსა და კალინინგრადში – თითოეულში ათასიდან ორი ათასამდე სქინჰედი. თავგადაპარსულთა არმიის 80 პროცენტს უფროსკლასელები, პროფტექნიკურ სასწავლებელთა მოსწავლეები და უმუშევრები შეადგენდნენ. „მეგაპოლის-ექსპრესის“ მონაცემებით, სქინჰედების უმრავლესობა რომელიმე იდეოლოგიის ფანატიკოსი არც დღესაა, მაგრამ ისინი სიამოვნებით ემსგავსებიან ნაცისტებს.

მოსკოვში ცოტა ხნის წინათ არსებობდა სქინჰედების ორი დიდი პოლიტიზირებული ორგანიზაცია, რომლებიც რამდენიმე ასეულ ადამიანს აერთიანებდნენ, – „მოსკოვის სქინლეგიონი“ და საერთაშორისო კორპორაცია „**Blood & Honor**“-ის („სისხლი და ღირსების“) რუსეთის ფილიალი. ასორმოცდაათამდე ადამიანთა გაერთიანებული ორგანიზაცია „რუსულ მუშტსა“ და ნიჟეგოროდის დაჯგუფება „სევერში“, ცოტათი ნაკლები – იაროსლაველის "**White Bears**"-ში („თეთრ დათვებში“).

არსებობს ოცი მთლად პატარა, მაგრამ კარგად ორგანიზებული დაჯგუფება – „რუსული მიზანი“ მოსკოვში (დაახლოებით 25 ადამიანი), ნაცისტ-ფემინისტი ქალების სრულიად რუსეთის გაერთიანება „რუსი ქალიშვილები“ და სხვ.

ყველა დაჯგუფება უმკაცრესი დისციპლინითაა შედუღაბებული, მოზარდ სქინჰედთა ატრიბუტიკა მომხიბვლელია, ისინი საქმის ცოდნით აღწევდნენ ფანატთა რიგებშიც, სადაც სწრაფად ამყარებენ ისეთ წესრიგს, როგორც თავიანთ დაჯგუფებებში აქვთ დამყარებული. ცნობილია სქინჰედების ასეთი კავშირები მოსკოვის „სპარტაკის“, ცსკა-ს, „დინამოსა“ და „ტორპედოს“, პიტერის „ზენიტის“, იაროსლაველის „შინიკის“, აგრეთვე ორლოვის, კურსკის, ფსკოვის საფეხბურთო კლუბების, ციმბირის ჰოკეის, ურალის კალათბურთისა და ფრენბურთის რიგი გუნდების ფანატებთან. ყურადღება მიაქციეთ „სპარტაკის მთელ რიგ ტრანსპარანტებს“, რომლებზეც ვხედავთ სქინჰედური მოძრაობა "**White Power**"-ის („თეთრი ძალაუფლების“) სიმბოლიკა.

* * *

25-30 წლის ასაკიდან ისინი იდეოლოგიის ჩამოყალიბებაზე გადადიან. ჰქმნიან თავიანთ საიტებს ინტერნეტში. მოსკოვში, ჟურნალ „რუსკიი ხოზიაინის“ გარდა, გამოდის თვითგამოცემის კრებული „პოდ ნოლ“. „მეგაპოლის-ექსპრესის“ მონაცემებით, ის რუსული ნაციონალური კავშირის სახსრებით გამოდის, თავისუფლად იყიდება მესამე რაიხის მარშების ვიდეო კასეტები, აგრეთვე რუსულ ენაზე გამოცემული წიგნები: ჰიტლერის „მაინ კამპფი“ („ჩემი ბრძოლა“) და როზენბერგის „მეოცე საუკუნის მითები“.

რუსეთელი სქინჰედები და მათი მონათესავე საზღვარგარეთელი ორგანიზაციები თითქმის ლეგალურად უზიარებენ ერთმანეთს თავიანთ გამოცდილებას, ბოლო ორ წელიწადში რუსეთს ეწვივნენ ნაცისტური დაჯგუფებების წარმომადგენლები გერმანიიდან, ავსტრიიდან, დიდი ბრიტანეთიდან. მოსკოვში სტუმრობდნენ „პედაგოგები“ კუ-კლუქს-კლანიდანაც. რუსეთელ სქინჰედებს ატრიბუტიკა და ფორმის განსაცმელი ხშირად ლატვიიდან, ლიტვიდან, ესტონეთიდან ეგზავნებათ.

რუსეთის ბევრმა მემარჯვენე რადიკალურმა ექსტრემისტულმა პარტიამ სცადა თავგადაპარსულ მოზარდებზე ეკისრა ზრუნვა, მაგრამ ესენი, პარტიელები რომ ისურვებდნენ, იმაზე გაცილებით ჭკვიანები აღმოჩნდნენ. სქინჰედები განაგრძობენ პრაქტიკულად იატაკქვეშეთში არსებობას და რაღაც თავისაზე ფიქრს, ისე ფიქრს, რომ არ ჩქარობენ ვინმეს დამორჩილდნენ. თუმცა, ამას ხელი არ შეუშლია მათთვის განეცხადებინათ, რომ ამის იქით ისინი იასენევოს მსგავსი დარბევების რეგულარულად განხორციელებას აპირებენ.

სვიატოსლავ გრადოვი.
გაზ. „მეგაპოლის-ექსპრესს“
№ 17, 2001 წ.
თარგმნა
ჯუმბერ თითმერიამ.

როგორ მოვექცეთ მოფაშისტე ახალგაზრდობას?

1. ნიკოლაი პეტროვი

ფიზიკურად ვცემოთ: უმოწყალოდ, დიდხანს და ფეხებით. ისინი არც უნდა ჩავსვათ, არც სხვა არაფერი ამდაგვარი არ უნდა გავუკეთოთ. ამ შემთხვევაში საჭიროა ხელკეტებიანი მილიციელთა განსაკუთრებული დანიშნულების რაზმია (ომონ) საჭირო. ამ გადაგვარებულებთან ცივილიზებულობის თამაში მხოლოდ მათს გამრავლებასთან მიგვიყვანს. ჩვენთან იურისპრუდენციობანას თამაში უყვართ, ორგანოებისთვის მიმართვაა საჭირო. არ შეიძლება იმ ქვეყანაში, რომელმაც დიდი სამამულო ომი გადაიტანა, ხელებაწეულმა ვიაროთ. არ შეიძლება! ამას ახსნა არ სჭირდება! დაალაჯებენ მავანი თავგადაპარსული, ფაშისტურსიმბოლიკიანი და პაერში ხელშემართული ტიპები? – ჰოდა, საჭიროა **ომონ**-ის ბრიგადის გამოგზავნა და იმათი ისე დახეიბრება, რომ სულ თავბედი იწყევლონ. სხვა დროს სხვაგან გამოჩნდებიან? კიდევ ერთი ბრიგადა გამოიგზავნოს და, ერთხელაც საჭიროებისამებრ დაილეწონ ისინი. ისინი ხომ მშიშრები, ლაჩრები არიან, მაგრამ ჩვენი გულაზიზობით სარგებლობენ.

2. ვლადიმერ რიჟკოვი

უნდა დავიჭიროთ, გავასამართლოთ და ჩავსვათ, საამისოდ ყველა კანონი არსებობს. დიახ, სისხლის სამართლის კოდექსსა და სხვა კანონმდებლობაში საამისოდ ყველაფერი აუცილებელი დაფიქსირებულია. ქვეყანა, რომელმაც ჰიტლერულ გერმანიასთან ომში 27 მილიონი ადამიანი დაკარგა, ხელებჩამოშვებული ვერ უყურებს ნეონაცისტებს, რომლებიც ჰიტლერის დაბადების დღეს ჩვენს მოქალაქეებს ხოცავენ. მიუსაჯეთ და ჩასვით!

3. ვლადიმირ ვოინოვიჩი

კარგი იქნებოდა, ახალგაზრდობით კი არა, დუმის დეპუტატებით დაგვეწყო; აი, იქ არის ერთი თავგადაპარსული – შანდიბინი, – და, ისინი, რომლებიც ფეხზე არ დგებიან, როცა ლაპარაკია მილიონობით მხეცურად დახოცილი ადამიანის ხსოვნაზე.

ამიტომ, ჩვენი მმართველი ელიტის სათავეში ასეთი ადამიანები თუ სხედან, ბუნებრივია, ეს ახალგაზრდობაზეც ირეკლება, ისე, საერთოდ თუ ვიტყვით, ეს მთელი მსოფლიოს სენია, – ისინი ყველგან არიან. ეტყობა, მათ უნდა მოვექცეთ მკაცრად, მაგრამ არა სულელურად. იმიტომ, რომ როცა მათ საკანში სვამენ, ამით რეკლამა უკეთდებათ. სამწუხაროდ, მე რეცეპტები არა მაქვს: მე უბრალოდ ვხედავ, რომ მათ ყველგან ებრძვიან და, უნდა ითქვას, რომ საკმაოდ წარუმატებლად ებრძვიან.

კითხვა დასვა
არმენ გასპარიანმა.
„ლიტერატურნაია გაზეტა“,
№ 17-18, 2001 წ.
თარგმნა
ჯუმბერ თითმერიამ.



დადებითი მუხტი

ერთი რუბრიკის პრემიერას გთავაზობთ, რომელსაც „დადებითი მუხტი“ ჰქვია — დადებითი მუხტი, რაც ამდენი ხანია ასე სჭირდება და მართლა აკლია ჩვენს მკითხველს.

თურმე, ჩვენს დროშიც უყვართ სკოლა...

სკოლა, რომლის შესახებ გიამბობთ, თბილისის გარეუბანში – მუხიანში მდებარეობს, და ზედმეტი ნამდვილად არ მოგვივა, თუ იმასაც ვიტყვით, რომ ამ სკოლის კედლები განათლებისა და კულტურის მძლავრ კერადაც კი გადაიქცა. ერთი მნიშვნელოვანი დეტალი: ალბათ, დაგვეთანხმებით, რომ ბოლო ხანს საქართველოში რატომღაც დამკვიდრდა ნამდვილად მცდარი აზრი – ყველაფერი საუკეთესო მხოლოდ დედაქალაქში შეიძლება ხდებოდეს, მეტიც, მხოლოდ დედაქალაქის ცენტრში შეიძლება არსებობდეს საუკეთესო, თუნდაც, სკოლა.

ამბავს, რომლის მოყოლასაც დაგპირდით, იმდენი წლის ისტორია აქვს, რამდენი ხანიც მას შემდეგ გავიდა, რაც მუხიანში, ყოფილი სამხედრო დასახლების გვერდით, ჩვეულებრივ მოქალაქეთა საცხოვრებელი კვარტალი გაშენდა. ბუნებრივია, ამ უბანში დაარსდა სკოლაც. მისი დირექტორი პირველივე დღიდან არის ადამიანი, რომელსაც ამ სკოლის კედლებში გაზრდილმა თაობებმა მეტსახელიც კი შეარქვეს – „რომანტიკა“, რაც იგივე რომან ტიკაძეა. მეტსახელი ამ სიმპათიურ, ჭაღარით მოსილ კაცს მხოლოდ იმიტომ არ ჰქვია, რომ ამგვარად მისი გვარ-სახელი ჟღერს. თბილისის 174-ე საშუალო სკოლაში იცი წლის განმავლობაში იქმნებოდა ნამდვილად რომანტიკული გარემო. ეს პროცესი მაშინაც კი არ შენელებულა, როდესაც თბილისის ქუჩებში ტყვიები ზუზუნებდნენ და მთელ ქვეყანაში თითქმის ჩამლილი იყო სასწავლო პროცესი. მუხიანის დასახლებაში ერთ-ერთი პირველი გენერატორი სწორედ რომან ტიკაძის სკოლაში აგუგუნდა. სკოლა იმ წლებში იყო ადგილი, სადაც სანახაობას დანატრებული ბავშვები საახალწლო ზეიმის ჟინსაც იკლავდნენ, სცენის მტვერსაც „ყლაპავდნენ“, თანაც ისეთი ემხით, როგორც დიდი თეატრის სცენაზე.

სკოლის დირექტორის ნოვატორობა ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო, როდესაც სკოლაში გერმანული ენის გაძლიერებული სწავლება დააწესა, ეს მაშინ, გერმანიაში განსწავლული კაცისგან არავის გაჰკვირვებია, მას შემდეგ კი იყო სკოლის საკოორდინაციო საბჭო, რომელიც კოლექტიური მართვის მეთოდს ამკვიდრებდა, მოსწავლეთა თვითმმართველობა, იგივე, – სასკოლო პარლამენტი, მშობელთა და მასწავლებელთა თვითმმართველობა და სხვა ბევრი ისეთი თაოსნობა, რომელიც მოზარდებშიც და მასწავლებლებშიც თანამედროვე ცხოვრების წესს და უნარ-ჩვევებს ამკვიდრებს.

...სკოლის პედკოლექტივმა და მოსწავლეებმა „რომანტიკას“ ერთხელ შესაფერისი სიურპრიზიც ჩუმად მოუმზადეს. თუმცა ამის შესახებ თავად ამ სკოლის მასწავლებელს და მოსწავლეებს მოვუსმინოთ. შევიტყობთ თუ როგორ მოხერხდა ამ აფორიაქებულსა და უხელფასო ქვეყანაში მათ შორის იმ საოცნებო დამოკიდებულების შენარჩუნება, როგორზედაც ჩვენი დედ-მამა და პაპა-ბებიანი ზღაპარივით გვიამბობდნენ:

ლია ჯუღელი, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი: „...ბატონი რომანი რაღაცნაირი კაცია... მის დასახასიათებლად სიტყვების მოძებნაც კი მიჭირს. თავბრუს ფრაზებით არ დაგახვევთ. რომან ტიკაძეს შეუძლია, მოგისმინოს, გაიგოს, რა არის საჭირო სკოლისათვის და შესაძლებლის მაქსიმუმი გაგიკეთოს. მოგვიწყვია ერთმანეთზე უკეთესი ბევრი ღონისძიება. თანაც ისე, რომ მოსწავლეების, მასწავლებლებისა და მშობლების გარდა, არავის შეუტყვია. მან არ იცის გაკეთებული საქმით თავმოწონება, ბედნიერია მაშინ, როდესაც ხედავს, რომ მოსწავლეები დასაქმებულნი არიან და მათ სერიოზული ინტერესი გააჩნიათ. მუშაობენ სკოლის სიმღერის, ქორეოგრაფიული, ხატვის, მხატვრული კითხვის წრეები. იდგმება სპექტაკლები, ხოლო სკოლის მხიარულთა და საზრიანთა კლუბი „აბლაბუდა“ გლდანი-ნაძალადევის რაიონების სკოლებს შორის ფინალური შეხვედრის გამარჯვებულია. ერთი კვირის წინათ კი სკოლის დარბაზში მოსული მაყურებელი „შეშლილი სამყაროს“ თვითმხილველი გახდა. სკოლის ნორჩმა მსახიობებმა ისე ითამაშეს ალექსანდრე ყაზბეგის ნაწარმოებების მიხედვით შექმნილ ლიტერატურულ-თეატრალურ კომპოზიციაში, რომ ჩემი თაოსნობით მოწვეულ თეატრალური ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლების მოწონებაც დაიმსახურეს. სპექტაკლს ჩვენი რაიონის პოლიციის თანამშრომლები და უბნის ინსპექტორები ესწრებოდნენ, რათა დარწმუნებულიყვნენ სინამდვილეში როგორები არიან და რა ინტერესები ამოძრავებთ მეათე-მეთერთმეტეკლასელ იმ ბიჭებს, რომლებიც „ბირჟაზეც“ დგანან ხოლმე, სადაც თურმე შეკრებილნი ხშირად „წინწყაროს“ მღერიან“.

ტატო ბაკურაძე, მეათე კლასის მოსწავლე: „სკოლაში ისე ვგრძნობ თავს, როგორც საკუთარ სახლში. ბოლო ხანს სკოლაში უფრო მეტ დროს ვიყავით, ვიდრე სახლებში, რადგან დღე და ღამე გავასწორეთ, როცა „შეშლილ სამყაროს“ დასადგმელად ვემზადებდით. მანამდე კი ალექსანდრე ყაზბეგის ნაწარმოებები წავიკითხეთ. ვიმსჯელეთ, ერთად ვნახეთ ფილმი „ხევისბერი გოჩა“, ვარჩევდით მუსიკას. მარტო ქარიშხლის ფონოგრამა რამდენიმენაირი გვქონდა და მათგან ისეთი შევარჩიეთ, როგორიც სცენაზე ხევის ცივი ზამთრის ასოციაციას ყველაზე უკეთ შექმნიდა“.

ომარ ბექაური, მეთერთმეტე კლასის მოსწავლე: „ლია მასწავლებელმა ხევისბერის როლი მანდო. ისე განვიცადე, ლამის მართლა გავგიჟდი. აბა, რა მომივიდოდა, როცა ჩემი უახლოესი მეგობარი კობა ბიბილაშვილი ჯერ შვილად აღვიქვი და მერე ხანჯლით „მოვკალი“, ისე ვაჟკაცურად აღიარა „ჩემმა“ ონისემ სიმართლე და ისე გულსაკლავად დაეცა ჩემს ფერხთით, ვიტირე. მერე გავიგე, რომ, თურმე, დარბაზში მაყურებელიც ტიროდა“.

დათო ქაჩიანიძე, მეთერთმეტე კლასის მოსწავლე: „სამაგიეროდ გლდანის გამგეობის შენობაში სიცილით ვაჯერებინეთ გული გულშემატკივრებს. „აბლაბუდას“ გამოსვლამ მარტო მაყურებელი კი არა, ჟიურიც კარგად ახარხარა. სხვათა შორის, დაძაბული ფინალი გვქონდა, მართლა ძლიერად მომზადებულ გუნდს მოვუგეთ. გლდანის რაიონის გამგეობამ და ღონისძიების სპონსორმა ჩვენი გუნდის კაპიტანი ბექა ონიანი წლის საუკეთესო კაპიტნად გამოაცხადა.

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტმა პრიზები და ფერადი ტელევიზორი გვაჩუქა. ტელევიზორი სკოლის დირექტორის კაბინეტში დავდგით, რადგან ჩვენი წარმატება მისი დამსახურებაცაა, ის ხომ ყოველმხრივ ხელს გვიწყობდა“.

ვასიკო ზურეშიძე, მეათე კლასის მოსწავლე: „ჩვენმა „ბუჩიმ“ სცენა მოხატა, „ბუჩი“ დათო შარიქაძეა. სკოლას წელს ამთავრებს და სამხატვრო აკადემიაში აპირებს სწავლის გაგრძელებას, მიმღებმა კომისიამ მისი მოხატული სცენა რომ ნახოს, ნამდვილად უგამოცდოდ ჩარიცხავს!“

დათო შარიქაძე, მეთერთმეტე კლასის მოსწავლე: „სკოლამ ყველა პირობა შემიქმნა, რომ პანო კარგი გამოსულიყო. ყაზბეგის შემოქმედებას თავიდან ბოლომდე კიდევ ერთხელ გავეცანი, ვნახე უამრავი ფოტომასალა და მერე ჩემს წარმოსახვაში არსებული „შეშლილი სამყარო“ დავხატე. ბედნიერი ვარ, რომ ჩემს სკოლას ასეთ საჩუქარს ვუტოვებ“.

ანიკო ლოლაძე, მეთერთმეტე კლასის მოსწავლე: „ჩვენი სკოლის დირექტორი რომან ტიკაძე მოსწავლეების დიდი მეგობარია; რაც არ უნდა გაგვიჭირდეს, გვერდით დაგვიდგება და, საერთოდაც, ჩვენს სკოლაში ასეთი დამოკიდებულებაა მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის. გული მწყდება, სკოლას რომ ვამთავრებ. მგონია, ასე კარგად თავს ველარსად ვიგრძნობ, ჩვენ აქ ხომ ცხოვრება ვისწავლეთ...“

* * *

...დღეს ამაგდარი მასწავლებელი რომან ტიკაძე 50 წლისა შესრულდა. ჩვენც ვუერთდებით 174-ე სკოლის მოსწავლეებისა და მასწავლებლების კეთილ სურვილებს, დღეგრძელობას ვუსურვებთ ადამიანს, რომლის საქმიანობა თავის კოლექტივში დადებითი მუხტის აღმძვრელია, რომელიც ასე გვჭირდება ადამიანებს.

ელზა ჯმუხაძე.



სურათზე: თბილისის 174-ე სკოლის დირექტორი რომან ტიკაძე; სცენა კომპოზიციიდან „შეშლილი სამყარო“, ხევისბერი – ომარ ბექაური, ონისე – კობა ბიბილაშვილი.

ახალი დისციპლინა

ჰუმანიზმი ამით ფასდება

ბოლო დროს მკვეთრად შეიცვალა საზოგადოებრივი ცნობიერება და დამოკიდებულება ინვალიდთა პრობლემებისადმი. დიდი ყურადღება ეთმობა არა მათი შესაძლებლობების შეზღუდვას, არამედ მაქსიმალურ გამოყენებას და გამოვლენას. ამისათვის საჭიროა ფიზიკური ვარჯიშებისა და სპორტული ღონისძიებების კომპლექსური რეაბილიტაციის მეცნიერულ-მეთოდური საფუძვლების შემუშავება.

მოძრაობითი აქტიურობის სპეციფიკის გათვალისწინებით ჩამოყალიბდა საერთაშორისო პრაქტიკაში ცნობილი განსაკუთრებული მეცნიერულ-პედაგოგიური მიმართულება – „ადაპტაციური ფიზიკური აქტიურობა“. ახალი მიზნებისა და სტრატეგიების შესაბამისად კი შეიქმნა ახალი დისციპლინა, რომელმაც 1973 წელს მიიღო საერთაშორისო სახელწოდება „ადაპტაციური ფიზიკური აქტიურობა“ (აფა). ეს სფერო ზოგიერთ ქვეყანაში დამოუკიდებელ დისციპლინას წარმოადგენს და საერთაშორისო კრიტერიუმებს აკმაყოფილებს, დასავლეთ ევროპაში ამ სპეციალობით კურსდამთავრებულებს მაგისტრისა და დოქტორის წოდებები ენიჭებათ, აღმოსავლეთ ევროპაში კი აფა-ს ჯერ ასეთი აღიარება არ გააჩნია. რუსეთში (მოსკოვსა და სანკტ-პეტერბურგში) ფიზიკური კულტურის აკადემიებში უკვე შექმნილია მისი კათედრები. რაც შეეხება ჩვენს ქვეყანას, შარშან ფიზიკური კულტურის და სპორტის აკადემიაში ფიზიკური კულტურის, მართვისა და სპორტის ისტორიის კათედრას დაემატა სპეციალობა – ადაპტაციური ფიზიკური აღზრდა.

რატომ გახდა აუცილებელი ამ სპეციალობის შექმნა და რას ითვალისწინებს იგი? ამის თაობაზე გვესაუბრება აკადემიის რექტორი, პროფესორი ომარ ბოზიაშვილი.

– პროფესიები და სასწავლო დისციპლინები სოციალური დაკვეთის შესაბამისად კულტურული, სოციალური, ეკონომიკური, ისტორიული პროცესებისა და საზოგადოების ურთიერთქმედების შედეგად ყალიბდება. ქვეყნისა და საზოგადოების ჰუმანიზმიც იმით ფასდება, თუ როგორ უვლის იგი თავის ინვალიდებსა და მოხუცებს. ამ გლობალური პრობლემის მთლიანად გადაწყვეტის არც საშუალება გვაქვს და არც პრეტენზია, მაგრამ, ჩვენი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ ეს არის მოკრძალებული ნაბიჯი, საზოგადოების ჰუმანიზაციისკენ გადადგმული, ურომლისოდაც ნორმალურ საზოგადოებას ვერ ავაშენებთ. დაახლოებით ოთხი-ხუთი წლის წინათ ამ სფეროში ჩვენი პროფილის უმაღლესი სკოლების გამოცდილებას გავეცანით. შევხვდით იმ საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, რომლებიც ამ საკითხს მსოფლიო მასშტაბით კურირებენ. დაგროვილი გამოცდილების საფუძველზე ჩვენმა სპეციალისტებმა გვირჩიეს შეგვექმნა სპეციალობა, რომელიც არა მარტო ჰუმანიზაციის პრინციპებს ეხმიანება, არამედ გარკვეულ სოციალურ ფუნქციასაც ითავსებს. კონკრეტულად იმას, რომ ინვალიდები თავიანთი ფიზიკური თუ სხვა ნაკლის მიუხედავად, იყვნენ საზოგადოების ჩვეულებრივი წევრები და მეტნაკლებად მონაწილეობდნენ ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ თუ სხვა სფეროებში.

ჩვენი აკადემია ყოფილ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებს შორის მესამეა, რომელიც მოსკოვისა და სანკტ-პეტერბურგის აკადემიების შემდეგ სათავეში ჩაუდგა ადაპტაციური სპორტის განვითარებას.

– რას ითვალისწინებს და რამდენი სტუდენტი სწავლობს ამ სპეციალობაზე?

– იგი უნარშეზღუდული ადამიანების ფიზიკურ აღზრდას გულისხმობს, რომლის ძირითადი ამოცანაა სასიცოცხლო მოძრაობითი ჩვევების გამომუშავება, ფიზიკური კონდიციების გაუმჯობესება, აზროვნების გააქტიურება, ფიზიკური და თანაბარი უფლებებით ინტელექტუალური შესაძლებლობების ჩამორჩენის მქონე პირთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩაბმა.

1997 წელს მასობრივ გამაჯანსაღებელ სპეციალობაზე 80 სტუდენტი მივიღეთ, აქედან თვრამეტმა ადაპტაციური სპორტის სპეციალობა აირჩია, 2000 წელს პირველად იყო მიღება, სადაც ამჟამად 22 სტუდენტი სწავლობს. 2001 წლის ბოლოს ჩვენ პირველი გამოშვება გვეყოლება, რომელთაც ამ კატეგორიის ადამიანებთან მუშაობა შეეძლებათ. მათ უკვე გაიარეს სპეციალური პედაგოგიური პრაქტიკა თბილისის დამხმარე სკოლა-ინტერნატებში და საკურსო თემებიც დაამუშავეს.

რაც შეეხება თვითონ ადაპტაციურ სპორტს, იგი ორ ნაწილად იყოფა: გაერთიანებული სპორტი, რომელიც ჰუმანური საზოგადოების მცირე მოდელს წარმოადგენს, სადაც ჯანმრთელებთან ერთად ინვალიდებიც თამაშობენ და მეორეში ინტელექტდაქვეითებულ პიროვნებებზე გათვლით მოტორული აქტიურობის გავარჯიშების პროგრამა, რომელიც ცენტრალური ნერვული სისტემის და სხვა მძიმე ფორმის დაზიანების მქონე ინვალიდების ფიზიკურ რეაბილიტაციას მოიცავს.

ამ სასწავლო დისციპლინას თავისი ისტორია აქვს, კვლევის მეთოდიკა და მეთოდოლოგია. იგი მჭიდრო კავშირშია ისეთ დისციპლინებთან, როგორიცაა ფიზიკური აღზრდის თეორია, მეთოდიკა, ბიომექანიკა, სპორტის ფიზიოლოგია, სპორტის მედიცინა, სამკურნალო ფიზკულტურა და სხვა. დარგის სპეციალისტთა ძირითადი მიზანია, როგორც ინვალიდთა, ისე მცირე ფიზიკური და სხვა ფუნქციური შეზღუდვების მქონე ადამიანების ცხოვრების წესის გაუმჯობესება, ფიზიკური აქტიურობით მათი ჯანმრთელობის დონის ამაღლება, საზოგადოებაში ინტეგრაციის გაადვილება, რისი საშუალებითაც ადამიანები ინვალიდობის ხარისხისა და თავისებურებების მიუხედავად, შეძლებენ მიიღონ გარკვეული სარგებელი ფიზიკური აქტიურობით თუ მწვრთნელებს, პედაგოგებს ეცოდინებათ, როგორ ადაპტირდება ესა თუ ის მოძრაობითი მოღვაწეობა კონკრეტული ინდივიდის დაავადებასთან. აუცილებელია, შეიქმნას მძლავრი ბაზა, რათა ადაპტაციური ფიზიკური აქტიურობა ჩამოყალიბდეს, როგორც დამოუკიდებელი სასწავლო დისციპლინა და სპეციალობა.

ესაუბრა
მაია ასაკაშვილი.

თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.

საქართველოს რესპუბლიკა
№ 120-121, კვირა, 20 მაისი, 2001 წელი

ჟამთა სვლა

ყოველი ფოტო ისტორიაა

შეიძლება ცოტა ხმამაღლა ვთქვი ეს სათაური, მაგრამ თუ კარგად დავაკვირდებით, პიროვნების, სოფლის, ქალაქის, და საერთო ჯამში, ქვეყნის ისტორია, ხშირად თითოეული მათგანის ბიოგრაფიის ცალკეული მომენტების ერთობლიობას წარმოადგენს და ამ თვალსაზრისით, ყოველი კადრიდან, დიახაც, რომ ისტორია იმზირება.

თითქოს დიდად ვერაფრით განსხვავდება აქ წარმოდგენილი ფოტოკადრი, მეოცე საუკუნის ოცდაათიან წლებში გადაღებული მისი მსგავსი ათასობით სხვათაგან, რომელსაც შორეულ სოფლებში ლუკმა-პურის საძებნელად შემთხვევით ჩასული „ფოტოგრაფები“ ალბეჭდავდნენ და სამახსოვროდ უტოვებდნენ კადრში მოხვედრილებს. აქაც ერთ-ერთი ქართული სოფლის სკოლის მოსწავლეები და პედაგოგები არიან ალბეჭდილი და მეტი არაფერი! მაგრამ ჩვენ ხომ შევთანხმდით: — ყოველი კადრიდან ისტორია იმზირებაო?! ამ ფოტოსურათიდან მომზირალი თვალების უმეტესობამ, მართლაც, დაატყო თავისი კვალი „ისტორიას“, — ზოგმა პირადად, ზოგმა საკუთარი და სხვათა შვილების აღზრდით.

ფოტოსურათი 1936-37 სასწავლო წელს არის გადაღებული და მასზე გამოსახულნი არიან წალენჯიხის რაიონის სოფელ (ამჟამად ქალაქის) ჯვარის საშუალო სკოლის პედაგოგები და მოსწავლეები. პედაგოგები, რომელთა უმრავლესობას, შემდგომში, თავიანთი უანგარო და თავდადებული შრომით რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებლის წოდება მიენიჭა. ზოგიერთი მათგანი კი, მეორე მსოფლიო ომის ქარცეცხლიან გეენაში ჩაიკარგნენ, მაგრამ სოფელში ძეგლად დარჩენილი სახელები დღესაც თესავენ კაცთმოყვარეობას და სიკეთის შარავანდედად ანთია ამ დუნიაზე. სამაგალითოდ ამ ფოტოკადრის „ისტორიაც კმარა“.

... 2000 წლის 29 ოქტომბერი იდგა: განახლებულ „თბილისობას“ ზეიმობდა საქართველო. ტელეფონმა დარეკა, — აკადემიკოსი ბიძინა ხუბუტია ქალაქ რიაზანიდან ჩამობრძანებულიყო „თბილისობაზე“.

... ჩამოგიტანე ის ფოტოსურათი, ამ ორიოდე წლის წინ რომ დაგპირდი! იგი ჩემთვის უძვირფასესი რელიკვიაა და მინდა შენც ნახო, ისეთი პიროვნებებია ალბეჭდილი, რომ მათი სახელებით არა თუ ჯვარს, არამედ მთელ საქართველოს შეუძლია იამაყოს. მინდა, ამ სამოცდაათს გადაცილებულმა კაცმა, ახლა მაინც საქვეყნოდ გადავუხადო მადლობა მათ, მათს შვილებსა და შვილიშვილებს კი ვუთხრა, რომ დღეს, როდესაც ჩვენი სამშობლოს ახალი ბიოგრაფია იწერება, არ დაივიწყონ, ვისი გორისანი არიან!

ბატონ ბიძინას ამ ორიოდე წლის წინათ შევხვდი ჯვარში, მის მამისეულ კარ-მიდამოში და მაშინდელი დანაპირები კაცურად შეასრულა.

ფოტოსურათის შუა რიგში (მარცხნიდან მარჯვნივ) სხედან ბატონი ბიძინას და მრავალ სხვა სახელოვან ადამიანთა აღმზრდელი, ჯერ კიდევ მაშინ რესპუბლიკაში ცნობილი პედაგოგები — შოთა ჭანტურია, ფლორა ჭანტურია, ლუდოვიკო ჭანტურია, ბაბუცი ბარამია-ჭანტურია, ლიზა ჭანტურია, ვლადიმერ ქანთარია, შალვა ჭანტურია, ევგენი ქანთარია, ზენონ ფიფია. მათგან ოთხნი — შალვა და შოთა ჭანტურიები, ევგენი ქანთარია და ზენონ ფიფია მეორე მსოფლიო ომში დაიღუპნენ. ვლადიმერ ქანთარიას და ფლორა ჭანტურიას შესანიშნავი ოჯახის ბიოგრაფიასაც მრავალი მტკივნეული იარა დაამჩნია ომმა, მაგრამ ომიდან დაბრუნებული ბატონი ვლადიმერი ათეული წლების მანძილზე სასოფლო საბჭოს თავკაცი იყო. ლეგენდარული პედაგოგების, ბაბუცი ბარამიას და ნიკოლოზ ჭანტურიას (ფოტოზე არ არის) სახელები კი კრემლის სასახლეშიც აჟღერებულა არა ერთხელ...

... და ლუდოვიკო ჭანტურია, — კაცი ნაომარი, სულით ხორცამდე ინტელიგენტი და სიკეთით სავსე, რომლის ნაბიჯებიც კი მისაბაძი რომ იყო მთელი მისი ლამაზი სიცოცხლის მანძილზე. და რომ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს დღევანდელ თავმჯდომარეს, ბატონ ლადო ჭანტურიას მსგავსი ნიშან-თვისებები რომ გამოჰყვა, ალბათ, იმიტომ, რომ ასეთი კაცის შვილი გახლავთ იგი, ასეთი დიდი მამის შვილი!

ყოველ მათგანზე ცალკე ნარკვევი თუ წიგნი დაიწერება, მაგრამ მათ სახელებს, კაცმა რომ თქვას, საამაყოდ და სადიდებლად ისიც ეყოფოდა, რომ მათი ხელდასხმითა და რუდუნებით, ამ საშუალო სკოლამ, სხვა სახელოვან მოღვაწეებთან ერთად, ცხოვრების გზა გაუკაფა ისეთ ორ შვილს, რომლებიც ამ ფოტოკადრიდან მომზირალთა შორის იმყოფებიან და ქვეყნის ბიოგრაფიაში ჩუქურთმად გამოკვეთილან — ბიძინა ხუბუტია და ვახტანგ საჯაია!



თუ კარგად დააკვირდებით ფოტოს, შეამჩნევთ, — ბატონ ლუდოვიკო ჭანტურიას მკერდზე ჰყავს მიხუტებული ყმაწვილი, — ეს გახლავთ საქართველოს სახელმწიფო უშიშროების საბჭოს დღევანდელი მდივნის, ნუგზარ საჯაიას უფროსი ძმა, სამეგრელო-ზემო სვანეთში ლეგენდარული პროვიზორის რაჟდენ საჯაიას ვაჟი ვახტანგ საჯაია, რომელზეც, მისი ტრაგიკულად დაღუპვიდან ათეულობით წლების შემდეგაც კი თანაკურსელები, კოლეგები, პროფესორები და აკადემიკოსები ასე ამბობენ:

„... ფილოსოფიაში, ისე როგორც მითსა და ზღაპარში, ადამიანები მეტად ავლენენ თავისუფლებას. ეს განაპირობებს ქართველი კაცის პოეტურობას და ფილოსოფიისადმი მიდრეკილებას. სწორედ ამ მიდრეკილებამ მიიყვანა ომის მძიმე წლებში ფილოსოფიის ფაკულტეტზე ვახტანგ საჯაია. ის თავისთავში ათავსებდა დიდი წალენჯიხელის, ტერენტი გრანელის პოეზიასა და ფილოსოფიისადმი სწრაფვას. ეს ის პერიოდი იყო, როდესაც ფილოსოფია იდეოლოგიზებული გახლდათ. ფილოსოფოსებს მარქსიზმის კლასიკოსთა ინტერპრეტაცია ევალებოდათ მხოლოდ. ფილოსოფიის ფაკულტეტზე ჭეშმარიტი ფილოსოფოსებიდან მხოლოდ კოტე ბაქრაძე შემორჩა, რომელიც ვახტანგ საჯაიას სტუდენტობისას ამ ფაკულტეტის დეკანი იყო... ვახტანგ საჯაია არ კმაყოფილდებოდა მარქსისტული ფილოსოფიის პროპაგანდისტობით და ფილოსოფიის არსის პროლემას შეეჭიდა, რომლის ერთ-ერთ არსებით მომენტს ფილოსოფიის საგნის დადგენა შეადგენდა. სწორედ ეს იყო მისი სადისერტაციო ნაშრომის მთავარი პრობლემაც. ნაშრომი მან ვადაზე ადრე ჩააბარა და მასში გაცნობიერებულია აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებული სიძნელეები, რომელიც განსაკუთრებული განხილვის საგანი გახდა მეოცე საუკუნის დასაწყისში. ვახტანგ საჯაიამ დააფიქსირა ეს სიძნელეები და ფილოსოფიის საგნის სინამდვილეში მონახვა სცადა“...

ვახტანგ საჯაიას მებრძოლი სული და ნათელი გონება მუდამ აღმა მიუყვებოდა დინებას და ამიტომაც დატოვა ნათელი დიადემა თავისი მოკლე, მაგრამ გაელილ ცხოვრებისეულ გზა-სავალზე.

... ვაკვირდები ფოტოს და ვფიქრობ: — ალბათ, გრძნობდა აღმზრდელი, რომ მის წინ იჯდა მკერდზე მისახუტებელი „მომავალი“.

ფოტოზე, მარჯვნივ, ზენონ ფიფიას წინ ზის ბიძინა ხუბუტია — ტანად ყველაზე პატარა, მორიდებული და ოდნავ სევდიანი! და ეს სევდა მას იმთავითვე დაჰყვა, შორეულ ციმბირში გადასახლებული პოლიტიკური მოღვაწის, ილარიონ ხუბუტიას ერთადერთ ვაჟს. სევდა, რომლის გაფანტვას დღენიადაგ ცდილობდა დედამისი, ცნობილი პედაგოგი და სოფლის ჯავარი, ქალბატონი აგრაფინა გვათუა და დღესაც, როდესაც მოღვაწეობის უმაღლეს მწვერვალზე მდგარ ბატონ ბიძინას შევყურებ, თვალებში კვლავ ვამჩნევ იმ სევდის გამონათებას! თუმცა მწვერვალებზე კი არა, უკვე კოსმიურ სივრცეშიც შეაბიჯა ხუბუტიების გვარმა.

აი, რას წერდა 1999 წლის 19 იანვარს ქალაქ რიაზანის ერთ-ერთი გაზეთი: — „28 დეკემბერს რიაზანის მედინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე დაბადებიდან სამოცდამეათე წლისთავთან დაკავშირებით, ბიძინა ილარიონის ძე ხუბუტიას, მფრინავმა — კოსმონავტმა გ. ტიტოვმა გადასცა მოწმობა, რომელიც ადასტურებს, რომ თხის რქის თანავარსკვლავედის ერთ-ერთ ვარსკვლავს მიენიჭა სახელი — „პროფესორი ბიძინა ხუბუტია“!!

ბიძინა ხუბუტია, იმ სევდიანმა ტალღამ და ცოდნის უდიდესმა წყურვილმა, ჯერ მოსკოვს, შემდეგ კი ქალაქ რიაზანში ჩაიყვანა. დღეს კი ამ კაცს ასე მოიხსენიებენ, — რუსეთის ფედერაციის მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, რუსეთის ფედერაციის მეცნიერებათა აკადემიის ლაზერული აკადემიის აკადემიკოსი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, რიაზანის სამედიცინო უნივერსიტეტის ოპერატიული ქირურგიის ნორმალური და ტოპოგრაფიული ანატომიის კათედრის გამგე!.. და რაც მთავარია, იგი ყოველთვის იყო და არის ქართული სულის, ქართული გენის ნაღდი და განუხრელი მატარებელი მამულიშვილი.

ბატონ ბიძინას კალმის ნაყოფია: 198 სამეცნიერო ნაშრომი (აქედან ექვსი მონოგრაფიაა!), მრავალი სახელმძღვანელო, გამოგონება და წინადადებები, სამეცნიერო ჟურნალების რედაქტორობა და ა. შ.

იმ პატარა, სევდიანი ბიჭის ბიოგრაფიისა და მოღვაწეობის აღწერას თვითონ სჭირდება დღეს მონოგრაფიები, მაგრამ ჩვენ ხომ ამჯერად მხოლოდ ერთ ფოტოსურათში მოთხრობილ ისტორიაზე გვაქვს საუბარი და ამიტომ აქვე ვამთავრებთ, ოღონდ ფოტოკადრის კიდევ ერთ, ჩვენთვის ნაცნობ, სახეზე გვინდა მიგანიშნოთ, — ეს, თეთრ პერანგზე ჯვარედინად ზონარდადებული გოგონა, ჩვენი დროის ცნობილი პოლიტიკური მოღვაწის, სამწუხაროდ, ტრაგიკულად დაღუპული თემურ ფიფიას და თორნიკე ფიფიას დედა, ქალბატონი ნადია ქანთარია გახლავთ, ქალბატონი, რომელმაც ქვეყანას დაუმტკიცა ქართველი ქალის უპირველესი მოვალეობა, — ქვეყანას აღუზარდოს ღირსეული შვილები!

... და ბოლოს: — ფოტოზე აღბეჭდილ დანარჩენ პიროვნებებზე ჩვენ ცნობები არ მოგვეპოვება. იქნებ ვინმემ ამოიცნოს თავისი თავი, მათმა შთამომავლებმა ამოიცნონ წინაპარი! — შეგვეხმიანეთ და დიდი სიამოვნებით ამოგიბეჭდავთ თქვენთვის სასურველ პიროვნებას და შემდეგ ერთად მადლობა შევუთვალოთ ბატონ ბიძინას, რომელმაც, თავის მხრივ, მადლიერების ნიშნად გამოუგზავნა იგი თავის მასწავლებლებს, თავის თანაკლასელებს, თავის ჯვარსა და ჯვარელებს, თავის სათაყვანებელ საქართველოს, კაცს, რომელმაც მართლაც ისტორიული მნიშვნელობა მიანიჭა ამ ფოტოკადრს!

ზაურ ფიფია,

სურათებზე: ლუდოვიკო ჭანტურია და ვახტანგ საჯაია (პატარა); ჯვარის საშუალო სკოლის მოსწავლეები და პედაგოგები, გადაღებულია 1936 ან 37 წელს; აკადემიკოსი ბიძინა ხუბუტია.

„სტუდენტური დღეები — 2001“

აჯამებენ მედიკოს-სტუდენტთა მეცნიერულ ნაშრომებს

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში გაიმართა სტუდენტთა 64-ე სამეცნიერო კონფერენცია. კონფერენციის ორგანიზატორები არიან თსსუს ივანე თარხნიშვილის სახელობის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოება, საქართველოს ექიმთა ასოციაციის მედიკოს-სტუდენტთა და ახალგაზრდა ექიმთა კომიტეტი და ევროპის მედიკოს-სტუდენტთა ასოციაციის საქართველოს ეროვნული წარმომადგენლობა.

კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა თსსუს პრორექტორმა სამეცნიერო მუშაობის დარგში, პროფესორმა ვახტანგ ყიფიანმა. სიტყვები წარმოთქვეს ივანე თარხნიშვილის სახელობის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების პრეზიდენტმა ლევან ლაბაურმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა პროფესორმა თამარ დეკანოსიძემ, თსსუს სტუდენტთა და ასპირანტთა კავშირის თავმჯდომარემ გიორგი ხომასურიძემ, ივანე თარხნიშვილის საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტმა გიორგი ნატროშვილმა.

კონფერენციის მონაწილეებს მიესალმა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის სამეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარე ემზარ დიასამიძე.

თსსუს საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და მენეჯმენტის კათედრის სტუდენტთა სამეცნიერო წრის მონაწილეებს წლის განმავლობაში შესრულებული საუკეთესო ნამუშევრებისათვის გადაეცათ ავთანდილ გელაშვილის სახელობის დიპლომები.

კონფერენცია ტრადიციულად ყოველი წლის გაზაფხულზე იმართება. მას შემდეგ, რაც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ივანე თარხნიშვილის სახელობის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოებამ აქტიური თანამშრომლობა დაიწყო ევროპის მედიკოს-სტუდენტთა ასოციაციასთან, კონფერენციის მოხსენებათა მასალების კრებული ორ ენაზე — ქართულად და ინგლისურად გამოდის და ხელმისაწვდომია ევროპის სამედიცინო ფაკულტეტებისთვისაც. 2000 წლის მეორე ნახევარში თსსუს რექტორის პროფესორ რამაზ ხეცურიანის ინიციატივით, უნივერსიტეტში შემოღებულია სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის პროგრამული დაფინანსება. გამართული კონკურსის შედეგად, რომლის კომისიაში აქტიურად მუშაობდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ივანე თარხნიშვილის სახელობის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოება, გამოვლინდა გამარჯვებული 10 ნომინანტი, რომლებსაც წარმოდგენილი სამეცნიერო პროექტის განხორციელებისათვის საკმაოდ სოლიდური თანხა გამოეყოთ.

წლევანდელი 64-ე კონფერენცია გაიმართა 7 სექციად და 20 სხდომად. შვიდ გამარჯვებულ ნომინანტს პირადად საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე დააჯილდოებს 26 მაისს გამართულ ცერემონიალზე. კონფერენციაზე წარმოდგენილი ნაშრომები ეხება მედიცინის აქტუალურ საკითხებს. სულ კონფერენციაზე წარდგენილია 300-ზე მეტი ავტორის 250 სამეცნიერო შრომა. საერთო შრომათა 96 პროცენტი შესრულებულია თსსუს კათედრებზე, ლაბორატორიებსა და კლინიკებში.

კონფერენციის საზეიმო გახსნის შემდეგ მოეწყო პლენარული სხდომები პათოფიზიოლოგიის, პედიატრიის და შინაგან სნეულებათა სექციებში.

ლევან ლაბაური,
თსსუ ქირურგიულ სნეულებათა
№ 1 კათედრის ასპირანტი,
საქართველოს ექიმთა ასოციაციის
მედიკოს-სტუდენტთა და
ახალგაზრდა ექიმთა
კომიტეტის დირექტორი.

ნოველა

უკანასკნელი სათხოვარი

აკაკი გუნიას თავკერძა, ჯიუტი, ცოტა არ იყოს, უხიაგი კაცის სახელი ჰქონდა.

ვერ ვიტყვი, თვით არ უწყობდა-მეთქი ხელს მის პიროვნებაზე ამგვარ შეხედულებას.

ფიცხი გახლდათ. ორჯერ დაქორწინდა და ბოლომდე ვერცერთ ცოლს ვერ შეეგუა.

მოსაშვილის ქუჩის ბოლოში, მარტოდმარტო ცხოვრობდა.

დღისით ლექციებს კითხულობდა ან საჯარო ბიბლიოთეკაში იჯდა, საღამოობით ვაკის პარკში გადიოდა.

ეს იყო მისი წისქვილ-საბძელი.

მოწიფული დაოჯახებული შვილები ჰყავდა. ჯერ გოგონას წაეჩხუბა უმიზეზოდ, რაღაც წვრილმანზე. რას ჰქვია, გაზეთების წასაკითხად არ იცლი და მამაშენის ნარკვევი ხრუშჩოვზე გამოგრჩაო.

ერთ საღამოს დამირეკა, გაციებული ვარ, ვწევარ და ნუღარ დამელოდები, ვაკის პარკში დღეს ვერ გამოვალო.

მეც იქვე ახლოს ვცხოვრობ და „მოამბე“ რომ დამთავრდებოდა, ქვევით ჭადართან ველოდებოდი ხოლმე.

რა მოგივიდა-მეთქი, ვკითხე. შვილებს დაუძახე, ჩაითბუნე, რძეგარეული ჩაი დალიე-მეთქი.

შვილებთან გავწყვიტე ყოველგვარი კავშირიო.

?!

გოგოს ჩემი არ ესმის, თავის ქმრის ჭკუაზე დადის, მინდოდა, ფილოლოგად გამეზარდა, მაგრამ ჩემი არ ეყურება, ავტორიტეტად არ მივაჩნივარ, ჩემსას არაფერს კითხულობს. ბიჭიც ვერ გავზარდე ჩემს ჭკუაზე, რაღაცნაირი ცივი ყმაწვილია. ფული რო დაჭირდება, მაშინ გავახსენდები, სხვა დროს კვირა ისე გაივლის, ერთს არ დარეკავსო.

შევბრუნდი შინ. ცოლს ბულიონი გავამზადებინე, ასპირინი ვიყიდე და მივადექი.

მე, ოცდაათი წლის მეგობარს, ჯერ კარს არ მიღებდა; წადი შენს გზაზე, როგორც ჩანს, გრიპი მაქვს და არ გადაგდოო.

ბოლოს, როგორც იქნა, ხვეწნა-მუდარით რომ შემიშვა, ახლა ბულიონზე და წამალზე ამიხირდა. რატომ დახარჯე ფული, რატომ შეაწუხე ცოლი, რას მოდიოდი, მე არც ისე დავარდნილი და საპყარი ვარ, ჩემს თავს ვერ მივხედოო.

ერთი სიტყვით, კინაღამ უკან გამომატანა.

ამპარტავანი, ცოტა არ იყოს, უშნო ამაყი ნამდვილად იყო აკაკი გუნია.

თხოვნით არავის თავს არ შეაწყენდა.

არც წუწუნს მოჰყვებოდა.

მტრობაც ერთგული იცოდა, თვითონ არ დაგიწყებდა კირკიტს, არაფერს გაწყენინებდა, მაგრამ თუ შენი ინიციატივით შეებმებოდი, მტრისას, უკან დახევა, მიტევება და შერიგება არ იცოდა. სანამ ბეჭებზე არ დაგაგდებდა, არ მოისვენებდა.

ერთი-ორი კაცი ჰყავდა ამოჩემებული. ძირისძირამდე თუ ჩასდევდი, თავიდან ორივე დამნაშავე იყო ბატონი აკაკის წინაშე. თვითონ დაუწყეს ღლიცინი და ჩხუტური.

ოხოხო, რა დღეს აყრიდა ორივეს. შეიძლება ითქვას, დაბადების დღეს აწყევლინებდა. იქეთა მხრიდან მოუვლიდა, სულაც რომ არ ელოდნენ. წელიწადში ერთხელ ისეთ ფელეტონს გამოუცხობდა, პირდაპირ ახარხარებდა მკითხველს. რომ იტყვიან, არ გაახარა არცერთი.

ქვეყანა რომ აირია, ყველა ერთბაშად ბოგანოდ რომ გვაქცია ჩვენმა „საყვარელმა“ ხელისუფლებამ, რასაკვირველია, აკაკი გუნიასაც მოშივდა.

შემხვდა ერთხელ ჭავჭავაძის პროსპექტზე, ჯოხით ძლივს მობაკუნობდა. ორი დღეა არაფერი მიჭამიაო, სიბერისთვის საშავდღეოდ რაღაცა ორი კაპიკი მქონდა ბანკში, მივედი ახლა და სამი თითის კომბინაცია მიჩვენესო. მითხარი ერთი, თუ ძმა ხარ, პაპუასების რომელ ქვეყანაში ჩაიდენს მთავრობა მოქალაქის მიმართ ასეთ ყაჩაღობასო.

შევწუხდი, ცოტა არ იყოს, დავიბენი, ვიცოდი, მისი ხასიათი, მაგრამ ორიოდე გროში მქონდა ჯიბეში (იმ დღეს ჰონორარი ავიღე, მაშინ ჯერ კიდევ იყო ჰონორარი), ამოვიღე და გავუწოდე.

რისხვით აენთო თვალები, შავი დღე დამაყარა.

ისე წავიდა ჩემი საქმე, სამათხოვროდ ვიდგე ქუჩაში და მოწყალებას ვიღებდეო?

მეგობარი ვარ-მეთქი შენი, შე სულელო, დღეს შენ არა გაქვს, ხვალ მე არ მექნება და შენ გამოგართმევ-მეთქი.

შეტრიალდა და ჯოხის კაკუნით გამშორდა.

ხომ გითხარით, უცნაურად ამპარტავანი იყო-მეთქი.

ერთხელ კვირაზე მეტი რომ აღარ გამოჩნდა ვაკის პარკში, შინ მივაკითხე.

კარი არავინ გამიღო.

მეზობელს დავუკაკუნე.

ბატონი აკაკი თბილისის ზღვაზე უპატრონო მოხუცთა თავშესაფარში გადავიდაო.

იქ აღარ მიმიკითხავს, ტყუილს ვერ ვიტყვი.

ჩემს თვალებში შებრალების ნაპერწკალი რომ აღმოაჩინოს, ან ამიხირდება, ან, უბრალოდ, თავის ნერვებს შეასკდება-მეთქი.

სამ თვეს გაძლო თავშესაფარში, მეტს ვერა.

სიცილით ვიგუდებოდით, ვაკის პარკში რომ გვიყვებოდა, როგორ მოჰყავდათ სკოლიდან ექსკურსიაზე ბავშვები, როგორ ჩაიცვამდნენ საგულდაგულოდ უპატრონო მოხუცები და გამოეფინებოდნენ, როგორც სამუზეუმო ექსპონატები, მერე როგორ ასწრებდნენ ერთმანეთს გამგის და პალატის ექთნის ქებას.

რაც დრო გადიოდა, უფროდაუფრო გულჩათხრობილი ხდებოდა აკაკი გუნია.

ნიადაგ უგუნებოდ იყო. რა დრო მოვიდა, ყაჩაღსა და პატიოსან კაცს შორის ზღვარი ასე ულმერთოდ როგორ წაიშალაო.

სიფიცხე უფროდაუფრო მოერია.

ჩვეულებრივ, უწყინარ საუბარში რაღაც არ მოეწონებოდა, შეხტებ-შემოტრიალდებოდა, დაგვლანძღავდა ყველას და გაიქცეოდა შინისაკენ.

ჯიუტი ხასიათით და ზოგჯერ აშკარად შარიან-ჭირვეულობით თითქმის ყველა ჩამოგვიცილა: მეგობარიც და თითქმის მეგობარიც.

აღარც თვითონ რეკავდა და მეც, ჩემდა სამარცხვინოდ უნდა ვთქვა, აღარ ვეძალებოდი მაინცდამაინც.

შარშან ჩამოგვირეკა, წიგნის პრეზენტაცია მაქვს და თუ დრო გამონახოთ, მოდითო.

წიგნი, მართლაც, რომ კარგი დაწერა. მთელი მისი თაობის ცხოვრება იყო შიგ. ეპოქა – ლენინიდან ზვიად გამსახურდიამდე.

სანამ ყველანი შევიკრიბებოდით, განზე გამიყვანა და ქაღალდი მომაჩეჩა.

მეტი სათხოვარი, ალბათ, აღარაფერი მექნება შენთან, უარს ნუ მეტყვი. მინდა შესავალი სიტყვა შენ თქვა, აქ გამომსვლელთა სიაა, თითო სიტყვას, ვფიქრობ, არ დამამადლიანო.

იმ დღეებში, ჩვენ რა ვიცოდით და, ოთხმოცი წელი შესრულებოდა. სანამ მიკროფონს მოვიმარჯვებდი, მისმა ვაჟმა ჩამაწვეთა, ამ თარიღს როგორ მივაფუჩეჩებდი.

ფაქტობრივად, ბატონი აკაკის იუბილე გამოვიდა. ყველა გულწრფელად და სევდანარევი ინტონაციით ლაპარაკობდა.

თვითონ „მკაცრ“, „კუშტ“ აკაკი გუნიას თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე, როცა სამადლობელ სიტყვას ამბობდა.

ერთი თვის თავზე დეკანატიდან დამირეკეს, აკაკი გუნია გარდაიცვალა და ნეკროლოგს შენი გვარი მივაწეროთ თუ არაო.

როდის, რისგან, რანაირად, სუსტად ყველა ვართ, მაგრამ ბატონი აკაკი ისეთი კერკეტი იყო, მის უეცარ სიკვდილს არ ველოდი.

გავვარდი უნივერსიტეტში. რექტორს ვთხოვე, ცოტა ფული გამოგვიყავი (როგორც ამ დროს მიღებულია), ცოტას ჩვენ, მეგობრები, შევკრებთ, ღირსეულად უნდა დავასაფლავოთ-მეთქი.

ამ დროს რექტორის კაბინეტში სასადილოს გამგე, კლიმენტი ღელეყვა, შემოვიდა; აკაკი გუნიაზე ხომ არ გაქვთ ლაპარაკი. გავიგე, გუშინ გარდაცვლილა, შევბულებაში ვარ, მაგრამ ამ დილით წამოვედი ურეკიდანო. ნურაფერზე ნუ შეწუხდებით. ბატონმა აკაკიმ თვითონ იზრუნა ყველაფერზეო.

და კლიმენტი ღელეყვამ საოცარი რამ გვიამბო.

ამ სამიოდე თვის წინ შინ მეწვია. ბატონი აკაკი ოჯახში სტუმრობით არავის ანებივრებდა და გამიკვირდაო. შუშაბანდში გამიყვანა და საიდუმლო ჩურჩულით მითხრა: გული მიგრძნობს, კლიმენტი, მე, ალბათ, მალე მოვკვდები და შენთან ერთი სათხოვარი მაქვს, არ მითხრა უარი და რასაც გეტყვი, ეს ყველაფერი ჩვენს შორის დარჩეხო. ბატონი ხარ-მეთქი, კამათს ხომ არ დავუწყებდი. კვირაში ერთხელ დამირეკე ამ ნომერზე, თუ ხმა არ გაგეცი, შუაღამისას კიდევ დამირეკე და თუ არც მაშინ გაგეცი, ესე იგი, მკვდარი ვარ... მიდი პირდაპირ რექტორატში და ეს ნეკროლოგი მიიტანე (პაკეტი გადმომცა), საბურთალოს სასაფლაოს დირექტორს – რიჟამაძეს უჯრაში უდევს ქალაქის მერიის განკარგულება ჩემთვის საფლავის გამოყოფის შესახებ, საფლავის და „სასახლის“ ფული გადახდილი მაქვს. ამ კონვერტში ზუსტად იმდენი ფულია, მანქანის დაქირავებას და ქელეხს რომ დაჭირდება. ა, გიტოვებ ამას და შენი იმედი მაქვსო. ჩემს შეცბუნებულ სახეს რომ შეხედა, გაიღიმა, ნუ გეშინია, თავს არ მოვიკლავ, მარა მომწყინდა უკვე, სიბერემაც დამღალა, ვერ ვარ კარგად, ორ-სამ თვეს, მე მგონია, ვეღარ გავატან, აბა, კარგად იყავი და მიმიხედე ამ საქმეს, ღმერთი გადაგიხდის სამაგიეროს – ეს რომ დაამთავრა, ჩემს პასუხს არ დაელოდა, შეტრიალდა და ჯოხის კაკუნით ჩაუყვა კიბეს.

კლიმენტი ღელეყვამ პაკეტი რექტორს დაუდო მაგიდაზე.

დავასაფლავეთ ბატონი აკაკი ღირსეულად, პატივით, როგორც ეკუთვნოდა.

კეკელიძის დაღმართს მარტო ჩავუყევი ნაქელეხარზე.

ციოდა.

მანქანები გულისწამღებად ღრიალ-ღრჭიალებდნენ.

ყველანი სიკვდილის შვილები ვართ, მაგრამ მე იმჯერად აკაკიზე უფრო მეტად კლიმენტი ღელეყვაზე ვფიქრობდი.

ღელეყვა პატიოსანი კაცია და თავისი ვალი პატიოსნად მოიხადა, მაგრამ მაინც გულს მეთანაღრება და შეიძლება, ოდესმე ვუთხრა კიდეც.

ცოცხალი კაცი დაგემშვიდობა, თავისი სიკვდილის თარიღი გაგანდო, საფლავის მიწაც და ქელეხიც თვითვე გაახაზირა და შენ დაგნიშნა უკანასკნელ აპეკუნმედიატორად. ეს ყველაფერი უცნაური აკაკი გუნიასათვის ბუნებრივია. მის ხასიათში ზის, მაგრამ შენ?

შენ როგორ გაუჩუმდი ამ ამბავს, შე კაი კაცო?

როგორ არ ატეხე განგაში, როგორ არ შესძარი ცა და ქვეყანა. კაცი მიდიოდა ამ ქვეყნიდან, ბუზი ხომ არა.

ნუ დამიმალავ...

ექიმობა, ჩემო კარგო, მთლად თანდაყოლილი ნიჭი თუ არა, მოწოდება მაინც არი.

ექიმობაში ყველაფრის სწავლა არ შეიძლება. ზოგი რამ შინაგანად უნდა მოუდგამდეს, შენით უნდა მიხვდე.

მიმხვედრიანობას ახლა რაღაცა სხვა სახელს ეძახიან.

ბევრი რამე, ალბათ, გამოცდილებაზეცაა დამოკიდებული.

წლებს, მართალია, თავისი მიაქვს, მაგრამ თავისიც ბევრი მოაქვს.

კარგია, როგორ არ ვარგა, ეს ანალიზები და კომპიუტერები, გვეხმარება დიაგნოზის დასმაში, მაგრამ გამოცდილმა ექიმმა ბევრი რამ უანალიზოდაც უნდა დაადგინოს.

მე, მაგალითად, რომ შევხედავ კაცს, მაჯაშიც ხელი რომ არ მოვკიდო და ფონენდოსკოპიც რომ არ მივაკარო, უკვე ვიცი, რა ჯანმრთელობის პატრონია.

ესაა გამოცდილება, ჩემო კარგო, და კიდევ ის რაღაც, ახსნას რომ ვერ მოუძებნი და მე უფრო თანდაყოლილს რომ ვაბრალებ.

ორ მაგალითს გეტყვი, მეტს არა, ჩემი პრაქტიკიდან და შენ თვითონ განსაჯე.

ტრაბახში არ ჩამომართვა, თუ კაცი ხარ, ეს თვისება სხვისიც მეჯავრება.

ემელიანე რიაძე, რასაკვირველია, იცი. მაგხელა არტისტი ქართულ სცენაზე იშვიათად მდგარა.

ვიცნობდი პირადად, ისე, შორიდან. ახლოს არ ვიცნობდი, რასაკვირველია.

რადიოში ვუსმინე ერთხელ, ილია ჭავჭავაძის „გუთნისდედას“ კითხულობდა.

სუნთქვა არ მომეწონა.

დავურეკე იმ საღამოსვე. მე ექიმი ესა და ეს გახლავართ-მეთქი. რადიოში გისმენდით და თქვენი სუნთქვა არ მომეწონა, გული რა მდგომარეობაში გაქვთ საერთოდ-მეთქი.

დიდი მადლობა, ბატონო, გულს ჯერჯერობით არ ვუჩივიო, მიპასუხა და ყურმილი დამიკიდა.

ორი დღის შემდეგ ისევ დავურეკე. ბატონო ემილიანე, ხომ იცით, თქვენ მარტო თქვენს თავს არ ეკუთვნით, ჩემი მოვალეობაა, როგორც ექიმმა, გაგაფრთხილოთ, სუნთქვა არ მომწონს თქვენი, გულს მიხედეთ, თავი არ გადაიტვირთოთ და ეცადეთ, ცხოვრების მშვიდ წესზე გადახვიდეთ-მეთქი.

დიდი მადლობა, ბატონოო, სხვათა შორის, უაღრესად ზრდილობიანი კაცი იყო, ასე რომ ზრუნავთ ჩემი ჯანმრთელობისთვისო. მე, ჩემი ასაკისთვის (სამოცის იყო), ჯერჯერობით, არა მიშავს, კარგად ვგრძნობ თავსო, შესაძლებლობისამებრ სპორტულ ცხოვრებას ვეწევი და არ ვსვამო. რაც შეეხება ნერვიულობას, ნერვიულობისგან დაზღვეული არავინ არის, მოგეხსენებათ, ჩვენი საქმეო.

ერთი კვირის თავზე ტელევიზორში ვნახე ბატონი ემელიანე.

თეატრის გეგმებზე და თავის თავზე ლაპარაკობდა; ახლახან მამაკაცის როლის შესრულებისთვის ამა და ამ კინოფესტივალზე პირველი პრიზი მომანიჭეს და გახარებული ვარო.

სუნთქვა ისევ არ მომეწონა.

დავურეკე სასწრაფოდ. ბატონო ემელიანე, მე ისევ ექიმი ესა და ეს გახლავართ-მეთქი, კატეგორიულად გაფრთხილებთ, არ მომწონს თქვენი სუნთქვა, გული არა გაქვთ წესრიგში და ჩემგან დანაშაული იქნება, რომ არ მიგაქცევინოთ ყურადღება-მეთქი.

კაცო, შენ რას გადამეკიდეო, ეწყინა, გეუბნები, არ ვუჩივი გულს, გუშინ კარდიოგრამა გადამიღეს, უმნიშვნელო ასაკობრივი ცვლილებებია, მეტი არაფერიო.

მეორე დღეს რუსთაველის თეატრში „მეფე ლირი“ ვნახე. რიაძე, მოგეხსენება, მეფე ლირს თამაშობდა.

გათავდა პირველი მოქმედება. ვერ ვისვენებ, არადა, არ მომწონს სუნთქვა.

არის ისეთი რამეები, რისი გაგებაც მარტო პროფესიონალს შეუძლია. სუნთქვაში აშკარად იგრძნობა არითმია.

სპექტაკლი რომ ჩამთავრდა და ტაშზე გამოვიდა, კულისებში დავხვდი.

ბატონო ემელიანე, – მაპატიეთ, რომ ისევ გაწუხებთ. თქვენ შეგიძლიათ, გამიწყრეთ, მაგრამ ვალდებული ხართ, მომისმინოთ, გული არ გივარგათ. თქვენი სუნთქვა არ მომწონს-მეთქი.

განზე უხეშად გამწია. სიტყვა არ უთქვამს, გაოფლილი შევარდა თავის საგრიმიორო-კაბინეტში.

შევყევი. რა გული მომითმენდა, ერისთვის საყვარელი მსახიობი ბედის ანაბარა მიმეტოვებინა.

ბატონო ემილიან, რატომ ცხარობთ. მე ექიმი ვარ, ორი კვირაა, სისტემატურად გაფრთხილებთ, არ მომწონს თქვენი სუნთქვა – კატასტროფა მოახლოვებულია. მერე გვიან იქნება. გულს მიხედეთ, გულს!-მეთქი.

მომკიდა ხელი, თვალებში ჩამხედა; კაცო, შენ მოგზავნილი ხომ არ ხარ, რა გინდა, რას მერჩიო! დაიღრიალა, ხელი მკრა და კინწისკვრით გამომაგდო.

ამის შემდეგ მხოლოდ ორჯერ დარეკვა მოვასწარი.

„გულს...“ რომ ვიტყოდი, აღარ მათავრებინებდა, შემაგინებდა და დამიგდებდა ყურმილს.

ზუსტად ერთ თვეში გარდაიცვალა.

ახლა მეორე შემთხვევა ჩემი პრაქტიკიდან.

ხომ არ გადაიღალე?

მოკლედ მოგიყვები, რაღაც დაღლას გამჩნევ სახეზე.

ილიანე ქლიბაშვილმა რა ამაგი დასდო ქართულ ცეკვას, არ გესწავლება.

მე მგონია, მაგის სახელთანაა დაკავშირებული ქართული პროფესიული ცეკვის მსოფლიოში გატანა.

კინტაურს ცეკვავდა განსაკუთრებით, გადასარევად; თავისებური პლასტიკით, ქალაქურ-აშუღურად. ერთი სიტყვით, ვირტუოზი იყო.

ერთ ოჯახში მოვხვდით სტუმრად.

ჩემს გვერდით იჯდა.

მაშინ სამოცდაათს მიტანებული იყო.

არ გაუშვებდნენ უცეკვებლად, რად უნდა ლაპარაკი.

ბევრი თხოვნაც არ დასჭირვებია.

იცეკვა კინტაური.

ილიანეს კინტაური კინოშიც არაერთხელ მინახავს, მაგრამ იმ დღეს დიდებულად, განუმეორებლად იცეკვა.

რომ დაჯდა ჩემს გვერდით, მაშინვე შევატყვე, რაც შესატყობი იყო.

სუნთქვა გაქვთ აჩქარებული და მეტი აღარ იცეკვოთ-მეთქი. საერთოდ, გეტყობათ, გული არ გაქვთ წესრიგში-მეთქი.

არაფერი უთქვამს, წამოდგა და აივანზე გავიდა, ალბათ, ჰაერის გადასაყლაპავად.

გავყევი, რა მომასვენებდა.

თქვენ-მეთქი, ყურში ვეუბნები, ბატონო ილიანე, არ უნდა გეცეკვათ დღეს-მეთქი. ხალხს რას უყურებთ, მთხოვნელი არ გამოილევა. ეგენი სეირს უყურებენ, თქვენი გული კი, როგორც ვხედავ, პიწკზეა-მეთქი.

შემომხედა, ყურადღებით დამაკვირდა.

პასუხი არ გაუცია. არც მადლობა უთქვამს.

მთელი საღამო უგუნებოდ, უქეიფოდ იყო, ხმა არ ამოუღია.

მისულა სახლში და იმ ღამით გარდაცვლილა; გამთენიისას, ასე დაახლოვებით ექვს საათზე.

ასეა, ჩემო კარგო.

რად მინდა ანალიზები და კომპიუტერები.

კი, რა თქმა უნდა, დიაგნოზის დასმაში გვეხმარება „მონაცემები“, მაგრამ მთავარი მაინც თვალია.

რომ შევხედავ ავადმყოფს, იშვიათად, რომ შევცდე.

მაპატიე, ჩემს თავზე რომ ამდენი გელაპარაკე.

ხომ არ დაგღალე?..

საერთოდ, შენ ეს ფერი გაქვს სახეზე?

რაღაც არ მომწონს შენი ფერი, ცოტა სიყვითლისკენაა წასული.

ღამე ხშირად იღვიძებ? კოშმარულ სიზმრებს ხომ არ ნახულობ?

მითხარი, მითხარი, არ მომერიდო. ნუ დამიმალავ...

ექიმი იმისაა, რომ ყველაფერი უთხრა.

რევაზ მიშველაძე.

პოეზია, უპირველეს ყოვლისა

მიხეილ ჩაჩუა

წიგნიდან — „მიძღვნა“

მე უშენოდ ვეღარ გავძლებ

დღეს რომ მითენდება შავად,
ვნატრობ იმ შენს ლამაზ
დილებს.
ვინ წამართვა შენი თავი,
როგორ დაგთმე, სასიკვდილემ?
აფხაზეთო, ჩემო ღია იარაო,
შენ მოგიკვდეს ჩემი თავი,
რადგან ვერ მოგიარეო.
გახსოვს? ვწერდი:
ლურჯო ზღვაო,
ლურჯად მოლივლივე ტბაო,
მე უთქვენოდ ვეღარ გავძლებ,
თქვენთან ყოფნა გამიტკბაო.
ვაჰმე, ვეღარ გაგიფრთხილდი
და უშენოდ წლები მიდის.
მოდის ჩემი აღსასრული,
მაგრამ ვიდრე მიდგას სული,
ნატვრას შენი დაბრუნების
უსიკვდილოდ ავისრულებ.
მერე მინდა ყველა ქართველს
ვუანდერძო ფრაზა ერთი:
მოკვდი, მაგრამ არასოდეს
დათმო შენი აფხაზეთი!

2000 წ.

გონიო... სარფი...

ლ. X.-ს

იმ დღის შემდეგ მგონია
საუკუნე გაფრინდა,
როცა ვნახეთ გონიო,
როცა ვნახეთ სარფი და
გული — ერთი სოფლის —
გაყოფილი ორად...
ო, რა ახლოს მყოფნი
და რა შორი-შორად.
საუკუნე თუ არა,
საუკუნეთ თუ არა,
ოცი წელი ხომ გავიდა
იმის შემდეგ, ლუარა?
ოცი წელი,
ოცი წელი —
ბევრი წელიწადია...
ერთხელ კიდევ გონიოში
წასვლა აღარ გწადია?
გონიოდან სარფშიც ავალთ,
თორემ გული გაგვიძლებს?
გახსოვს ალი თანდილავა?
გახსოვს ხოზრევანიძე?
ყველაფერი გეხსომება,
ყველაფერი თუ არა.
გული ორად გაყოფილი
ხომ თან გაგყვა, ლაუარა?

1982 წ.

რა გითხრა, ჩემო კახეთო

ხარ შუბლგაშლილი ილია,
შენი გული აქვს ფიროსმანს... .
რაც თავი მახსოვს,
სიყვარულს
მთავაზობ უნაპიროსა.
ისემც სამშობლომ იხაროს,
როგორც მკლავს მისი
ჯავრი მე.
მაცოცხლებს შენი „წინ წყარო“
და შენი „მრავალჟამიერ“.

რა გითხრა, ჩემო კახეთო —
ალავერდო და გრემო,
გადასარევად კარგია
შენი ფერიც და გემოც.

სავსე ვარ შენი ფერებით,
შენი „რქაწითლის“ გემოთი...
სულ ასე ალავერდობდე,
ალაზნობდე და გრემობდე.

რის თქმაც მსურს
ღმერთმა ინებოს,
ვთქვა სიყვარულის ენით...
ჭირიმე, მღვდლიაშვილებო,
შალვაშვილებო თქვენი!

აფერუმ, მაგ შენს ქალობას,
ტალიაშვილის ქალო!

არ მომეშალოს ბერიკაცს
თქვენი რთველი და ალო;

სულ ასე — ერთად გვებრძოლოს,
ერთად გველეწოს კალოც,
თქვე გმირთა სწორო ქალებო,
საფერებელო ქალნო!

ესაა ჩვენი მესხეთი

შოთა ლომსაძეს

ქართველს ნატრობდეს
მესხეთი —
ღმერთმა გვაშოროს ეს ხვედრი,
უნდა იმრავლოს მესხეთმა
ლომსაძეებით, მესხებით.

რა წარმტაცია ეს ხედი,
შეხედე, რა ლამაზია!
ესაა ჩვენი მესხეთი,
ჩვენი ევროპაც, აზიაც!

აქ შოთას სული რიალებს,
აქ ჩვენი სისხლი ხმაურობს,
თქვენ აქ ვერ იქარაშოტებთ,
ქარებო, არაქაურო!

პავლე ინგოროყვას

უდიდესი კრძალვით, რიდით
შემოგბედავთ პავლე ბატონს:
— თქვენ ბრძანდებით
პავლე დიდი,
ეს არ გახლავთ საკამათო.

არ ვაჭარბებ — ღმერთი, რჯული!
სიმართლეა, ვამბობ რასაც.
დავიფიცავ თქვენს „მერჩულეს“
და თქვენს „რუსთველიანასაც“.

ეს ექსპრომტი ბატონ პავლეს 1958 წელს თბილისში, სახელმწიფო გამომცემლობაში შეხვედრისას შევაგებე.

ოთარ ჩხეიძეს

ამაოდ არ ჩაუვლია
შენს წვას, ღელვას
და შფოთვას.
ამაყად დგახარ რჩეულთა
შორის, ძვირფასო ოთარ!

ოცი რომანის ავტორი,
შენა ხარ, ჩემი ბატონი,
წერდი სულ მარტოდ-მარტოი
თუ გკარნახობდა უფალი?

ხარ მატიანე ქართლისა
ქართლივით ნათელ-მართალი.
ქართლს რომ ვახსენებ,
პირველად
ჩემს წინ შენ აიმართები.

ტყუპისცალივით ჰგავხარ მას,
გამორჩეულიც ხარ ამით,
მისმა ფესვებმა გახარა,
დარდიც მისი გაქვს, ვარამიც.

ბევრი გაქვს, გაგიხარია,
საქებარი და საკვეხნი
კვლავაც გამწევი ხარივით
ეწევი უღელს საქვეყნოს.

ქვეყნად სიკეთედ მოსულო,
გწამს, დაგვადგება საშველი.
ღმერთმა სამშობლო გიცოცხლოს,
თავი უცოცხლოს მას შენი.

2000 წ.

ანა

„აყვავდა ჩემი სიხარულის
ლამაზი ტოტი“...
ეს ანა მოდის, სწორება მისკენ!
რა ლამაზია საქართველოს
მთაცა და კორდიც
უფრორე მაშინ, როცა ანას
ლოცვები ისმის...
უწყის მიწამან ღირსება მისი?“

„შენ ისე ღრმა ხარ“...
ლოცულობს ანა,
მზე ეფინება ვენახს და ყანას,
მთასა და ველებს,
სმენად ქცეულა მთლად
საქართველო.

სხვა არის მადლი, მამულოო
შენეულ მთათა...
ლექსს ჩურჩულებს თუ
ლოცულობს მართლა?
მოდის და მოაქვს ნათელი შორი,
ხმაგაკმენდილი ვუსმენ და...
მშველის.
„შენ, სასწაულო სასწაულთ შორის
მაშენებელ ხარ და ყოვლის
მშლელი“.

საირმე,
1976 წლის სექტემბერი.

მინაწერი

მწერალ მაკა ჯოხაძის ესეიზე
„განწირულთა სულისკვეთება“

არამცთუ ქალი, გითხრათ მართალი,
ბევრი ვაჟკაციც ვერ მოვა
თქვენთან
მამულიშვილური შემართებით
და ვერც სიახლოვით ღმერთთან.
მივესალმები აზრებს ღრმასა და
მაღალს,
დამსხვრეულ ფრთათა გამთელებას
და გაშლას...
თქვენს სულის კვეთებას
გაუმარჯოს, ქალბატონო მაკა,
თქვენს მშვენიერ და შესაშურ
შემართებას — ვაშა.

2000 წ.

სამადლობელი

მინაწერი მწერალ რევაზ მიშველაძის
წიგნზე „ასი ახალი ნოველა“

ამ წიგნისათვის მადლობა გვეთქმის
(რანი ვართ, კარგზე კარგს
თუ არ ვიტყვით)
ამ ტიალ დღეთა,
ტკივილთა ჩვენთა
მატიანეა ეს ჭეშმარიტი.

მადლობელი ვარ ბევრი რამისთვის,
მაგრამ ერთისთვის —
განსაკუთრებით:
მე შემძრა ამან —
შვილმკვდარი მამა
სულთმობრძავ მამულს ღამეს
უთევდი.

ის უკუნეთი გრძელდება ისევ
და საქართველოს ღამეებს ვუთევთ.
საბრძოლოდ გვიხმობს
დაღვრილი სისხლი
და დასაღვრელი ასკდება კუნთებს.

1999 წ.

მერაბ ელიოზიშვილს

მაღალმხატვრულს გიქებ სიტყვას,
შენი წირვა-ლოცვაც მიყვარს.

შენს მოთხრობებს და პიესებს
სხვანაირი მადლი სცხია.
სიკეთის და სიბრძნის მთესველს
არ გაწუხებს ამბიცია.

ქვეყანაში როცა ბნელა,
სიყვარულის ანთებ კოცონს,
საყვარელო, ჩვენო მერაბ,
ჩვენო მამა ელიოზო.

2001 წ.

მამუკა წიკლაურს

მამულს ცეცხლი უკიდია,
უქრობ, მაგრამ თვითონ იწვი, —
ამას თავგანწირვა ჰქვია!
შენს გვარზე ხტის შენი კვიცი.

დაგელოცოს გვარიც, ჯიშიც,
გამარჯვებით გევლოს მუდამ,
რადგან ის ხარ, გასაჭირში
ვინც სამშობლოს ფეხზე უდგას.

1998 წ.

საქართველოს ეროვნული ბანკის შეტყობინება სახაზინო ვალდებულებების აუქციონზე გაყიდვის თაობაზე

17 მაისი, 2001 წელი

91-დღიანი სახაზინო ვალდებულებები 1000000 (ერთი მილიონი) ლარის ოდენობით, რომლის დაფარვა განხორციელდება 2001 წლის 22 აგვისტოს, გამოტანილ იქნება აუქციონზე, რომელიც შედგება 20001 წლის 23 მაისს, 10 საათზე.

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ განაცხადი დადგენილი ფორმით წარუდგინონ საქართველოს ეროვნულ ბანკს კომერციული ბანკების მეშვეობით, არაუგვიანეს 2001 წლის 23 მაისის 10 საათამდე.

აუქციონის შედეგები სახაზინო ვალდებულებების მყიდველ ბანკებს ეცნობებათ იმავე დღეს და გამოქვეყნდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით.

აუქციონში მონაწილეობის მსურველნი გაცნობილნი უნდა იყვნენ „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ სახაზინო ვალდებულებების გამოშვების, განთავსების, მიმოქცევის, აღრიცხვისა და დაფარვის შესახებ“ დებულებას და აღიარებდნენ მის სავალდებულო შესრულებას. განაცხადის ფორმების მიღება შეიძლება ეროვნულ ბანკში ან ნებისმიერ კომერციულ ბანკში.

კოლექციონერი

ღარიბი მილიონერი,

ანუ „შენისთანა ადამიანები გადაარჩენენ საქართველოს“

„ბატონო გივი!

აღტაცებული ვარ თქვენი ნიჭიერებით, გემოვნებით, უმაღლესი დონის კოლექციით, ამდენი შედევრი ერთად, ეს ხომ ფანტასტიკაა.

ბედნიერია ქართველი ერი, რომ მას თქვენი სახით მხატვრობის უდიდესი გულშემატკივარი და პატრონი ჰყავს.

რასაც ხანდახან თვით სახელმწიფო ვერ უკეთებს ხელოვან ხალხს, თქვენ ეს უმაღლეს დონეზე შესძელით. მადლობა ყოველივე ამისათვის.

უმრავლოს ჩვენს ერს თქვენისთანა მამულიშვილები.

პატივისცემით, **გოგი წერეთელი.**

4. 4. 2001, თბილისი.“

აი, ერთი ჩანაწერი კოლექციონერ გივი ფარასტაშვილის შთაბეჭდილების წიგნიდან...

ასეთი ხალხმრავლობა დიდი ხანია არ ახსოვს ეროვნულ გალერეას. მიუხედავად თავსხმა წვიმისა, დარბაზი ვერ იტევდა მნახველს. გივი ფარასტაშვილმა უკვე მეორედ გამოფინა თავისი კოლექცია, — ერთხელ თერთმეტი წლის წინათ. მაშინ პირველად დაეთმო საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის დარბაზები კოლექციონერის გამოფენას. მაშინვე აღინიშნა კოლექციის მხატვრული ღირსებები. მას შემდეგ ქართველ მხატვართა ნამუშევრების სერიოზული გამოფენა არ გამართულა ამ ექსპონატების გარეშე. დღეისათვის ეს კოლექცია რამდენიმე ასეულ ექსპონატს ითვლის. „ეროვნულ გალერეაში“ კი მხოლოდ 150 სხვადასხვა ნახატი გამოიფინა.

გივი ფარასტაშვილი მათემატიკოსია. კოლექციონერობა მისი მეორე პროფესიაა (აი, მაგალითი იმისა, თუ რა შეუძლია თანდაყოლილ ნიჭსა და უნარს). ძალიან ძნელია რუდუნებით შეაგროვო და საზოგადოებას წარუდგინო ასეთი დიდი გემოვნებით, საქმის ცოდნით, სიყვარულით შერჩეული მხატვრული ქმნილებები.

ათვალიერებ სურათებს და აღტაცებას ვერ მალავ, — როგორ მისხალ-მისხალ უძებნია გამორჩენილ მხატვართა ნამუშევრები. ეს არის კოლექცია-ანთოლოგია. მისი დათვალიერებისას სრული წარმოდგენა გექმნებათ ქართული მხატვრობის განვითარების რთულ წინაალმდეგობრივ პროცესებზე.

პირველად გამოიფინა ახვლედიანის, ჯავრიშვილის, ნიჟარაძის, კალანდაძის ნახატები, რომლებიც გივის შეკვეთით არის შესრულებული და საზოგადოებას არ უნახავს.

მისი კოლექციის დიდი ნაწილი არაფრით არ უდებს ტოლს ხელოვნების მუზეუმის ექსპონატებს. აღფრთოვანებას ვერ მალავენ მნახველები: — ნუთუ, ეს ერთი კაცის მიერ შეგროვილი კერძო კოლექციაა? მართალია, აქ უცხოელ მხატვართა ნამუშევრები არ არის, მაგრამ თბილისში მოღვაწე არაქართველი მხატვრების — ვალიშევსკის, ბაშბეუქ-მელიქოვის, კირილი ზდანევიჩის და სხვათა შედევრებიც ამშვენებდა გალერეის კედლებს.

მნახველები დიდხანს ჩერდებიან სერგო ქობულაძის, უჩა და ვახტანგ ჯაფარიძეების, დიმიტრი შევარდნაძის, მოსე თოიძის, დავით კაკაბაძის, ლადო გუდიაშვილის, ელენე ახვლედიანის, ქეთევან მაღალაშვილის, ვალერიან სიდამონ-ერისთავის, თამარ აბაკელიას, კორნელი სანაძის, რობერტ სტურუას, ავთო ვარაზის, ალექსანდრე ციმაკურიძის, რუსუდან ჯავრიშვილის, ედმონდ კალანდაძის, ჯიბსონ ხუნდაძის, ზურაბ ნიჟარაძის, თენგიზ მირზაშვილის, გია ბუღაძის, თემო გოცაძის, გოგი ალექსი-მესხიშვილის (რომელი ერთი ჩამოვთვალო) ტილოებთან.

განსაკუთრებით ხალხმრავლობა იყო გიგო გაბაშვილის უნიკალურ შედევრთან „აღმოსავლური სიძველეების დუქანი“ და კოლექციის სიამაყესთან, უკანასკნელ წლებში აღმოჩენილ ნიკო ფიროსმანის სრულიად უცნობ სურათთან: „სააღდგომო ბატკანი“.

ამდენი მხატვრის ამდენი შედევრი — ეს ხომ ფანტასტიკურია — ისმოდა აქეთ-იქიდან.

გივის ცხოვრებამ ხომ ჩემს თვალწინ გაიარა, ხელმოკლე პატიოსანი ოჯახის შვილი ყოველთვის გამოირჩეოდა მიზანდასახულობით. მხატვრობით მისი გატაცება კი ასე დაიწყო:

1973 წლის ცხელი ზაფხული იდგა. მსახიობის სახლის საგამოფენო დარბაზში ნათელა იანქოშვილის სურათების გამოფენა მოეწყოთ. დარბაზი რომ დაცარიელდა, მხატვრის ყურადღება მიიქცია ახალგაზრდა კაცმა. იგი გულდასმით ათვალიერებდა ნამუშევრებს. გულითადი საუბარი გაიბა მათ შორის. გივი ფარასტაშვილს აქ გაუჩნდა პირველად მეცენატობის სურვილი და მხატვრისგან თავისი მომავალი კოლექციის პირველი სურათი — „კუბელი გოგონა“ შეიძინა. ეს იყო და ეს! ამ დღიდან მისი ცხოვრება სულ სხვა გზით წარიმართა. ახალ-ახალი ქმნილებების შეძენა მისთვის აუცილებელ მოთხოვნილებად გადაიქცა.

ამას ლადო გუდიაშვილის გაცნობა და მისი ერთ-ერთი ნამუშევრის შეძენა მოჰყვა; გივი ძალიან ემადლიერება ქალბატონ რუსუდან ჯავრიშვილს, რომელმაც გზა გაუხსნა ხელოვანთა წრეში. იმთავითვე მტკიცედ გადაწყვიტა შეექმნა ქართველ მხატვართა ნამუშევრების სრული კოლექცია. მხატვრებთან და ხელოვნებათმცოდნეებთან მუდმივი კავშირი ეხმარებოდა საჭირო ცოდნისა და გამოცდილების დაგროვებაში. განსაკუთრებით ეფერება იგი საქართველოს ხელოვნების მუზეუმის განყოფილების გამგეს ქეთევან ბაგრატიშვილს, რომელთანაც საქმიანი ურთიერთობა დღემდე გრძელდება.

დრო გადიოდა, იხვეწებოდა კოლექციონერის ალღო და იშვიათ ნამუშევართა მიგნებისა და მოპოვების უნარი.

მხატვრებიც აღტაცებით შეხვდნენ ფარასტაშვილის მიზანს და ყოველმხრივ ეხმარებოდნენ და ეხმარებიან კიდეც სურვილის განხორციელებაში, სიამოვნებით უთმობენ მას თავის შედევრებს. გივი სისტემატურად ავსებს თავის კოლექციას ახალგაზრდა მხატვართა ნამუშევრებით.





გამორჩეულია გივი ფარასტაშვილის მიერ შეგროვებული ქართული თეატრალური მხატვრობის ნიმუშები: ვ. სიდამონ-ერისთავის, ი. გამრეკელის, დ. კაკაბაძის, პ. ოცხელის, თ. აბაკელიას, ე. ახვლედიანის, ს. ვირსალაძის, ი. სუმბათაშვილის, ფ. ლაპიაშვილის, გ. ალექსი-მესხიშვილის და სხვათა თეატრალური დეკორაციებისა და კოსტუმების ესკიზები (ყველაფერი ეს უდიდესი ოსტატობითა და გემოვნებით აქვს საკუთარი ხელით გაფორმებული. მას სჯერა, რომ სურათი დასრულებულ სახეს იღებს მხოლოდ მას შემდეგ, რაც სათანადო ჩარჩო გაუკეთდება). თეატრალური ესკიზები იმავე დღეებში „ვერნისაჟში“ გახლდათ გამოფენილი.

— ბევრი სურათი ჩემს ხელში რომ არ მოხვედრილიყო, დაიღუპებოდაო, — ამბობს გივი.

კოლექცია ექსპონატთა რაოდენობითა და მათი ისტორიულ-მხატვრული მნიშვნელობით უნიკალურია. მას ვერ შეედრება საქართველოში დღემდე ცნობილი ვერცერთი კერძო კოლექცია, იგი, ფაქტობრივად, თანამედროვე ქართული სახვითი ხელოვნების კერძო მუზეუმია.

გამოფენის დღეებში იქვე მოეწყო პრესკონფერენციაც.

ვუსმენდი პრესკონფერენციას და გავიფიქრე, იქნებ იმ დღეს გადაუდებელი საქმეებით იყვნენ დაკავებული ქალაქის მესვეურნი, კულტურის მინისტრი, პარლამენტარები, მაგრამ, ხალხის მოთხოვნით, ერთი კვირით გაგრძელებული გამოფენის ნახვით, სამწუხაროდ, მაინც არ შეუწუხებიათ თავი. ეს ხომ თბილისის ცხოვრებაში უნიკალური მოვლენა გახლდათ, ამაზე უკეთესი რა უნდა ენახათ?

ქალაქის მერიას ბატონი კახაძე წარმოადგენდა. მხოლოდ ერთმა პარლამენტარმა — გიგი წერეთელმა არ დაიზარა და გამოფენის გახსნაზეც მობრძანდა და პრესკონფერენციაზეც.

ყველაფერზე საუბრობდნენ მოწვეული სტუმრები, გარდა გივის სურვილისა.

გივი ფარასტაშვილი კი დიდი ხანია ოცნებობს თავისი კოლექციის ბაზაზე გალერეა შექმნას. ეს აზრი მაშინ დაიბადა, როცა ბლომად დაუგროვდა სურათები და იგრძნო, რომ ასეთი უზარმაზარი კოლექცია არა მარტო დიდი განძია, დიდი ტვირთიცაა ერთი ადამიანისთვის, — იგი ყველამ უნდა იტვირთოს.

დღეისათვის, ქართველ ხალხს ერთად თავმოყრილი ამდენი შედევრი რომ აქვს, ეს კარგად ორგანიზებული და დაცული მატერიალური მემკვიდრეობა რომ გააჩნია, ეს გივის დამსახურებაა.

და რაოდენ დასანანი იყო, როდესაც პრესკონფერენციაზე ქალაქის მესვეურები, თითქოს სტუდენტებს უკითხავდნენ ლექციასო, მოძღვრავდნენ საზოგადოებას და, უპირველესად, თვით გივის, რომ, თურმე, შეიძლება კოლექციონერი შეელიოს თავის ერთ-ერთ ნახატს, ანუ გაყიდოს და ამ თანხით გალერეა ააშენოს!

... დიდხანს ითმინა გივი ფარასტაშვილმა და ბოლოს განაცხადა: — ბატონებო, ჩემი კოლექცია ძალიან საიმედო ხელშია, მე მას არც მოვლა-პატრონობას ვაკლებ და არც მზრუნველობას, ჩემი სახლი პატარაა და ბევრ მნახველს ვერ უმასპინძლებს. მე მინდა ეს გალერეა საერთო-სახალხო საკუთრება გახდეს, ქალაქის ცენტრში მდებარეობდეს, რომ სტუმარსაც და მასპინძელსაც დაუბრკოლებლივ შეეძლოს მისი ნახვა. მე არავისგან არაფერს ვითხოვ, პირიქით, იქით გთავაზობთ — თუ საშუალებას გამოძებნით და გალერეას ააგებთ, ისევ ქალაქს დაამშვენებს...

* * *

საინტერესო ჩანაწერებით აივსო შთაბეჭდილებების წიგნი, აი, ზოგი მათგანი:

„თანამედროვე ქართული მხატვრობა თურმე ბევრად უკეთესი ყოფილა, ვიდრე მეგონა, დიდი სიამოვნება მომანიჭა კოლექციამ, დიდი მადლობა ამ მშვენიერებისათვის, კვლავ დავრწმუნდი რანი ვართ.

გიორგი გეგეჭკორი.“

„თქვენისთანა ადამიანები გადაარჩენენ საქართველოს. თქვენ ინახავთ ქვეყნის სულიერებას. ჩემთვის უდიდესი ბედნიერება და სიამოვნება იყო თქვენი კოლექციის აღმოჩენა. თქვენი დიდი გულშემატკივარი და იმედია, მომავალი მოწაფე

ლადო ჭანტურია.“

„ალბათ, ბედნიერია ერი, რომელსაც ასეთი ენთუზიასტები ჰყავს. ხელოვნების ნაწარმოების დაფასება ყველას არ შეუძლია, ამას განსაკუთრებული ნიჭი უნდა. დიდი მადლობა ბ-ნ გივის, რომელმაც ამ დუხჭირი ყოფის პირობებში უდიდესი სიამოვნება მოგვგვარა.

მარიამ ლორთქიფანიძე“.

უამრავი ჩანაწერით გაივსო შთაბეჭდილებათა წიგნი, მაგრამ გივი ყველაზე ძალიან ამ ჩანაწერს ესათუთება:

„ჩემო საყვარელო გივი, მე ყოველთვის მჯეროდა შენი მომავლის. შენი ნიჭიერება და უზადო გემოვნება ყველაფერში ამბობდა და ამბობს თავის სათქმელს:

მე შენით ვამაყობ, მიხარია და გკოცნი.

შენი მარო მასწავლებელი“.

მარიამ მოლაშვილი ყვარლის ილია ჭავჭავაძის სახელობის პირველი საშუალო სკოლის მასწავლებელი გახლდათ, სკოლისა, რომელიც გივიმ წარმატებით დაამთავრა. იმ დღეს დარბაზში ამავე სკოლის სხვა პედაგოგებიც ბრძანდებოდნენ, რომლებსაც ეამაყებოდათ, რომ კიდევ ერთმა ყვარლელმა ასახელა საქართველო.

წერილს კი კვლავ შთაბეჭდილებების წიგნიდან ამონაწერით დავამთავრებ. „რა მდიდრები ვყოფილვართ ქართველები“. ურიგო არ იქნებოდა მუდმივი ვერნისაჟის მოწყობა ან თუნდაც ალბომის გამოცემა, ალბათ, ეს უშორესი მომავლის ოცნებაა.

ალბათ.

მანამ კი ვაშლიჯვარში, ერთ ლამაზ, აყვავებულ, სათუთად მოვლილ ეზო-გარემოში დაუდევთ ბინა შედევრებს.

მარადი ანასაშვილი.

სურათებზე: ნახატები გივი ფარასტაშვილის კოლექციიდან: თ. ხუციშვილის — „ეკა“, თ. გოცაძის „ქალი და თუთიყუში“.

თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.

ტრადიცია

რეზო ჩხეიძე ადათს არ ღალატობს

საინგილოს ქართულ სოფლებში წელიწადში ორჯერ გამორჩეული დღესასწაული აქვთ. ამ დღეს საზღვარს იქიდან, ყოველგვარი ეჭვის გარეშე ისინი თანამემამულეებს ელიან. აი, უკვე მე-8 წელიწადია სტუმრებს არ უმტყუნიათ მასპინძლებისათვის. უფრო მეტიც, ბედის უკუღმართობით, მათ შორის გადებულ სასაზღვრო შლაგბაუმს იქით დგანან და დილიდან ელიან, როდის გამოჩნდებიან თბილისიდან მომავალი სტუმრებით სავსე მიკროავტობუსები.

გაზაფხულსა და შემოდგომაზე, 6 მაისსა და 23 ნოემბერს, გიორგობის ბრწყინვალე დღესასწაული, ანუ როგორც აქ უწოდებენ, „ქურმუხობა“, იმითაცაა გამორჩეული, რომ ქრისტიანებთან ერთად ზეიმობენ მაჰმადიანებიც და არა მარტო ისინი; აქ მცხოვრები ყველა აღმსარებლობის დიდი თუ პატარა, თავს ვალდებულად თვლის, ფეხით ავიდეს ქურმუხის მაღალ მთაზე, მე-6 საუკუნეში აგებულ ტყვეთა განმათავისუფლებლის, უშიშარი მებრძოლისა და რწმენის ერთგულებისათვის წამებულის სახელობის ტაძარში, სანთელი აანთოს და ილოცოს. იქ მიმავალთ, აღმართზე ამსვლელებს, ნაცნობი თუ უცნობი ასე ეხმიანება, — „შეგეწიოსო“, უკან დაბრუნებულს კი — „დაგმადლოსო“.

ამ შესანიშნავ ადათს — „ყოველთა ქართველთა კონგრესის“ გამართვიდან მისი თავკაცის, საქვეყნოდ ცნობილი რეჟისორის რეზო ჩხეიძის თაოსნობით ჩაეყარა საფუძველი და აგერ უკვე მერვე წელიწადია ახალ-ახალი სიურპრიზებით მდიდრდება ვიზიტი. მაგალითად, წელს, გარდა იმისა, რომ ქურმუხობის მეორე დღეს, ქართულ სკოლაში, ქართველ მოსახლეობასთან შეხვედრაზე მოსულ მოზარდებს საჩუქრები და სახელმძღვანელოები გადასცეს, მწერალმა და პარლამენტარმა რეზო მიშველაძემ საკუთარი წიგნები, ავტოგრაფები დაურიგა მკითხველებს. ჟურნალისტებმა ინტერვიუები აიღეს და სამახსოვრო კადრებით დააფიქსირეს უკვე ტრადიციადქცეული ეს შეხვედრა. ბატონმა რეზომ ერთი ახალი ნიუანსი შემატა ამ ვიზიტს: რეჟისორ თემო ფალავანდიშვილთან ერთად თბილისის თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტთა ერთი ჯგუფი წაიყვანეს საინგილოში. სწორედ ის ჯგუფი, რომლის წევრებიც რეზო ჩხეიძისა და თემო ფალავანდიშვილის ხელმძღვანელობით ეუფლებიან კინომსახიობის ოსტატობას. საინგილოში იმ დღეს რეზო ჩხეიძის უამრავ ნათლულებს სხვებიც შეემატნენ — ამ დიდებულ დღეს კახში და ალიბეგლოში ინათლებოდნენ ყველა ასაკის ქართველნი.

გამორჩეული დღე იყო 6 მაისი საინგილოში, თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტებმა პირველად იხილეს თამარის ხიდი და თამარის წყარო. ისე, ცნობისათვის, გამონათქვამი „ფერ-მადლმა“ თამარ მეფის დაფიცება ყოფილა!

დოდო იორდანიშვილი.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

რეტრო

ქუთაისი, 50-იანი წლები, ბინიკოს ორთაბრძოლები

უკვე გასული საუკუნის 50-იან წლებში ქუთაისელი ახალგაზრდობის მთავარი გასართობი და სეირის საყურებელი ადგილი გახლდათ ცირკი „მაპიტო“.

ვიღაც საქმიანი ადამიანები დროდადრო მაშინდელი ქალაქკომის გვერდით მოედანზე აღმართავდნენ ბრეზენტის უზარმაზარ კარავს, სახელდახელოდ აწყობდნენ იარუსებს, ცენტრში ალაგებდნენ ლეიბებს და მართავდნენ წარმოდგენას – ე.წ. ჭიდაობებს.

აქ ნახავდით ცენტნერნახევრიან, ყურებდაჭმუჭნულ გოლიათებს, რომლებიც „თავდაუზოგავად“ ერკინებოდნენ ერთმანეთს. ტურნირების უცვლელი მონაწილე იყო ქუთაისელი გოლიათი, მოჭიდავე მიშიკო (ბინიკო) ბაბალიკაშვილი, რომელსაც, გასაგებია, ყველაზე მეტი თავგამოდებული ქომაგი ჰყავდა.



მაშ ასე, ფრაკში პეწიანად გამოწყობილი კონფერანსიე (რეფერი) კარგად დაყენებული ხმით აცხადებდა (რუსულად, რა თქმა უნდა): – ცისფერ კუთხეში – ფალავანი კრასნოდარიდან – ზაგორუიკო. წონა 110 კილოგრამი! წითელ კუთხეში – მოჭიდავე ქუთაისიდან, ებრაელი ხალხის სასიქადულო შვილი – მიშიკო ბაბალიკაშვილი. წონა 140 კილოგრამი!

აქ იწყებოდა აჟიოტაჟი: მაყურებლები, ბინიკოს გულშემატკივრები, არ ეთანხმებოდნენ კონფერანსიერეფერის: ამხელა წონის არ არის ქუთაისელიო.

– 120, სუდია, 120! – ეხვეწებოდნენ მას.

საქმე ის არის, რომ ზოგიერთი ოპონენტი ქუთაისელ მოჭიდავეს სპორტული ილეთების არსენალის სიმწირეში დებდა ბრალს და ბინიკოს ზოგიერთ გამარჯვებას მისი დიდი პირადი წონით ხსნიდა, რაც ბინიკოს ბანაკისთვის, რა თქმა უნდა მიუღებელი იყო.

ის „სუდიაც“ არ გახლდათ მაინცდამაინც პრინციპული და თანდათან უკლებდა,

– ორ-სამწუთიანი ხვეწნის შემდეგ აცხადებდა: წონა 135 კილოგრამი!

– 120, 120! – არ ცხრებოდნენ ბინიკოს გულშემატკივრები.

– წონა 130 კილოგრამი! – დამაჯერებლად ასკვნიდა რეფერი, თუმცაღა საბოლოოდ 125 კილოგრამზე ქვევით არ ჩამოდიოდა...

ის ჩვენი ზაგორუიკოც არ ჩანდა იმ წონისა, „სუდიამ“ რომ დააბრალა, მაგრამ მორგვივით გაბესკნილი კაცი საოცარი სისხარტით ტრიალებდა ხალიჩაზე და ბარე ორ-სამჯერ „ხიდზეც“ შეაყენებდა ხოლმე ჩვენს ფალავანს.

– გაუძალღდი, ბინიკო, გაუძალღდი! – ამხნევებდნენ კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფ ფავორიტს გულშემატკივრები, თუმცა არც თუ ისე იოლი იყო „გაძალღება“, ხშირად ტყდებოდა ხიდი, აქლოშინებული ბინიკო კი თავმომწონედ უცხადებდა „პუბლიკას“.

– ხვალვე ვიწვევ ზაგორუიკოს რევანშზე, ხვალვე! – რასაც მქუხარე, იმედიანი ტაში მოჰყვებოდა.

მეორე დღეს „მაპიტოს“ არენა კვლავ პირთამდე ივსებოდა ცნობისმოყვარე ქუთაისელი მაყურებლებით.

მწარე ენები (იმ წლებშიც იყვნენ) ამბობდნენ:

– ეს ყველაფერი ცირკია, მოგონილი და ჩაწყობილია თქვენისთანა ბრიყვებისთვის, თუ თქვენ არა, იმ ბალაგანში ვინ შევაო.

თუმცა მე არ მჯეროდა ურწმუნო თომებისა და მეორე, მესამე და მეათე მატჩ-რევანშზეც მოვდიოდი, რადგან ამაზე უფრო საინტერესო სანახაობა იმ წლებში ქუთაისში დიახაც არ მეგულებოდა.

* * *

ერთ მშვენიერ დღეს ჩვენი ფალავანი შეხვდა ცირკის ცნობილ ძალოსანს, ორფუთიანი ფოლადის ბურთებით ჟონგლიორს, მართლაც სპორტული აღნაგობის მქონე, მოქნილ და სხარტ მოჭიდავეს ვსევოლოდ პერცს (წონა – 90 კილოგრამამდე), ჩვენი დევკაცის წონა იმ დღეს 125 კგ გამოცხადდა დიდი ხვეწნა-მუდარის შემდეგ. იგი სწრაფად მოექცა მეტოქის მარწუხებში და მალევე აღმოჩნდა „ხიდზე“. დიდი ხვეწნისა და ოფლისღვრის შედეგად ჯერ კი მოახერხა თავის დაძვრენა კრიტიკული სიტუაციიდან, მაგრამ იქვე განმეორდა მეტოქის ფანდი და კვლავ „ხიდი“, მეტოქის მცდელობა მისი ჩატეხვისა და... გასუსული დარბაზი კარგად ბარაქიანი მყრალი ჰაერის ხმაურით გამოტყორცნამ გააოგნა.

– ბინიკომ ჰაერი გააფუჭა! – აყაყანდნენ მისი არაკეთილმოსურნენი.

– არაფერიც! – წამოხტა მანდილოსანი პირველი რიგიდან, – არაფერიც! ჩემი ბინიკოს კუილს ათას სხვაში გამოვიცნობ! – მთელი ცირკის ზუზუნი გადაფარა მისმა ხმამ, რომელიც ეკუთვნოდა ცოტა არ იყოს შეცბუნებული ფალავნის მეუღლეს.

* * *

კიდევ ერთი ბუმბერაზი ასპარეზობდა იმდროინდელი ქუთაისის მაპიტოში – ასევე თითქმის ცენტნერნახევრიანი ვინმე ალი ბურხანი (უფა). (ასე გვესმოდა მაყურებლებს მისი გვარი).

მისი მთავარი „იარაღი“ და ხერხი გახლდათ დიდი გაძლების უნარი ე.წ. „ხიდზე“. თვით ბინიკოც ვერ ახერხებდა ამ ხიდის ჩატეხვას. ერთხელ, როდესაც ჩვენებური ბარე 5 წუთი ეჯაჯგურა ხიდზე შეყენებულ მეტოქეს და აშკარად არაფერი გამოუვიდა, მსაჯმა სასტვენს ჩაბერა და ჭიდაობა შეაჩერა.

– ხალხო და ჯამაათნო! – მიმართა ქუთაისელმა მოჭიდავემ მაყურებლებს, – როცა კაცი პალაჟენიაშია, სუდია შიშტოკს არ უნდა აძლევდეს!

მას უნდოდა ეთქვა: როდესაც მეტოქე კრიტიკულ მდგომარეობაში მყავდა, მსაჯმა სასტვენით რატომ შეწყვიტა ორთაბრძოლა და ნაღდი გამარჯვება ხელიდან გამომგლიჯაო.

ფრედ დამთავრებული იმ შეხვედრის სარევანშო ორთაბრძოლა უკვე აღარ მახსოვს რა შედეგით დამთავრდა.

* * *

ერთხელ ბინიკოს ჰკითხეს, არსენ მეკოკიშვილთან თუ გიჭიდავიაო.

– როგორ არა, ბევრჯერ! – უპასუხა ქუთაისელთა გოლიათმა. შეკითხვაზე თუ როგორ მთავრდებოდა მათი ორთაბრძოლები, ბაბალიკაშვილმა „დიპლომატიურად“ დაასკვნა: – ხან მე ვიყავი ქვევით და ხანაც ის იყო ზევითო.

ანზორ ბასილაია.

აწმყო

კინოთეატრ „ოზურგეთის“ ახალი ცხოვრება

„ფართოეკრანიანი მხატვრული ფილმი“ – წლების წინათ ამგვარ წარწერას ქალაქად თუ სოფლად კინოთეატრების აფიშათა სტენდზე ხშირად წაიკითხავდით. ეს იყო თავისებური სარეკლამო სატყუარა, თანაც იმ დროისათვის საკმაოდ აპრობირებული. პროვინცია მაინც პროვინციაა და ეს რეკლამა თავის საქმეს აკეთებდა. პროლეტარიატის ყოფილი ბელადისა არ იყოს, კინო, ხელოვნების დარგებიდან ყველაზე უფრო დემოკრატიული და მასობრივი, უამრავ ადამიანს იზიდავდა. მით უფრო, თუ ფილმი ფართოეკრანიანი გახლდათ. XX საუკუნის ბოლო ათწლეული ოზურგეთის ქალაქისა და სოფლების მოსახლეობამ კინოს გარეშე გაატარა, იგულისხმება ზემოთქმული ფართოეკრანიანი, თორემ ვიდეოპროდუქცია ამ წლებში უხვად და მომაბეზრებლადაც კია მოძალებული. არას ვამბობთ საოჯახო ვიდეოსალონებზე, ვიდეოკლუბებზე, ილუზიონებზე, გულისა და აზრის გამაწვრილებელ, სენტიმენტალიზმით შეპყრობილთა სათაყვანო სერიალებზე.

და აი, 10-12 წლიანი პაუზის შემდეგ კინოთეატრმა „ოზურგეთმა“ კვლავ მოუხმო ნამდვილი კინოს მოყვარულებს. თაობა, რომელმაც თავის თავზე იწვნია ჩვენი დროების მრავალი სიძნელე, სიცოცხლეში პირველად აღმოჩნდა კედელზე გაკრული თეთრი ტილოს პირისპირ. ასე მიეახლნენ ისინი ჭეშმარიტ კინოს, რომელიც მათი წინამორბედებისათვის ლამის საკრალურ ალაგს წარმოადგენდა, სადაც ერთმანეთს უნიშნავდნენ პაემანს შეყვარებულები, ნაცნობ-მეგობრები, სადაც რიდით და მოწიწებით შედიოდნენ რათა ენახათ ის, რაც ძალზე წააგავდა ცხოვრებას, მაგრამ კინოს ენაზე ამეტყველებული საოცრად მშვენიერი და ამაღლებული გახლდათ. ბედის სავალალოდ XXI საუკუნის პირველ თაობელთათვის ლუმიერების გამოგონება 100 წლის შემდეგ სიახლე აღმოჩნდა, ოზურგეთელი მოზარდების ერთი ნაწილი დაახლოებით ისეთი შიშნარევი და გაკვირვებული თვალებით შესცქეროდა დიდ ეკრანს, როგორც ნიკოლაი კარაჩენცევისეული კოვბოი ფილმში – „კაცი კაპუცინების ბულვარიდან“.

... ასე იყო, თუ ისე, ოზურგეთელებმა 2001 წლის პირველი გაზაფხული ნამდვილი კინოს დაბრუნებით აღნიშნეს. ეს დაბრუნება კი იმითაც არის გამორჩეული, რომ კინოთეატრმა ძველი ფუნქციაც დაიბრუნა და ახალიც შეიძინა – აქ ასევე მუშაობს საფეხბურთო ტოტალიზატორი „გურია“, შემოქმედებითი შეხვედრების კლუბი, კაფე; ასე რომ, კინოთეატრი „ოზურგეთი“ ათწლიანი დუმილის შემდეგ განახლდა – საქმითა და შინაარსით დაიტვირთა.

აქვე იმასაც დავამატებთ, რომ კინოთეატრი აღიჭურვა უახლესი აპარატურით, რომელიც უზრუნველყოფს ფილმის მაღალხარისხოვან დემონსტრირებას და უნაკლო გამოსახულებას, ხმის ეფექტს. სპეციალური მარკეტინგული სამსახური ზრუნავს ფასეული კინორეპერტუარის შერჩევაზე.

თამაზ ხარაიშვილი,
„სრ“ საკ. კორ.

სურათებზე: ოზურგეთის კინოთეატრის მშენებლობაზე (1937 წელი). კინოთეატრი „ოზურგეთი“ დღეს.

კვირა

რუბრიკას უძღვება ზურაბ ოიკაშვილი

– რით იყო მნიშვნელოვანი გასული კვირა ქვეყნისთვის და თქვენთვის პირადად? – „კვირის“ ტრადიციულ შეკითხვას უპასუხებს საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის „ერისიონის“ სამხატვრო ხელმძღვანელი, საქართველოს სახალხო არტისტი ჯემალ ჭკუასელი.

ქვეყნისთვის

– კონკრეტულად არაფერს ვიტყვი, მაგრამ ჩემს მოსაზრებას გაგიზიარებთ – ადამიანის თავისუფლების ხელყოფა არავითარ პოლიტიკად და არავითარ ამბიციად არ ღირს. მიხედით, ალბათ, პარლამენტარ პეტრე ცისკარიშვილის გატაცების ფაქტს ვგულისხმობ. მესიამოვნა, რომ ხალხმა, მასმედიამ დიდი აქტიურობა გამოიჩინა, თითქოს ყველა აღდგა ამ შემაძრწუნებელი მოვლენის წინააღმდეგ, მაგრამ სრულიად გაუგებარი და არასასიამოვნოა, რომ როგორც კი პრობლემა გადაწყდა, ყველა ერთაღვე გაჩუმდა – ასეთ მოვლენებს ხომ ყველა უნდა ებრძოდეს და თანაც მუდმივად და არა ერთჯერადი რეაქციის გამოხატვით...

ვფიქრობ, მნიშვნელოვანი იყო ისიც, რომ ათეულობით სტუმარი ეწვია ჩვენს ქვეყანას, რათა მონაწილეობა მიეღოთ ინტერპოლის ევროპის 30-ე რეგიონული კონფერენციის მუშაობაში. ამ მოვლენის დიდ მნიშვნელობაზე ისიც მეტყველებს, რომ კონფერენციის მონაწილეებს პირადად მიესალმა საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე და სიტყვითაც გამოვიდა.

პოლიტიკოსი არა ვარ და ვერ ვიტყვი, თუ რა სიკეთის მოტანა შეუძლია ქვეყნისთვის მინისტრთა კაბინეტის ჩამოყალიბებას, მაგრამ ერთი კი ვიცი – ამხელა ქვეყანაში პასუხს ხომ უნდა აგებდეს ვინმე, მით უფრო მაშინ, როდესაც ასე მოღურად იქცა საუბარი კოლექტიურ პასუხისმგებლობაზე.

ჩემთვის პირადად

– უმნიშვნელოვანესი ის იყო, რომ 18 მაისს 66 წელი შემისრულდა, – ცხადია, ვხუმრობ, მართლაც ძალზე მნიშვნელოვანი დიდ საკონცერტო დარბაზში „ერისიონის“ კონცერტის გამართვა იყო 17 მაისს. ცოტა ხომ არ არის – საუკუნეა, ქართულ სცენაზე აღარ გამოვსულვართ – თბილისში ბოლო კონცერტი გასულ საუკუნეში – 1999 წლის 22 სექტემბერს გავმართეთ. ქართული აუდიტორიის წინაშე უფრო ხშირად გამოსვლის საშუალება უსახსრობის გამო, სამწუხაროდ, არ გვაჩნია. არადა, საგასტროლო ტურნეებსა და უცხოელთა აღფრთოვანების მიუხედავად, ჩვენთვის ყველაზე მეტად ძვირფასი ქართველი ხალხის ოვაციაა და სიხარული. თავადაც იყავით იმ კონცერტზე და საკუთარი თვალით იხილეთ თუ როგორ ევსებოდა „ერისიონის“ ყოველ ნომერს გადავსებული დარბაზი. ეს კი, მართლაც სასიხარულო და მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის.

20 მაისი — შიდსით გარდაცვლილთა ხსოვნის საერთაშორისო დღე

შიდსი კაცობრიობის საერთო უბედურებად იქცა. მისი საბოლოო დამარცხება ჯერჯერობით ვერ მოხერხდა. პირიქით, სამწუხაროდ, მისი მატება შეინიშნება, განსაკუთრებით აღმოსავლეთ ევროპისა და პოსტსაბჭოურ სივრცეში.

მსოფლიოს საზოგადოებრიობა წლეულს, 20 მაისს მეთვრამეტედ აღნიშნავს შიდსით გარდაცვლილთა ხსოვნის დღეს. გაეროს შიდსის პროგრამის (**UNAIDS**) მონაცემებით, მსოფლიოში დღემდე შიდსით 21,8 მილიონი ადამიანი გარდაიცვალა, მათ შორის, 4,3 მილიონი 15 წლამდე ასაკის ყმაწვილი.

საზოგადოების დამოკიდებულება აივ ინფექცია/შიდსის და ინფიცირებული პირების მიმართ არაერთგვაროვანია. სხვადასხვაა სახელმწიფო სტრუქტურების დამოკიდებულებაც ამ ინფექციის წინააღმდეგ ბრძოლის კონცეფციის შემუშავებაში. თავდაპირველად ეს კონცეფცია, უმრავლეს ქვეყანაში, მკაცრ ეპიდზედამხედველობას და იძულებით, გარკვეულწილად დისკრიმინაციული ღონისძიებების გატარებას ემყარებოდა. ეპიდემიასთან ბრძოლის ასეთი მეთოდი დროებით იძლევა გარკვეულ შედეგს, მაგრამ საბოლოოდ ნაკლებეფექტიანია, და, რაც მთავარია, მიუღებელია ეთიკური და ჰუმანური თვალსაზრისით.

თანამედროვე ცივილიზებული სამყარო მიიჩნევს, რომ ამ საშიშ ინფექციასთან ბრძოლის ერთ-ერთი რეალური გზაა ამ დაავადების სამართლებრივი რეგულაცია როგორც სახელმწიფო დონეზე, ასევე მთლიანად საზოგადოების და თავად ინფიცირებული პირების უფლება-მოვალეობებისა და მათთან ურთიერთობის თვალსაზრისით.

საქართველო ერთ-ერთი პირველი იყო ყოფილი საბჭოთა სივრცის ქვეყნებიდან, რომელმაც 1995 წლის 21 მარტს, ქვეყანაში აივ ინფიცირებულთა პირველივე ერთეული შემთხვევების გამოვლინების კვალდაკვალ, შეიმუშავა და დაამტკიცა საქართველოს კანონი „აივ ინფექცია/შიდსის პროფილაქტიკის შესახებ“.

შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრის მიერ გამოცემულ ერთ-ერთ გამაფრთხილებელ სამახსოვროში ვკითხულობთ: აივ-ი ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსია, აივ-ი ადამიანის ორგანიზმში შეჭრის შემდეგ აზიანებს დამცველ იმუნურ სისტემას და მწყობრიდან გამოჰყავს იგი, რის შემდეგაც ინფიცირებულ პირს ადვილად უჩნდება სხვადასხვა ინფექციური ან სიმსივნური დაავადებები, როგორც წესი, სასიკვდილო შედეგით.

აივ ინფექცია ეწოდება დაავადებას ვირუსით ინფიცირების მომენტიდან სიცოცხლის ბოლომდე, ხოლო ტერმინით – შიდსი აღინიშნება აივ ინფექციის ბოლო სტადია, როდესაც ავადმყოფს უვითარდება გარკვეული კლინიკური ნიშნები და (ან) იმუნური სისტემის მძიმე დაზიანება.

აივ ინფიცირებული ინფიცირებიდან საშუალოდ 5-10 წლის განმავლობაში ჯანმრთელად გამოიყურება და შეიძლება ეჭვიც არ ჰქონდეს თავის ორგანიზმში ვირუსის არსებობაზე. შიდსის განვითარება იწყება მას შემდეგ, რაც აივ-ი დააზიანებს იმუნური სისტემის ერთ-ერთი ძირითადი უჯრედების **CD4T** ლიმფოციტების მნიშვნელოვან რაოდენობას, რის შედეგადაც ვითარდება იმუნოდეფიციტი.

დასასრულ ვკითხულობთ: „რამდენადაც მამაკაცებს უფრო მეტი სქესობრივი პარტნიორი ჰყავთ და მამაკაცისგან ქალზე ვირუსის გადაცემის კოეფიციენტი გაცილებით მეტია, ვიდრე პირიქით, ამდენად, დროა მამაკაცებს მეტი პასუხისმგებლობა დაეკისროთ შიდსისაგან საკუთარი თავის, მეუღლის, შვილებისა და ახლობლების დასაცავად“.

* * *

ერთხელ, როცა ჟურნალისტებთან შეხვედრაზე შიდსთან დაკავშირებულ პრობლემებზე საუბრობდა, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ავთანდილ ჯორბენაძემ აღნიშნა: საზღვარგარეთის მოწინავე ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მხოლოდ ჯანდაცვის სისტემის ძალისხმევა არ არის საკმარისი აივ ინფექცია/შიდსის ეპიდემიასთან საბრძოლველად. მასში აქტიურად უნდა ჩაებან სხვადასხვა სამთავრობო სტრუქტურები თუ არასამთავრობო ორგანიზაციები, თითოეული მოქალაქე თუ მთელი საზოგადოება. მხოლოდ ეს იქნება იმის გარანტია, რომ არ დავუშვათ ქვეყანაში ამ საშიში ინფექციის მასობრივი გავრცელება და თავიდან ავიცილოთ უდიდესი განსაცდელი.

ერთად – მე, შენ, მთელი საზოგადოება

მამაკაცებზე
ბევრია
დამოკიდებული

საქართველოს შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრი ერთ-ერთი საუკეთესო სამედიცინო დაწესებულებაა ქვეყანაში, სადაც არის კვლევის საუკეთესო უახლესი საშუალებები და რომლის ყველა განყოფილებაში თავისი საქმის პროფესიონალები იღვწიან. მათ სათავეში უდგას ღირსეული წინამძღოლი, სიახლეთა მაძიებელი და დამნერგავი თენგიზ ცერცვაძე. როგორც ბატონმა თენგიზ ცერცვაძემ გვამცნო: 2001 წლის 14 მაისის მონაცემებით, საქართველოში ოფიციალურად რეგისტრირებულია აივ ინფექცია/შიდსის 222 შემთხვევა, მათ შორის, 192 – მამაკაცი, 30 – ქალი. პაციენტთა უმრავლესობა 18-დან 40 წლამდეა. 32 გარდაიცვალა.

რეგისტრირებულ აივ ინფიცირებულთა 69 პროცენტი ინტრავენური ნარკომანია, 24 პროცენტი დაინფიცირდა ჰეტეროსექსუალური კონტაქტით, 4 პროცენტი ჰომოსექსუალური კონტაქტით, ვერტიკალური გზით – 0,5 პროცენტი, სისხლის რეციპიენტი – 2 პროცენტი, დაუდგენელი – 0,5 პროცენტი.

ყველაზე მეტი შემთხვევა რეგისტრირებულია თბილისში (94), შემდეგ აჭარაში (39), სამეგრელოში (30, მათგან ზუგდიდში – 23) და იმერეთში (15). დანარჩენ რეგიონებში გამოვლენილია ერთეული შემთხვევები.

ექსპერტთა ვარაუდით, ქვეყანაში ოფიციალურად რეგისტრირებულ აივ ინფიცირებულთა რიცხვი არ ასახავს ამ ინფექციის გავრცელების რეალურ სურათს და მათი შეფასებით, საქართველოში აივ ინფიცირებულთა რიცხვი შესაძლოა 1000-მდე იყოს.

მართალია, აივ ინფექცია/შიდსის ოფიციალურად რეგისტრირებულ შემთხვევათა რიცხვი (222) შედარებით მცირეა სხვა ქვეყნებთან შედარებით, მაგრამ დაფიქსირებულია ახალ შემთხვევათა ზრდის ტენდენცია: 1999 წელს გამოვლინდა – 34 ახალი შემთხვევა, 2000 წელს – 79, წლეულს კი უკვე – 36. ექსპერტთა ვარაუდით, თუ სასწრაფოდ არ იქნა მიღებული გადამჭრელი ზომები, მოსალოდნელია შიდსის ეპიდემიის სწრაფი გავრცელება, როგორც ეს მოხდა ჩვენს მეზობელ ქვეყნებში – უკრაინაში, რუსეთში, მოლდოვაში და სხვ.

შიდსით გარდაცვლილთა ხსოვნის საერთაშორისო დღეს, ტრადიციულად, საქართველოც აღნიშნავს. აქ, ამ დღეს, პატივს მიაგებენ შიდსით დაღუპულთა ხსოვნას. ამ აქციასთან დაკავშირებით, წლეულს შიდსის და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრი აწყობს შიდსით გარდაცვლილთა ხსოვნის კვირეულს, რომელიც 20 მაისს დაიწყება და 27 მაისს დასრულდება. კვირეულის განმავლობაში გათვალისწინებულია მთელი რიგი ღონისძიებები: ლექცია-საუბრები, პროფილაქტიკურ-საგანმანათლებლო აქციები საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, გასვლითი სემინარები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, პრესკონფერენცია მასმედიის წარმომადგენლთათვის, გაიმართება შიდსით გარდაცვლილთა ხსოვნის პანაშვიდი.

მთელი კვირის განმავლობაში 20-დან 27 მაისამდე შიდსის ცენტრის კარი ღია იქნება ყველა მსურველისთვის უფასო კონსულტაციისა და აივ ინფექცია/შიდსზე უფასო გამოკვლევების ჩასატარებლად.

აივ ინფექცია/შიდსზე გამოკვლევა ფასიანი იქნება მხოლოდ იმ პირთათვის, რომლებსაც საზღვარგარეთ გასამგზავრებლად ესაჭიროებათ აივ ინფექცია/შიდსზე გამოკვლევის დამადასტურებელი სერტიფიკატი.

აივ ინფექცია/შიდსის ეპიდემიასთან ეფექტიანი ბრძოლა მხოლოდ მთელი საზოგადოების აქტიური ძალისხმევითაა შესაძლებელი. ამ მხრივ, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერა. შიდსის და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრი განსაკუთრებულ მადლიერებას გამოხატავს გაეროს ბავშვთა ფონდის მიმართ, რომელიც თავისი უაღრესად კეთილშობილური საქმიანობის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად სწორედ შიდსთან ბრძოლას მიიჩნევს. ამ ფონდის აქტიური ფინანსური და ორგანიზაციული მხარდაჭერით გახდა შესაძლებელი ჩვენს ქვეყანაში ბოლო წლებში შიდსის საწინააღმდეგო მთელი რიგი ღონისძიებების განხორციელება. გაეროს ბავშვთა ფონდი ამჯერადაც მხარში უდგას შიდსის ცენტრს კვირეულის სათანადოდ ორგანიზებისათვის.

შიდსის ცენტრი მადლიერებას გამოთქვამს, აგრეთვე, გაეროს ოჯახის დაგეგმვის პროგრამის მიმართ, რომელმაც ცენტრს უსასყიდლოდ გადასცა აივ ინფექცია/შიდსზე 1300 პირის გამოკვლევისათვის საჭირო სადიაგნოსტიკო ტესტ-სისტემები.

დღეს მსოფლიო 21,8 მილიონ ადამიანს გლოვობს, მათ ხსოვნას პატივს მიაგებს. ამასთან, ეს დღე, ერთხელ კიდევ შეახსენებს კაცობრიობას: ადამიანებო, იყავით ფრთხილად!

ბელა დურგლიშვილი.

გასტროლები

ლონდონელები ტაშს უკრავენ ნიკა ცისკარიძეს

ლონდონის სამეფო „დრური ლეინის“ თეატრში ტრიუმფით მიმდინარეობს რუსეთის დიდი თეატრის გასტროლები. მსოფლიოში განთქმულმა მისმა საბალეტო დასმა მომთხოვნ ინგლისელთა სამსჯავროზე წარმოადგინა სცენები ჩაიკოვსკის „გედის ტბიდან“, „რაიმონდადან“ „მაკნატუნადან“ და მინკუსის „დონ კიხოტიდან“. მთავარ პარტიებს ასრულებდნენ ნიკა ცისკარიძე, სერგი ფიგინი, დიმიტრი გუდანოვი. გასტროლები მიმდინარეობს დევიზით „დიდი ბალეტის ვარსკვლავები“ და დიდი ბრიტანეთის დედაქალაქის მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა კულტურული ინფორმაციის მთავარი თემა გახდა. მათი შეფასებით, „დიდებულია ყველა შემსრულებელი. მაგრამ განსაკუთრებით გვინდა აღვნიშნოთ სოლისტის ნიკა ცისკარიძის ოსტატობა, რომელმაც მაყურებლები არაერთხელ აიძულა სავარძლებიდან წამომხტარიყვნენ და ალტაცება მქუხარე ტაშით გამოეხატათ...“ ამას გაზეთის ფურცლებზე წერს თვალსაჩინო კრიტიკოსი რაიმონდ გაბაი.

საქინფორმი.

საქართველოს სოფლის მეურნეობისა
და სურსათის და საქართველოს
ფინანსთა სამინისტროების

განცხადება

„მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრის“ დირექტორის ვაკანსიის დასაკავებლად

საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის და საქართველოს ფინანსთა სამინისტროები აცხადებენ კონკურსს საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 23 აპრილის № 149 ბრძანებულების საფუძველზე შექმნილ „მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრის“ დირექტორის ვაკანსიის დასაკავებლად.

ხელფასის ოდენობა. ხელფასი დაფინანსდება მსოფლიო ბანკის კრედიტის თანხიდან. თანამდებობა მაღალანაზღაურებადია.

კონტრაქტის ვადა. კონტრაქტი პირველად დაიდება ექვსი თვით, შემდგომში მინიმუმ ხუთი წლის განმავლობაში ყოველწლიური გაგრძელების შესაძლებლობით.

საჭირო გამოცდილება

- მინიმუმ 3 წლის წარმატებული მუშაობის გამოცდილება მმართველ თანამდებობაზე (საჭიროა რეკომენდაციები);
- პროფესიული მუშაობის მინიმუმ 5 წლის გამოცდილება;
- უმაღლესი განათლება მენეჯმენტში, სოფლის მეურნეობის ეკონომიკაში, სოფლის მეურნეობის საინჟინრო საქმეში, ფინანსებსა და ეკონომიკაში ან სხვა მონათესავე დარგებში;
- კომუნიკაბელურობისა და მოლაპარაკებათა წარმოების ჩვევები;
- ქართული და ინგლისური ენების კარგი ცოდნა (როგორც წერითი, ისე ზეპირი);
- კომპიუტერზე მუშაობის ცოდნა.

სასურველია

- სოფლის მეურნეობის ეკონომიკაში ან საინჟინრო საქმეში მუშაობის პრაქტიკული გამოცდილება;
- საერთაშორისო ორგანიზაციებთან მუშაობის გამოცდილება;
- საერთაშორისო ორგანიზაციებში მიღებული ადმინისტრაციული პროცედურების, ფინანსური მენეჯმენტის, საბუღალტრო აღრიცხვისა და შესყიდვების, პრინციპების კარგი ცოდნა;
- სამეცნიერო ხარისხი შესაბამის დისციპლინებში;
- საზღვარგარეთ მუშაობის ან სწავლის გამოცდილება.

დეტალური ტექნიკური დავალება კანდიდატებს შეუძლიათ მიიღონ ქვემოთ აღნიშნულ მისამართზე.

დაინტერესებულმა კანდიდატებმა უნდა წარმოადგინონ ავტობიოგრაფიები (**CV**) ინგლისურ და ქართულ ენებზე, კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომების/მოწმობების ასლები, მინიმუმ სამი რეკომენდაცია, რომელთაგანაც ორი წარმოდგენილ უნდა იქნეს ბოლო ორი სამუშაო ადგილიდან (რეკომენდაციის მიმცემი სამსახურების სრული რეკვიზიტების მითითებით).

განაცხადების მიღება იწარმოებს 5 ივნისამდე შაბათის და კვირის გარდა, 11 სთ-დან 17 სთ-მდე ქვემოთ აღნიშნულ მისამართზე.

გივი მერაბიშვილი,
საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის
სამინისტროს იურიდიული და პარლამენტთან
ურთიერთობის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი.

თბილისი 380008, კოსტავას ქ. № 41,
ტელეფონი/ფაქსი: (995 32) 931779.

კოლეგა

კაცი, რომელიც 700 ქართველ გენერალს იცნობს

მწერალმა იქნებ 200 წიგნიც დაწეროს, მაგრამ მათგან მხოლოდ ერთია ხოლმე მისი „მთავარი წიგნი“.

ჟურნალისტი ლევან დოლიძე 5 ათასამდე საჟურნალგაზეთო სტატიის (რომლებიც დაიბეჭდა როგორც საქართველოში, ისე ყოფილ საბჭოთა კავშირსა და უცხოეთში), მრავალი ბუკლეტის, ბროშურის და სამი წიგნის ავტორია. მისი „მხედართმთავრები საქართველოდან“ (1986 წ.) და „გენერლებად არ იბადებიან“ (1993 წ.) რეცენზენტებმა, სრულიად სამართლიანად, საქართველო მცირე სამხედრო ენციკლოპედიებად შერაცხეს.

მაგრამ ლევან დოლიძის მთავარი წიგნი მაინც ახლახან გამოცემული „გენერალისიმუსი, მარშლები, გენერლები, ადმირალები – ჩვენი თანამემამულენია“, რომელმაც მოხიბლა არა მარტო რიგითი მკითხველი, არამედ საქართველოს ისტორიის მკვლევარნიც, ძიების სიღრმითა და წარმოდგენილი მასალის მასშტაბურობით. მასში ისტორიულ ჭრილში პირველად არის თავმოყრილი ბიოგრაფიული მონაცემები საქართველოს მკვიდრ ყველა გენერალსა და მის ფარგლებს გარეთ მოღვაწე ყველა ქართველ გენერალზე ქართული გენერალიტეტის 300-წლიანი ისტორიის მანძილზე (1700-2000 წ. წ.).

საქართველოს წიაღმა იშვა თვალსაჩინო მხედართუფროსთა მთელი პლეადა, მათი მეთაურობით რუსეთის არმია, ხოლო შემდეგ საბჭოთა არმია ისეთ სასწაულებს ახდენდა, რომელთა ბადალიც იშვიათად მოიძებნება მსოფლიო ისტორიაში. გასული 300 წლის მანძილზე ჩვენს თანამემამულეებს დამსახურებული აქვთ რუსეთსა და საბჭოთა კავშირში არსებული თითქმის ყველა სამხედრო თუ სპეციალური წოდება, გენერლის პირველადი წოდებით დაწყებული და გენერალისიმუსით დამთავრებული; ჩვენი თანამემამულენი დაჯილდოებული არიან რუსეთისა და საბჭოთა კავშირის ყველა საბრძოლო ორდენით.

წიგნში 700-ზე მეტი სამხედრო პირია წარმოდგენილი: მათი დაბადებისა და გარდაცვალების წლები და ადგილი, სამხედრო წოდება და ამ წოდების მინიჭების თარიღი, ჯილდოები, თანამდებობა, ფოტოსურათი.

700 კაცი 300 წლის ჭრილში. 15 ათასი მონაცემი...

ლევანმა საქართველოს ისტორიას, გვარიშვილობის ქართულ ტრადიციას დაუბრუნა ბევრი გენერლის სახელი, რომელთა გვარებიც რუსული ტრანსკრიპციით დაწერილობის გამო, დაკარგული გვქონდა.

გაისიგრძეგანე, მკითხველო, რა შრომა გაუწევია ჟურნალისტ ლევან დოლიძეს!

ამ წიგნის შესახებ ჩვენმა გაზეთმა ორგზის დასტამბა რეცენზია, დაბეჭდეს სხვა გაზეთებმაც, ამიტომ ამ შესანიშნავ ენციკლოპედიურ ცნობარზე აქ სიტყვის გაგრძელება ალარ ღირს.

იმის თქმა კი ეგების, რომ თავის წიგნებს ლევანმა მთელი 40 წლის შრომა შეალია. მისი ნაღვაწი ჟურნალისტური შრომის ფარგლებს სცილდება: ათასობით წყაროში გაფანტული მასალების შეგროვება და დამუშავება, არა მარტო საქართველოს, არამედ მოსკოვის, სანკტ-პეტერბურგის, კიევის, კალინინგრადის, ბალტიისპირეთის, ჩეხოსლოვაკიის არქივებში ქექვა, უამრავი ადამიანთან შეხვედრა, ოჯახებში შემორჩენილი დოკუმენტების გაცნობა... მისი მა-



სალები იბეჭდებოდა რუსულ, სომხურ, აზერბაიჯანულ, ოსურ, აფხაზურ, პოლონურ და ბერძნულ ენებზეც.

ამქვეყნად შემთხვევით არაფერი ხდება. არც სამხედრო თემა აურჩევია ლევანს შემთხვევით. ომში დაღუპული ოფიცრის გიორგი დოლიძის ვაჟს ბავშვობიდანვე განსაკუთრებული დამოკიდებულება ჩამოუყალიბდა სამხედრო სამსახურისადმი, მეორე მსოფლიო ომის ისტორიისადმი. როდესაც წერა დაიწყო, ეს თემა მისთვის წამყვანად, უმთავრესად იქცა და შემდგომ მისთვის არასოდეს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგაც არ უღალატია.

ერთმა გარემოებამაც შეასრულა დიდი როლი. ლევანის მეზობლად ცხოვრობდა ცნობილი გენერალი გიორგი ყურაშვილი, რომელმაც რამდენიმე წიგნი გამოსცა. ამ საქმეში ნაომარ მხედართუფროსს ლევანიც ეხმარებოდა. მერე მასზე ნარკვევი დაწერა. თანდათან სხვა გენერლებსაც „გადასწვდა“. ასე ჩამოუყალიბდა მუდმივი ინტერესი ამ მიმართულებით. 1975 წელს გამოჩენილ მარშალთან ალექსანდრე ვასილევსკისთან შეხვედრაც კი მოახერხა. მაშინ: მარშალი ავად იყო, კრემლის საავადმყოფოში იწვა, მასთან არავის უშვებდნენ. ეს ინტერვიუ (მას დიდი რეზონანსი ჰქონდა) უკანასკნელი აღმოჩნდა ა. ვასილევსკისთვის – ორი თვის შემდეგ გარდაიცვალა.

ის საკითხს არასოდეს სწავლობდა ზერელედ. „მხოლოდ ერთი დღისთვის“. ძირძირობამდე ჩასდევს და ჩხრეკს. თვალს გადაავლებ მის ნაწერებს და უმალ დაკვალიანდები ამაში.

მაგრამ ლევანი მხოლოდ ისტორიითა და „პორტრეტული ჟანრით“ (თვალსაჩინო მოღვაწეთა ცხოვრების აღწერით) როდია დაინტერესებული. საზოგადოებრიობას ახსოვს პრესითა და ტელევიზიით მოწოდებული მისი (ქართველ ჟურნალისტთა შორის ერთ-ერთი პირველის) მართალი ინფორმაციები სამაჩაბლოდან და აფხაზეთიდან. გადმოსცემდა არა შტაბებში, არამედ უშუალოდ ფრონტის წინა ხაზზე მოპოვებულ მასალებს. აგრის დაცემის მეორე დღესვე სწორედ მან ამცნო მკითხველს სეპარატისტთა მხეცობის, ქართული მოსახლეობის ხოცვა-ჟლეტის ამბავი. მის მასალებს ფართოდ მიმართავდნენ უცხოური სააგენტოები, როგორც ერთ-ერთ ყველაზე სანდოს.

მაშინ იგი ხშირად მონაწილეობდა სამთავრობო დელეგაციებში, აფხაზეთში ინფორმაციის დარგში სახელმწიფოს მეთაურის რწმუნებულადაც კი იყო დანიშნული. სოხუმიდან მან ჩამოიყოლა სახელმწიფოს კუთვნილი 430 გრამი პლატინა და საქართველოს ეროვნული ფონდს ჩააბარა. 1992 წლის მაისში მოსკოვიდან სპეციალური დანიშნულების 80 ჯავშანჟილეტი ჩამოიტანა (მაშინდელი კურსით 4 მილიონი მანეთის ღირებულებისა) და საქართველოს პოლიციას გადასცა. მონაწილეობდა სევასტოპოლში მიმდინარე სამთავრობათაშორისი მოლაპარაკებებში შავი ზღვის სამხედრო ფლოტის გაყოფის საკითხებზე, ვლადიკავკაზის მოლაპარაკებებში, ცხინვალის რეგიონში სამშვიდობო ძალების შეყვანის თაობაზე...

ლევან დოლიძემ „ვეჩერნი ტბილისით“ დაიწყო. იყო გაზეთ „კურანტის“ საკუთარი კორესპონდენტი საქართველოში, ათეული წლების განმავლობაში სახელმწიფო სტრუქტურებში (თავდაცვის სამინისტროს, საგადასახადო ინსპექცია...) ხელმძღვანელობდა ინფორმაციისა და პრესის სამსახურებს.

– ამ ბოლო წიგნზე მუშაობამ, მიუხედავად ჩვენი დროის სიძნელეებისა და სირთულეებისა, კიდევ ერთხელ უდიდესი სიამოვნება მომანიჭა, შესაძლებლობა მომცა ჩავღრმავებოდი ქართული გენერალიტეტის სახელოვან წარსულსა და არაორდინალურ აწმყოს. ეს ჩვენი ისტორიის ამოუწურავი თემაა, ჯერ კიდევ ბოლომდე შეუსწავლელი სამყაროა. ხანგრძლივი შრომის შედეგად საკმაოდ ვრცელი ფაქტობრივი მასალა დამიგროვდა, რომელიც, ვიმედოვნებ, აისახება ჩემს მომავალ ფუნდამენტურ ნაშრომში, – ამბობს ლევანი.

დიახ, თავის მთავარ თემაზე მუშაობას აგრძელებს და ახალ, თანაც უფრო ვრცელ, უფრო ფუნდამენტურ წიგნებს გვპირდება.

გვპირდება და დანაპირებს უთუოდ შეასრულებს კიდეც.

ცნობილ ჟურნალისტს, ღირსების ორდენის კავალერს ლევან დოლიძეს უკვე 60 წელი შეუსრულდა. ალბათ, არ გაგვინაწყენდება, რომ ცოტა დაგვიანებით ვულოცავთ ამ ღირსშესანიშნავ თარიღს. კეთილი გულით ნათქვამი პატივისცემის სიტყვები დაგვიანებითაც შეიწირების!..

ალეკო ასლანიშვილი.

იუბილე

ღვაწლმოსილი „საპატიო დონორი“

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, მედიკო-ბიოლოგიური აკადემიის აკადემიკოსს, ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კლინიკური ტრანსფუზიოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელს ზურაბ რობაქიძეს დაბადების 70 და მოღვაწეობის 45 წელი შეუსრულდა.



ადამიანს ღირსებას მატებს სახელოვნად განვლილი წლები, წლები თავისი ერის, ქვეყნისათვის ზრუნვაში რომ გაატარა.

ღირსება, რომელიც ადამიანის ცხოვრებას, მის განვლილ წლებს დამსახურების მიხედვით ახლავს, ტვირთიცაა, რომელიც ბოლომდე უნდა ზიდო. კეთილ სახელზე უფრო სასარგებლო კი არაფერია და ვერაფერი ვერ მოგანიჭებს მას, ღირსების გარდა. ასეც ითქმის ღვაწლმოსილ მეცნიერ ზურაბ რობაქიძეზე.

საშუალო განათლება თერჯოლის სკოლაში მიიღო, 1957 წელს კი წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობა აკადემიკოს გრიგოლ მუხაძის სახელობის ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში (მაშინდელი სახელწოდება – სისხლის გადასხმის ინსტიტუტი) დაიწყო, სადაც დღემდე მოღვაწეობს. მეცნიერმა დიდი შრომითი გზა გაიარა განყოფილების ხელმძღვანელობამდე. ინსტიტუტში მოღვაწეობის 45 წლის განმავლობაში მუშაობდა დონორთა განყოფილებაში, სისხლის კომპონენტების და პრეპარატების განყოფილებაში, ექსპერიმენტულ განყოფილებაში, ხოლო 1974 წლიდან კლინიკური ტრანსფუზიოლოგიის განყოფილების უცვლელი ხელმძღვანელია. საკანდიდატო დისერტაცია მან 1964 წელს დაიცვა, 1967 წელს კი უფროსი მეცნიერ-მუშაკის წოდება მიენიჭა. 1974 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, 1984 წელს პროფესორის წოდება მიენიჭა, ხოლო 1996 წლიდან ზურაბ რობაქიძე მედიკო-ბიოლოგიური აკადემიის აკადემიკოსია. მის მიერ შესრულებულია 150-მდე სამეცნიერო ნაშრომი. ავტორია რამდენიმე გამოგონების, მეთოდური წერილის, რომლებიც სამართლიანად ითვლება პრაქტიკოსი ექიმების სახელმძღვანელოდ. 1998 წელს ზურაბ რობაქიძემ (თანაავტორებთან ერთად) გამოაქვეყნა ნაშრომი „სისხლისა და მისი კომპონენტების კლინიკური გამოყენება. სახელმძღვანელო პრაქტიკოსი ექიმებისათვის“, ხოლო 2000 წელს – მონოგრაფია „სისხლის სამსახური საქართველოში“.

ზურაბ რობაქიძე ათწლეულობით ხელმძღვანელობს ექიმთა დახელოვნების ციკლს „კლინიკური ტრანსფუზიოლოგიის აქტუალური საკითხები“, სადაც უკანასკნელი 20 წლის მანძილზე მომზადება სისხლის სამსახურის ასობით ექიმმა გაიარა. არის საქართველოში პოსტტრანსფუზიური გართულებების მიზეზების კომისიის თავმჯდომარე. ამავე დარგის ასევე სასამართლო ექსპერტი. კონსულტანტია აგრეთვე საქართველოში კომპონენტური ჰემოთერაპიის მიზნობრივი გამოყენების, პოსტტრანსფუზიული გართულებების პროფილაქტიკისა და მკურნალობის საკითხებში, პრაქტიკოსი ექიმებისათვის შედგენილი აქვს მრავალი საპროფილაქტიკო და სამკურნალო სამახსოვრო.

ზურაბ რობაქიძე „სისხლისა და სისხლის პროდუქტების გადამდები ინფექციებზე უსაფრთხოების პროგრამის“ საკონსულტაციო საბჭოს წევრიცაა. ასევე საქართველოს ჯანმრთელობის სამინისტროს „ნაციონალური ტრანსფუზიოლოგიური საბჭოს“ წევრი და ქუთაისის „რეგიონული ტრანსფუზიული საბჭოს“ საპატიო თავმჯდომარე.

ზურაბ რობაქიძე კანონშემოქმედებითი ჯგუფის წევრია საქართველოს პარლამენტის მიერ მედიცინაში პირველად მიღებული კანონისა „სისხლის, მისი კომპონენტების დონორობის შესახებ“ (1995 წ. 21 მარტი). ეს კანონი უნიკალურია თავისი დანიშნულებით, სახელმწიფო მნიშვნელობითა და შინაარსით. დღეისათვის მასში მიცემული თეზისები საზღვარგარეთაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. განსაკუთრებით აღნიშნის ღირსია ზურაბ რობაქიძის საქველმოქმედო საქმიანობა: ინსტიტუტში მუშაობის დაწყებიდან დღემდე დონორობის აქტიური პროპაგანდისტია, წარმატებით მიმდინარეობდა მისი საჯარო ლექციები თემაზე „დონორობა და სისხლის გადასხმა“. პირველი ნაბიჯები 40-იოდე წლის წინათ თბილისის სახელმწიფო თეატრებში სპექტაკლების დაწყების წინ გადაიდგა 15-წუთიანი საუბრებით. თავისი ღრმა შინაარსიანი, ემოციური, სათანადო თვალსაჩინოებით დატვირთული დიალოგები სპექტაკლამდე მოსულ თანამემამულეებს საქველმოქმედო საქმიანობისათვის განაწყობდა და შემდეგ სისხლის უსასყიდლოდ გამცემები ხშირად აკითხავდნენ სისხლის გადასხმის ინსტიტუტს. ასევე წარმატებით მიმდინარეობდა ლექციები წარმოება-დაწესებულებებში და სხვადასხვა პროფილის უმაღლესი სასწავლებლების თანამშრომლებთან და სტუდენტებთან, სისხლის გაცემით პირადი მაგალითის გამოყენებით, ხშირი ყოფილა დაწესებულებების ხელმძღვანელების და ინსტიტუტის რექტორების სურვილი პირველებს გაეღოთ უსასყიდლოდ სისხლი, რაც მასობრივი სისხლის აღების ღონისძიებას საზეიმო ელფერს აძლევდა (ალბათ ამ და მომდევნო პერიოდებში წელიწადში სისხლის 30000-35000 ლიტრამდე დამზადება ამითაც იყო განპირობებული).

ზურაბ რობაქიძეს 40 წლის განმავლობაში უანგაროდ, მძიმე ავადმყოფთა გადასარჩენად, გაცემული აქვს 30 ლიტრამდე საკუთარი სისხლი (იგი იშვიათი ჯგუფის რეზუს-უარყოფითი დონორია), რისთვისაც იგი დაჯილდოვდა „საპატიო დონორის“ წოდებით და მედლით. ყველაზე მეტ ჯილდოდ მას როგორც ექიმს პაციენტების გადარჩენა და მათ მიერ მადლობის გამომხატველი წერილები მიაჩნია. ღირსეულად დააფასა ეს დამსახურებული პიროვნება მშობლიურმა რაიონმა. იგი თერჯოლის საპატიო მოქალაქე გახლავთ. სამართლიანად ითვლება საქართველოს სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში კომპონენტური ჰემოთერაპიის დანერგვის ერთ-ერთ მოთავედ. მისი ყურადღების, მონაწილეობის, ადგილზე პრაქტიკული დახმარების გაწევის გარეშე არ დარჩენილა საქართველოს თითქმის არც ერთი სამკურნალო დაწესებულება ნინოწმინდიდან-ხულომდე. 80-იანი წლებიდან საქართველოს სამკურნალო დაწესებულებები, მთლიან სისხლთან შედარებით, სისხლის ცალკეული კომპონენტების გამოყენებას უკვე ნაზიარები იყვნენ.

ზურაბ რობაქიძე ღრმად განსწავლული, ერუდირებული, პატიოსანი და ადამიანთა განსაკუთრებული მოყვარული, გაჭირვებულთა მეგზური, გამბედავი და უანგარო პიროვნებაა. ის დღესაც ისეთივე შემართებით ემსახურება მისთვის უსაყვარლეს დარგს – სისხლის სამსახურს, ისეთივე დაუღალავი პროპაგანდისტია უანგარო დონორობის განვითარების დარგში, როგორც იყო ორმოციოდე წლის წინ.

... მოგეხსენებათ, ღირსება ხშირად ის არის, რაც ყველაზე მეტად ადამიანებს, რაც მის მოღვაწეობას და ყველა მის მისწრაფებას უმაღლეს კეთილშობილებას ანიჭებს... ზურაბ რობაქიძისათვის ღირსების შენახვა მუდამ მისი უნარი გახლდათ, რომელსაც ყოველთვის ჰქონდა დაფასება. ყველაფერი, რასაც ჩვეულებისამებრ წარსულს ვუწოდებთ, არსებითად მხოლოდ უფრო ზუსტი სახეობაა აწმყოსი. ასეთია ამ მეცნიერის დამსახურება.

ზ. ჭილაძე,
საქართველოს მედიკობიოლოგიური აკადემიის პრეზიდენტი.

ფოლკლორი

„სიმღერაა მთელი ჩემი ქონება“

ნაცრისფერჩოხიან ჭარმაგ მამაკაცთა ანსამბლი დინჯი სვლით შემოდის სცენაზე და მდაბალ სალამს აძლევს მაყურებელს. ლოტბარი კამერტონს ააჩქამებს, მომღერლებს საწყის ბგერას შეაშველებს და იწყება გულშისჩამწვდომი ქართული ხალხური სიმღერა, ერთი თვალშეუდგამი სიმაღლე ქართველთა სულიერი ავლადიდებისა. დამწყები ვალიკო ბერიშვილია, ანსამბლი კი „ელესაა“, ოზურგეთის კულტურის სახლთან არსებული ქართული ხალხური სიმღერების შემსრულებელი კოლექტივი. 7 ათეულ წელზე მეტია ვალიკო ბერიშვილი ამ ანსამბლში მღერის, სიმღერა გამხდარა მისი ცხოვრების მარადიული თანამგზავრი.

ვალიკო ბერიშვილი 1917 წლის ოქტომბერში დაიბადა. ავრორას ზალპს ვასო ბერიშვილმა პეტერბურგიდან შორს, ოზურგეთის მაზრის სოფელ ექადიაში, ფილთა თოფის გრიალი შეაგება. და ეს არ იყო რევოლუციური აღტყინების გამოძახილი, მას ვაჟიშვილი შეეძინა. ვასო და მისი მეუღლე ფუდუ ურუშაძე გვარიანი მომღერლები იყვნენ. ოჯახის სხვა წევრებიც არ იყვნენ სიმღერა-გალობასთან მწყრალად და პატარა ვალიკოს ბავშვობიდან აჯადოებდა ტკბილქართული მელოდია. ეს ის დრო იყო, როცა საქვეყნოდ განთქმული მომღერლები ძმები ერქომაიშვილები, გიორგი ბაბილოძე, ნესტორ კონტრიძე, სამუელ ჩავლეშვილი, ვარლამ სიმონიშვილი და სხვა ბუმბერაზნი მოღვაწეობდნენ. ეს დროება ხალხურ ლექსშიც აისახა:

პირველ ხმაში ჩავლეშვილი
კაკანებდა ვით ბულბული,
წვრილს ეტყოდა ბაბილოძე,
სხვაფერ იყო მოქარგული,
ბანს კონტრიძე დასძახებდა,
დასტკბებოდა სული, გული.

ოჯახში ხალხურ სიმღერასთან გაშინაურებულს ლოტბარ-მასწავლებლის ძებნა არ გასჭირვებია. მით უფრო, რომ სკოლაშივე შეამჩნიეს მისი ნიჭიერება, ხოლო 1937 წლიდან 20 წლის ჭაბუკი ვალიკო ბერიშვილი არტემ და ლადიკო ერქომაიშვილებს დაემოწაფა. ოზურგეთის კულტურის სახლთან ძმების ხელმძღვანელობით არსებული ქართული ხალხური სიმღერის გუნდის წევრი გახდა და იქიდან მოკიდებული, ვალიკო ბერიშვილი ამ ანსამბლს არ დაშორებია. ჩია ტანის, ვერცხლისწყალივით მოძრავი მოხუცი დღესაც ხალისითა და ერთგულებით ემსახურება საყვარელ საქმეს. თითქმის 7 ათეული წლის მანძილზე მხოლოდ რამდენიმე წელს იყო ჩამოშორებული ანსამბლს ვალიკო ბერიშვილი, მაგრამ ამას თავისი მიზეზი ჰქონდა – 1941 წლის აგვისტოში მეორე მსოფლიო ომში გაიწვიეს – პირდაპირ ქერჩის ქართველთა სასაკლაოზე მოხვდა, 51-ე არმიის 390-ე დივიზიაში, სიკვდილს გადარჩენილი სისხლისმღვრელ ბრძოლებში ჩაება კავკასიისა და ყირიმის ფრონტებზე, ტამანის ნახევარკუნძულზე, იბრძოდა სევასტოპოლის განთავისუფლებისათვის, შემდეგ ბალტიისპირეთის ფრონტზე გადაისროლეს, მონაწილეობდა ლატვიისა და ესტონეთის საომარ ოპერაციებში, ლენინგრადის ბლოკადის გარღვევაში, 1945 წლის 9 მაისს ქალაქ კენინგსბერგში შეხვდა, ომგამოვლილი, ბარე ორი დუჟინი მედალ-ორდენით მკერდგაჩირჩხლული დაუბრუნდა მშობლიურ ექადიას და ისევ ანსამბლს მიაშურა. თუმცა, ფრონტზეც არ ჩამოშორებია სიმღერას სავსებით – სამხედრო ნაწილის ანსამბლში მღეროდა.

ვალიკო ბერიშვილი პროფესიონალი მუსიკოსი არ ყოფილა ამ სიტყვის კლასიკური გაგებით. იგი მძღოლი გახლდათ, წლების მანძილზე მუშაობდა ანასეულის ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სამეცნიერო საწარმოო გაერთიანებაში, ოზურგეთის სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საწარმოში, ყველგან სანიმუშოდ ირჯებოდა, სინდისიერად ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობას. შრომობდა უხმაუროდ, ენერგიისა და უნარის დაუზოგავად, მაგრამ სულის აღმაფრენას მხოლოდ სიმღერაში ჰპოვებდა, მასში აძლევდა გასაქანს ღვთისგან ნაბოძებ ნიჭს.

არტემ და ლადიკო ერქომაიშვილების, ამ უბადლო ლოტბარების შეგირდობა და მათ მხარდამხარ სიმღერა დიდ სკოლას წარმოადგენდა მისთვის. იმ წლებს განსაკუთრებული რიდითა და პატივით იხსენებს ვალიკო ბერიშვილი. ფრიად ღირსსახსოვარი იყო 1957 წელი, როცა ანსამბლი მოსკოვის ახალგაზრდობის მსოფლიო ფესტივალში მონაწილეობდა. ანსამბლის წევრებს თან ახლდათ პატარა ანზორ ერქომაიშვილი და ვალერიანი სწორედ მასთან ერთად ასრულებდა „ხასანბეგურას“ – იგი იწყებდა, ანზორი ბანს ამბობდა, ხოლო ქუქუნა ბაბილოძე-კრიმანჭულს. მოსკოვი გამონაკლისი არ იყო, ანსამბლი ბევრს მოგზაურობდა, გასტროლს გასტროლი მოსდევდა, ფესტივალს – ფესტივალი, ოლიმპიადას – ოლიმპიადა. ხშირად უხდებოდათ მატარებლით მგზავრობა ყოფილი საბჭოეთის სხვადასხვა რესპუბლიკებში და როგორც ვალერიანი იგონებს, შორ გზაზე დამდგარნი, რეპეტიციებს ვაგონში გადიოდნენ, სადაც სიმღერისმოყვარულთა და ცნობისწადილით შეპყრობილთა ზედახორა იმართებოდა.

1978 წლიდან ლადიკო ერქომაიშვილის თაოსნობით ანსამბლს „ელესა“ დაერქვა, ეს უძველესი შრომის სიმღერის სახელწოდება ანსამბლმა დღემდე შეინარჩუნა და აგერ მეოთხედი საუკუნეა ფოლკლორულ ანსამბლად იწოდება. ბოლო წლებში მისი საგასტროლო გეოგრაფიის არეალი ფრიად გაფართოვდა და შორეულ ამერიკასაც მისწვდა. „ერთხელ ამერიკაში“ ასე შეიძლება დასათაურდეს ოკეანისგაღმური ვოიაჟი, რომელსაც კეთილი სიზმარივით იხსენებს ვალიკო ბერიშვილი. ეს მოხდა 1988 წლის ივნის-ივლისში, 22-დღიან ამერიკულ ტურნეში „ელესას“ 9 წევრი ახლდა. რა თქმა უნდა, მათთან იყო ანზორ ერქომაიშვილი. „ელესა“ ვაშინგტონში გამართულ ფოლკლორულ ფესტივალში მონაწილეობდა. ფესტივალის თაობაზე საკმაოდ ბევრი დაიწერა როგორც ქართულ, ისე ამერიკულ პრესაში. ვალიკო ბერიშვილი სასოებით ინახავს თავისი ხანგრძლივი შემოქმედებითი ცხოვრების რელიკვიებთან ერთად, გაზეთ „ვაშინგტონ ტაიმსის“ 1988 წლის 27 ივნისის ნომერს, სადაც პირველ გვერდზე ფართო პლანით არიან გამოსახულნი „ელესას“ წევრები ვალიკო ბერიშვილი და ჭიჭიკო კეჭაყმაძე. ვაშინგტონში გამოსვლისას „ელესას“ წევრები საწესჩვეულებო და რიტუალური სიმღერების შესრულების ძველ წესს იცავდნენ. კერძოდ, „ნადურის“ შესრულებისას თოხებით მუშაობის იმიტირებას ახდენდნენ. ამერიკაში არამარტო თოხები, ურემიც და შრომის სხვა იარაღებიც ჰქონდათ წაღებული. ურემი შემდგომ ვაშინგტონის მუზეუმს გადასცეს საჩუქრად. ვაშინგტონშივე გამართეს ქართული ქორწილის ინსცენირება-იმიტაცია ყველა თავისებურებისა და ნიუანსის დაცვით, რასაც საერთო ხელმძღვანელობას ანზორ ერქომაიშვილი უწევდა, საქორწინო სუფრაზე კი „ელესას“ მაშინდელმა ხელმძღვანელმა ამირან თოიძემ ითამადა.

„ელესამ“ ასევე კონცერტები გამართა ნიუ-იორკსა და ატლანტაში. 22 დღის მანძილზე ქართველმა მომღერლებმა მთელი თავისი სიდიადით წარუდგინეს ქართული პოლიფონია ამერიკელ მსმენელს. ხანდახან დღეში 2-2 კონცერტსაც მართავდნენ, მათ შორის მოედნებზე, ღია ესტრადაზე. ამერიკელებმა ჯორჯ ბალანჩინის მონათხრობი ქართულ ვოკალურ სასწაულზე, ცხადლივ იხილეს და მოისმინეს.

ნიუ-იორკში ერთ-ერთი კონცერტის შემდეგ ანსამბლის წევრებთან 94 წლის ქართველი ემიგრანტი გიორგი ნაკაშიძე მისულა და მაკვანეთლები (მაკვანეთი – ერქომაიშვილების მშობლიური სოფელია) მოუკითხავს. ანზორ ერქომაიშვილი, ამირან თოიძე და გური სიხარულიძე თავის სახლში მიუწვევია და კარგადაც გამასპინძლებია.

საუკუნეთა გასაყარი ერთობ სამწუხარო აღმოჩნდა ანსამბლისათვის. გარდაიცვალა „ელესას“ ხელმძღვანელი ამირან თოიძე, ძმები ერქომაიშვილების დისწული, მათი საქმის ღირსეული გამგრძელებელი, ოზურგეთელ ლოტბართა ძველი თაობის უკანასკნელი მოჰიკანი, თუმცა, „ელესა“ კვლავ მღერის, კვლავ მღერის 85 წელს მიტანებული ვალერიან ბერიშვილიც. „ელესას“ სარეპეტიციო დარბაზის გვერდით 10-12 წლის და უფრო უმრწემესი ბიჭუნები ეუფლებიან ქართული ხალხური სიმღერების საიდუმლოს. გრძელდება სიცოცხლე, გრძელდება სიმღერა, როგორც სიცოცხლის უკვდავების საწინდარი.

თამაზ ხარაიშვილი,
„სრ“. საკ. კორ.

სურათებზე: მარცხნიდან – ვალერიან ბერიშვილი, ამირან თოიძე, ანზორ ერქომაიშვილი, გური სიხარულიძე – ანსამბლი „ელესა“ ამერიკის შეერთებულ შტატებში, 1988 წლის ივნისი; ანსამბლი „ელესა“ თბილისობაზე. მარჯვნიდან პირველი ვალერიან ბერიშვილი.

წყაროებთან

მოზარდი თაობის დიდი მეგობარი

მარგო თომაძის გახსენება

არიან ადამიანები, რომლებთანაც შეხვედრა გიხარია. ისინი სითბოსა და სიყვარულს გაგრძნობინებენ, ასეთი იყო საბავშვო მწერალი და ჟურნალისტი მარგო თომაძე, მას მეგობრები სიყვარულით მაგლოს ეძახდნენ.

იტყვიან – „ვისაც ბავშვები უყვარს, ის კეთილი ადამიანია“. ქალბატონ მარგოს არამცთუ ბავშვები უყვარდა, მათზე ზრუნავდა კიდეც, დიდი წვლილი შეჰქონდა მათ სულიერად ჩამოყალიბებაში. დიდხანს მუშაობდა „ნორჩი ლენინელის“ (ახლანდელი „ნერგი“) რედაქციაში და ჟურნალ „პიონერის“ მთავარ რედაქტორად. (შემდეგაც ყმაწვილების გაზეთის ფურცლებზე ლიტერატურულ კლუბს ხელმძღვანელობდა). მუშაობდა მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის დირექტორად. მთელი თავისი სიცოცხლე ბავშვებზე ფიქრით იყო რა გარემოცული, ამ ფიქრმა და სიყვარულმა არაერთი საბავშვო მოთხრობა და ზღაპარი დააწერინა.

მშვენიერია მისი ერთი კრებული „წყაროსთან თეთრი ქვებია“. ავტორს ამ კრებულში შეუტანია ჩანაწერები წყაროებზე, რომლებსაც არა მარტო ბავშვები, დიდებიც სიამოვნებით კითხულობენ. ისე მიმზიდველად აღწერს წყაროების ბიოგრაფიებს, რომ გრძნობ, თითქმის შენც იქვე ხარ, წყაროებთან, ხედავ და გესმის მათი ჩურჩული.

ქალბატონმა მარგომ თითქმის მთელი საქართველო მოიარა, ნახა წყაროები, თითოეული აღიქვა, როგორც ცოცხალი არსება, ჩასწვდა მათ საიდუმლოებას. თურმე ყველას აქვს თავისი სახელი, თავგადასავალი და საიდუმლო...

... გლდანის მახლობლად, სოფელ პატარა მამკოდაში ერთი წყაროა, იქვე თეთრი ქვები აწყვია, ეს ქვები თურმე გალაკტიონს მიუტანია, ზედ ჩამოჯდებოდა ხოლმე და დაფიქრებული წყაროს ჩასცქეროდა. ამიტომ იქაურმა ბავშვებმა გალაკტიონის წყარო უწოდეს, მოდი და ნუ წაიკითხავ!

– „წყარო სიცოცხლეა, იმედია“, ამბობს ავტორი ერთგან, ეს მართლაც ასეა.

ქართველი მომღერალი ვანო სარაჯიშვილი სიცოცხლის უკანასკნელ წუთებში იმედს არ კარგავს და სიღნაღის წყაროს „თავგატეხილას“ ნატრობს: მომიტანეთ, დამალევინეთ, იქნებ მიშველოსო. ასევე გიორგი ლეონიძემაც აღსასრულის ჟამს პატარძეულის „გულიანთ წყაროს“ წყალი მოისურვა.

... საქართველოში წყაროებს რა გამოლევს! არის კიდევ ერთი წყარო სოფელ გურჯაანში, ხალხი მას „ბეზარაანთ წყაროს“ ეძახის. წყაროს ახლოს კი ჩუქურთმებითა და რიკულებით შემკული აივნიანი სახლი დგას, სადაც ბავშვობა ულამაზესმა ქართველმა ქალმა, კინოვარსკვლავმა ნატო ვაჩნაძემ გაატარა, თურმე ამ წყაროსაც ჰქონია თავისი საიდუმლო, მოწმე ყოფილა ნატოს პირველი სიყვარულისა.

ქალბატონმა მარგო თომაძემ კეთილი, ლამაზი შემოქმედებითი გზა გაიარა; წყაროსავით ჩუმად, მშვიდად იღწვოდა მომავალი თაობებისათვის. მიყვარდა მასთან შეხვედრა, მეტად თბილი, სასიამოვნო საუბარი იცოდა. მჯერა, მის ხელში გამოზრდილ ბავშვებსაც (ახლა უკვე დიდებს) ხშირად გაახსენდებათ კეთილი მოამაგე ქალბატონი მარგო... მწერალი ქალი, რომელმაც მოზარდ თაობას ასე საინტერესოდ გააცნო საქართველოს წყაროების ისტორია...

ნინო ბეჟარაშვილი.

კანდელი

მიეძღვნა მხატვრის ნათელ ხსოვნას

გალერეა „მარდენში“ მოეწყო უნიჭიერესი ახალგაზრდა მხატვრისა და შემოქმედის, ამ ქვეყნიდან ახლახან მიცვლილი გიგა დათუაშვილის გამოფენა... გრაფიკა, ფერწერა, ხატები, ფრესკები ამშვენებდა საგამოფენო დარბაზის კედლებს... მრავალმხრივი პიროვნების მრავალმხრივი შემოქმედება, რომელსაც აგვირგვინებს მართლმადიდებლური, ეკლესიური სულისკვეთება და სწრაფვა... ნახატების გვერდით გამოფენილი იყო მისი – ასევე ზემსწრაფი – ლექსები და ჩანაწერები; აი, ერთი მისი პატარა ლექსი, რომელშიც ყველაფერია თქმული:

**„და წლების შემდეგ
შენ ჩემს ოცნებებს
გაგიზიარებს ეს თხელი დასტა,
რომ სიყვარული არ დაიკარგოს,
მე მათ სიტყვებად ვაცოცხლებ
ახლა“.**

და მისი დახვეწილი აზრები, ჩატეული თითო წინადადებაში: „თუ ადამიანი მოწოდებულია შენებისთვის, რატომ არ უნდა აშენებდეს თავის სულს?!“ ან კიდევ – „თუ ადამიანს აქვს სული, რატომ არ ცხოვრობს სულით?!“

ბოლოს კი, ისევ მისი ნახატებიდან, ერთ-ერთი ავტოპორტრეტის უკვე ვრცელი სათაური, რომელშიც თვითგანწმენდის განცდებია გადმოცემული: „თვალები სევდიანი გამიხდა, სევდა წმენდს ადამიანს“... პორტრეტიდან მართლაც საოცრად სევდანარევი, სათნო, სპეტაკი, განწმენდილი და უმანკო თვალები იმზირებიან.

უამრავი ხალხი მოვიდა გამოფენის გახსნაზე... ბრძანდებოდნენ თავად გიგას მამა – მისი მაღალყოვლადუსამღვდელოესობა, ცხუმ-აფხაზეთისა და მარგვეთის მთავარეპისკოპოსი დანიელი და სასულიერო პირები; იყვნენ შემოქმედის დედა, დედმამიშვილები, ახლობლები და ხელოვნებით დაინტერესებული საზოგადოება. დარბაზში იგრძნობოდა ახალგაზრდა მხატვართან დამთვალიერებელთა სულიერი სიახლოვის განცდა...

ჩვენ გავესაუბრეთ გამოფენის დამსწრეთ...

შემოქმედის მამა – **მეუფე დანიელი:** „ეს გამოფენა საინტერესოა, რადგან გიგა ხელოვანთა ახალი თაობის წარმომადგენელია, რომელიც ეძიებს მარადიული ღირებულებების ჭეშმარიტებას. ამ თაობას მიეცა საშუალება, თავისუფალი ანალიტიკური აზროვნებისა, ხოლო რაც შეეხება რეალურ სიტუაციას, ისტორიულად მათ ერგოთ უმწვავესი პოლიტიკური და ეკონომიკურ-სოციალური პრობლემები და დრამატიზებული საცხოვრებელი გარემო. გიგა ერთგვარად ჩაკეტილი იყო შემოქმედებითი პროცესის დროს, ახლობლებს არ იკარებდა, მხოლოდ თავისი სულისთვის ქმნიდა... ეს მიდგომა, სადღაც, მაინც ეკლესიური ადამიანის თვისებაა, მუდმივი ჩაღრმავება და ფიქრი საკუთარი ენების დასაძლევად, ქრისტიანების უმრავლესობა ასე იქცევა და საზოგადოება ამას ვერ ხედავს, მის ნაწარმოებებში ჩანს ეკლესიური ცხოვრების ნიშნები!“



გამოფენის ერთ-ერთი ორგანიზატორი – **დეკანოზი ილია წერეთელი:** „საინტერესოა აღინიშნოს, რომ გიგა რაოდენობრივად არც ისე ინტენსიურად ქმნიდა, ბევრს ფიქრობდა, ის ნამდვილი ხელოვანი იყო, როგორც პროფესიით, ასევე – სულისკვეთებით, ფსიქოლოგიით, ცხოვრების წესით; და მიკვირდა – რატომ არ ხატავდა ხშირად?! ვკითხე კიდეც ერთხელ, პასუხს დუმილი არჩია. ახლა ჩანს, რომ ყოველი ნაწარმოებისათვის განსაკუთრებული სიფრთხილით ემზადებოდა, პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა მისი ცხოვრების მთავარი ხაზი იყო; ამ ნიშნით გამოირჩეოდა იგი თანატოლებს შორის. ამ გამოფენაში ჩანს მისი პიროვნება, სახე, თვისებები, ინტელექტი, კულტურა, აღარ დასცალდა აზრების ბოლომდე გამოხატვა და, ალბათ, თან გაიყოლა მრავალი ესკიზი; იგი – დიდი მხატვრობისათვის ემზადებოდა, და იმ სამყაროშიც – მოღვაწეობს!“...

თეატრმცოდნე ნათელა არველაძე: „მის ნახატებს რომ ვუყურებ, თითქოს გამოუთქმელი, განსაკუთრებული, მარადიული საზრუნავი ჰქონდა – განვრცობილი, განზოგადოებული, და არა – კონკრეტული... უკვე მოწიფული, დარბაისელი ადამიანის საფიქრალი... ჩვენს თვალწინ მომწიფებული ადამიანი დგას. ვუყურებ მის ავტოპორტრეტს... ის ხომ ასე შემთხვევით არ დაიხატა, მას თითქოს სიყმაწვილე არ გაუვლია, არასოდეს ყოფილა ბავშვი... მხატვარი თავისი დროის ცხოვრებით სუნთქავდა, მისთვის ახლობელი იყო მოყვასის შეჭირვება, განსაცდელი, სიძნელეები, ბოროტი ძალების აბედითი თარეში, და ყოველივე ეს გადმოიტანა საკუთარ შემოქმედებაში. გულსატკენია, რომ ავტორმა ვერ შეძლო საკუთარი შინაგანი განცდების სრულყოფილი რეალიზება... დღევანდელი გამოფენა ამის თვალსაჩინო გამოვლინებაა“.

ვთხოვეთ რამდენიმე სიტყვა გარდაცვლილი მხატვრის ერთ-ერთ მეგობარს: „გიგასთან ერთად ექსპედიციაში ვიყავით – გრემში, სვანეთში და მრავალ სხვა ადგილას, ის საათობით იჯდა ტაძრებში და ფრესკებს უმზერდა, სწავლობდა საეკლესიო კედლის მხატვრობის მრავალფეროვნებას, სიღრმისეული წვდომით აფიქსირებდა უზენაესი ღირებულებების შეგრძნების პირად შთაბეჭდილებებს. სწორედ ამას ყველაფერს გადმოსცემდა შემდეგ იგი საკუთარ ჩანახატებსა და ქმნილებებში...“

გიგა დათუაშვილის ხსოვნას მიეძღვნა დიაკვან მამა ევსევის (მხატვარ ევგენი სოხაძის) გამოფენა „ძველ გალერეაში“, სახელწოდებით „ჟამი შეკრებად ქვათა“... წარმოდგენილი იყო ბუნებრივი ქვების კომპოზიციური აწყობით შესრულებული ნამუშევრები. თითოეული ქვა, ცალკე აღებული, თავისთავად არსებობაში ხომ უტყვია, მაგრამ მხატვრის ორიგინალურმა ხედვამ მოაწესრიგა და გარკვეული კანონზომიერებით განალაგა ისინი, და შეიქმნა ისეთი ჰარმონია, როდესაც უტყვი ამეტყველდა... ასე ღაღადებენ – მამა ევსევი სოხაძის კომპოზიციები: „ოჯახი“, „გასეირნება“, „დედობა“, „ნადირობა“, „სოფელი“, „იმპერატორი“ და სხვა... ღაღადებენ, რომ ცალკე ადამიანი არაფრის მთქმელია, თუ მან თავისი არსებობა არ გააზრა სხვებთან თანაარსებობაში, თუ თავისი თავი არ იხილა იმ განზომილებაში, რომელსაც მოყვასის სიყვარული ჰქვია; მამა ევსევი ქვათა სრულყოფილებას ხედავს – პირველქმნილ ფორმებში, ამიტომ იგი შეგნებულად არ ცვლის მათ, და როგორც ძველი აღთქმის ეკლესიასტეს სიბრძნე გვამცნობს – არის ჟამი ქვათა განყრისა და ჟამი ქვათა შეკრებისა... და აქ ვხედავთ, რომ საკუთარ ქმნილებებში მაღალპროფესიული ფანტაზიით შეკრიბა სწორედ ქვები დიაკვანმა მხატვარმა.

ამ გამოფენის შეფასება ჩვენ ვთხოვეთ მეუფე დანიელს: „ყველას გვახსოვს, რომ ბავშვობაში ვთამაშობდით ქვებით, ყვავილებით, მცენარეებით... ნორჩ ადამიანს შეუძლია, ბალახის მოზაიკაში დაინახოს გარკვეული ფორმები და საგნები – ფრინველი, ცხოველი ან ადამიანი... ეგზიუპერიც „პატარა უფლისწულში“ შლაპაზე ამბობს: – ეს არის გველი, რომელმაც სპილო გადაყლაპაო. ბავშვი ძალიან ბევრს და ღრმად ხედავს; და სწორედ ამას გვაგონებს მამა ევსევის ნამუშევრები, მათი დიდი უშუალობა... ყველაფერი ხომ ღვთის ქმნილებაა – სამყარო, ქვები, და ყველაფერი წომ განუმეორებელი და ლამაზია!.. როდესაც ასეთი სიყვარულით უდგები ბუნებას, ქვებიც კი ამეტყველდებიან და აღაღადდებიან... და ამით გაგვახარა ჩვენ დღეს მამა ევსევიმაც... შეიძლება ითქვას, რომ ერთგვარად ეს მისი თამაშიც არის – მაღალი ესთეტიკური გაგებით – არტისტიზმი... სხვადასხვა ადამიანმა შეიძლება სხვადასხვა საგანი დაინახოს ამ ქვებში, მაგრამ მთავარი ეს კი არ არის, არამედ ისაა, რომ სიყვარულითა და ბუნებრივი დამოკიდებულებით არის ეს კომპოზიციები შექმნილი, და მართლაც ძალიან ლამაზი და მშვენიერია!.. თანამედროვე ხელოვნებაში, სამწუხაროდ, სჭარბობს გარკვეული ფორმებისადმი უპირატესობის მინიჭება ორიგინალურობისა და სენსაციურობის მიზნით, ამ ოსტატის ხელოვნებაში კი – შეიგრძნობა ბუნების სილამაზის ფაქიზი განცდა... მე მადლობელი ვარ, რომ გამოფენა მიეძღვნა ჩემი ვაჟის ხსოვნას, თითქოს ერთად შექმნესო ეს არაჩვეულებრივი სანახაობა... ღმერთმა დალოცოს მამა ევსევი და ამ გამოფენის ორგანიზატორები!“

„მამა ევსევი მონასტრული წესებით ცხოვრობს, – ამბობს დეკანოზი ილია წერეთელი, – და ამ გამოფენაზე წარმოდგენილია მისი ფილოსოფიური და მისტიკური ნააზრევის ნაყოფი. წარმოდგენილი ნამუშევრები – ბუნებაში გაფენილი ქვების თანამიმდევრული წყობით განზოგადებული ფიგურებისა და ფორმების კომპოზიციური სიუჟეტის გამოხატვა – საკმაოდ საინტერესო მიდგომაა თანამედროვე სახვითი ხელოვნების სფეროში, ამავე დროს, ყოველი ნაწარმოები წარმოადგენს ნივთიერი მშვენიერების უბადლო სისადავის ილუსტრირებას... თვით მშვენიერება, როგორც სამყაროს შემოქმედის უზენაესი გამოხატულება, იმ შემთხვევაში გამოირჩევა სიდიადით, როდესაც ის მარტივი ფორმებით გამოისახება და ყველასათვის ახლობელი და გასაგებია. ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ წარმოდგენილი ექსპონატები, ერთი მხრივ, აგებულია სხვადასხვა ფორმის ქვებით, და ასევე შერჩევა, მეორე მხრივ, განპირობებულია ქვების მინერალური შეფერილობის მთელი გამით, ამ კომპოზიციებში შეიგრძნობა ფერწერის ელემენტებიც და მხატვრობის კანონიკური საფუძვლებიც“.

გამოფენის მასპინძელმა – მამა ევსევი სოხაძემ თბილი სიტყვებით გაიხსენა გიგა დათუაშვილი, ვის ხსოვნასაც მიუძღვნა სწორედ თავისი ნამუშევრების ეს ექსპოზიცია: „გიგა გახლდათ ჩემი დიდი მეგობარი. მას ძალიან გაუხარდებოდა, რომ მოსულიყო ჩემს გამოფენაზე და ენახა ეს ნამუშევრები. სიმბოლურად, დღეს, ტანსაცმელიც კი გიგას ნაჩუქარი მაცვია, დაწყებული ფეხსაცმლიდან – ქურთუკით დამთავრებული. გიგა დათუაშვილი ხომ კვლავ ცოცხლობს და კვლავ ჩვენთანაა – ჩვენს გვერდით!“



ირაკლი ხომერიკი.

ავტოსალონი

თქვენს წინაშეა XXI საუკუნის ჯიპი

კომპანია „ვილიამა მოტორსი“ 1997 წლის ნოემბერში დაარსდა საქართველოში. მისი ძირითადი საქმეა „ჰიუნდაის“ მსუბუქი ავტომობილების, თვითმცლელების, ბეტონის მიქსერების, სხვა სამშენებლო ტექნიკის, სათადარიგო ნაწილების დისტრიბუცია.

დაარსების დღიდან „ვილიამა მოტორსმა“ წარმატებულად დაიწყო საქმიანობა საქართველოში. „ჰიუნდაის“ უახლესი მოდელების შემოსვლა სწორედ ამ კომპანიის წინასწარი შეკვეთებით, პირდაპირ კონცერნის „ჰიუნდაი მოტორ კომპანის“ კონვეიერებიდან ხდება.

მწარმოებელი კომპანია „ჰიუნდაი მოტორ კომპანი“ (კორეა) საქართველოსთვის, ისევე როგორც დსთ ქვეყნებისთვის, აქ არსებული მძიმე პირობების გათვალისწინებით სპეციალურ შეკვეთებს ასრულებს.

ლელა ბლაგონრავოვას ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა)

სტატისტიკის მონაცემებით, კომპანია „ვილიამა მოტორსის“ მეშვეობით საქართველოში დღეს რეალიზებული მსუბუქი თუ კომერციული ავტომანქანების რიცხვი 1997-1998 წლებთან შედარებით საგრძნობლად მცირდება. ნათლად ჩანს, რომ ავტომობილების იმპორტისათვის ჩვენს ქვეყანაში არახელსაყრელი საგადასახადო პოლიტიკის გამო, 1999 წლიდან განსაკუთრებით შემცირდა ოფიციალური დისტრიბუციის ბიზნესი.

ამავე დროს არალეგალური გზებით იმპორტირებული ავტომანქანების რაოდენობის სტატისტიკა, კვლავ ძველ პარამეტრებს ინარჩუნებს (როგორც 1997-1998 წლებში). შესაბამისად ადვილად დასათვლელია ათეულ მილიონობით ლარის ზარალი, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტს 1999 წლიდან აკლდება. ყოველივე ამის გამო უცხოური ავტომობილების ოფიციალური სადისტრიბუციო ორგანიზაციების რაოდენობა მცირდება, ასევე მცირდება იქ დასაქმებული პერსონალის რიცხვი, რაც ისედაც მძიმე უმუშევრობის ფონზე დამატებით პრობლემებს უქმნის ქვეყანას.

ამის მთავარი მიზეზი კი, საგადასახადო კოდექსში არაკომპეტენტურად და წინასწარ გადაუანგარიშებლად შესული ცვლილებაა. თუ 1999 წლამდე იმპორტირებულ ავტომობილებზე კოდექსის თანახმად, დამატებითი ღირებულების გადასახადი (დღგ) 5 პროცენტი იყო, 1999 წელს ის 20 პროცენტამდე გაიზარდა. შესაბამისად გაიზარდა ავტომობილების ფასებიც, რამაც კოლაფსამდე მიიყვანა ლეგალური საავტომობილო ბიზნესი და ხელი შეუწყო მანქანების შემოვლითი გზით იმპორტირებას.

კერძოდ, არაოფიციალური იმპორტიორების მიერ ხელოვნურად შემცირებულმა სახელშეკრულებო ფასებმა (ანგარიშ-ფაქტურების გაყალბებამ) და ავტომობილების ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი ტერიტორიის გარეთ (ცხინვალში) განბაჟებამ, ავტობიზნესში კორუფცია ააყვავა.

სადისტრიბუციო ორგანიზაციები, რომლებიც ამ პირობებში ჯერ კიდევ არსებობენ, მუშაობას იმ იმედით აგრძელებენ, რომ ბოლოს და ბოლოს სახელმწიფო თავის შეცდომას გამოასწორებს, რომელიც არაკომპეტენტურმა მოხელეებმა 1999 წლის საგადასახადო კოდექსში ჩადეს.

თუ საგადასახადო პოლიტიკა ლეგალურ ბიზნესს ხელს არ შეუწყობს, ოფიციალურ დისტრიბუტორებს რეალური ფასებით მუშაობის საშუალებას არ მისცემს, ბიუჯეტის უკვე დაკარგულ მილიონებს კიდევ ახალი მილიონები დაემატება.

საგადასახადო კანონმდებლობით მანქანების ფასები ზედმეტად არ გაიზრდება, ქართველებიც მოახერხებენ ახალ ავტომოდელებში გადაჯდომას და თავის თავად შემცირდება უცხოეთიდან შემოზიდული მანქანების „სასაფლაობებზე“ გადაყრილი „ჯართის“ რაოდენობა, რაც აბინძურებს ატმოსფეროს და საფრთხეს უქმნის მოსახლეობის ჯანმრთელობას, ამიტომ სახელმწიფო უფრო აქტიურად უნდა ზრუნავდეს თავის და მოქალაქეების პრესტიჟისა და უსაფრთხოებისთვის.

დღეს საქართველოში კომპანია „ვილიამა მოტორსი“ „ჰიუნდაი მოტორ კომპანისთან“ თანამშრომლობითა და დახმარებით ავტოსიურპრიზებს გვთავაზობს.

ჰიუნდაი „სანტა-ფე“ არის ქალაქის ტიპის მაღალი კლასის ავტომობილი, რომელმაც დიდი მოწონება მოიპოვა მსოფლიო ბაზარზე. მისი ძალოვანი აგრეგატები განლაგებულია განივად და მოიცავენ ოთხ ცილინდრიან 2,4-ლიტრიან და ექვს ცილინდრიან 2,7-ლიტრიან ძრავებს. ორივე ტიპის ძრავას აქვს ოთხი სარქველი თითო ცილინდრზე, რომელთა სიმძლავრე 155 და 178 ცხენის ძალა, ძალოვანი აგრეგატები ჰარმონიულად მუშაობენ ადაპტირებულ ხუთსიჩქარიან მექანიკურ და ოთხსიჩქარიან (სტეპ ტრონიკის ტიპის) ავტომატურ გადაცემათა კოლოფებთან. ის ფართო სპექტრითაა აღჭურვილი, რომელშიც ძირითადია ელექტროსისტემები, საჭის ჰიდროგამაძლიერებლები, ორი უსაფრთხოების ბალიში, ავტომატური კონდიციონერი, აუდიოსისტემა, სავარძლების გათბობის სისტემა, ნისლის საწინააღმდეგო ფარები, დაბურული მუშები, ალუმინის დისკები და განიერი საბურავები. „სანტა-ფე“ კომფორტთან ერთად ბევრ სასიამოვნო სიურპრიზსაც შემოგთავაზებთ.

შოთა მაჭარაშვილი.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

საქართველოს რესპუბლიკა
№ 120-121, კვირა, 20 მაისი, 2001 წელი.

რაც მეტი იცი...

თქვენი პაწია

ბავშვი ოჯახის სიხარულია. გონიერმა მშობელმა მასზე არა მხოლოდ დაბადების შემდეგ, დაბადებამდეც უნდა იზრუნოს.

- ადრიან შემოდგომაზე ჩასახული ბავშვი, ჩვეულებრივ, წლის სხვა დროს ჩასახულზე ჯანმრთელია. საქმე ის არის, რომ მომავალმა მშობლებმა ზაფხულში დაისვენეს და ვიტამინებით „დაიმუხტნენ“, თანაც, სეზონის დეპრესია ჯერ არ შეპყრიათ. ასე რომ, ოჯახის გასამრავლებლად სექტემბერი საუკეთესო დროა.

- ანტიბიოტიკები არ უნდა მიიღოთ არა მარტო ორსულობის, არამედ ჩვილისთვის ძუძუს წოვების დროსაც. ბავშვები, რომელთა მშობლები ამ წესს არ იცავენ, ხშირად ავადდებიან დიათეზით, კუჭნაწლავის მოშლილობით და ასევე, ხშირად ცივდებიან, თან გამოჯანსაღების პროცესი ჩვეულებრივზე მეტ ხანს გრძელდება.

- ბავშვს მაგარი კბილები ექნება, თუ დედა ორსულობისას საკმაო რაოდენობის ფთორს მიიღებს. ოღონდ ამ დროს ექიმის კონსულტაციაა საჭირო. დიდი რაოდენობით მიღებულმა ფთორმა, შესაძლოა, ბავშვის ან დედის ორგანიზმში მძიმე პათოლოგიური ცვლილებები გამოიწვიოს.

- ჩვილი გოგონას თავის ან მკერდის უმნიშვნელო ტრავმამაც კი ქალში შეიძლება გამოიწვიოს უნაყოფობა, რადგან ამ ტრავმებს ხშირად ჰორმონალური დარღვევები მოსდევს.

ყველას, ყველას, ყველას!

ეს სამკურნალო საშუალებები უნდა ამოიღოთ სააფთიაქო ქსელიდან. თუ მაინც წააწყდით, არავითარ შემთხვევაში არ შეიძინოთ!

1. ანალგინის ხსნარი ან ინექცია, 50 პროცენტიანი, 2 მლ. მედპრეპარატების ბორისოვის სახელობის ქარხანა, ბელორუსია, სერიის №160100.

2. ასკორბინის მჟავა, 0,025 გრ. აბები. ირბიტის ფარმაცევტული ქარხანა, რუსეთი. სერიის №37119.

3. ვალიდოლის აბები, 0,06 გრ. რუსეთი, სერიის №25022000.

4. პარაცეტამოლის აბები, 0,5 გრ. „ბიოქიმიკოსი“, რუსეთი, სერიის №110799.

შევარდნის თვალი

ჩინური წერტილოვანი მასაჟი, ანუ აკუპუნქტურა ეფექტურად კურნავს ჩვენი სხეულის ამა თუ იმ ორგანოს ფუნქციურ მოშლილობას. ასევე ეფექტურია იგი მაშინაც, როცა დაღლილობისას თვალები გვტკივა.

პროცედურის წინ კარგად დაიბანეთ და გაიმშრალეთ ხელები – თვალებში ინფექცია რომ არ შეიჭრას. დაჯექით მოხერხებულად, ისუნთქეთ ღრმად, თანაბრად, მშვიდად. მასაჟი თითის წვერებით კეთდება. ორივე თვალისთვის იპოვეთ წერტილი 3 (ცხვირის ფუძესთან) და ცერის ბალიშით დააჭირეთ ზემოთკენ და შიგნით.



ამის შემდეგ საჩვენებელი თითით თანამიმდევრობით მასაჟი გაუკეთეთ თვალების გარშემო განლაგებულ **4, 5, 6, 7, 8** წერტილებს.

მარცხენა ხელის შუათითით იპოვეთ წერტილი – 1, თვალები დახუჭეთ და მთელი ყურადღება ამ წერტილზე გადაიტანეთ. მასაჟი კეთდება მსუბუქი ვიბრაციული დაწოლით. ორივე თვალისთვის მოძებნეთ წერტილი – **9** – იგი თვალის ორმოს ცენტრის ქვემოთ, მისგან 1 სმ-ის დაშორებით მდებარეობს. ფრთხილად დააწექით მათ საჩვენებელი თითებით. ასევე იმოქმედეთ **10** და **11** წერტილებზე. მოხარეთ საჩვენებელი და შუა თითები და მჭიდროდ დაიდეთ ისინი **2** წერტილზე ხერხემლის ორივე მხარეს, თავის ქალის ფუძის ქვემოთ 1,5 სმ-ზე. დაწოლა ზომიერი უნდა იყოს.

ეს მასაჟები გაიკეთეთ დღეში 2-3-ჯერ, დაიწყეთ 10-წამიანი დაჭერით და ადით ერთ წუთამდე. მკურნალობა გრძელდება 2-3 კვირას.

ვიქტორინა ერუდიტებისთვის

1. პეტრიწონის ქართველთა მონასტერი დააარსა ქართველმა მოღვაწემ:

ა – ექვთიმე ათონელმა; ბ – გრიგოლ ბაკურიანმა; გ – ნიკიფორე ირბახმა.

2. დავით აღმაშენებელმა თურქების სულთანს ხარაჯის მიცემა შეუწყვიტა და საქართველოს დამოუკიდებლობა აღადგინა...

ა – 1097 წელს; ბ – 1102 წელს; გ – 1105 წელს.

3. ქართლურ დიალექტში – პირბამბა და ხავერდა, მოხეურში – თეთრი ბუარა, ფშაურში – თავყვითელა, გარეკახურში – ტირიფი, აჭარულში – გულბამბა ჰქვია მცენარეს, რომლის ლიტერატურული სახელწოდებაა...

ა – ზამბახი; ბ – ვირისტერფა; გ – ზღმარტლი.

4. თბილისის ერთ-ერთი უბნის სახელწოდება „ისანი“ არაბული წარმოშობისაა და ნიშნავს...

ა – ციხეს; ბ – დაბლობ ადგილს; გ – სწორ ადგილს.

5. მონაჭორს, ვისიმე სახელის გასატეხად მოგონილ ცილისწამებას ეწოდება...

ა – ინსინუაცია; ბ – ინსპირაცია; გ – იმპიჩმენტი.



6. ძველ ქართულში ჭალარა თმას ერქვა...

ა – ქარცი; ბ – მხცე; გ – ლეგა.

7. „მომენატრება ქალაქში ვაზი, ხაპი და ხაპთან ყურძენი ხვირით“... სტრიქონების ავტორია...

ა – ლადო ასათიანი; ბ – ტერენტი გრანელი; გ – მურმან ლებანიძე.

8. ყველაზე დიდი ხნის განმავლობაში ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს ფლობდა...

ა – ემანუილ ლასკერი; ბ – ვილჰელმ სტეინიცი; გ – მიხეილ ბოტვინიკი.

9. დავით მეოთხე აღმაშენებელი თექვსმეტი წლის გამეფდა. იგი დაიბადა...

ა – 1069 წელს; ბ – 1073 წელს; გ – 1081 წელს.

10. ნიკო ხუდადოვი, რომლის ინიციატივითაც მტკვრის მარცხენა ნაპირზე მწვანე მასივი გაშენდა (ეს პროცესი დაიწყო 1893 წლიდან) პროფესიით იყო...

ა – მეტყევე; ბ – ექიმი; გ – რკინიგზის ინჟინერი.

პასუხები:

1. გრიგოლ ბაკურიანმა; 2. 1097 წელს; 3. ვირისტერფა; 4. ციხეს; 5. ინსინუაცია; 6. მხცე; 7. მურმან ლებანიძე; 8. ემანუილ ლასკერი; 9. 1073 წელს; 10. ექიმი.

მოამზადა ლალი ცქვიტიშვილმა

ხალხური მედიცინა

ლიმონი — თქვენი მკურნალი

სასიცოცხლო ძალების სწრაფი აღდგენისათვის ჭამის წინ, დღეში 3-ჯერ მიიღეთ თითო ჩაის კოვზი შემდეგი ნაზავი: 4 ლიმონის წვენს დაამატეთ 300 გრ თაფლი, 500 გრ დანაყილი ნიგოზი და 100 გრ ალოეს წვენი.

გულ-სისხლძარღვთა დაავადებების და ჰიპერტონიის დროს: ხორცსაკეპში გაატარეთ კანიანად (კურკაგამოცლილი) 500 გრ ლიმონი, 500 გრ ასკილი (ასევე თესლგამოცლილი) და 500 გრ შტოში, დაამატეთ 500 გრ თაფლი. ყველაფერი კარგად აურიეთ, გააჩერეთ ერთი დღე-ღამე. შეინახეთ ცივ ადგილზე, მიიღეთ დღეში სამჯერ თითო სუფრის კოვზი, ჭამამდე 15 წთ-ით ადრე.

სტენოკარდიის დროს კარგ სამსახურს გაგიწევთ 2 ლიმონის წვენის, 2 ალოეს ფოთლის წვენის და 500 გრ თაფლის ნაზავი. ეს მასა გააჩერეთ მაცივარში 1 კვირა. შემდეგ კი მიიღეთ დღეში 3-ჯერ თითო სუფრის კოვზი, ჭამამდე 1 სთ-ით ადრე.

ანგინის და სხვა სახის გაციების დროს, განსაკუთრებით კი ხველებისას კარგია 1/2 ლიმონის წვენი შეურიეთ 1 ს/კ თაფლს და სვით ყოველ ერთ საათში.

ნატუროპათის რჩევები

ხველების დროს

6 გრ ალთეს ფესვებს დაასხით 1 ჭ მდუღარე წყალი, ჩადგით ცხელი წყლის აბაზანაში 30 წთ, შემდეგ გააციეთ 10 წთ. გაწურეთ კარგად, დალიეთ ხველების დროს 3-ჯერ დღეში ცხელი ნაყენი, თითო ჯერზე 1/3-1/2 ჭიქა.

სვიის ნაყენი

სვიას დაასხით წყალი, ადუღეთ 30 წთ და ნახარში ჩაასხით აბაზანაში (ერთ სავსე აბაზანაზე საჭიროა 800 გრ მშრალი ბალახი). სვიის აბაზანები კარგია თირკმელების და შარდის ბუშტის მუშაობის მოშლილობის დროს.

მოამზადა ციცინო მჭედლიშვილმა.

ყავა პარკინსონის წინააღმდეგ

ამერიკელმა ექიმებმა დაადგინეს, რომ ამ არომატული სასმელის თავგადადებული მოყვარულნი იშვიათად ავადდებიან პარკინსონის ავადმყოფობით.

აკვირდებოდნენ რა ჰავაის კუნძულების 8 ათას მკვიდრს 35 წლის განმავლობაში, სპეციალისტები დარწმუნდნენ, რომ ისინი, ვინც დღეში 4-6 ფინჯან ყავას სვამენ, ხუთჯერ ნაკლებად ავადდებიან ამ ავადმყოფობით, ვიდრე ისინი, ვინც საერთოდ არ ეტანება ამ სასმელს.

სტატისტიკის თანახმად, პარკინსონის დაავადება ემართება 65 წლის ასაკს გადაცილებულ ადამიანთა 3 პროცენტს. აშშ-ში ეს სენი ერთ მილიონ ადამიანს სჭირს. სხვათა შორის, პარკინსონის ავადმყოფობით იტანჯება აშშ-ის იუსტიციის მინისტრი ჯანეთ რინო და პროფესიული რინგის ვარსკვლავი მოჰამედ ალი.

ექიმები გვაფრთხილებენ, რომ ყავას უნდა მოერიდონ გულის არითმიით დაავადებულები და ისინი, ვისაც კუჭის მაღალი სიმჟავე და უძილობა აწუხებს.

მეტალოთერაპია

ბახსოვთ ბავშვობაში კოპებზე მიწებებული ხუთკაპიკიანები?

აი, სწორედ ეს გახლავთ მეტალოთერაპიის ერთ-ერთი გამოვლინება.

ვერცხლი – აწონასწორებს ნერვულ სისტემას, კურნავს კუჭის მოშლილობებს.

ფოლადის ფირფიტები — თუ წინდებში ჩაიწყობთ, ეპილეფსიის კორექციას ახდენს.

ტყვია და სპილენძი ერთნაირად მოქმედებს მოტეხილობებისა და პატარა სიმსივნეების დროს. ტყვიას ბაზედოვის დაავადების დროსაც იყენებენ — ყელზე იწებებენ.

რკინა გამოაწრთეთ ცეცხლზე, ჩააგდეთ წყალში და ეს წყალი დალიეთ. პოტენციას აგიმაღლებთ, ქალებში კი აწესრიგებს მენსტრუაციულ ციკლს. წყალი მაშინვე დალიეთ ან ოდნავ შეაგრილეთ.

ოქრო შუა მკერდზე დაიკიდეთ (ჯვარი ან მედალიონი). კურნავს არითმიას, აწონასწორებს გულის ტონებს, სუფთას და წკრიალას ხდის მას.

გამოიწერე[illegible] იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

ორშაბათი
21 მაისი

08.00 ალიონი 09.30 სერიალი **"ძილის წინ"** 09.50, 20.50 სერიალი **"ქამელეონი"** 10.25 ფორტუნა 11.10 სერიალი **"საზღვაო პოლიცია"** 12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე 12.15 სპა 12.35 მოსკოვი-თბილისი 13.00 ნაშუადღევს 14.05 მუსიკალური ოქტაგონი 15.15 მხ.ფ. **"ჩემი დედინაცვალი უცხოპლანეტელია"** 17.00 "50-50" 17.50 რამპა 18.00 ვესტნიკი 18.20 სერიალი **"საზღვაო პოლიცია"** 19.15 მაესტრო 19.25 ჯანმრთელობა 19.40 ბასტი-ბუბუ 21.40 გაცოცხლებული სურათები. ე. ახვლედიანი 22.00 რეზო ამაშუკელი 22.40 ტელესერიალი **"ძილის წინ"** 23.50 ვიდეოპატარული 00.00 კომუნიკატორი 00.40 ფრანგული დოკ. ფილმი "კანი - ოთხასი დარტყმა"

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე 19.05 იყო და არა 19.40 6-დან 20-მდე 20.00 მხ.ფ. **"ოქროს თითი"** 21.15 კინოს ისტორიები 22.05 სუპერმატჩი 22.35 ჰიტ-პარადი 22.45 მხ.ფ. **"ველის კოცნა"**

07.00 მუსიკა 07.30 ტექს ავერი, ფიფქია 08.00 კურიერი. დარდუბალა 08.55 სერიალი **"გვადალუპე"** 09.50 ჩემპიონთა ლიგის კვირის მიმოხილვა 10.40 კვაზიმოდოს ჯადოსნური თავგადასავალი 11.10 სერიალი **"იოლი ფული"** 12.00, 15.00 კურიერი 12.15 მულტსერიალი 13.30 მხ. ფილმი 18.00, 21.00, 23.00, 01.50 კურიერი 18.35 კვაზიმოდოს ჯადოსნური თავგადასავალი 18.50 სერიალი **"მეზობელი გოგონები"** 19.00 სერიალი **"გურმანთა მეგზური"** 19.50 სერიალი **"იოლი ფული"** 22.00 "ვის უნდა ოცი ათასი" 00.05 მხ.ფ. **"ჯეკ ბრაუნი"**. რეჟ. კვენტინ ტარანტინო. მთ. როლებში სემუელ ლ. ჯექსონი, რობერტ დე ნირო 02.00 კლასიკა

იბერია

მიმდინარეობს არხის რეორგანიზაცია 08.00, 20.00 ანონსი, მულტფილმი 08.15, 20.15 ალსავალი 08.20, 10.30, 20.20, 22.20, 00.00 მუსიკა 08.25 მხ.ფ. **"დონი"** 10.35 მხ.ფ. **"ბიჭები და გოგონები"** 20.25 მხ.ფ. **"ბრძოლის ადგილი - დედამიწა"** 22.25 მხ.ფ. **"ლეიქპლესიდი: შიშის ტბა"**

ევრიკა

10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 "ვესტი" 10.15 მხ.ფ. **"მთიელი"** 33 სერია 11.30 მუსიკალური კოლაჟი 12.15 ვარსკვლავები გვამცნობენ 13.45, 15.20 ძველი კინო კლასიკა მხ. ფილმი **"დებიუტანტი ქალები"** 18.30 ზღაპრის ტელედარბაზი 19.00 ექსტრაორდინალური 20.00 მსოფლიო სპორტი 21.30 ტალანტები და თაყვანისმცემლები 22.30, 00.15 მხ.ფ. **"კონტრაქტი სიკვდილთან"**

10.00 "ბისი". მხ.ფ. **"ძუკნა სიყვარული"** 12.40, 21.00, 22.50, 00.50 კლიპ-მიქსი 14.00 კონცერტი 18.00 მულტფილმები 19.00 "Co.მედია" მხ.ფ. **"დონის ფსიქოანალიტიკოსი"** მთ. როლში კევინ პოლაკი 19.20 საინფორმაციო პროგრამა "რვის ნახევარზე" 19.30 მორწმუნის ძლევამოსილი ხმა 21.15 პროგრამა "F" მხ.ფ. **"მტერი"** მთ. როლში ლიუკ პერი 23.10 "ბრავო" მხ.ფ. **"ვენების ალი"** მთ. როლში სოფი მარსო 01.10 "ღამურა" მხ.ფილმი 02.40 ნონ-სტოპი

09.00, 00.15 მუსიკა 09.15 მულტფილმი "ტომი და ჯერი" 09.35 მხ.ფ. **"კოლონია"** 11.05 ინტელექტკლუბი "რა? სად? როდის?" 12.05 გადაცემა: "საბჭოთა საქართველო - ფურცლები ისტორიიდან" 12.40 მხ.ფ. **"სიმართლე და შედეგი"** 14.25, 15.15, 18.40 შემეცნებითი პროგრამა "დისქავერი" 15.00, 18.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღის ამბები" 16.30 მხ.ფ. **"მთელი ქალით"** მთ. როლში სილვესტერ სტალონე 18.15 მულტფილმი "ნოტრდამელი კუზიანი" 20.25, 23.55 ხუთი წუთი ეკონომიკა 21.00 დოკ. ფილმი "ჩერჩილების ოჯახი" 21.55 მხ.ფ. **"ატომური მატარებელი"** მთ. როლში რობ ლოუ 00.40 მხ. ფილმი **"მართვა"** მთ. როლში მარკ დაკასკოსი.

სამშაბათი
22 მაისი

08.00 ალიონი 09.30 სერიალი **"ძილის წინ"** 09.50, 23.50 ვიდეოპატრული 10.00, 20.50 სერიალი **"ქამელეონი"** 10.40 რამპა 10.50 საქართველო და გარე სამყარო 11.10 სერიალი **"საზღვაო პოლიცია"** 12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე 12.15 ეძიე ქალი 12.40 ჯანმრთელობა 13.00 ნაშუადღევს 14.05 ეკოდაიჯესტი 14.30 მაესტრო 15.15 მხ.ფ. **"მოქალაქე კეინი"** 17.05 საუბრები ლიტერატურაზე. გ. გაჩეჩილაძე 17.45 მესაკუთრე 18.00 ვესტნიკი 18.20 სერიალი **"საზღვაო პოლიცია"** 19.15 მაესტრო 19.25 ოვერტაიმი 19.40 ბასტი-ბუბუ 21.35 დრო და ადამიანები. გ. ძოწენიძე 21.50 ჩვენი ენა ქართული 21.55 "100 გრადუსი" 22.40 ტელესერიალი **"ძილის წინ"** 00.00 ჯეოპოპი 00.40 მხ.ფ. **"თვითმფრინავი რუსეთისაკენ მიფრინავს"**

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე 19.05 იყო და არა იყო რა 19.50 ჭორიკი 20.00 მოკლ. მხ. ფილმი 20.30 სტუდია "რე" 21.30 ოქროს მართვე 22.05 ჰიტ-პარადი 22.10 კინომონატრება 22.20 მხ.ფ. **"სასაცილო გოგონა"**

07.00 მუსიკა 07.30 ტექს ავერი, ფიფქია 08.00, 12.00, 15.00 კურიერი 08.55 სერიალი **"გვადალუპე"** 09.50 "ვის უნდა ოცი ათასი" 10.40 კვაზიმოდოს ჯადოსნური თავგადასავალი 11.10 სერიალი **"იოლი ფული"** 12.15 მულტსერიალი 13.30 მხ. ფილმი 18.00, 21.00, 23.00, 02.05 კურიერი 18.20 კვაზიმოდოს ჯადოსნური თავგადასავალი 18.50 სერიალი **"მეზობელი გოგონები"** 19.15 "პერეკრიოსტოკი" 19.50 სერიალი **"იოლი ფული"** 22.00 სერიალი **"ათასწლეული"**. 00.05 მხ.ფ. **"ანგელოზების ქალაქი"**. მთ. როლებში მეგ რაიანი, ნიკოლას კეიჯი 02.15 კლასიკა

იბერია

მიმდინარეობს არხის რეორგანიზაცია 08.00, 20.00 ანონსი, მულტფილმი 08.15, 20.15 ალსავალი 08.20, 10.20, 12.00, 20.20, 21.55 მუსიკა 08.25 მხ.ფ. **"ბრძოლის ადგილი - დედამიწა"** 10.25 მხ.ფ. **"ლეიქპლესიდი: შიშის ტბა"** 20.25 მხ.ფ. **"დევნა დროსთან"** 22.00 "ძველი კინო" - მხ.ფ. **"გზა"**

ევრიკა

10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 "ვესტი" 10.15 ზღაპრის ტელედარბაზი 10.45 სპორტული პროგრამა "მსოფლიო სპორტი" 11.45 მუსკოლაჟი 12.15 პროგრამა "სალონი" 13.45, 15.15 ინდური მხ.ფილმი 16.00 მხ.ფ. **"კონტრაქტი სიკვდილთან"** 18.30 ზღაპრის ტელედარბაზი 19.00 გადაცემა "ჩვენი თაობა" 19.30 მხ.ფ. **"მთიელი"** 34 სერია 20.00 მსოფლიო სპორტი 21.30 პირველი ნაბიჯები 21.45 სალონი 23.15, 00.15 მხ.ფ. **"დიდი დედილოს სახლი"**

09.30 საინფორმაციო პროგრამა "რვის ნახევარზე" 10.00 "ბისი". მხ.ფ. **"ვენების ალი"** 11.40, 20.30, 22.30, 01.55 კლიპ-მიქსი 14.00 კონცერტი 18.00 "სამყარო" დოკ. ფილმი 19.00 "Co.მედია" მხ.ფ. **"კოქტეილი"** მთ. როლში ტომ კრუზი 19.30 მორწმუნის ძლევამოსილი ხმა 20.45 პროგრამა "F" მხ.ფ. **"გამანადგურებელი სროლა"**. მთ. როლში დენ ბიტერი 22.45 "ბრავო". მხ.ფ. **"მაგნოლია"** მთ. როლში ჯეისონ რობარდსი 02.10 "ღამურა" მხ.ფილმი 03.40 ნონ-სტოპი

09.00, 15.00, 18.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღის ამბები" 09.15, 18.15 მულტფილმი "ნოტრდამელი კუზიანი" 09.45 მხ.ფ. **"ატომური მატარებელი"** 11.40, 21.10 დოკ. ფილმი "ჩერჩილების ოჯახი" 12.30, 14.40, 22.05, 23.40, 00.15 მუსიკა 12.50 მხ.ფ. **"მართვა"** 15.15, 18.45 შემეცნებითი პროგრამა "დისქავერი" 15.55 მხ.ფ. **"წერილი ბოთლში"** მთ. როლში კევინ კოსტნერი 20.00 ევროპის სტადიონებზე 20.25, 23.55 ხუთი წუთი ეკონომიკა 22.15 მხ. ფილმი **"სისხლიანი ხუთშაბათი"** მთ. როლში ტომას ჯეინი 00.40 მხ. ფილმი **"ღრმა ლურჯი ზღვა"** მთ. როლში სამუელ ლ. ჯექსონი.

ოთხშაბათი
23 მაისი

08.00 ალიონი 09.30 სერიალი **"ძილის წინ"** 09.50, 23.50 ვიდეოპატრული 10.00, 20.50 სერიალი **"ქამელეონი"** 10.45 თბილისი და თბილისელები 11.05 სერიალი **"საზღვაო პოლიცია"** 12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე 12.15 100 გრადუსი 13.00 ნაშუადღევს 14.05 ოვერტაიმი 14.25 ჩვენი მისამართია 15.15 მხ.ფ. **"თვითმფრინავი რუსეთისაკენ მიფრინავს"** 16.45 ენერგია 17.00 50-50 17.40 ვესტნიკი 18.00 **ფეხბურთი. "ლოკომოტივი"** (თბილისი) - **"ტორპედო"** (ქუთაისი) მ. მესხის სახელობის სტადიონიდან (შესვენებისას დოკ. ფილმი "ფოტორეპორტიორი") 21.40 რადიოს დღე 22.00 მაესტრო 22.20 საქმე 22.40 ტელესერიალი **"ძილის წინ"** 00.00 მე ქალი ვარ 00.35 კომუნიკატორი 01.10 მხ.ფ. **"ძაღლი მოლანდება - სამურაის გზა"**

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე 19.05 იყო და არა იყო რა 19.45 მხ.ფ. **"მარვინის ოთახი"** 21.30 ოპერისა და ბალეტის ვარსკვლავები 22.05 ბუდარია 22.30 ჰიტ-პარადი 22.45 მხ.ფ. **"მაისის თოვლი"**

07.00 მუსიკა. 07.30 ტექს ავერი, რობინ ჰუდი 08.00, 12.00, 15.00 კურიერი 08.55 სერიალი **"გვადალუპე"** 09.50 სერიალი **"ათასწლეული"** 10.40 კვაზიმოდოს ჯადოსნური თავგადასავალი 11.10 სერიალი **"იოლი ფული"** 12.15 მულტსერიალი 13.30 მხ. ფილმი 15.20 **ჩემპიონთა ლიგა. "ბაიერნი" - "რეალი"** 18.00, 21.00, 01.55 კურიერი 18.35 კვაზიმოდოს ჯადოსნური თავგადასავალი 18.50 სერიალი **"მეზობელი გოგონები"** 19.00 სერიალი **"გურმანთა მეგზური"** 19.50 სერიალი **"იოლი ფული"** 22.00 ტელევიქტორინა "ვის უნდა ოცი ათასი" 23.00 **ჩემპიონთა ლიგის ფინალი. "ბაიერნი" - "ვალენსია"** 02.05 კლასიკა

იბერია

მიმდინარეობს არხის რეორგანიზაცია 08.00, 20.00 ანონსი, მულტფილმი 08.15, 20.15 ალსავალი 08.20, 09.55, 20.20, 22.00, 23.40 მუსიკა 08.25 მხ.ფ. **"დევნა დროსთან"** 10.00 მხ.ფ. **"გზა"** 20.25 მხ.ფ. **"ოპერაცია "ი" და შურიკას თავგადასავალი"**. 22.05 მხ.ფ. **"ღამურები"**

ევრიკა

10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 "ვესტი" 10.15 ზღაპრის ტელედარბაზი 10.45 სპორტული პროგრამა 11.45 მუსკოლაჟი 13.00 პროგრამა "სალონი" 13.45, 15.15 მხ.ფ. **"დიდი დედილოს სახლი"** 18.30 გადაცემა "ლაბირინთი" 19.45 ზღაპრის ტელედარბაზი 20.00 მსოფლიო სპორტი 21.30 თინეიჯერი 22.30 საუბრები მწვანე ბუხართან 00.15 მხ.ფ. **"ჩარლის ანგელოზები"**

10.00 "ბისი". მხ.ფ. **"მაგნოლია"** 13.00, 20.45, 22.30, 00.45 კლიპ-მიქსი 14.00 კონცერტი 18.00 მულტფილმები 19.00 "Co.მედია" მხ.ფ. **"თაღლითები"** 19.20 საინფორმაციო პროგრამა "რვის ნახევარზე" 19.30 მორწმუნის ძლევამოსილი ხმა 21.00 პროგრამა "F" მხ.ფილმი **"ლეპრეკონი"** 22.45 "ბრავო" მხ.ფ. **"ელისაბედი"** მთ. როლში კეიტ ბლანშეტი 01.00 "ღამურა" მხ.ფ. **"გარიგება"**. ჯემი ლი კერტისი, კელი ლინჩი 02.40 ნონ-სტოპი

09.00, 15.00, 18.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღის ამბები" 09.15 მულტფილმი "ნოტრდამელი კუზიანი" 09.40 მხ.ფ. **"სისხლიანი ხუთშაბათი"** 11.05 ევროპის სტადიონებზე 11.30 დოკ. ფილმი "ჩერჩილების ოჯახი" 12.25, 00.15 მუსიკა 12.40 მხ. ფილმი **"ღრმა ლურჯი ზღვა"** 14.25, 15.15, 18.40 შემეცნებითი პროგრამა "დისქავერი" 16.00 მხ.ფ. **"მკერი ნოემბრი აპრილი"** მთ. როლში ტერეზა რასელი 18.15 მულტფილმი "ტარზანი - მაიმუნთა მბრძანებელი" 20.00 "ევროპის სტადიონებზე" 20.25, 23.55 ხუთი წუთი ეკონომიკა 21.10 დოკ. ფილმი "დევიდ გრიფიტი - კინოს მამა" 22.05 მხ. ფილმი **"ბუფალო 66"** მთ. როლში ვინსენტ გალო 00.40 მხ. ფილმი **"ქვის რომანი"** მთ. როლში მაიკლ დუგლასი.

ხუთშაბათი
24 მაისი

08.00 ალიონი 09.30 ტელესერიალი **"ძილის წინ"** 09.50, 23.50 ვიდეოპატრული 10.00, 20.50 სერიალი **"ქამელეონი"** 10.45 რეალური სამყარო 11.05 პირველად იყო სიტყვა 11.35 საქმე 12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე 12.15 სტუდია "ზუმი" 12.30 მე ქალი ვარ 13.00 ნაშუადღევს 14.05 ენერგია 14.25 ჯეოპოპი 15.15 მხ.ფ. **"ძაღლი მოლანდება - სამურაის გზა"** 17.05 დიდების ზღაპარი 17.35 მესაკუთრე 17.50 რამპა 18.00 ვესტნიკი 1820 სერიალი **"საზღვაო პოლიცია"** 19.15 მაესტრო 19.25 ფაილი 19.40 ბასტი-ბუბუ 21.45 "თბილისის დროით" 22.10 ტელე-სინე-ვიდეო. 22.40 ტელესერიალი **"ძილის წინ"** 00.00 მხ.ფ. **"[illegible] ცხენებს ხომ ხოცავენ"**

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე 19.05 ჩიპო 19.30 მხ.ფ. **"რეალობა იკბინება"** 21.00 ავტოშოუ 21.20 ესკიზი 21.40 ათი მცნება 22.05 შვიდეული 23.05 მხ.ფ. **"მოჩვენება და წყვდიადი"**

07.00 მუსიკა 07.30 ტექს ავერი, რობინ ჰუდი 08.00, 12.00, 15.00 კურიერი 08.55 სერიალი **"გვადალუპე"** 09.50 ტელევიქტორინა "ვის უნდა ოცი ათასი" 10.40 კვაზიმოდოს ჯადოსნური თავგადასავალი 11.10 სერიალი **"იოლი ფული"** 12.15 მულტსერიალი 13.30 მხ. ფილმი 15.20 **უეფას თასის ფინალი. "ბაიერნი" - "ვალენსია"** 18.00, 21.00, 23.00, 02.05 კურიერი 18.30 კვაზიმოდოს ჯადოსნური თავგადასავალი 19.00 ევროპული ფეხბურთის მიმოხილვა 19.50 სერიალი **"იოლი ფული"** 22.00 სერიალი **"ათასწლეული"** 00.05 მხ.ფ. **"ჭუპრი"**. რეჟ. რონ ხაუარდი. მთ. როლებში დონ ამეჩე, უილფორდ ბრიმლი 02.15 კლასიკა

იბერია

მიმდინარეობს არხის რეორგანიზაცია 08.00, 20.00 ანონსი, მულტფილმი 08.15, 20.15 ალსავალი 08.20, 10.00, 11.40, 20.20, 21.50, 23.05 მუსიკა 08.25 მხ.ფ. **"ოპერაცია "ი" და შურიკას თავგადასავალი"** 10.05 მხ.ფ. **"ღამურები"** 20.25 მხ.ფ. **"ექოს გამოძახილი"** 21.55 მხ.ფ. **"მექალთანე"**

ევრიკა

10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 "ვესტი" 10.15 ზღაპრის ტელედარბაზი 10.45 სპორტული პროგრამა 12.15 პროგრამა "სალონი" 13.45, 15.15 მხ.ფ. **"ჩარლის ანგელოზები"** 18.30 ზღაპრის ტელედარბაზი 19.00 გადაცემა "ტექნოუსი" 19.30 დოკ. ფილმი "ფანჯარა ევროპაში" 20.00 მსოფლიო სპორტი 21.30 "სალონი" 23.00, 00.15 მხ.ფ. **"ცხელი ზაფხული"**

09.30 საინფორმაციო პროგრამა "რვის ნახევარზე" 10.00 "ბისი". მხ.ფ. **"ელისაბედი"** 12.00, 20.30, 22.10, 23.50 კლიპ-მიქსი 14.00 კონცერტი 18.00 "სამყარო" დოკ. ფილმი 19.00 "Co.მედია" მხ.ფ. **"მამაკაცთა სტრიპტიზი"** მთ. როლში რობერტ კარლაილი 19.30 მორწმუნის ძლევამოსილი ხმა 20.45 პროგრამა "F" მხ.ფ. **"ლეპრეკონი-2"** 22.25 "ბრავო". მხ.ფ. **"სახელი კარმენი"** მთ. როლში მარუშკა დეტმერსი 00.10 "ღამურა" მხ.ფ. **"ნეტარება"** მთ. როლში შერილ ლი 01.50 ნონ-სტოპი

09.00, 15.00, 18.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღის ამბები" 09.15, 18.15 მულტფილმი "ტარზანი - მაიმუნთა მბრძანებელი" 09.40 მხ.ფ. **"ბუფალო 66"** 11.30 ევროპის სტადიონებზე 11.50 დოკ. ფილმი "დევიდ გრიფიტი - კინოს მამა" 12.45, 14.45, 00.15 მუსიკა 13.05 მხ.ფ. **"ქვის რომანი"** 15.15, 18.40 შემეცნებითი პროგრამა "დისქავერი" 16.00 მხ.ფ. **"აპოკალიფსის საათი"** მთ. როლში რიჩარდ დინ ანდერსონი 20.25, 23.55 ხუთი წუთი ეკონომიკა 21.10 "საუბრები სტუდიაში" 22.00 მხ. ფილმი **"ვარსკვლავური მოგზაურების შთამომავალნი"** მთ. როლში მალკოლმ მაკდაუელი. 00.40 მხ. ფილმი **"გუშინდელი სამიზნე"** მთ. როლში დანიელ ბოლდუინი.

პარასკევი
25 მაისი

08.00 ალიონი 09.30 ტელესერიალი **"ძილის წინ"** 09.50, 23.50 ვიდეოპატრული 10.00, 20.50 სერიალი **"ქამელეონი"** 10.40 რამპა 10.45 ზღვარი 11.00, 18.20 სერიალი **"საზღვაო პოლიცია"** 12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე 12.15 დოკ. ფილმი "ფოტორეპორტიორი" 12.25 ტელე-სინე-ვიდეო 13.00 ნაშუადღევს 14.05 ჩემი ცხოვრების გზა 14.25 გლობუსი 15.15 ბავშვები უპირველეს ყოვლისა 15.20 მხ.ფ. **"ღია ზღვაში"** 17.00 50-50 17.50 ჩვენი ენა ქართული 18.00 ვესტნიკი 19.15 მაესტრო 19.25 ოვერტაიმი 19.40 ბასტი-ბუბუ 21.40 ვახუშტი კოტეტიშვილთან 22.00 მოსკოვი-თბილისი 22.20 ენა დედაა ერისა 22.40 ტელესერიალი **"ძილის წინ"** 00.00 მხ.ფ. **"დონ ჟუანი"**

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე 19.05 იყო და არა 19.45 მხ.ფ. **"მემკვიდრეობა"** 21.10 მოლბერტი 21.30 ქალი, მამაკაცი, საზოგადოება 22.05 აფხაზეთის ტელევიზია 22.45 ჰიტ-პარადი 22.55 მხ.ფ. **"დიდიე"**

07.00 მუსიკა. 07.30 ტექს ავერი, რობინ ჰუდი 08.00, 12.00, 15.00 კურიერი 08.55 სერიალი **"გვადალუპე"** 09.50 სერიალი **"ათასწლეული"** 10.40 კვაზიმოდოს ჯადოსნური თავგადასავალი 11.10 სერიალი **"იოლი ფული"** 12.15 მულტსერიალი 13.30 მხ. ფილმი 15.20 ევროპული ფეხბურთის მიმოხილვა 18.00, 21.00, 23.00, 03.15 კურიერი 18.30 კვაზიმოდოს ჯადოსნური თავგადასავალი 19.00 სერიალი **"კუსტოს წყალქვეშა ოდისეა"** 19.50 სერიალი **"იოლი ფული"** 22.00 ტელევიქტორინა "ვის უნდა ოცი ათასი" 00.05 მხ.ფ. **"ანა და მეფე"** მთ. როლებში: ჯოდი ფოსტერი, ჩოუ იუნ-ფატი 02.15 სიმფსონები 02.45 სერიალი **"წითელი ფეხსაცმლის დღიურები"** 03.25 კლასიკა

იბერია

მიმდინარეობს არხის რეორგანიზაცია 08.00, 20.00 ანონსი, მულტფილმი 08.15, 20.15 ალსავალი 08.20, 09.50, 11.05, 20.20, 22.00, 23.45 მუსიკა 08.25 მხ.ფ. **"ექოს გამოძახილი"** 09.55 მხ.ფ. **"მექალთანე"** 20.25 მხ.ფ. **"ისტორია ჩვენზე"** 22.05 მხ.ფ. **"აზარტული თამაშები"**

ევრიკა

10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 "ვესტი" 10.15 ზღაპრის ტელედარბაზი 10.45 სპორტული პროგრამა 11.45 მუსიკალური კოლაჟი 12.15 "სალონი" 13.45, 15.15 მხ.ფ. **"ცხელი ზაფხული"** 18.30 ზღაპრის ტელედარბაზი 19.00 სერიალი **"მთიელი"** 37 სერია 20.00 მსოფლიო სპორტი 21.30 კრიმინალი, პოლიცია, საზოგადოება 22.00, 00.15 ძველი კინოკლასიკა მხ.ფ. **"გაქცევა ფორტ ბრავოდან"**

10.00 "ბისი". მხ.ფ. **"სახელი კარმენი"** 11.30, 20.50, 22.40, 00.55 კლიპ-მიქსი 14.00 კონცერტი 18.00 მულტფილმები 19.00 "Co.მედია" **"სოტრებათა სეზონი"**. მთ. როლში პეტი დოუკი 19.20 საინფორმაციო პროგრამა "რვის ნახევარზე" 19.30 "მორწმუნის ძლევამოსილი ხმა" 21.10 პროგრამა "F" მხ.ფ. **"ლეპრეკონი-3"** 22.55 "ბრავო". მხ.ფ. **"მსოფლიოს რუკა"**. მთ. როლში სიგურნი უივერი 01.10 "ღამურა" მხ.ფ. **"თან წაგიყვან იქ"**. მთ როლში ელი შიდი 02.40 ნონ-სტოპი

09.00, 15.00, 18.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღის ამბები" 09.15 მულტფილმი "ტარზანი - მაიმუნთა მბრძანებელი" 09.40 მხ.ფ. **"ვარსკვლავური მოგზაურების შთამომავალნი"** 11.35 გადაცემა "საუბრები სტუდიაში" 12.25, 00.15 მუსიკა 12.45 მხ. ფილმი **"გუშინდელი სამიზნე"** 14.00, 15.15, 18.40 შემეცნებითი პროგრამა "დისქავერი" 16.00 მხ.ფ. **"ეპიდემია"** მთ. როლში დასტინ ჰოფმანი 18.15 მულტფილმი "ფიფქია" 20.25, 23.55 ეკონომიკა 21.00 აზერბაიჯანული მხ.ფ. **"ყველაფერი უკეთესობისაკენ"** (ეძღვნება ყარაბაღის კონფლიქტს) 21.50 გადაცემა "ლიმონი და ლიმონათი" 22.50 მხ. ფილმი **"ღამის გრძელი კოცნა"** მთ. როლში ჯინა დევისი 00.40 მხ. ფილმი **"ლეონი"** მთ. როლში ჟან რენო.

შაბათი
26 მაისი

10.00 დილის პაემანი 11.35 მიზანი 12.00 საინფორმაციო პროგრამა ინგლისურ ენაზე 12.20 ნანა ჯაფარიძე წარმოგიდგენთ 13.35 ქარ. დოკ. ფილმი "საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის რამდენიმე დღის კინოქრონიკა" 14.35 მღერის "ლაშარელა" 15.00 მოამბე 15.15 50-50 15.50 ენა დედაა ერისა 1615 აბდა-უბდა 16.35 მხიარული კარუსელი 17.00 მ. მესხის სახელობის სტადიონის საზეიმო გახსნის პირდაპირი ტრანსლაცია 18.00 **ფეხბურთი. საქართველოს თასის ფინალური მატჩი. "ლოკომოტივი"** (თბილისი) - **"ტორპედო"** (ქუთაისი) მ. მესხის სახელობის სტადიონიდან 20.00 ტაიმ-აუტი 20.50 აზრი 21.00 მაესტრო 22.20 საქართველო არის ესე 22.40 მღერიან და ხუმრობენ მსახიობები 00.45 მოამბე 00.55 მელომანია 01.30 ილუზიონი. მხ.ფ. **"ჩემი მამა გმირია"**

19.00 იყო და არა იყო რა 19.30 დოკ. ფილმი "მეჭურჭლეთუხუცესი" 20.30 ბრავო 21.05 მოკლ. მხ. ფილმი **"ყვავილები პოლანდიიდან"** 21.15 დასაბამიდან 21.25 ახლო ხედი 22.15 ჰიტ-პარადი 22.25 მხ.ფ. **"ადამიანთა სევდა"**

08.00 მუსიკა 09.00 კურიერი 09.50 ტელევიქტორინა "ვის უნდა ოცი ათასი" 10.50 მულტსერიალი 11.30 საბავშვო ფილმი 12.45 მუსიკა 12.55 სერიალი **"კოლომბო"** 13.40 სიმფსონები 14.05 სერიალი **"ნაზი შხამი"** 15.00 მხ.ფილმი 18.00, 21.00, 01.30 კურიერი 18.20 ტექს ავერი 18.30 სერიალი **"ოკეანის მარგალიტი"** 19.00 ჩემპიონთა ლიგის კვირის მიმოხილვა 19.50 სერიალი **"ნაზი შხამი"** 22.00 **ფსიქო.** მხ.ფ. **"მარმარილოს კაცი"** რეჟ. ანჯეი ვაიდა 01.40 სერიალი **"წითელი ფეხსაცმლის დღიური"** 02.10 ღამის ჯაზი

იბერია

მიმდინარეობს არხის რეორგანიზაცია 08.00, 20.00 ანონსი, მულტფილმი 08.15, 20.15 ალსავალი 08.20, 10.00, 11.45, 20.20, 22.05, 23.50 მუსიკა 08.25 მხ.ფ. **"ისტორია ჩვენზე"** 10.05 მხ.ფ. **"აზარტული თამაშები"** 20.25 მხ.ფ. **"რომანის დასასრული"** 22.10 მხ.ფ. **"და ნაკვალევს წვიმა შლის"**

ევრიკა

10.00 მხ. ფილმი **"ვილი გავი"** 12.00 პროგრამა "სალონი" 13.30 ფანტასტიკის მოყვარულთათვის მხ.ფილმი **"რბოლა დროისაკენ"** 15.00, 21.00 ვესტი 15.30 მუსიკა 16.00 ინდური ფილმი 19.00 თქვენი ადვოკატი 20.00 თინეიჯერები 21.30 ცეროდენა 21.45 პირველი ნაბიჯები 22.00 თეატრალური შეხვედრები 23.30 მენიუ 23.45 მსოფლიო სპორტი 01.15 მხ.ფ. **"საყვარელი"**

10.00 "ბისი". მხ.ფ. **"მსოფლიოს რუკა"** 12.00, 13.30, 15.20, 17.10, 20.35, 22.30, 00.30 კლიპ-მიქსი 12.20 მულტფილმი 13.45, 15.30 მხ.ფ. **"ანგელოზების რისხვა"** მთ. როლში ჟაკლინ სმიტი 18.00 მულტფილმი 19.00 "Co.მედია" მხ.ფ. **"შეუჩერებელი ადამიანები"** მთ. როლში დენი დე ვიტო 20.50 პროგრამა "F" მხ.ფ. **"დრაკონების მიწისქვეშეთი"** მთ. როლში მარლონ უაიანსი 22.45 "ბრავო" მხ.ფ. "ფილმი თქვენი თხოვნით": **"შურისძიების რაინდი"**. მთ. როლში ფრედ უილიამსონი, **"თავში მეფის გარეშე"**. მთ. როლში მელ ბრუკსი, **"გამარჯვების ფერი"**. მთ. როლში ლინდა ხემილტონი. 00.45 "ღამურა" მხ.ფ. **"დუეტები"**. მთ. როლში გვინეტ პელტროუ 02.20 ნონ-სტოპი

09.00, 18.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღის ამბები" 09.15, 18.15 მულტფილმი "ფიფქია" 09.40 მხ.ფ. **"ღამის გრძელი კოცნა"** 11.40 "ლიმონი და ლიმონათი" 11.55 აზერბაიჯანული მხ.ფ. **"ყველაფერი უკეთესობისაკენ"** 12.40, 14.45, 21.30, 23.35, 00.15 მუსიკა 14.55, 18.40 შემეცნებითი პროგრამა "დისქავერი" 15.05 მხ.ფ. **"იაზონი და არგონავტები"** მთ. როლში ჯეისონ ლონდონი 19.30 გადაცემა: "საბჭოთა საქართველო - ფურცლები ისტორიიდან" 20.00 ევროპის სტადიონებზე 21.10 გადაცემა "ბელისიმო" 21.50 მხ. ფილმი **"ჩიტი მავთულზე"** მთ. როლში მელ გიბსონი 00.40 მხ.ფ. **"ლტოლვილი მატარებელი"** მთ. როლში ჯონ ვოიტი.

კვირა
27 მაისი

10.00 მეტრონომი 11.05 მხიარული კარუსელი 11.30 სტუდია "ზუმი" 11.45 ბავშვები უპირველეს ყოვლისა 12.00 მსოფლიოს ახალი ამბები 12.15 ფრანგული პროგრამა 12.30 სპა 12.50 სატ. მხ.ფ. **"ჟურეი ქალი"** 14.35 ბელკანტო. ფ. კორგელი 15.00 მოამბე 15.15 რეგიონი 15.40 ეძიე ქალი 16.05 მუსიკალური ოქტაგონი 17.00 დრო და ადამიანები. გ. ძოწენიძე 17.20 სახსოვარი 17.55 პირველად იყო სიტყვა 18.20 კომუნიკატორი 19.00 ტოტო-ლოტო 19.25 ჩვენი მისამართია 20.00, 00.25 მოამბე 20.25 ეკო-დაიჯესტი 20.45 ფორტუნა 21.30 დიდების ზღაპარი 22.00 ტალანტები და თაყვანისმცემლები 22.55 მთელი ტელევიზია 23.20 დოკ. ფილმი "მსოფლიო მოქალაქე" 00.35 მხ. ფილმი **"თავგადასავალთა მაძიებლები"**

19.00 საბავშვო კინოსეანსი მხ.ფილმი **"პონები"** 20.30 ძველი აფიშა 21.15 მხ.ფ. **"ოპერაცია "ტუშონკა"** 23.00 შვიდეული

08.00 მუსიკა 09.00 კურიერი 09.15 მულტსერიალი 10.00 საბავშვო ფილმი 11.30 მუსიკა 11.40 სერიალი **"კოლომბო"** 12.10 სიმფსონები 12.30 სერიალი **"ნაზი შხამი"** 13.15 მხ.ფილმი 18.00, 01.00 კურიერი 18.20 **"კოლომბო"** 19.20 სპორტული პროგრამა 19.50 სერიალი **"ნაზი შხამი"** 21.00 კურიერი 21.15 **დარდუბალა** 21.30 სერიალი **"სპეცრაზმი"** 22.20 **ჯეოსელის კინოკლუბი** 00.30 სიმფსონები 01.10 კლასიკა

იბერია

მიმდინარეობს არხის რეორგანიზაცია 08.00, 20.00 ანონსი, მულტფილმი 08.15, 20.15 ალსავალი 08.20, 10.05, 12.10, 20.20, 22.00 მუსიკა 08.25 მხ.ფ. **"რომანის დასასრული"** 10.10 მხ.ფ. **"და ნაკვალევს წვიმა შლის"** 20.25 მხ.ფ. **"ულმობელი ადამიანები"** 22.05 მხ.ფ. "13 დღე"

ევრიკა

11.00 ცისკრის ზარები 11.05 ზღაპრის ტელედარბაზი 11.20 მხ.ფ. **"ამერიკა, გზები და გზისპირები"** 12.00 თეატრალური შეხვედრები 13.25 ფედერაცია 14.00 დოკ. ფილმი 15.00 ვესტი 15.20 დოკ. ფილმები "თბილისური ქრონიკები", "რამოდენიმე სურათი ილიას ცხოვრებიდან" 17.00 ლოცვა 17.05 სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მისი უწმინდესობა ილია მეორის ქადაგება 17.20 საეკლესიო კალენდარი 17.35 საუბრები ბიბლიაზე 19.00 "ზერკალო" 20.20 გვარიშვილობა 20.50 საბავშვო გადაცემა "ნიკორა" 21.15 იქ, სადაც სიყვარულია 21.30 დოკ. ფილმი "კინო და წლები" 22.30 გადაცემა "ეკონომისტი" 23.30 პროგრამა "მსოფლიო სპორტი"

10.00 "ბისი". მხ.ფილმი 11.45, 13.20, 15.15, 17.15, 22.45, 00.40 კლიპ-მიქსი 12.00 მულტფილმი 13.40, 15.30 მხ.ფ. **"ანგელოზების რისხვა-2"** მთ. როლში ჟაკლინ სმიტი 18.00 მულტფილმები 19.00 "Co.მედია" მხ.ფ. **"ვინ ლაპარაკობს-3"**. მთ. როლში ჯონ ტრავოლტა 20.50 პროგრამა "F" მხ.ფ. **"ალყა"**. მთ. როლში ბრიუს უილისი 23.00 "ბრავო" მხ.ფ. **"მაშველი"** მთ. როლში ოლივერ სტოუნი 02.20 ნონ-სტოპი

09.00 საინფორმაციო პროგრამა "დღის ამბები" 09.15 მულტფილმი "ფიფქია" 09.40 მხ.ფ. **"ჩიტი მავთულზე"** 11.30 ევროპის სტადიონებზე 12.00 გადაცემა "ბელისიმო" 12.30, 19.30 გადაცემა: "საბჭოთა საქართველო - ფურცლები ისტორიიდან" 13.00, 15.05, 18.35, 21.30, 23.15 მუსიკა 13.15 მხ. ფილმი **"ლტოლვილი მატარებელი"** 15.20 საუბრები სტუდიაში 16.15 მხ.ფ. **"მართალი ტყუილი"** მთ. როლში არნოლდ შვარცნეგერი 18.45 მულტფილმი "ჯუნგლების ბიჭი" 20.00 ინტელექტკლუბი: "რა, სად, როდის?" 21.00 ევროკავშირის ჟურნალი "კონტაქტი" 21.50 მხ.ფ. **"შეჭრა"** მთ. როლში ლიუკ პერი 23.40 მხ.ფ. **"სტრიპტიზი"** მთ. როლებში დემი მური, რობერტ პატრიკი.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

საქართველოს რესპუბლიკა
№ 120-121. კვირა, 20 მაისი, 2001 წელი.

გაზაფხული

„აღარ გვინდა ტალახი...“

„ცვალებადი მოღრუბლულობა, ალაგ-ალაგ ნალექი... მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ამ „ნოტიო“ განცხადებებს მკითხველიც შეეჩვია და მსმენელიც. მართლაც, აგერ მთელი თვეა ქართლის მიწებს არ მოჰკლებია მაცოცხლებელი ტენი. ახლა ყანაც წამოიზარდა და ზურმუხტისფრად ახასხასდა ბაღ-მინდვრები.

– წლევანდელ გაზაფხულს, თვალი არ ეცეს, ვერ დავემდურებით, – ამბობს კასპის რაიონის სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამმართველოს უფროსი თამაზ ნიპარიშვილი, – თუმცა შარშანდელი გვალვით ისე შევშინდით, კაცი დოს სულს რომ უბერავდა, ხომ გახსოვთ?

სამთავისის ბოლოში, გზაზე, ყანების პირას ვდგავართ, ცა კი კვლავ იქუფრება.

– შარშან შემოდგომა ჩათავდა თუ არა, – განაგრძობს საუბარს თამაზ ნიპარიშვილი, – დამწვარ-გადატრუსული მინდვრები გადაიხნა და მოსახლეობამ საშემოდგომო ხორბალი 3000 ჰექტარზე დათესა, საგაზაფხულო ქერი – 500 ჰექტარზე. სიმინდი 3000 ჰექტარზეა დათესილი, ფერმერულ მეურნეობებში 800 ჰექტარამდე ლობიოა დათესილი, კარტოფილი – 500 ჰექტარზე. 2100 ჰექტარ ხილის ბაღებსა და 1810 ჰექტარ ვენახში სხვლის სამუშაოები კარგა ხანია დამთავრდა, ბაღებში კი 1200 ჰექტარზე ცისფერ წამლობას მორჩნენ.

აი, ასეთი ციფრებით მიაღგნენ კასპელები გაზაფხულის უკანასკნელ თვეს. მიწის მაშვრალს სადარდებელს რა გამოულევს. შარშან გაუგონარ გვალვებს კალიის შემოსევაც დაემატა და, რაც გვალვას გადაურჩა, კალიებმა პირწმინდად გაანადგურეს. ამიტომ შემოდგომაზე, ვიდრე ხნებს დაიწყებდნენ, კალიის მიერ შემუსრული მინდვრები შეიწამლა.

კასპელებს დიდად დაეხმარა 300 ტონა თესლის უსასყიდლოდ გამოყოფა. იგი თუმცა მესამედია იმისა, რაც სოფლის მოსახლეობას დასათესად სჭირდებოდა, საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დახმარების სახით გამოგზავნილმა თესლმა აქაურების მდგომარეობა მაინც შეამსუბუქა. ზაქარია ტატუნაშვილს, სამთავისელ ფერმერს, მაგალითად, 100 კილოგრამი თესლი არგუნეს. ზაქარიამ შარშან 1,25 ჰექტარი ფართობიდან 5000 კილოგრამის ნაცვლად 300 კილოგრამი ხორბალი მიიღო. კალიამ და გვალვამ ფერმერი, რომ იტყვიან, მშრალზე დასვა. წლეულსაც ხორბალი დათესა, 0,25 მეასედზე კი – ბოსტნეული, ლობიო და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურები. ზაქარია წლეულს კარგ მოსავალს მოელის. რა თქმა უნდა, მინერალური სასუქების უქონლობა თავის კვალს დაამჩნევს მოსავალს, დაუმატეთ ამას საწვავის დეფიციტი, რომელიც მოსავლის აღების დროს ლიტრი ლამის 1 ლარი ღირს (ხვნის სამუშაოების მიმდინარეობისას – 30-40 თეთრი) და თქვენ მიიღებთ არასრულ სურათს იმისას, რა სიძნელეებს აწყდება გლეხობა მიწასთან ჭიდილისას.

და მაინც, საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები კასპის რაიონში ურიგოდ არ მიმდინარეობს. ასეთია რაიონის ხელმძღვანელების აზრიც.

– როგორ ფიქრობთ, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების წარმატებული მიმდინარეობა ხელს არ უწყობს მეცხოველეობის, კერძოდ, მეღორეობის რენტაბელურ დარგად გადაქცევას? – გვეკითხება თამაზის მძღოლი მალხაზ მჭედლიძე და ჩვენგან დადებითი პასუხის მიღებისთანავე შინ გვეპატიჟება: – წამობრძანდით, საინტერესო რამ უნდა გაჩვენოთ: ჩემმა ღორმა გუშინ 19 გოჭი დაყარა (!)

წავედით და ვნახეთ ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით აშენებულ-დამონტაჟებული მალხაზის საღორე მეურნეობა. ერთ სადგომში 19 გოჭი შესეოდა დედა ღორს, რომელსაც 16 ძუძუ ჰქონდა და ადვილი წარმოსადგენია, რა ჭყივილ-ჭყვიტინი იკლებდა იქაურობას. საღორეში ახლა 27 ბურვაკია. თითოეულის წონა წლის ბოლომდე 120 კილოგრამს გადააჭარბებს. ამასობაში მათ 20 ტონამდე საკვები დასჭირდებათ. 10-12 ტონას მალხაზი თავისივე ფართობებზე მიიღებს, დანარჩენს იყიდოს. ეს ყველაფერი საახალწლოდ უკვე ფულია, თანაც არცთუ ცოტა.

სამთავისიდან წამოსვლისას ისევ დაუშინა წვიმამ, ჭრელა-ჭრულებში გამოწყობილი გოგო-ბიჭები სოფლის გზაზე გამოსულიყვნენ და გუბეებს ცეკვა-ხტუნვით ევლებოდნენ.

„აღარ გვინდა ტალახი,
ღმერთო, მოგვეე გორახი“.

– შარშანდელი გვალვების შემდეგ, – მითხრა თამაზ ნიპარიშვილმა, – თუკი ოდესმე კიდევ გორახს ვინატრებდით, აღარ მეგონა, მაგრამ ხომ ხედავთ, რა მოწადინებით მღერიან პატარები ხალხში შემორჩენილ ძველისძველ რიტუალურ სიმღერას? გამოდის, რომ ცუდი ამინდი მართლაც არ არსებობს ბუნებაში...

გურამ ვაშაკიძე,
„სრ“ საკ. კორ.



განცხადება

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის სახელმწიფო სამსახურის ბიურო აცხადებს კონკურსს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს შემდეგ ვაკანტურ თანამდებობებზე:

1. მოქალაქეობის, სამოქალაქო მდგომარეობის რეგისტრაციის, იმიგრაციის საკითხთა და ნოტარიატის დეპარტამენტის უფროსი – 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო – 125 ლარი);

2. სააღსრულებო დეპარტამენტის არასაპატიმრო სასჯელებისა და პრობაციის განყოფილების უფროსი – 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო – 66 ლარი).

კონკურსის პირობები:

კონკურსი სახელმწიფო თანამდებობის დასაკავებლად (შემდგომ – კონკურსი) უზრუნველყოფს სახელმწიფო სამსახურის თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველასათვის.

კონკურსი ეწყობა იმ პირებს შორის, რომლებიც შეიტანენ განცხადებას კონკურსში მონაწილეობის მისაღებად და დააკმაყოფილებენ საკონკურსო მოთხოვნებს (საკონკურსო თემატიკა და მოთხოვნები კონკურსის მონაწილეებს გადაეცემათ იუსტიციის სამინისტროს საკადრო საკითხთა დეპარტამენტთან არსებულ საკონკურსო სამდივნოში წერილობითი განცხადებისა და შესაბამისი საბუთების წარდგენისას).

კონკურსში მონაწილეობა შეიძლება მიიღონ როგორც სახელმწიფო მოსამსახურეებმა, დაკავებული სახელმწიფო თანამდებობის მიუხედავად, ისე პირებმა, რომლებიც არ იმყოფებიან სახელმწიფო სამსახურში, არიან საქართველოს მოქალაქეები, ფლობენ საქართველოს სახელმწიფო ენას.

კანონის შესაბამისად, მისაღები კანდიდატების ასაკი განსაზღვრულია ქალებისათვის 21-დან 60 წლამდე, მამაკაცებისათვის 21-დან 65 წლამდე.

საკვალიფიკაციო მოთხოვნა:

– უმაღლესი იურიდიული განათლება.

კონკურსს ატარებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საკონკურსო-საატესტაციო კომისია.

კონკურსის მონაწილენი გაივლიან ატესტაციას.

საკონკურსო-საატესტაციო კომისია სახელმწიფო თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის მონაწილეთა შეფასებას ახდენს კონკურსის დროს გამოვლენილი პროფესიული ცოდნის, განათლებისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტების, სახელმწიფო სამსახურის გავლის, შრომითი საქმიანობის შესახებ მონაცემთა საფუძველზე.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საკადრო საკითხთა დეპარტამენტში უნდა წარადგინონ შემდეგი საბუთები:

1. ავტობიოგრაფია წერილობით განცხადებასთან ერთად;
2. უმაღლესი განათლებისა და შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი საბუთები;
3. უკვე გაცემული შრომის წიგნაკი;
4. ორი ფოტოსურათი 3X4;
5. პირადობის დამადასტურებელი მოწმობა.

საბუთები მიიღება ორი კვირის ვადაში განცხადების გამოქვეყნების დღიდან.

კონკურსი მოეწყობა განცხადების გამოქვეყნების დღიდან სამი კვირის შემდეგ საქართველოს იუსტიციის სამინისტროში.

კონკურსის წარმატებით გავლის შემთხვევაში გამარჯვებულმა ორ კვირაში უნდა წარმოადგინოს დამატებითი საბუთები („საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად).

დაწვრილებითი ცნობებისათვის შეგიძლიათ მიმართოთ საკონკურსო-საატესტაციო კომისიას შემდეგ მისამართზე: **380077, რუსთაველის გამზ., №30, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საკადრო საკითხთა დეპარტამენტი.** ტელ: 99-56-43; 98-30-68.

საქართველოს სახელმწიფო
კანცელარიის სახელმწიფო სამსახურის ბიურო.

თეატრები

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახ. თეატრი
რუსთაველის 25. ტ.99-65-66

27.05(18.00) ზაქარია ფალიაშვილი **"აბესალომ და ეთერი"**. დირიჟორი - თამაზ ჯაფარიძე.
ფასი 3-5 ლარი.

კოტე მარჯანიშვილის სახელობის აკადემიური თეატრი
მარჯანიშვილის ქ. 8 95-55-00

20.05,25.05(18.00) პოლიკარპე კაკაბაძე **"ყვარყვარე თუთაბერი"**. დამდგმელი რეჟისორი - ლევან წულაძე.
24.05(18.00) ა. გარნეი **"სასიყვარულო ბარათები"**. დამდგმელი რეჟისორი - თემურ ჩხეიძე.
ფასი 3-6 ლარი.

ალექსანდრე გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო რუსული დრამატული თეატრი
რუსთაველის გამზ. 2. ტ. 93-11-06

26.05(18.00) ი. გარუჩევა, პ. ხოტიანოვსკი **"მისტიფიკატორი"**. დამდგმელი რეჟისორი - დავით მღებრიშვილი.
20.05(18.00) ემილ ზოლა **"ტერეზა რაკენი"**. დამდგმელი რეჟისორი - ავთო ვარსიმაშვილი.
27.05(18.00) კ. გოლდონი **"ვნებანი გოლდონის მიხედვით"**. დამდგმელი რეჟისორი - ავთო ვარსიმაშვილი.
ფასი 3 ლარი.

რუსთავის სახელმწიფო დრამატული თეატრი

23.05(17.00) კონსტანტინე გამსახურდია **"ალმასინებელი"**. დამდგმელი რეჟისორი - გოგი ქავთარაძე.
ფასი 1.5-5 ლარი.

თეატრალური სარდაფი
რუსთაველის გამზ. 42. ტ. 99-95-00

24.05(20.00) მიხეილ სებასტიანი **"უსახელო ვარსკვლავი"**. დამდგმელი რეჟისორი - ოთარ ეგაძე.
20.05,22.05,25.05,26.05, 27.05(20.00) პრემიერა. კასკა **"მეტამორფოზა"**. დამდგმელი რეჟისორი - ლევან წულაძე.
23.05(20.00) მაიკლ ფრეინი **"ხმაური სცენის მიღმა"**. დამდგმელი რეჟისორი - ოთარ ეგაძე.
ფასი 5 ლარი.

თეატრი "ძველი სახლი"
მეტეხის აღმართი №1 ტ.77-04-64

20.05,27.05(19.00) ალფრედ ჟარი **"მამა უბუ"**. დამდგმელი რეჟისორი - სანდრო მრევლიშვილი.
24.05(19.00) სანდრო მრევლიშვილი **"მარტორქები ორკესტრში"**. დამდგმელში რეჟისორი - სანდრო მრევლიშვილი.

თავისუფალი თეატრი
მეტრო "თავისუფლების მოედნის" უკან.
ტელ: 93-11-06

20.05-25.05,27.05 (21.00) პრემიერა დათო ტურაშვილი **"ჯინსების თაობა"**. დამდგ. რეჟისორი - დავით დოიაშვილი.
ფასი 10 ლარი.
26.05(20.00) ჯონ ოზბორნი **"კომედიანტები"**. დამდგ. რეჟისორი - ავთო ვარსიმაშვილი.
ფასი 5 ლარი.

მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი

20.05, 27.05(18.00) რაფიელ ერისთავი **"ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს"**. დამდგმელი რეჟისორი - გიორგი მარგველაშვილი.
ფასი 3 ლარი.

ვ. აბაშიძის სახელობის სახელმწიფო მუსიკალური თეატრი
აღმაშენებლის გამზ. 182. ტ. 34-27-73.

23.05,24.05(12.00) **"ფიფქია და შვიდი ჯუჯა"**. დამდგმელი რეჟისორი - ნ. ძიგუა.
25.05(14.00) ნ. ლუნწკარია **"სხვისი შვილების მამა"**. დამდგმელი რეჟისორი - თემო აბაშიძე, რეჟისორი - იური ფოფხაძე.
ფასი 1.5 ლარი.

გ. შავგულიძის სახელობის თეატრი "სახიობა".
დ. გურამიშვილის გამზ. 64. ტ. 61-84-26

21.05,24.05(17.00) მიხეილ ჯავახიშვილი **"ჩანჩურა"**. დამდგმელი რეჟისორი - თემურ ბიწაძე. ქორეოგრაფი - რამაზ გულუა. მხატვარი - ირინა ბაგაური.
ფასი 1 ლარი.

ახმეტელის თეატრი
ვეკუას ქ.8 ტ. 62-61-97

ანონსი

სულ მალე შედგება პრემიერა სპექტაკლისა **"მეორედ მოსვლა ანუ მილიარდელის ვიზიტი"**. ფრიდრიხ დიურენმატის "მოხუცი ქალბატონის ვიზიტის" მიხედვით. დამდგმელი რეჟისორი - დავით ანდღულაძე, ქორეოგრაფი - გია მარღანია. მხატვარი - აივენგო ჭელიძე. სპექტაკლში დაკავებულია მთელი დასი. მთავარ როლზე მოწვეულია სახალხო არტისტი - ნანა ფაჩუაშვილი.

რკინიგზელთა კულტურის ცენტრი
აღმაშენებლის 127 ტ. 95-12-59

რუსთავის სახ. დრამატული თეატრის გასტროლები

26.05,27.05(18.00) კონსტანტინე გამსახურდია **"ალმასინებელი"** (თეატრალური კოლაჟი ქართველი ერის ისტორიიდან ორ მოქმედებად). დამდგ. რეჟისორი - გ. ქავთარაძე.
ფასი 1,5-5 ლარი.

კონცერტები

მუსიკალურ - კულტურული ცენტრი
აღმაშენებლის გამზ. 125.

23.05(19.00) თბილისის სიმფონიური ორკესტრი. დირიჟორი - **ჯანანდრეა როზეტა** (იტალია) სოლისტი - **გიორგი ვაჩნაძე.** პროგრამაშია: პროკოფიევი - კონცერტი ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის N2, ბრამსი - სიმფონია N2.
ფასი 3-5 ლარი.

კონსერვატორიის დიდი დარბაზი
ა. გრიბოედოვის ქ. №8

22.05(19.00) დოცენტ **ნინო ქათამაძის** კლასის კონცერტი.
24.05(19.00) ვიდეო-კონცერტი (ჯ. ევერდის საოპერო შედევრები). კონცერტს უძღვება - გოგი ნიჟარაძე.
ფასი 1-4 ლარი.
27.05(19.00) კონსერვატორიის მაგისტრების კონცერტი.
ფასი 1-2 ლარი.

კინო-თეატრები

კინოდარბაზი "ქოლგა"
ძმ. კაკაბაძეების №2
(კინოს სახლი) ტ. 93-56-15

21.05-27.03(14.00, 21.00) **"გლადიატორი"**.
21.05-27.05(17.00, 19.00) **"ლამურები"**.
ფასი 3 ლარი.

კინოთეატრი "რუსთაველი"
რუსთაველის გამ. №5 ტელ: 99-76-05

18.05(21.00), 19.05-25.05(17.00, 21.00) **"მუმია-2"**.
ფასი 5-7 ლარი.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

ცინცხალი ამბები

ბელგიური კლუბის „ლერსის" მცველი – ქართველი ლეგიონერი, 30 წლის გელა შეყილაძე წლევანდელი მაჩვენებლებით ამ გუნდის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს.



იგი „ლერსში" გადავიდა ბათუმის „დინამოდან", სადაც ის გამოდიოდა 1998-1999 წლებში. ბელგიელი ფეხბურთის სპეციალისტები, განსაკუთრებით აღნიშნავენ მის სტაბილურ თამაშს ამ ქვეყნის ჩემპიონატში.

11 ივნისს შედგება სასამართლო პროცესი, სადაც გაირკვევა, გაიმართება თუ არა კრივში ყოფილი მსოფლიოს ჩემპიონ ლენოქს ლუისისა და ამჟამინდელი



ჩემპიონის ჰასიმ რაჰმანის მატჩრევანში. თვითონ ლუისი აცხადებს, რომ ამ მატჩამდე რაჰმანს არა აქვს უფლება, შეხვდეს სხვა რომელიმე მოკრივეს.

მოსწავლეთა თამაშები

სარბიელზე არიან ნორჩები

ჭიდაობა

ლევან თედიაშვილის სახელობის ჭიდაობის სპორტსკოლის დარბაზში სამ დღეს მიმდინარეობდა თბილისის მოსწავლეთა სპორტული თამაშები თავისუფალ ჭიდაობაში. საერთო გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი მთაწმინდა-კრწანისის რაიონის ნორჩმა ფალავნებმა მოიპოვეს. მეორე-მესამე ადგილებზე, შესაბამისად, ისანი-სამგორის და დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გუნდები გავიდნენ.

პირად პირველობაში წონით კატეგორიების მიხედვით ყველას აჯობეს ირაკლი ღეკანოსიძემ (42 კგ, ისანი-სამგორი), გიორგი ნერგაძემ (46 კგ, გლდანი-ნაძალადევი), არჩილ მაყიშვილმა (50 კგ, მთაწმინდა-კრწანისი), ოთარ დადუნაშვილმა (54 კგ, ისანი-სამგორი), შალვა ქუცნიაშვილმა (58 კგ.), რეზო მახარაშვილმა (63 კგ), ნუკრი ჯელაძემ (69 კგ.), ლევან სენიაშვილმა (76 კგ.), ყველა – მთაწმინდა-კრწანისის რაიონი), არჩილ ხუციშვილმა (85 კგ, გლდანი-ნაძალადევი), აკაკი ქსოვრელმა (100 კგ, ისანი-სამგორი). გამარჯვებულები და პრიზიორები დაჯილდოვდნენ.



სურათზე: შეჯიბრების მომენტი.

ფეხბურთი

თბილისის 35-ე საფეხბურთო სკოლის და „ავაზას" სტადიონებმა ფეხბურთელთა ასპარეზობას უმასპინძლეს. ფინალში დიდუბე-ჩუღურეთის ნაკრებმა 2:0 სძლია ვაკე-საბურთალოს ნორჩ ფეხბურთელებს და პირველობაც გაინაღდა. მესამე ადგილისათვის ბრძოლაში გლდანი-ნაძალადევის წარმომადგენლებმა ისანი-სამგორის ნაკრები დაამარცხეს – 3:1.

სურათზე: თამაშების ჩემპიონი დიდუბე-ჩუღურეთის ნაკრები.

ხელბურთი

ასპარეზობა დაამთავრეს ხელბურთელებმა. დაძაბული ორთაბრძოლების შემდეგ საპრიზო ადგილები ასე განაწილდა:

გოგონები. 1. ვაკე-საბურთალო, 2. ნაძალადევი-გლდანი, 3. ისანი-სამგორი.

ვაჟები. 1. ნაძალადევი-გლდანი, 2. ვაკე-საბურთალო, 3. დიდუბე-ჩუღურეთი.

სურათებზე: გოგონათა და ვაჟთა გამარჯვებული გუნდები.

რობერტ ბაგოიანის ფოტო.

ათლეტიზმი

ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად

ძალისა და სილამაზის მანქანები – II ნაწილი

ძალისმიერ ტრენაჟორებთან ერთად, რომელთა დანიშნულებაც ფიზიკური ძალის განვითარებაა, ფართოდ გამოიყენება სპეციალური დანიშნულების ტრენაჟორები. ისინი კუნთების სხვადასხვა, ძირითადად ძნელად დასამუშავებელი ჯგუფების გასავარჯიშებლად, მათი ფორმების დასახვეწად და რელიეფურობის გამოსაჩენადაა შექმნილი. ამ ტიპის ტრენაჟორები ძირითადად ათლეტის პროპორციულობასა და სილამაზეს ემსახურებიან.

წარმოგიდგენთ საქართველოს ცენტრალურ ათლეტურ კლუბ „ამირანის" წევრების მიერ შემოთავაზებულ ვარჯიშებს, რომელთა მიზანია ფეხის კუნთების ცალკეული ჯგუფების დახვეწა.

1. ბარძაყის ორთავა კუნთების (ფეხის ბიცეპსების) ვარჯიში (სურ. 1). ვარჯიშს ეთმობა 6 მისვლა 12-12 გამეორებით.

2. ბარძაყის ოთხთავა კუნთების ვარჯიში (სურ. 2, 3). სრულდება 6 მისვლა 10-10 გამეორებით.

3. წვივის კუნთების ვარჯიში (სურ. 4). ათლეტი სამხრეებზე მიწოლით გადადის ფეხის წვერებზე. რეკომენდებულია 4 მისვლა 20-20 გამეორებით.

4. ვარჯიში ველოსიპედის ტიპის ტრენაჟორზე (სურ. 5). ავითარებს ფეხის კუნთების ძალისმიერ გამძლეობას. ვარჯიში გრძელდება 20-30 წუთის განმავლობაში მცირედი შესვენებით.

ზურაბ ჭავჭანიძე.

ნაზი ზოზიშვილის ფოტო.











ფეხბურთი

ქუთაისელთა „ოქროს გაზაფხული"

გუშინ ქუთაისის „ტორპედო" ზედიზედ მეორედ გახდა საქართველოს ჩემპიონი. ფეხბურთელთა XII ეროვნული ჩემპიონატის საუკეთესო ექვსეულის ბოლოსწინა ტურში რიონისპირელებმა შინ ფოთის „კოლხეთთან" გაინავარდეს – 5:1 და ცხრათვიანი მარათონის უმთავრეს კითხვას საბოლოო პასუხი ვადამდე გასცეს.

ტურის ცენტრალურ მატჩს „დინამო" – „ლოკომოტივი", რომელიც ხელოვნური განათებით 21 საათზე დაიწყო, ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულმა სტადიონმა უმასპინძლა. სხვათა შორის, ამავე დროს ითხოვდნენ თამაშის დაწყებას ქუთათურებიც, მაგრამ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ მათ უარი შეუთვალა. რატომ?

რაც შეეხება თბილისურ დერბის, იგი რკინიგზელთა საგრძნობი უპირატესობით წარიმართა და მათივე დამსახურებული გამარჯვებით დასრულდა – 1:0. გადამწყვეტი გოლი მე-11 წუთზე თაურით ჭიჭვეიშვილმა გაიტანა. რამდენჯერმე ძალიან ახლოს იყვნენ მიზანთან მისი პარტნიორები კაიდარაშვილი, გოგიჩაიშვილი და დათვაძე, მაგრამ თუ პირველ ეპიზოდში საქმეში ძელი ჩაერია, შემდეგ დინამოელთა მცველებმა და მეკარე ხეჩირაშვილმა იყოჩაღეს. დამარცხებულთა ორიოდე გაფაფხურება იაგორაშვილმა და ზირაქიშვილმა კი მიიყვანეს ძლიერ დამაგვირგვინებელ დარტყმებამდე, მაგრამ ამ მომენტებში თანაგუნდელები ლომაიამ იხსნა. გუშინდელი მარცხი აქამდე „ოქროსთვის" მებრძოლ „პოლიციელებს" შეიძლება მეტისმეტად ძვირად დაუჯდეთ. მას შემდეგ, რაც „ვიტ-ჯორჯიამ" აჭალაში „მერანთან" წაივარჯიშა 3:1, მას ქვეყნის ათგზის ჩემპიონისგან სამი ქულა აცილებს, დასკვნით ტურში კი უშუალო კონკურენტს მცხეთაში მასპინძლობს და წარმატების შემთხვევაში „ბრინჯაოსაც" წაართმევს. ვეტერანთაგან თავი ყიფიანმა ისახელა, რომელმაც ჯერ გოჩაშვილი და მელქაძე მოამარაგა შედეგიანი გადაცემებით, ბოლოს კი თვითონაც გაისროლა შორიდან და ულამაზესი ბურთი გაიტანა. პრესტიჟის გოლი ხუციშვილის ანგარიშზე მოდის.

„ტორპედო" – 44, „ლოკომოტივი" – 38, „დინამო" – 37, „ვიტ-ჯორჯია" – 34, „კოლხეთი" – 23, „მერანი" – 18 ქულა.

23 მაისს ფინიშზე ითამაშებენ „ლოკომოტივი" – „ტორპედო", „ვიტ-ჯორჯია" – „დინამო", „კოლხეთი" – „მერანი".

აქვე გაუწყებთ უმაღლეს ლიგაში დასარჩენად მებრძოლი მეორე ექვსეულის ბოლოსწინა რაუნდის შედეგებსაც: „გორდა" – „დილა" 3:2, „სიონი" – თსუ 2:0, „ბათუმი" – „იბერია" 2:1.

„ბათუმი" – 32, „სიონი" – 27, „გორდა" – 23, „დილა" – 22, თსუ – 20, „იბერია" 3 ქულა.

22 მაისს დასკვნით ტურში ითამაშებენ „იბერია" – „გორდა", „დილა" – „სიონი", თსუ – „ბათუმი".

გია პლატონიშვილი.

ცხენოსნობა

„რაში“ გრძელ შარაზე გადის

სენაკის რაიონში მეცხენეობას და საცხენოსნო სპორტს ჩინებული ტრადიციები ჰქონდა. წლების განმავლობაში აქაური ცხენოსნები აქტიურად მონაწილეობდნენ სხვადასხვა რანგის ასპარეზობაში და გამარჯვებულნიც გამოსულან.

გვესაუბრება სენაკის საცხენოსნო სპორტულ კოოპერატივ „რაშის“ თავმჯდომარე, სსრკ სპორტის ოსტატი ცხენოსნობაში გიორგი გრიგოლია.

— საცხენოსნო სპორტული კოოპერატივი „რაში“ მეორე წელიწადია შეიქმნა უწინდელი სენაკის საცხენოსნო სპორტული კლუბის ბაზაზე, რომელსაც 1962 წლიდან მე ვხელმძღვანელობდი.

კლუბის წევრები წლების განმავლობაში 14-ჯერ იყვნენ საქართველოს ჩემპიონები საცხენოსნო სპორტის კლასიკურ და ეროვნულ სახეობებში, ოცჯერ მონაწილეობდნენ ყოფილი საბჭოეთის პირველობებსა (კლასიკურ სახეობებში) და ხალხთა სპარტაკიადებში. ენთუზიასტი ცხენოსნების — ნიკოლოზ ქობალავას, გვეჯე ივანიძის, ლეონტი არდიას, ნიკოლოზ სიგუას, აქსენტი საგინავას მაგალითებზე აქ აღიზარდა საბჭოთა კავშირის 15 სპორტის ოსტატი და საქართველოს 18 სპორტის ოსტატი ეროვნულ სახეობაში. მათ შორის: დაზმირ ალანია, გენადი გარეიკო, რამინ გარუჩავა, ომარ შამათავა, ვოვა ბოგომოლოვი, ვიტალი არძინბა, დანთი ხოფერია, გივი, რეზო და ლეონტი ლაშქარავები, ცატულ ოთხოზორია, ცეზარ შენგელია, ბადრი გარუჩავა, მეტვარ ჩარგაზია და სხვები.

საგულისხმოა ისიც, რომ მაშინ რაიონის ცხენოსნებს მეგობრული ურთიერთობა გვქონდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სპორტსმენებთან, რომლებიც ჩვენთან ერთად ერთგულად იცავდნენ საქართველოს სპორტულ ღირსებას. ესენი იყვნენ: ზალაგინსკ ანშბა (მაშინდელი გუდაუთის საცხენოსნო კლუბის უფროსი), ქორა გუმბა, შულია ლაკირბაია, გრიშა არძინბა, გრიშა ჯოპუა, სლავა ქეცბაია, ვიტალი ოზგანი, ძმები ლაბაშიები, საშა დარასელია, რომან კვარაცხელია, გრიშა და შალვა გრიგოლიები, იური ბაგათელია, კოტე ჩიკვატია და სხვები. ჩვენს შორის სიყვარული იყო გზად და ხიდად. ამითაც ვიყავით ძლიერნი და მდიდარნი. იმედია, აფხაზებთან მალე გამოვნახავთ საერთო ენას და უწინდელ ტრადიციებსაც აღვადგენთ.

ჩემი მხრიდან უმადურობა იქნება, არ მოვიგონო აწ გარდაცვლილი ცნობილი ჟურნალისტები — ბორის მილიუტინი, სოლომონ კუჭავა, ვლადიმერ წირღვავა, ბორის შენგელია, ექვთიმე გუგუნავა და სხვები, რომლებიც ყოველთვის გვერდით გვედგნენ და როგორც რაიონულ, ისე რესპუბლიკურ პრესაში თავიანთი რეპორტაჟებითა თუ ნარკვევებით მორალურად გვიჭერდნენ მხარს.

იმდროინდელ ასპარეზობათა შორის ჩემთვის განსაკუთრებით დაუვიწყარია ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ ცხენოსან სპორტსმენთა მეათე საიუბილეო საკავშირო პირველობა, რომელიც მოსკოვში 1967 წლის აგვისტოს ბოლოს გაიმართა. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ საბჭოეთის ყველა რესპუბლიკის წარმომადგენლები, სულ 400-ზე მეტი ცხენოსანი. საქართველოს ორმოცკაციან დელეგაციაში 14 მხედარი სენაკის რაიონიდან იყო. კარგი შედეგები ვაჩვენეთ, რისთვისაც პირველი ხარისხის დიპლომებითა და ოქროს მედლებით დაგვაჯილდოვეს. საქართველოს ნაკრებმა გარდამავალი თასი მოიპოვა. ისინდში საქართველოს ნაკრებს მე ვხელმძღვანელობდი. გამარჯვებისთვის პირველი ხარისხის დიპლომით დამაჯილდოვეს, რომელსაც ხელს აწერდა საბჭოთა კავშირის მარშალი ბუდიონი...

ყოველივე ეს დიდი ხნის წინათ იყო დღეს რაიონის ახალგაზრდებს სურთ, სპორტის ეროვნული სახეობები აალორძინონ და განავითარონ. განსაკუთრებული ყურადღება, ცხადია, ცხენოსნობას მიექცა. სწორედ ამ მიზნით შეიქმნა კოოპერატივი „რაში“, რომელსაც დიდი ძალისხმევის გამოჩენა მოუწევს უწინდელი ტრადიციების აღსადგენად. თუმცა, მარტო ჩვენ ვერას გავხდებით, თუ რაიონის ხელმძღვანელობა, საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო, საქართველოს სპორტის მესვეურები და ინვესტორები არ დაგვეხმარებიან სათანადო შეღავათიანი კრედიტის გამოყოფით. ჩვენი მიზანია, ახალგაზრდებისთვის გავხსნათ ცხენოსნობის შემსწავლელი სკოლა, განვამტკიცოთ მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მოვაშენოთ ჯიშიანი სპორტული ცხენები, სისტემატურად მოვაწყოთ რაიონული შეჯიბრებები, ვიასპარეზოთ მხარის, ქვეყნისა და საერთაშორისო შეჯიბრებებში...

* * *

იმედია, ვეტერანი ცხენოსანი სპორტსმენი ბატონი გიორგი გრიგოლია, რომელმაც, მართალია, 70 წელი უკან მოიტოვა, მაგრამ დღესაც მხნედ გამოიყურება, ჩვეული ჭაბუკური ენერგიით წარუძღვება მის მიერ დაწყებულ საყვარელ საქმეს და ბოლომდე მიიყვანს.

იოსებ გობეჩია,
„სრ“ საკ. კორ.

სურათებზე: სენაკის საცხენოსნო სპორტულ კოოპერატივ „რაშის“ თავმჯდომარე, სსრ კავშირის სპორტის ოსტატი ცხენოსნობაში გიორგი გრიგოლია; სენაკელი სპორტსმენი-ცხენოსნები მოსკოვში. მარცხნიდან (დგანან): ბუდიონი — საბჭოთა კავშირის მარშალი, გვეჯე ივანიძე, გიორგი გრიგოლია, შალვა ალანია.

კროსვორდი

თარაზულად: 9. ერთგვარი კაფე (სადაც თვითმომსახურებაა). 10. ერთგვარი სამეჯლისო ცეკვა. 11. ამერიკელი კინომსახიობი ქალი. 12. რევოლუციამდელ რუსეთში: საშუალო სამასწავლებლო („საოსტატო“) ან სასულიერო სასწავლებელი. 14. საგრილებელი. 15. კვიპროსის რესპუბლიკის დედაქალაქი. 16. რაც დავას არ იწვევს, უეჭველი. 19. სივრცის ნაწილი დედამიწის ზედაპირზე. 20. მასწავლებელი, მოძღვარი საფრანგეთში. 22. ცისკრის, განთიადის ქალღმერთი რომაულ მითოლოგიაში. 23. დღე-ღამის გასაყარი. 24. დადებითად დამუხტული ელექტროდი. 30. შესანახად მოდუღებული ყურძნის წვენი. 31. მდინარის, ტბის პირებზე გავრცელებული ისრის მოყვანილობის მცენარე, აქვს პატარა ყვავილები. 32. წავისებრთა ოჯახის მღრღნელი ცხოველი, რომელიც სანახევროდ წყალში ცხოვრობს, აქვს ძვირფასი მუქი ყავისფერი ბეწვი. 33. მეტრული მუსიკალური ერთეული. 34. ფეოდალური ტიპის სახელმწიფო, რომელიც შექმნა შამილმა XIX ს. შუა წლებში დაღესტანსა და ჩეჩნეთის მთიან რაიონებში. 37. კატის ნაშიერი. 40. ფასიანი ქაღალდების ერთ-ერთი სახეობა, რომელიც შემოსავალს იძლევა მოგების ან პროცენტების სახით. 41. პირი, რომელიც სამეცნიერო-კვლევითი ან პედაგოგიური მოღვაწეობისათვის ემზადება. 42. სპორტსმენების ყიდვა-გაყიდვა (მაგ. ფეხბურთელების). 43. პატარა ლიტერატურული ან მუსიკალური ნაწარმოები.

შვეულად: 1. ძველებური ესპანური ცეკვა. 2. სსრკ ტერიტორიის ნაწილი მდინარეების დნესტრის, პრუტისა და დუნაის ქვემო დინებას შორის. 3. იტალიელი კომპოზიტორი. 4. დიდი ზომის ქვეწარმავალი. 5. საშუალო სასწავლებელი საფრანგეთში, ბელგიასა და შვეიცარიაში. 6. საგანგებო დავალება. 7. ქართველი პიანისტი, კომპოზიტორი და პედაგოგი, ქართული პიანისტური სკოლის ფუძემდებელი. 8. ძველებური იშვიათი ნივთებით მოვაჭრე. 13. ნავსადგური. 17. უდიდესი კუნძული ხმელთაშუა ზღვაში. ახლანდელი ლიბანის ტერიტორია. 18. ჭურჭელი, რომელსაც ტუჩიანი მილი აქვს (სითხის გადმოსასხმელად). 20. სიკეთე, კეთილი საქმე. 21. უმცროსი მატროსი. 25. სიტყვათა თამაში, რაც ემყარება ერთნაირი ბგერითი შედგენილობის სხვადასხვა სიტყვის (ანდა ერთი სიტყვის სხვადასხვა მნიშვნელობის) გამოყენებას. 26. ყოფილი ქართული ყოველკვირეული ლიტერატურული და საინფორმაციო გაზეთი (გამოდიოდა თბილისში). 27. სპორტული თამაშის ხანგრძლივობის გარკვეული ნაწილი. 28. რისამე საზომი, ნიმუში, ნორმა, საფუძველი. 29. გაბატონებული კლასის შეუზღუდველი სახელმწიფო ძალაუფლება. 35. ოფიცრის წოდებულება არმიაში. 36. ქართველი კომპოზიტორი. 38. სოფელი ხელვაჩაურის რაიონში. 39. სახელმწიფო დას. აზიაში.

შეადგინა
ციალა ამაშუკელმა.



13 მაისს გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 4. მაზანდა. 7. კონფერენცია. 10. „ტოსკა“. 11. გმირი. 16. გრაფა. 17. პარტერი. 18. სკალა. 19. ბარსელონა. 20. პასტორალი. 22. კინტო. 23. გრანიტი. 24. ატრია. 27. ნიხრი. 28. კადრი. 31. კვადრილიონი. 32. ანანასი.

შვეულად: 1. შარფი. 2. პატრონატი. 3. ადანა. 5. კონკა. 6. ფირმა. 8. კონფისკაცია. 9. პროკურატურა. 12. ორდალია. 13. ლაინერი. 14. „ორიანტი“. 15. ალილუია. 21. ანტონიონი. 25. ჰრავი. 26. დაფნა. 29. ადანი. 30. ჯინსი.

ყოველი მხრიდან

ჯერჯერობით მხოლოდ ბრინჯაო

პარიზში ევროპის ჩემპიონატზე ძიუდოში 100 კილოგრამზე მეტ წონით კატეგორიაში ჩვენებურმა ალექსი დავითაშვილმა მესამე ადგილი გაიყო თურქ სპორტსმენთან სელიმ თათაროღლუსთან.

ასევე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა ას კილოგრამამდე წონით კატეგორიაში ქართველმა მოჭიდავემ იველი ჯიქურაულმა.

ქალთა შორის 78 კილოგრამზე მეტ წონით კატეგორიაში ვერცხლის მედალი დაიმსახურა რუსეთის წარმომადგენელმა თეა დონღუზაშვილმა.

ჩინეთის კედელი უშველის?

როგორც უკვე ვიტყობინებოდით, კრივის ცნობილი პრომოუტერი დონ კინგი აპირებს 5 აგვისტოს პეკინში კრივის დიდი შოუს მოწყობას. აქ ერთმანეთს შეხვდებიან მსოფლიოს ჩემპიონი **WBA** ვერსიით ჯონ რუისი და მსოფლიოს ექსჩემპიონი ევანდერ ჰოლიფილდი, აგრეთვე **WBC** და **IBF** ვერსიებით უძლიერესი ჰასიმ რაჰმანი და დანიელი ბრაინ ნილსენი.

მოეწყო დონ კინგის, ჰოლიფილდის და რუისის სარეკლამო მოგზაურობა ჩინეთში. მათ ამ ქვეყნის სხვა ღირსშესანიშნაობებთან ერთად მოინახულეს ჩინეთის დიდი კედელიც. არ ვიცით, მომავალ ბრძოლებში მათ ეს როგორ წაადგებათ, ის კი ცნობილია, რომ ცნობილი პრომოუტერი მასპინძლებს დაპირდა, რომ მხარს დაუჭერს 2008 წლის ზაფხულის ოლიმპიადის მასპინძლად პეკინის არჩევას.

კილომეტრი — 1500 დოლარად

ალპინისტების ოცნება — მსოფლიო უმაღლესი მწვერვალის — ევერესტის დაპყრობა, თურმე იოლი საქმე ყოფილა, მაგრამ ფულია საჭირო. კომერციული ექსპედიციის გიდებს მიაჩნიათ, რომ თუკი ჟანგბადს გამოიყენებენ, შეიძლება, ფიზიკურად არც თუ კარგად მომზადებული დიასახლისებიც კი აიყვანონ მწვერვალზე, ოღონდ, თუ აქამდე მთებში არ ყოფილხართ, უნდა გახსოვდეთ, რომ 8000 მეტრ სიმაღლეზე მორალი არ არსებობს. მწვერვალზე რომ რამე მოხდეს, ვერავინ გადაგარჩენს — ეს დანარჩენებისთვის დიდი რისკია. თუკი ამ დროს ჯგუფმა მიგატოვათ, თქვენ დაიღუპებით (ალბათ, სწორედ ასე მოხდება) და ნათესავები თქვენ ევერესტიდან ველარ ჩამოგასვენებენ.

სამხრეთ კედელზე ასვლის პერმიტის (ნებართვის) ღირებულება 10 ათასი დოლარია, გამცილებელს კი ფულზე თქვენ თვითონ უნდა მოელაპარაკოთ.

მას შემდეგ, რაც ამერიკელი მილიონერი კოსმოსში გაფრინდა, იქნებ ევერესტის დაპყრობის მსურველი მდიდრებიც გამოჩნდნენ.



სპორტის რედაქცია.

პოლიცია

ქალი და ყალბი კუპიურები

მიღებული ოპერატიული ინფორმაციის შედეგად, შინაგან საქმეთა სამინისტროს სისხლის სამართლის სამძებრო სამმართველოსა და სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს მუშაკებმა ერთობლივი ღონისძიებით დააკავეს ზესტაფონში მცხოვრები 38 წლის ნინო ბაბუაძე. სამართალდამცავებმა ნინო ბაბუაძის ბინიდან ამოიღეს სარეალიზაციოდ გამზადებული 37 ცალი 100-დოლარიანი ყალბი კუპიურა. პროკურატურამ ამ ფაქტთან დაკავშირებით დაიწყო მოკვლევა.

საქინფორმი

ალბომი

ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



ბორჯომის ხეობის ტყის მასივების დაცვის, მოვლისა და მის კვლავწარმოების საკითხებზე შეკრებილ მონაწილეთა ერთი ჯგუფი: მარცხნიდან — აპ. გოცირიძე, მ. შაიშმელაშვილი, პროფესორი ს. ქარუმიძე, პროფესორი ვიტე (გერმანია), საქართველოს სატყეო მეურნეობის მინისტრი ი. ჩოდრიშვილი, დოცენტი აკ. მუხაშავრია, მ. მენაბდე, პროფესორი ვ. დარახველიძე და ტყისმცველი ტ. გოგლიძე.

ბორჯომი, 1964 წელი.

ფოტო მოგვაწოდა ლევან გოცირიძემ.

შეგახსენებთ, რომ სურათების გამოქვეყნება უფასოა. ტელ: 99-66-10.

ტელევიზია — კვირა, 20 მაისი

10.00 მეტრონომი 11.05 მხიარული კარუსელი 11.30 ბავშვები უპირველეს ყოვლისა 11.45 სტუდია "ზუმი" 12.00 მსოფლიოს ახალი ამბები 12.15 სპა 12.40 სატ. მხ. ფ. **"უსასრულობა"** 13.50 ფრანგული პროგრამა "ცირკი" 14.45 ზღვარი 15.00 მოამბე 15.15 რეგიონი 15.40 ახდენილი ოცნება 15.55 მუსიკალური ოქტაგონი 16.45 პირველად იყო სიტყვა 17.10 ეძიე ქალი 17.30 გლობუსი 18.00, 20.25 ტელემარათონი 20.00, 00.00 მოამბე 22.20 ფორტუნა 23.05 დიდების ზღაპარი 23.30 ტოტო-ლოტო 00.15 მხ. ფილმი **"ჩემი დედინაცვალი უცხოპლანეტელია"**

19.00 საბავშვო კინოსეანსი მხ.ფილმი **"დარტყმის მანძილზე"** 20.35 ზღაპარ იყო 20.40 ძველი აფიშა 21.15 მხ.ფ. **"ექიმბაში"** 23.15 შვიდეული

08.00 მუსიკა 09.00 კურიერი 09.15 მულტსერიალი 10.00 საბავშვო ფილმი *11.30* მუსიკა *11.40* სერიალი **"კოლომბო"** 12.10 სიმფსონები 12.30 სერიალი **"ნაზი შხამი"** 13.15 მხ.ფილმი 18.00, 02.00 კურიერი 18.20 **"კოლომბო"** 19.20 სპორტული პროგრამა 19.50 სერიალი **"ნაზი შხამი"** 21.00 60 წუთი 22.15 **დარდუბალა** 22.30 სერიალი **"სპეცრაზმი"** 23.20 **ჯეოსელის კინოკლუბი** 01.30 სიმფსონები 02.10 კლასიკა

იბერია

მიმდინარეობს არხის რეორგანიზაცია 08.00, 20.00 ანონსი, მულტფილმი 08.15, 20.15 ალსავალი 08.20, 10.30, 12.10, 20.20, 22.30, 00.10 მუსიკა 08.25 მხ.ფ. **"ნოტინგ ჰილი"** 10.35 მხ.ფ. **"გადამრჩენი"** 20.25 მხ.ფ. **"დონი"** 22.35 მხ.ფ. **"ბიჭები და გოგონები"**

ევრიკა 11.00 ცისკრის ზარები 11.05 ზღაპრის ტელედარბაზი 11.30 მოკლ.მხ.ფილმები **"მუსიკოსები"**, **"პეპელა"** 12.00 თეატრალური შეხვედრები 13.25 ფედერაცია 14.00 დოკ. ფილმი 15.00 ვესტი 15.20 დოკ. ფილმები "ტრიუმფი ლა-სკალაში", "ანთიმოზ ივერიელი", "რუსთაველის ნაკვალევზე" 17.00 ლოცვა 17.05 სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მისი უწმინდესობა ილია მეორის ქადაგება 17.20 საეკლესიო კალენდარი 17.35 საუბრები ბიბლიაზე 19.00 "ზერკალო" 20.20 გვარიშვილობა 20.50 საბავშვო გადაცემა "ნიკორა" 21.15 იქ, სადაც სიყვარულია 21.30 დოკ. ფილმი "კინო და წლები" 22.30 გადაცემა "ეკონომისტი" 23.30 პროგრამა "მსოფლიო სპორტი"

07.30 "ცხოვრება სიტყვაში" 10.00 "ბისი". მხ.ფილმი 11.50, 15.30, 21.10, 23.35 კლიპ-მიქსი 12.00 მულტფილმი 13.20 მხ.ფ. **"რწმენის შენარჩუნებით"** მთ. როლში ბენ სტილერი 18.00 მულტფილმები 19.00 "Co.მედია" მხ.ფ. **"ორასი წლის ადამიანი"**. მთ. როლში რობინ უილიამსი 21.25 პროგრამა "F" მხ.ფ. **"კოსმოსური კოვბოები"**. მთ. როლში კლინტ ისტვუდი 23.50 "ბრავო" მხ.ფ. **"ძუკნა სიყვარული"** მთ. როლში ემილიო ეჩივარია, გელ გარსია ბერნალი, გოია ტოლედო 02.20 ნონ-სტოპი

09.00 საინფორმაციო პროგრამა "დღის ამბები" 09.15, 18.15 მულტფილმი "ტომი და ჯერი" 09.40 მხ.ფ. **"სირჯარის ტყვეობაში"** 11.10 ევროპის სტადიონებზე 11.40 გადაცემა "ბელისიმო" 12.10, 19.30 გადაცემა: "საბჭოთა საქართველო - ფურცლები ისტორიიდან" 12.40, 15.25, 21.55, 23.40 მუსიკა 12.55 მხ. ფილმი **"მემკვიდრეობა"** 14.30 დოკ. ფილმი "და მართლის მთქმელი მოკვდება" 15.35 საუბრები სტუდიაში 16.30 მხ.ფ. **"არმაგედონი"** მთ. როლში ლივ ტაილერი 18.55 "დისქავერი" 20.00 ინტელექტკლუბი: "რა, სად, როდის?" 21.00 დოკ. ფილმი "იაპონური კინოს 100 წელი" 22.10 მხ.ფ. **"კოლონია"** მთ. როლში ჟან კლოდ ვანდამი 00.05 მხ.ფ. **"დაუნდობელი სიყვარული"**

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.

ღიმილის დოზა

მილიციელმა ცოლი ექიმთან მიიყვანა — შუბლი ყოველთვის ჩალურჯებული აქვსო.

— რომ კოცნით, ქუდს იხდით? — შეეკითხა ექიმი.

— ქუდი მოვიხადო კი არა, ეგებ „სვისტოკიც“ გამოვიღო პირიდან?

* * *

ცირკი „შაპიტო“. გამოდის ჩაფსკვნილი ძალოსანი, იღებს ერთ ლიმონს, ჩაიდებს მუჭში და ერთ ჭიქა წვენს გამოწურავს.

— ვინ გაიმეორებს ჩემს რეკორდს? — თავმომწონედ მიმართავს დამსწრეთ.

გამოდის ერთი კაფანდარა კაცი, აიღებს იმ გამოწურულ ლიმონს და ორ ჭიქა წვენს გამოსწურავს.

— ვინ ხართ თქვენ? — შეეკითხება გაოგნებული ძალოსანი.

— საგადასახადოს ინსპექტორი, — უპასუხებს ის ჩია კაცი.

* * *

ორი მილიციელი შეიარაღებული ბანდიტის „ასაყვანად“ მიდის.

— შენ შედი პირველი, — ეუბნება ერთი მეორეს, — მე მურს ვიძიებ.

* * *

შუა სამუშაო საათებში ფირმაში შავჩაფხუტიანი, შეიარაღებული მუტრუკები შეიჭრნენ. ატყდა ვაი-უშველებელი, წივილკივილი.

— ხმა! კრინტი! — დასჭექა ერთმა.

— ყველანი იატაკზე! თავდასხმაა!

— ოპ, გულზე მომეშვა, — თქვა მთავარმა ბუღალტერმა, — მე საგადასახადო პოლიცია მეგონა.

გახსენება

ყაზბეგ ირემაძე

ორმოცი დღე მიილია, რაც შენმა სულმა მარადიული სასუფეველი დაიმკვიდრა. ძალზედ ძნელია უშენობა. შენ ერთადერთი საფიცარი და ნუგეში იყავი ჩვენთვის და არა მხოლოდ ჩვენთვის... საუკეთესო თვისებებით, ერთგულებით და თავდადებით ღირსეული ადგილი ჰპოვე ახლობლებ-მეგობრების გულში, საზოგადოებაში.

ჩვენი გულისთქმა შენმა დამ, ქეთინომ ამ გულწრფელ სტრიქონებში გამოხატა.

მალე ორმოცი დღე გაგიხდება,
რაც მიგვატოვე და გაგვეცალე,
გულს ამოვარდნა უნდა, მამიკო,
აზრი არა აქვს დღეს ჩვენს სიცოცხლეს.

წარსულს ჩაბარდა ჩვენი ერთობა,
თითქოს იყო და თითქოს არც იყო,
ღმერთო მაღალო, რატომ გაგვწირე,
ნეტავ რა იყო, თუ რამე იყო?!

ასე ყოფილა წუთისოფელი
ჩვენც მანდ წამოვალთ, დრო
რომ დადგება,
მერე შევხვდებით ვალმოხდილები,
კაცის ცხოვრება ასე მთავრდება.

**მეუღლე ციცინო,
შვილები ირაკლი, ირმა, გიგა;
დედა ანიკო, მამა გრიგოლი.**

ხსოვნა

ვახტანგ ერქომაიშვილი

ქართულმა ფილოსოფიურმა საზოგადოებამ და ჩვენი ქვეყნის უმაღლესმა სკოლამ აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა — გარდაიცვალა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სისტემური ფილოსოფიის კათედრის გამგე, ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ვახტანგ ერქომაიშვილი,** ფილოსოფიის ისტორიისა და ფილოსოფიის თანამედროვე პრობლემების თვალსაჩინო მკვლევარი, ღვაწლმოსილი პედაგოგი.

ვ. ერქომაიშვილი დაიბადა 1932 წელს ქობულეთში, 1956 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი, ხოლო 1961 წელს ასპირანტურა ფილოსოფიის ისტორიის განხრით და მოღვაწეობა დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტში, შემდეგ კი განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 1962 წელს დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1973 წელს სადოქტორო დისერტაცია. ორივე შრომა თანამედროვე პოზიტივიზმისადმი იყო მიძღვნილი. ფილოსოფიის ამ მიმდინარეობის კვლევა მისი შემოქმედების ერთ-ერთი უმთავრესი მიმართულება იყო. ბატონი ვახტანგის სამეცნიერო ინტერესების ცენტრში ყოველთვის ფიგურირებდა თანამედროვე ვითარების უმწვავესი საკითხები — ცხოვრების საზრისის პრობლემები, ეროვნული სატკივარი, ადამიანი, ზნეობრივი სახე. მისი ფიქრის გამორჩეული საგანი იყო ადამიანის თავისუფლება და პასუხისმგებლობა. იგი აქტიურად ებრძოდა თავისუფლების დამთრგუნველ სახელმწიფოებრივ იდეოლოგიას, როგორც დეჰუმანიზაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს. ცხოვრებაში სიკეთით სავსე, ზოგჯერ ბავშვივით გულუბრყვილო, სიღრმისეულ ფილოსოფიურ პრობლემებზე კამათისას უაღრესად პრინციპული და უკომპრომისო იყო. ბატონი ვახტანგის ირგვლივ ყოველთვის იქმნებოდა განსაკუთრებული ფილოსოფიური აზროვნების ატმოსფერო, რომელშიც სიბრძნე და პირუთვნელი მსჯელობა დომინირებდა. იგი იყო საიმედო ადამიანი არა მარტო ახლობლებისათვის, არამედ მრავალრიცხოვანი კოლეგებისათვის. ბატონი ვახტანგი იყო სოკრატული ტიპის აღმზრდელი-პედაგოგი, მისი ლექცია-საუბრები დატვირთული იყო უმდიდრესი ინფორმაციით და გამოირჩეოდა ურთულესი საკითხების განსჯის სიცხადით. მან ჩვენს ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებების გათვალისწინებით შექმნა შესანიშნავი სახელმძღვანელოები უმაღლესი და საშუალო სკოლებისათვის, რომლებიც დიდხანს იქნება პროფესორ-მასწავლებელთა სამაგიდო წიგნი.

ვახტანგ ერქომაიშვილი ნაყოფიერი შემოქმედი იყო. მის კალამს ეკუთვნის ოცამდე მონოგრაფია, მრავალი საჟურნალო და საგაზეთო სტატია. მათ შორის უნდა აღინიშნოს „ლოგიკური პოზიტივიზმი“, „ადამიანის თავისუფლება და პასუხისმგებლობის პრობლემა“, „ბედისწერის თეორია და მისი უარყოფითი შედეგები“, „ადამიანი მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ეპოქაში“, „სამოქალაქო საზოგადოება“, „კოტე ბაქრაძის ფილოსოფიური შეხედულებები“, „ერი და იდეოლოგია“ და სხვ.

ბატონი ვახტანგის — ფილოსოფოსის, აღმზრდელის, მეგობრის, ბრძენი და სიკეთით სავსე პიროვნების — ხსოვნა უკვდავია.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატი; ფილოსოფიისა და სოციოლოგიის ფაკულტეტი; საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ს. წერეთლის სახელობის ფილოსოფიის ინსტიტუტი.

გახსენება

ნანა მიქაძე

დედა, ერთი წელი გავიდა შენი გარდაცვალებიდან. ძალიან, ძალიან გვენატრები და გვაკლიხარ. დღე არ გავა, რომ არ გაგიხსენოთ, თბილად და ტკბილად არ მოგიგონოთ. შენი განელილი ცხოვრება მხოლოდ სიკეთითა და მშვენიერებით იყო აღსავსე. შენ, მართლაც, რომ წარუშლელი კვალი დატოვე შენი სიდარბაისლით, პატიოსნებითა და სიკეთის ქმნის განუმეორებელი უნარით. მიუხედავად ბოლო წლებში მძიმე ავადმყოფობისა, არ წუწუნებდი, სოფლის სამღურავი არ დაგცდენია, ჩვეული გულმოდგინებით ფუსფუსებდი შენს ტკბილ ოჯახში. შენი და მამას ერთადერთი ამქვეყნიური სამდურავი და გულისწუხილი სამშობლოს მოშორებული შვილებისა და შვილიშვილების მონატრებით გამოწვეული ტანჯვა იყო, რომელიც შენს ფიზიკურ ტკივილსაც ემატებოდა. მაგრამ მომავლის იმედს მაინც არ კარგავდი და ღმერთს კიდევ ორი წლის სიცოცხლეს სთხოვდი: „იმ დღეს მომასწარი, ღმერთო, ყველანი ერთად ვიხილო და მერე თუნდაც იმ წუთში მოვკვდეო“. — ვაგლახ, რომ ვერ მოესწარი, დედა, ამას. გაუსაძლისი დღევანდელობის გამო შენს გატანჯულ სახეს შენი საყვარელი რძლის ცრემლი არ გაჰყოლია, ვერც შენმა შვილიშვილმა მიგაცილა საბოლოო ნავსაყუდლამდე. შენ ხომ ყველას ჭირისა და ლხინის გამზიარებელი იყავი, უზომოდ მიმტევებელი... და იმედია მათაც მიუტევებ, შენ და პაპა ზეციდან დალოცავთ შვილებსა და შვილიშვილებს, დედმამიშვილებს, რომელთაც უჭირთ წარსულ დროში თქვენზე საუბარი.

როგორ ერთი ამოსუნთქვით ჩაიარა ყველაფერმა. დაგვრჩა შენი და მამის კვალი ნათელი. ახლა ორთავეს გძინავთ საუკუნო, მარადიული ძილით. ღმერთმა სასუფეველი დაგიმკვიდროთ... გვენატრები, გვიყვარხარ, ჩვენო სათაყვანებელო დედა-ბატონო.

აზა, როლანდი, რობერტი.

„საქართველოს ბანკის“ თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ვახტანგ ერქომაიშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამომცემელი - შპს „პრესა-98“

მთავარი რედაქტორი არმაზ სანებლიძე.

სარედაქციო კოლეგია: ალეკო ასლანიშვილი, როლანდ ბასილაშვილი, გურამ გოგიაშვილი, ბონდო გულიაშვილი, გიორგი ლალიაშვილი, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, ბექა ჭედია, ოთარ ხუციშვილი.

ნომრის მორიგე რედაქტორი
ბონდო გულიაშვილი.

ინდექსი 66434

მისამართი:
380008, თბილისი,
მ. კოსტავას ქ. №14.
ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა - PRESS-98@CAUCASUS.NET